

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC)  
საკონსულტაციო პროგრამა ევროპასა და  
ცენტრალურ აზიაში

## კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო

საქართველო, საქთბაზარი, 2010



პროექტი ხორციელდება  
BP-სა და მისი ნავთობის და გაზის პარტნიორებთან და  
კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან  
თანამშრომლობით

კორპორაციული მართვის პროექტი საქართველოში

ნინო რამიშვილის ქ. 5 ბ,  
თბილისი 0179, საქართველო  
ტელ.: +995 (32) 23 43 00/01/02  
[ifc.org/gcgp](http://ifc.org/gcgp)



# კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო

ქართულ ენაზე

პირველი გამოცემა: გამოცემულია 500 ცალად ქართულ ენაზე

დაბეჭდილია თბილისში, საქართველო  
დაცულია საავტორო უფლებებით © საერთაშორისო საფინანსო  
სო კორპორაცია (IFC)

2121 პენსილვანია ავენიუ, ვაშინგტონი DC 20433

ამერიკის შეერთებული შტატები

მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი

ყველა უფლება დაცულია. არ შეიძლება ამ პუბლიკაციის არც  
ერთი ნაწილის გამრავლება, საინფორმაციო-საძიებო სისტემა-  
ში შენახვა ან კომერციული მიზნებისათვის გადაცემა ნებისმი-  
ერი ელექტრონული, მექანიკური, ფოტო გადამღები, ჩამწერი  
ან სხვა საშუალებით საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის  
წინასწარი თანხმობის გარეშე.

# კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო

საქართველო, სექტემბერი, 2010

## სარჩევი

<b>თავი I - კორპორაციული მართვის შესავალი</b>	<b>12</b>
ა. კორპორაციული მართვის განმარტება	14
ბ. კორპორაციული მართვის განხორციელების დასაბუთება	20
გ. კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული ხარჯები	24
დ. კორპორაციული მართვის ბაზა საქართველოში	25
<b>თავი II - კომპანიის ზოგადი მართვის სტრუქტურა</b>	<b>32</b>
ა. რა არის სააქციო საზოგადოება?	33
ბ. კომპანიის კორპორაციული მართვის სტრუქტურა	36
<b>თავი III - შიდა კორპორაციული დოკუმენტები</b>	<b>40</b>
ა. კომპანიის წესდება	42
ბ. კომპანიის დებულებები	45
გ. კომპანიის კორპორაციული მართვის კოდექსი	46
დ. კომპანიის ეთიკის კოდექსი	48
<b>თავი IV - სამეთვალყურეო საბჭო</b>	<b>50</b>
ა. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება	54
ბ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა და გათავისუფლება	60
გ. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა	62
დ. სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა და კომიტეტები	69
ე. სამეთვალყურეო საბჭოს სამუშაო პროცედურები	74
ვ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მოვალეობები და პასუხისმგებლობა	79
ზ. სამეთვალყურეო საბჭოს და მისი წევრების შეფასება და განათლება	85
თ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება	86
<b>თავი V - აღმასრულებელი ორგანოები</b>	<b>91</b>
ა. აღმასრულებელი ორგანოები და მათი უფლებამოსილებანი	93
ბ. აღმასრულებელი ორგანოს შემადგენლობა	94
გ. აღმასრულებელი ორგანოების ფორმირება და გაუქმება	95
დ. აღმასრულებელი ორგანოების სამუშაო პროცედურები	97
ე. აღმასრულებელი ორგანოების წევრთა მოვალეობები და პასუხისმგებლობა	99
ვ. საქმიანობის შეფასება	100
ზ. აღმასრულებელი ორგანოების ანაზღაურება და კომპენსაცია	100
<b>თავი VI - კორპორაციული მდივანი</b>	<b>104</b>
ა. კორპორაციული მდივნის როლი	105
ბ. კორპორაციული მდივნის უფლებამოსილება	109
გ. აქციონერთა უფლებების დაცვა	113
დ. ინფორმაციის გამჟღავნების და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა	114
ე. კორპორაციული მდივნების პროფესიული ასოციაციები	114

115	.....	<b>თავი VII - აქციონერთა უფლებების შესავალი</b>
117	.....	ა. ზოგადი დებულებები აქციონერთა უფლებების შესახებ
119	.....	ბ. აქციონერთა სპეციფიკური უფლებები
131	.....	გ. სახელმწიფოს, როგორც აქციონერის, უფლებები
131	.....	დ. აქციონერთა რეესტრი
132	.....	ე. აქციონერთა უფლებების დაცვა
135	.....	ვ. აქციონერთა პასუხისმგებლობა
136	.....	<b>თავი VIII - აქციონერთა საერთო კრება</b>
138	.....	ა. ზოგადი დებულებები
141	.....	ბ. აქციონერთა საერთო კრების მომზადება
147	.....	გ. აქციონერთა საერთო კრების გამართვა
157	.....	დ. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებები
159	.....	<b>თავი IX - კორპორაციული მართვის მნიშვნელობა საწესდებო კაპიტალთან მიმართებით</b>
160	.....	ა. საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები
162	.....	ბ. საწესდებო კაპიტალის ზრდა
164	.....	გ. საწესდებო კაპიტალის შემცირების განხილვა
164	.....	დ. სავალდებულო და ნებაყოფლობითი რეზერვები
165	.....	<b>თავი X - კორპორაციული მართვის მნიშვნელობა კომპანიის ფასთან ქალაქდებთან მიმართებით</b>
167	.....	ა. კორპორაციული ფასიანი ქალაქდების მიმოხილვა
170	.....	ბ. ფასიანი ქალაქდების ტიპები
174	.....	გ. ფასიანი ქალაქდების ემისია
177	.....	დ. ფასიანი ქალაქდების კონვერსია
177	.....	ე. აქციების გაყოფა და კონსოლიდაცია
178	.....	ვ. საფონდო ოფციონი შედარებით კორპორაციულ პრაქტიკაში
179	.....	ზ. კაპიტალის მოზიდვა საერთაშორისო ბაზრებზე და უცხოური საფინანსო ინსტრუმენტები ადგილობრივ ბაზარზე
180	.....	<b>თავი XI - ინფორმაციის გამჟღავნება</b>
182	.....	ა. ინფორმაციის გამჟღავნების შესავალი
185	.....	ბ. გასამჟღავნებელი მუხლები
197	.....	გ. ინფორმაციის სავალდებულო გამჟღავნება
197	.....	დ. ინფორმაციის ნებაყოფლობითი გამჟღავნება
200	.....	<b>თავი XII - შიდა კონტროლი</b>
203	.....	ა. შიდა საზედამხედველო ორგანო
206	.....	ბ. დამოუკიდებელი გარე აუდიტორი
210	.....	გ. აუდიტის კომიტეტი
215	.....	დ. შიდა კონტროლის ფუნქცია

## რედაქტორისგან

ქართული კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო (შემდგომ - სახელმძღვანელო) ვრცელდება იმ პირობით, რომ ავტორები, ორგანიზაციები და ქვეყნები, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, აგრეთვე გამომცემელი, არ მონაწილეობენ სამართლებრივი ან ფინანსური კონსულტაციების გაწევაში. სახელმძღვანელოში მოცემული მასალა შედგენილია ზოგადი მითითების სახით და არ უნდა გამოიწვიოს რამენაირი პასუხისმგებლობის დაკისრება ნებისმიერი ზარალისა თუ ხარჯისთვის, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ნაშრომში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობას.

ამ ნაშრომის დანიშნულება არ გულისხმობს იმას, რომ ის ამომწურავი იყოს. მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციული მართვის წინამდებარე სახელმძღვანელოს მომზადებისას განსაკუთრებული სიფრთხილე იქნა დაცული, არ შეიძლება მის საფუძველზე ბიზნესგადაწყვეტილებათა მიღება. ყველა საფინანსო საკითხსა და შეკითხვასთან დაკავშირებით საჭიროა პროფესიონალი ბუღალტრის, აუდიტორის ან ფინანსების სხვა სპეციალისტის კონსულტაცია. ყველა სამართლებრივ საკითხსა და შეკითხვასთან მიმართებით გასათვალისწინებელია იურისტის რეკომენდაცია. იმის გამო, რომ საქართველოს კანონები მუდმივად იცვლება, ამ დოკუმენტში აღნიშნული სამართლებრივი წესები სახელმძღვანელოს გამოქვეყნების მომენტისათვის შეიძლება აღმოჩნდეს მოძველებული ან ახალი კანონმდებლობით ჩანაცვლებული. დოკუმენტში მოხსენიებულია 2010 წლის სექტემბრის მდგომარეობით მოქმედი კანონები, წესები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

სახელმძღვანელოში მოცემული ნებისმიერი მოსაზრება ავტორთა კუთვნილებაა, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ან მსოფლიო ბანკის ჯგუფის მოსაზრებაცაა.

ეს სახელმძღვანელო ვრცელდება იმ პირობით, რომ დაუშვებელია IFC-ის წინასწარი თანხმობის გარეშე მისი პროფესიული ან სხვაგვარი თხოვება, გადაყიდვა, გაქირავება ან სხვა მოქმედება კომერციულ საფუძველზე.

## წინასიტყვაობა

საქართველოში კორპორაციული მართვის პროექტს ახორციელებს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) ისეთი პარტნიორი დონორების მხარდაჭერით, როგორცაა კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (CIDA) და BP და მისი ნავთობისა და გაზის პარტნიორები.

2007 წელს დაიწყო სამწლიანი პროექტი საქართველოს კომპანიებისა და ბანკებისათვის კორპორაციული მართვის სტანდარტების გასაუმჯობესებლად დახმარების განევის მიზნით.

რით არის მნიშვნელოვანი კორპორაციული მართვა? კორპორაციული მართვის სანიმუშო სისტემის გამოყენებით შესაძლებელია გაცილებით ამაღლდეს და გაიზარდოს კომპანიის მომგებიანობა, აგრეთვე გაადვილდეს მისი წვდომა გარე, ადგილობრივ, საერთაშორისო, სახელმწიფო და კერძო დაფინანსებაზე. ნებისმიერ ბიზნესში ჩაბმის გადაწყვეტილების მიღებისას უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ნდობა. ნდობის გარეშე, რომელიც აისახება სანიმუშო კორპორაციულ მართვაში, ძალზე ძნელია ინვესტორების მოზიდვა. გარდა ამისა, კომპანიის თანამშრომლებსაც სჭირდებათ იმაში დარწმუნება, რომ განეული შრომისა და ცოდნის შედეგად ნამდვილად მიიღებენ უკუგების სამართლიან წილს.

ჩვენი პროექტის მიზანია ნდობის ამაღლება კომპანიებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის. ჩვენ ვეხმარებით კომპანიებსა და დაინტერესებულ მხარეებს იმისათვის, რომ შეიქმნას პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე, ღიაობაზე, გამჭვირვალობაზე, საქმიანობის შეფასებასა და ვალდებულებაზე, სანიმუშო კორპორაციული მართვის აღიარებულ სტანდარტებზე დამყარებული გარემო.

პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული პოლიტიკის შემუშავებელ სპეციალისტებთან თანამშრომლობა არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და ახლის მომზადებაში მათთვის დახმარების განევის მიზნით. ჩვენ აგრეთვე ვითანამშრომლეთ საქართველოს ბანკების ასოციაციასთან ბანკებისთვის ეროვნული კორპორაციული მართვის კოდექსის შემუშავებისას და უნივერსიტეტებთან - მათ სასწავლო პროგრამაში კორპორაციული მართვის საგნის ჩართვის მიზნით.

ამ სახელმძღვანელოს გამოქვეყნებით გვინდა ჩვენი წვლილი შევიტანოთ საქართველოში კორპორაციული მართვის თემაზე არსებული ლიტერატურის გამრავალფეროვნებაში. ასევე იმედი გვაქვს, რომ სახელმძღვანელოს გამოცემა არა მარტო უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები და სტუდენტები, არამედ აქციონერები, მენეჯერები და საბჭოს წევრები თავიანთ კომპანიებში კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით.

ამ სახელმძღვანელოს მომზადებასა და გამოქვეყნებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ექსპერტთა დიდმა ჯგუფმა.

სახელმძღვანელოს ქართული ვერსია შემუშავებულია IFC-ის კორპორაციული მართვის პროექტის მიერ. მის გამოცემაში დიდი წვლილი შეიტანეს: მაია თევზაძემ (პროექტის ხელმძღვანელი, IFC-ის კორპორაციული მართვის პროექტი საქართველოში), ნინო კარტოზიამ (საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, IFC-ის საკონსულტაციო პროგრამები საქართველოში), კახა კუჭავამ (კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში, IFC-ის კორპორაციული მართვის პროექტი საქართველოში), სოფო ლალიევამ (სპეციალისტი ფინანსურ საკითხებში, IFC-ის კორპორაციული მართვის პროექტი საქართველოში), მარიამ მანჯგალაძემ (სპეციალისტი საბანკო/საფინანსო საკითხებში, IFC-ის კორპორაციული მართვის პროექტი საქართველოში) და ბორის ჯანჯალიამ (კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში, IFC-ის კორპორაციული მართვის პროექტი საქართველოში).

## საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) შესახებ

IFC მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, განვითარებაზე ორიენტირებული ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტია, რომელიც განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორს უჭერს მხარს. ჩვენ ვეხმარებით ხალხს სიღარიბის დაძლევისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში, უზრუნველყოფთ კერძო სანარმოებს დაფინანსებით, იმისათვის, რომ მათ მეტი ადამიანის დასაქმება შეძლონ და აუცილებელი მომსახურება გაუწიონ საზოგადოებას. ასევე მობილიზებას ვუწევთ სხვა ორგანიზაციების კაპიტალს და საკონსულტაციო მომსახურების გზით მდგრადი განვითარების შესაძლებლობას ვქმნით. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს, 2010 ფინანსურ წელს ჩვენ მიერ განხორციელებულმა ახალმა ინვესტიციებმა რეკორდულად მაღალ მონაცემს - 18 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება ვებ-გვერდზე: [www.ifc.org](http://www.ifc.org)

## კორპორაციული მართვის პროექტის შესახებ

პროექტი დახმარებას უწევს საქართველოს კომპანიებსა და ბანკებს კორპორაციული მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებაში; პროგრამა თანამშრომლობს სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციებთან ეფექტიანი კორპორაციული მართვის სისტემის შესაქმნელად და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კორპორაციული მართვის სფეროში სწავლების შესაძლებლობის გასაზრდელად.

საქართველოში კორპორაციული მართვის პროექტს ახორციელებს IFC-ი კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (CIDA) და BP-სა და ნავთობის და გაზის სფეროში მისი პარტნიორების ფინანსური მხარდაჭერით.



## პარტნიორი დონორები

კორპორაციული მართვის პროექტს საქართველოში IFC ახორციელებს ორ დონორთან პარტნიორობით:

კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (CIDA), რომელიც კანადის სახელმწიფო უწყებაა და მისი მიზანია განვითარებად ქვეყნებში მდგრადი პროგრესის მხარდაჭერა, სიღარიბის შემცირება, წვლილის შეტანა უფრო უსაფრთხო, თანასწორი და წარმატებული გარემოს დამკვიდრებაში. CIDA აქტიურად მუშაობს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რათა სტიმული მისცეს განვითარებასა და ზრდას ადგილობრივი მოსახლეობის თვითრეალიზაციისა და არსებული რესურსების მობილიზების გზით. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში CIDA აფინანსებს და მხარს უჭერს დახმარების სხვადასხვა პროექტების განხორციელებას.

&

BP და მისი ნავთობისა და გაზის პარტნიორები (ესენია: **SOCAR, StatoilHydro, Chevron, INPEX, TPAO, ExxonMobil, Devon Energy, ITOCHU, AzBTC Ltd., Total, Amerada Hess, Lukoil, NICO, ENI, ConocoPhillips**).

BP მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ენერჯოკომპანიაა, რომელიც 100-ზე მეტ ქვეყანაში საქმიანობს. BP საქართველოში პირველად 1996 წელს შემოვიდა და დღეს სამი მთავარი მილსადენის ოპერატორია: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC), დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენის (WREP) და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (SCP). BP ასევე აწარმოებს საავიაციო საწვავის ბიზნესს - Air BP - თბილისის საერთაშორისო აეროპორტში.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: [www.bpgeorgia.ge](http://www.bpgeorgia.ge)

კორპორაციული მართვის პროექტი BP-სათვის საქართველოში წარმოადგენს მისი სოციალური პროგრამების მხოლოდ ერთ ნაწილს. BP-ს სოციალური პროგრამები კი ძირითადად მიმართულია ენერჯოექტორის და საწარმოთა განვითარების მხარდაჭერაზე. საქართველოში BP-სა და მისი პარტნიორების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მასშტაბი 100 მილიონ აშშ დოლარს აღემატება.



StatoilHydro



INPEX



ExxonMobil



NICO



ConocoPhillips



Canadian International Development Agency

Agence canadienne de développement international

## მიზანი და სამიზნე აუდიტორია

ეს სახელმძღვანელო სრულყოფილად მიმოიხილავს დღეისათვის საქართველოში არსებული კორპორაციული მართვის სისტემასა და პრაქტიკას, აგრეთვე უზრუნველყოფს ქართული სააქციო საზოგადოებების დირექტორებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და აქციონერებს იმ პრაქტიკული ინსტრუმენტით, რომელიც შექმნილია სანიმუშო მართვის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. იგი მკითხველს აწვდის:

- კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების მიმოხილვას, ასევე ბანკების შემთხვევაში, მითითებებს საქართველოს ბანკების ასოციაციის კორპორაციული მართვის კოდექსიდან (კორპორაციული მართვის კოდექსი) და კორპორაციული მართვის საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ პრინციპებს;
- რეკომენდაციებს სააქციო საზოგადოებების მიერ მართვასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ;
- პრაქტიკულ მაგალითებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს კორპორაციული მართვის სტანდარტები; და მითითებებს აღმასრულებელი პირებისა და საბჭოს წევრებისათვის სანარმოს მართვასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ; და
- სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოების უფლებამოსილების, ვალდებულებისა და პროცედურების ზოგად მონახაზს.

ამ სახელმძღვანელოში სამთავრობო მოხელეების, იურისტების, მოსამართლეების, ინვესტორების და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის ჩამოყალიბებულია საქართველოს კომპანიებში კორპორაციული მართვის დონის შეფასების სისტემა. დაბოლოს, იგი კორპორაციული მართვის სანიმუშო პრაქტიკის სფეროში სახელმძღვანელოს როლს ასრულებს იმ საგანმანათლებლო დანერგებულებებისთვის, რომლებმაც უნდა აღზარდონ მომავალი თაობის მენეჯერები, ინვესტორები და ამ დარგის პოლიტიკის შემმუშავებლები.


## როგორ გამოვიყენოთ ეს სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო დაყოფილია თორმეტ თავად:

- თავი 1.** კორპორაციული მართვის შესავალი
- თავი 2.** კომპანიის ზოგადი მართვის სტრუქტურა
- თავი 3.** შიდა კორპორაციული დოკუმენტები
- თავი 4.** სამეთვალყურეო საბჭო
- თავი 5.** აღმასრულებელი ორგანოები
- თავი 6.** კორპორაციული მდივანი
- თავი 7.** აქციონერთა უფლებების შესავალი
- თავი 8.** აქციონერთა საერთო კრება
- თავი 9.** კორპორაციული მართვის მნიშვნელობა სანესდებო კაპიტალთან მიმართებით
- თავი 10.** კორპორაციული მართვის მნიშვნელობა კომპანიის ფასთან ქალაქდებთან მიმართებით
- თავი 11.** ინფორმაციის გამჟღავნება
- თავი 12.** შიდა კონტროლი

სახელმძღვანელოს 9 თავი ეძღვნება კორპორაციული მართვის ძირითად საკითხებს. ყველა საკითხი ყურადღებითაა შესწავლილი ქართული კანონმდებლობისა და წესების, კომერციული ბანკებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის და, საჭიროების შემთხვევაში, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდებულია მთლიანი სახელმძღვანელოს წაკითხვა, იმისათვის, რომ შეიქმნას სრული წარმოდგენა საქართველოში კორპორაციული მართვის სისტემის შესახებ, არ არის საჭირო ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ყველა თავის გაცნობა. მკითხველს შეუძლია სახელმძღვანელოს წაკითხვა დაიწყოს მისთვის საინტერესო თემით და მიჰყვეს სხვა თავებთან დამაკავშირებელ ტექსტში არსებულ ბმულებსა და მინიშნებებს.

მეტი თვალსაჩინოებისათვის სახელმძღვანელოს ტექსტში წარმოდგენილია მაგალითები, ილუსტრაციები და კითხვარები. სხვადასხვა ინტერვალით წარმოდგენილია შემდეგი ინსტრუმენტები



**კითხვარის** მიზანია დაეხმაროს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს კომპანიის წინაშე არსებული კორპორაციული მართვის ძირითად საკითხების განხილვაზე სამეთვალყურეო საბჭოს ყურადღების ფოკუსირებაში.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

**საუკეთესო პრაქტიკა** აჯამებს კომერციული ბანკებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის ძირითად დებულებებს, კორპორაციული მართვის ეთგო-ს (OECD) პრინციპებს, ისევე როგორც სხვა ქვეყნების მოწინავე ეროვნულ სტანდარტებს.

## ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

**საქართველოში არსებული პრაქტიკა** გვიჩვენებს, თუ როგორ უდგებიან ამჟამად კომპანიები კორპორაციული მართვის საკითხებს. მასში გაშუქებულია „ნითელი ალმები“, ანუ კორპორაციული მართვის პრინციპების დარღვევები ისევე, როგორც საჩვენებელი საწარმოო პრაქტიკა სანიმუშო კორპორაციული მართვის პირობებში. საქართველოში არსებული პრაქტიკის აღწერა ძირითადად ემყარება IFC-ის მიერ 2008 წელს ქართულ კომპანიებში ჩატარებული კორპორაციული მართვის კვლევის შედეგებს.

## ◀▶ შედარებითი პრაქტიკა

**შედარებითი პრაქტიკა** გვიჩვენებს, თუ როგორი მიდგომებია ამჟამად კორპორაციული მართვის საკითხებისადმი სხვა ქვეყნებში. აგრეთვე, მიგვითითებს საერთო ხასიათის სხვადასხვა დარღვევებსა და შეცდომებზე ისევე, როგორც კარგი კორპორაციული მართვის შემთხვევებსა და მაგალითებზე.

**სურათები, ცხრილები და სხვა ილუსტრაციები** შესულია სახელმძღვანელოში ძირითადი ცნებების ილუსტრირების მიზნით.

**დეტალური მინიშნება კანონებსა და წესებზე** მკითხველს მიუთითებს ძირითად ტექსტზე.

## სშირად გამოყენებული აბრევიატურები და აკრონიმები

აქციონერთა საერთო კრება	= ასკ
აქციონერთა მორიგი საერთო კრება	= ამსკ
სამეთვალყურეო საბჭო	= საბჭო
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	= თავმჯდომარე
სააქციო საზოგადოება	= კომპანია
კოლექტიური აღმასრულებელი ორგანო, დირექტორატი, გამგეობა	= აღმასრულებელი ორგანო
აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება	= არსკ
საქართველოს ბანკების ასოციაციის კორპორაციული მართვის კოდექსი	= კორპორაციული მართვის კოდექსი
საქართველოს ეროვნული ბანკი	= სეპ
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	= შპს
სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა	= საბჭოს სხდომა
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	= საბჭოს წევრი
არასამთავრობო ორგანიზაცია	= აო
ეთგო-ს კორპორაციული მართვის პრინციპები	= ეთგო-ს პრინციპები
ერთადერთი აღმასრულებელი ორგანო, უმაღლესი აღმასრულებელი ოფიცერი, გენერალური დირექტორი	= გენერალური დირექტორი

თავი

კორპორატიული მართვის  
შესავალი



## ❓ კითხვარი

- ✓ ეხმის თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს და გამგეობის ყველა წევრს კორპორაციული მართვის არსი და მისი მნიშვნელობა კომპანიისა და მისი აქციონერებისათვის?
- ✓ აქვს თუ არა შემუშავებული სამეთვალყურეო საბჭოს მართვის მკაფიო და დეტალური პოლიტიკა და კომპანიის მართვის პრაქტიკის გაუმჯობესების გეგმა? გადაიდგა თუ არა ნაბიჯები ამ გეგმის განსახორციელებლად?
- ✓ წარადგინა თუ არა კომპანიამ ოფიციალურად პირი, მაგალითად, კორპორაციული მდივანი, ან შექმნა თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტი ან მსგავსი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კომპანიის კორპორაციული მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის ზედამხედველობისათვის?
- ✓ იციან თუ არა კომპანიის ხელმძღვანელმა პირებმა ეთგო-ს კორპორაციული მართვის პრინციპები, საქართველოში კორპორაციული მართვის სამართლებრივი ბაზა და საქართველოს ბანკების ასოციაციის მიერ მიღებული კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის? ასრულებს თუ არა კომპანია კორპორაციული მართვის კოდექსის ძირითად რეკომენდაციებს და ამჟღავნებს თუ არა ინფორმაციას შესაბამისობის შესახებ აქციონერებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის თავის წლიურ ანგარიშში? აქვს თუ არა კომპანიას საკუთარი კორპორაციული მართვის კოდექსი? შეტანილი აქვს თუ არა კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებებში ანგარიში კორპორაციული მართვის სტრუქტურისა და პრაქტიკის შესახებ დადგენილი წესებიდან ნებისმიერი გადახვევის მითითებით და ასეთი გადახვევის მიზეზის დასახელებით?
- ✓ იცნობს თუ არა კომპანია კორპორაციული მართვის სფეროში მოქმედ ძირითად დანესებულებებს, რომლებმაც შეიძლება შეასრულონ კომპანიისთვის გარე რესურსის როლი?

კორპორაციული მართვა საქართველოში პოპულარულ ტერმინად იქცა 2000-იანი წლების მეორე ნახევრიდან. საქართველო არა მარტო აღმოჩნდა კერძო სექტორის როლის ტრანსფორმაციის მოწმე ეკონომიკურ განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში, არამედ კორპორაციული მართვა კორპორაციული სკანდალების, გლობალური კონკურენციის და სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო მოვლენების შედეგად ხშირად გამოყენებად ტერმინად იქცა.

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, კომპანიების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს გააზრებული ამ საკითხის სიღრმე და კომპლექსურობა. მართლაც, კორპორაციული მართვის რეფორმები ხშირად ზედაპირულად ხორციელდება და გამოიყენება როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის სავარჯიშო და არა როგორც სტრუქტურების და პროცესების დასანერგი ინსტრუმენტი, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს, მოიპოვოს თავისი აქციონერების ნდობა, შეამციროს ფინანსური კრიზისის ზემოქმედება და გაზარდოს კომპანიის წვდომა კაპიტალთან. სამართლიანობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და პასუხისმგებლობის პრინციპებზე დამყარებული შიდა სტრუქტურების და პროცესების დანერგვა რთული ამოცანაა, რომელიც კომპანიის მუდმივ ერთგულებას მოითხოვს.

ამ თავში განსაზღვრულია კორპორაციულ მართვა, დასაბუთებულია მისი განხორციელების აუცილებლობა და მიმოხილულია საქართველოში კორპორაციული მართვის სადღეისოდ მოქმედი სამართლებრივი, მარეგულირებელი და ინსტიტუციონალური ბაზა.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## 1. კორპორაციული მართვის განმარტება

### 1. კორპორაციული მართვის განსაზღვრება

არ არსებობს კორპორაციული მართვის ერთმნიშვნელოვანი განმარტება, რომლის გამოყენებაც შეიძლება ყველა სიტუაციასა და იურისდიქციაში. დღეს არსებული სხვადასხვა განმარტება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინსტიტუტზე ან ავტორზე, ისევე როგორც ქვეყანასა და სამართლებრივ ტრადიციაზე.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია კორპორაციულ მართვას განსაზღვრავს როგორც „კომპანიების მართვის და კონტროლის სტრუქტურებს და პროცესებს“. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო/OECD) 1999 წელს გამოქვეყნებულ „კორპორაციული მართვის პრინციპებში“ გვთავაზობს კორპორაციული მართვის უფრო დეტალურ განმარტებას:

„კორპორაციების ფუნქციონირების და კონტროლის შიდა ინსტრუმენტი [...], კორპორაციული მართვა მოიცავს ურთიერთობების რიგს კომპანიის მენეჯმენტს, მის სამეთვალყურეო საბჭოს, აქციონერებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. გარდა ამისა, კორპორაციული მართვა ქმნის იმ სტრუქტურას, რომლის საფუძველზეც ხდება კომპანიის მიზნების დასახვა, ამ მიზნების მისაღწევი საშუალებებისა და კომპანიის საქმიანობის მონიტორინგის ფორმების განსაზღვრა. სანიმუშო კორპორაციული მართვა სათანადო სტიმულს უნდა აძლევდეს კომპანიის მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს, რათა მათ განახორციელონ კომპანიისა და მისი აქციონერების ინტერესებში არსებული ამოცანები, ხელი შეუწყონ ეფექტური მონიტორინგის განხორციელებას და ამით ფირმების მიერ რესურსების ეფექტიან გამოყენებას.“

განმარტებათა უმრავლესობას, რომლებიც ფოკუსირებულია თავად კომპანიაზე (შიდა პერსპექტივა), აქვს საერთო ელემენტები, რომლებიც შეიძლება შეჯამდეს ასე:

- **კორპორაციული მართვა არის სტრუქტურებით და პროცესებით განსაზღვრული ურთიერთობის სისტემა:** მაგალითად, აქციონერებსა და მენეჯმენტს შორის ურთიერთობა გულისხმობს პირველის მიერ მეორესთვის კაპიტალის მიწოდებას, რათა მეორემ მიიღოს უკუგება აქციონერების მიერ მიწოდებულ კაპიტალზე. მენეჯერებმა, თავის მხრივ, აქციონერებს რეგულარულად და გამჭვირვალედ უნდა მიაწოდონ ფინანსური და საოპერაციო ანგარიშგებები. აქციონერები ასევე ირჩევენ საზედამხედველო საბჭოს საკუთარი ინტერესების წარმოსაჩენად, რომელსაც ხშირად დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს უწოდებენ.<sup>1</sup> ეს ორგანო უნდა უზრუნველყოფდეს კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებას და კომპანიის მენეჯერების კონტროლს. მენეჯერები ანგარიშვალდებული არიან ამ საზედამხედველო საბჭოს წინაშე, რომელიც, თავის მხრივ, ანგარიშვალდებულია აქციონერების წინაშე აქციონერთა საერთო კრების საშუალებით (ასკ). სტრუქტურები და პროცესები, რომლებიც განსაზღვრავს ამ ურთიერთობას, როგორც წესი, ფოკუსირებულია საქმიანობის მართვისა და ანგარიშგების სხვადასხვა მექანიზმზე.
- **ეს ურთიერთობა შეიძლება მოიცავდეს მხარეებს სხვადასხვა და ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო ინტერესებით:** განსხვავებული ინტერესები შეიძლება არსებობდეს კომპანიის ძირითად მმართველ ორგანოს ანუ აქციონერთა საერთო კრებას, დირექტორთა საბჭოს და გენერალურ დირექტორს შორის (ან სხვა აღმასრულებელ ორგანოებს შორის).<sup>2</sup> უმეტესად სულ სხვადასხვა ინტერესი არსებობს

<sup>1</sup> დირექტორთა საბჭო (ერთ-საფეხურიანი მოდელი) და მასხასიათებელი საერთო სამართლის ქვეყნებისათვის, მაშინ, როცა სამეთვალყურეო საბჭო (ორსაფეხურიანი მოდელი) - უფრო კონტინენტური სამართლის ქვეყნებისათვის. განსხვავება ამ ორ მოდელს შორის უფრო დეტალურადაა აღწერილი ამ სახელმძღვანელოს მე-2 თავში - კომპანიის მართვის ზოგად სტრუქტურაში.

<sup>2</sup> ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს, კერძოდ, კომპანიის სტრუქტურაზე, რადგან მენარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში; სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა კომპანიის გადასაწყვეტია. გარდა ამისა, თუ კომპანიის წესდება ამის საშუალებას იძლევა, აღმასრულებელი საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც.




მფლობელებსა და მენეჯერებს შორის და, როგორც წესი, მას უწოდებენ „პრინციპალ-აგენტის“ პრობლემას. კონფლიქტი აგრეთვე შეიძლება არსებობდეს თითოეული მმართველი ორგანოს შიგნით, მაგალითად, აქციონერების (უმრავლესობა უმცირესობის წინააღმდეგ, მაკონტროლებელი პირები არამაკონტროლებელი პირების წინააღმდეგ, ინდივიდუალური ინტერესები ინსტიტუციონალური ინტერესების წინააღმდეგ) და დირექტორთა საბჭოს (აღმასრულებელი არააღმასრულებლის წინააღმდეგ,<sup>3</sup> დამოუკიდებელი დამოკიდებულის წინააღმდეგ) შორის; თითოეული განსხვავებული ინტერესი ყურადღებითაა შესასწავლი და დასაბალანსებელი.

- **ყველა მხარე ჩაბმულია კომპანიის მართვასა და კონტროლში:** აქციონერთა საერთო კრება, რომელიც წარმოადგენს აქციონერებს, იღებს ძირითად გადაწყვეტილებებს, მაგალითად ისეთს, როგორიცაა მოგებისა და ზარალის განაწილების გადაწყვეტილება. დირექტორთა საბჭო ზოგადად პასუხისმგებელია ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრისა და მაკონტროლებელი მენეჯერების დანიშვნისათვის. აღმასრულებელი პირები წარმართავენ კომპანიის ისეთ ყოველდღიურ ოპერაციებს, როგორიცაა სტრატეგიის განხორციელება, ბიზნესგეგმის შედგენა, ადამიანური რესურსების მართვა, მარკეტინგული და გაყიდვების გეგმების შემუშავება, და აქტივების მართვა.
- **ყოველივე ეს ხორციელდება უფლებებისა და პასუხისმგებლობის სათანადოდ გასაწილებლად, ამგვარად სააქციო ღირებულების გასაზრდელად.**

მაგალითად, როგორ შეუძლიათ გარე, მცირე აქციონერებს აღკვეთონ მაკონტროლებელი აქციონერების მიერ სარგებლის მიღება დაკავშირებული მხარის გარიგებების, საიდუმლო მოქმედებების ან მსგავსი საშუალებით.

კორპორაციული მართვის ძირითადი სისტემა და მმართველ ორგანოებს შორის ურთიერთობა წარმოდგენილია 1-ელ სურათზე.

**სურათი 1:** კორპორაციული მართვის სისტემა



<sup>3</sup> ეს შემთხვევა დამახასიათებელია დირექტორთა საბჭოსთვის (ერთსაფეხურიანი მოდელი), თუმცა საქართველოში ასეთი ვითარება შეიძლება აღმოჩნდეს იმ კომპანიებში, სადაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები არიან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

წყარო: IFC, მარტი, 2004

კორპორაციული მართვის გარე ასპექტი, მეორე მხრივ, კონცენტრირებულია ურთიერთობაზე კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის. დაკავშირებული მხარეები არიან ის პირები ან ინსტიტუტები, რომლებსაც აქვთ საკუთარი ინტერესი სანარმოში; ასეთი ინტერესი შეიძლება წარმოიშვას კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით, ანდა სოციალური ან გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო ურთიერთობის გზით. დაკავშირებული მხარეები მოიცავს ინვესტორებს, აგრეთვე თანამშრომლებს, კრედიტორებს, მომწოდებლებს, მომხმარებლებს, მარეგულირებელ ორგანოებს, სახელმწიფო ორგანიზაციებს და ასევე ადგილობრივ საზოგადოებას, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. ზოგიერთი მკვლევარი ასევე ითვალისწინებს გარემოს, როგორც მნიშვნელოვან კომპონენტს, დაკავშირებულ მხარეებს შორის.

## 2. დაკავშირებული მხარეების როლი

ბევრ საერთაშორისო კოდექსში, მათ შორის ეთგო-ს პრინციპებში, განხილულია დაკავშირებული მხარეების როლი მართვის პროცესში. დაკავშირებული მხარეების როლი მართვაში უნინ დისკუსიის საგანი იყო. ზოგი მიიჩნევდა, რომ დაკავშირებულ მხარეებს არ ჰქონდათ მოთხოვნის უფლება კომპანიასთან მიმართებით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა. სხვები კი თვლიან, რომ კომპანიები მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას ასრულებენ, აქვთ საზოგადოებრივი გავლენა და, შესაბამისად, უნდა მოქმედებდნენ საზოგადოების ფართო ინტერესების გათვალისწინებით. ამ მოსაზრების თანახმად, კომპანიებმა დროდადრო უნდა იმოქმედონ აქციონერების ხარჯზე. არსებობს კონსენსუსი, რომ თანამედროვე კომპანიები ვერ განახორციელებენ საკუთარ საქმიანობას ეფექტიანად, თუ დაკავშირებული მხარეების ჯგუფის ინტერესების იგნორირებას მოახდენენ. თუმცა, ასევე ყველა თანხმდება იმაზე, რომ კომპანიები, რომლებიც აქციონერთა ინტერესებზე წინ მუდმივად აყენებენ სხვა დაკავშირებული მხარეების ინტერესებს, არ შეიძლება კონკურენტუნარიანი იყვნენ გრძელვადიან პერიოდში.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კორპორაციული მართვის ძირითადი ასპექტი დაკავშირებულია ფირმებში გარე კაპიტალის შემოდინების უზრუნველყოფასთან. კორპორაციული მართვა აგრეთვე ითვალისწინებს გზების გამონახვას, რათა დააინტერესოს დაკავშირებული მხარეები განახორციელონ ფირმისთვის სოციალურად ეფექტიანი ინვესტიციები სპეციფიკურ ადამიანურ და ფიზიკურ კაპიტალში. კომპანიის კონკურენტუნარიანობა და საბოლოო წარმატება გუნდური მუშაობის შედეგია - ესაა ინვესტორების, თანამშრომლების, კრედიტორებისა და მომწოდებლების ფართო სპექტრის მიერ შეტანილი წვლილის ნაყოფი. კორპორაციებმა უნდა აღიარონ, რომ დაკავშირებული მხარეების წვლილი მნიშვნელოვანი რესურსია კონკურენტუნარიანი და მომგებიანი კომპანიების შესაქმნელად. ამიტომ, კომპანიის გრძელვადიან ინტერესებში შედის დაკავშირებულ მხარეებს შორის კოორდინაციის გაძლიერება, ნაყოფიერი თანამშრომლობის სტიმულირება და ისეთი მართვის სისტემის შექმნა, რომელიც აღიარებს ამ ინტერესების არსებობას და მათ მნიშვნელობას კომპანიის გრძელვადიანი წარმატებისთვის.

## 3. მოკლე ისტორია

კორპორაციული მართვის სისტემა საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა, ხშირად ეს ხდებოდა კორპორაციული კრახის ან სისტემური კრიზისის საპასუხოდ. პირველი, დოკუმენტურად სათანადოდ ასახული კრახი დაფიქსირდა 1700-იან წლებში ინგლისში, რომელიც ცნობილი იყო როგორც „სამხრეთის ზღვის ბუშტი“. ამან რევოლუციური ზეგავლენა მოახდინა ამ ქვეყნის ბიზნესის კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. ანალოგიურად, ამერიკის შეერთებული შტატების ფასიანი ქაღალდების კანონის დიდი ნაწილის შემუშავება მოჰყვა 1929 წელს საფონდო ბირჟის კრახს. კრიზისის ნაკლებობა არც შემდგომ წლებში ყოფილა - აღსანიშნავია XX საუკუნის 70-იანი წლების მეორედი საბანკო კრიზისი დიდ ბრიტანეთში, 80-იან წლებში დანაზოგებისა და საკრედიტო კრახი აშშ-ში და 1998 წლის ფინანსური კრიზისი რუსეთში.

კორპორაციული მართვის ისტორია მოიცავს ცნობილი კომპანიების ფინან-

სური სკანდალების სერიას. მისი მაგალითებია გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში „მაქსველ ჯგუფის“ მიერ გაზეთების გამომცემელი „მირორ ჯგუფის“ საქენიო ფონდის მითვისება; „ბერინგს ბანკის“ კოლაფსი. XXI საუკუნე დაიწყო ენრონის შოკისმომგვრელი კრახით აშშ-ში, საფრანგეთში გაკოტრების პირას მივიდა „ვივენდი უნივერსალი“, აღსანიშნავია იტალიაში მომხდარი ბოლოდროინდელი „პარმალატის“ სკანდალი. თითოეულ ამ კორპორაციულ სკანდალს, რომელიც არაკომპეტენტურობის ან თაღლითობის გამო მოხდა, შედეგად მოჰყვა მართვის ახალი სისტემების შემუშავება, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნული კორპორაციული მართვის კოდექსები და სარბენს-ოქსლის აქტი.

1-ელ ცხრილში გაშუქებულია კორპორაციული მართვის ისტორიის ზოგიერთი მონაკვეთი, ძირითადად დასავლური სამყაროდან.

**ცხრილი 1: კორპორაციული მართვის მოკლე ისტორია**

		თაპი I
		თაპი II
		თაპი III
1600	<b>East India Company</b> -მ შექმნა დირექტორთა საბჭო, რითაც ერთმანეთისგან გააცალკევა მფლობელობა და კონტროლი (დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდი)	თაპი IV
1776	<b>ადამ სმიტი</b> „ხალხთა სიმდიდრეში“ გაფრთხილებას იძლევა სუსტი კონტროლის და მენეჯმენტის წახალისების შესახებ (დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო)	თაპი V
1844	პირველი აქტი სააქციო საზოგადოების შესახებ (დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო)	თაპი VI
1931	<b>ბერლიმ და მინსმა</b> გამოაქვეყნეს ეპოქალური ნაშრომი თანამედროვე კორპორაცია და კერძო საკუთრება (აშშ)	თაპი VII
1933/34	1933 წლის აქტი ფასიანი ქაღალდების შესახებ <b>ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი</b> პირველი აქტია, განსაკუთრებით რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე; 1934 წლის აქტით აღსრულების პასუხისმგებლობის დელეგირება განხორციელდა SEC-ზე (აშშ)	თაპი VIII
1968	ევროკავშირმა მიიღო <b>სამენარმეო კანონმდებლობის პირველი დირექტივა</b> (ევროკავშირი)	თაპი IX
1987	ტრედვეის კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში თაღლითური ფინანსური ანგარიშგების, აუდიტის კომიტეტის როლის და სტატუსის დადასტურების შესახებ და <b>შეიმუშავა შიდა კონტროლის სისტემა</b> , ანუ COSO; გამოქვეყნდა 1992 წელს (აშშ)	თაპი X
90-იანი წლების დასაწყისი	პოლი პეკი (£1.3 მლრდ ზარალი), ბი-სი-სი-აი და მაქსველის (£480 მლნ) <b>ბიზნესიმპერიების კოლაფსით აღინიშნა</b> , რამაც მოითხოვა კორპორაციული მართვის გაუმჯობესება ინვესტორების დაცვის მიზნით (დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო)	თაპი XI
1992	<b>ქედბერის კომიტეტმა</b> გამოაქვეყნა კორპორაციული მართვის პირველი კოდექსი; და 1993 წელს <b>დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს საფონდო ბირჟაზე</b> ლისტინგში შემავალ კომპანიებს მოსთხოვეს ინფორმაციის გამჟღავნება „შესაბამისობის ან განმარტების“ საფუძველზე	თაპი XII
1994	მიღებულ იქნა საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ	
1994	<b>კინგის ანგარიშის</b> გამოქვეყნება (სამხრეთ აფრიკა)	
1994, 1995	<b>რატემანის</b> (შიდა კონტროლის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ), <b>გრინბერის</b> (აღმასრულებელი პირების ანაზღაურების შესახებ) და <b>ჰემპელის</b> (კორპორაციული მართვის შესახებ) ანგარიშების გამოქვეყნება (დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო)	
1995	<b>ვიენოს ანგარიშის</b> გამოქვეყნება (საფრანგეთი)	
1996	<b>პეტერსის ანგარიშის</b> გამოქვეყნება (ნიდერლანდი)	
1998	მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ	
1998	<b>კომბინირებული კოდექსის</b> გამოქვეყნება (დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო)	
1999	ეთგო-მ გამოაქვეყნა პირველი საერთაშორისო სტანდარტი, <b>ეთგო-ს პრინციპები კორპორაციული მართვის შესახებ</b>	

1999	თორნბულის სახელმძღვანელოს გამოქვეყნება შიდა კონტროლის შესახებ (დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო)
2001	აშშ-ის მეშვიდე უდიდესმა კორპორაციამ <b>ენრონმა</b> გამოაცხადა გაკოტრების შესახებ (აშშ)
2001	გამოქვეყნდა <b>ლამფალუსის</b> ანგარიში ევროპის ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების შესახებ
2002	გამოქვეყნდა <b>გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსი</b> (გერმანია)
2002	<b>ენრონის კოლაფსმა</b> და სხვა კორპორაციულმა სკანდალმა განაპირობა <b>სარბინს-ოქსლის აქტის შემუშავება</b> (აშშ); გამოქვეყნდა „ <b>ვინტერის</b> “ ანგარიში სამენარმეო კანონმდებლობის რეფორმის შესახებ (ევროკავშირი) გამოქვეყნდა <b>ჰიგსის</b> ანგარიში არააღმასრულებელი დირექტორების შესახებ (დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო)
2003	პარმალატის სკანდალმა შეარყია იტალია ევროკავშირის მასშტაბის შესაძლო შედეგებით (ევროკავშირი)
2004	მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ქართული კორპორაციული მართვის მოდელი და დაუშვა საბჭოს როგორც ერთსაფეხურიანი, ისე ორსაფეხურიანი მოდელის არსებობა
2008	
2009	საქართველოს ბანკების ასოციაციამ მიიღო კორპორაციული მართვის კოდექსი ბანკებისათვის

#### 4. კორპორაციული მართვის საერთაშორისო მასშტაბი

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში შემუშავდა კორპორაციული მართვის მრავალი კოდექსი და კორპორაციული მართვის პრინციპი. მსოფლიოს მასშტაბით 100-ზე მეტი კოდექსი დაინერა 40 ქვეყანასა და რეგიონში. ამ კოდექსების უმრავლესობა ფოკუსირებულია კომპანიაში სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს როლზე. მასშტაბის მიხედვით კოდექსების ნაკრები საერთაშორისოა.

ზემოაღნიშნულიდან მხოლოდ ეთგო-ს პრინციპები ეხება როგორც პოლიტიკის შემუშავებლებს, ისე ბიზნესს და ფოკუსირებულია მმართველობის მთლიან სისტემაზე (აქციონერთა უფლებები, დაკავშირებული მხარეები, ინფორმაციის გამჟღავნება და საბჭოს პრაქტიკა). ეთგო-ს პრინციპებმა, როგორც კორპორაციული მართვის სისტემამ და სახელმძღვანელომ, საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. 1999 წელს გამოქვეყნებული და 2004 წელს გადამუშავებული პრინციპები მომზადდა სანიმუშო მართვის პრინციპებზე დამყარებული მითითებების სახით.

ეთგო-ს კორპორაციული მართვის სისტემა ოთხ ძირითად ღირებულებას ემყარება. ესენია:

- **სამართლიანობა:** კორპორაციული მართვის სისტემა უნდა იცავდეს აქციონერთა უფლებებს და უზრუნველყოფდეს ყველა აქციონერისადმი თანასწორ მოპყრობას, მცირე და უცხოელი აქციონერების ჩათვლით. ყველა აქციონერს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს სათანადო კომპენსაცია საკუთარი უფლებების დარღვევის საპასუხოდ.
- **პასუხისმგებლობა:** კორპორაციული მართვის სისტემა უნდა აღიარებდეს დაინტერესებული მხარეების უფლებებს კანონის შესაბამისად და ხელს უწყობდეს აქტიურ თანამშრომლობას კორპორაციებს და დაინტერესებულ მხარებს შორის დოვლათის, სამუშაო ადგილების და ფინანსურად მდგრადი და ჯანსაღი სანარმოების შესაქმნელად.
- **გამჭვირვალობა:** კორპორაციული მართვის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს ინფორმაციის დროულ და ზუსტ გამჟღავნებას კომპანიისთვის ყველა არსებით საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის, ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის, მფლობელობის და მართვის სტრუქტურის შესახებ.
- **ანგარიშვალდებულება:** კორპორაციული მართვის სისტემა უნდა

უზრუნველყოფდეს კომპანიის სტრატეგიულ ხელმძღვანელობას, საბჭოს მიერ მენეჯმენტის ეფექტიან მონიტორინგს და საბჭოს ანგარიშვალდებულებას კომპანიის და აქციონერების წინაშე.

მართვის ბევრი ეროვნული კოდექსი, მათ შორის საქართველოს კორპორაციული მართვის კოდექსი, შემუშავდა ეთგო-ს პრინციპების საფუძველზე. ეთგო-ს პრინციპები ასრულებს შესანიშნავი სახელმძღვანელოს როლს საერთაშორისო პრაქტიკისთვის და რეკომენდებული საკითხავია მათთვის, ვინც დაინტერესებულია იმ პრინციპების შესწავლაში, რომელიც საფუძველად უდევს ეროვნულ სტანდარტებს.

**5. კორპორაციული მართვის განმასხვავებელი ნიშნები**

კორპორაციული მართვა არ უნდა გაიგივდეს კორპორაციულ მენეჯმენტთან. კორპორაციული მართვა მიმართულია კომპანიის სტრუქტურასა და პროცესებზე სამართლიანი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული კორპორაციული ქცევის უზრუნველსაყოფად. კორპორაციული მენეჯმენტი, მეორე მხრივ, ფოკუსირებულია ბიზნესის ფუნქციონირებისათვის საჭირო ინსტრუმენტებზე. კორპორაციული მართვა ხორციელდება კომპანიის ხელმძღვანელობის ზედა დონეზე, რაც უზრუნველყოფს კომპანიის მართვას მისი აქციონერების ინტერესებში. სტრატეგია ურთიერთგადაფარვის ერთი სფეროა, რომელზეც კორპორაციული მენეჯმენტი მუშაობს, და აგრეთვე კორპორაციული მართვის ძირითადი ელემენტია. მე-2 სურათზე წარმოდგენილია განსხვავება კორპორაციულ მართვასა და კორპორაციულ მენეჯმენტს შორის.

**სურათი 2: მართვის და მენეჯმენტის შედარება**



წყარო: რობერტ ი. ტრიკერი, კორპორაციული მართვა, 1984

კორპორაციული მართვა ასევე არ უნდა აგვერიოს სახელმწიფო მართვაში, რომელიც მოიცავს მართვის სტრუქტურებსა და სისტემებს სახელმწიფო სექტორში. კორპორაციული მართვა უნდა განსხვავდებოდეს კარგი კორპორაციული მოქალაქეობისგან, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნესეთიკისგან. სანიმუშო კორპორაციული მართვა, რა თქმა უნდა, მოიცავს ამ მნიშვნელოვან ცნებებს. მაგრამ, სანამ კომპანიები არ ახდენენ ინვესტირებას სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებში, არ ქმნიან საქველმოქმედო ფონდებს, მაგრამ ხშირად სარგებლობენ სანიმუშო რეპუტაციით, საზოგადოების ნდობით და მაღალი მომგებიანობით, კორპორაციული მართვა არის და დარჩება ზემოაღნიშნული ცნებებისგან განსხვავებული.

## ბ. კორპორაციული მართვის განხორციელების დასაბუთება

კორპორაციული მართვა მნიშვნელოვანია მრავალ სხვადასხვა დონეზე.

კარგად მართულ კომპანიებს უკეთესი და გაცილებით იაფი წვდომა აქვთ კაპიტალთან და გრძელვადიან პერიოდში წინ უსწრებენ სუსტად მართულ ასეთსავე კომპანიებს. მართვის უმაღლესი სტანდარტების მქონე კომპანიები ამცირებენ ბევრ რისკს, რომელიც დაკავშირებულია კომპანიაში ინვესტიციის განხორციელებასთან. კომპანიებს, რომლებიც აქტიურად მისდევენ კორპორაციული მართვის ჯანსაღ პრაქტიკას, ისეთი თანამშრომლები სჭირდებათ, რომლებსაც სურთ და შეუძლიათ სანიმუშო კორპორაციული მართვის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ასეთი კომპანიები, როგორც წესი, მეტად აფასებენ თანამშრომლების შრომას და უკეთეს გასამრჯელოს უხდიან მათ, ვიდრე კონკურენტი კომპანიები, რომლებსაც არ ესმით ან იგნორირებას უწევენ ამ პოლიტიკითა და პრაქტიკით განპირობებულ სარგებელს. ასეთი კომპანიები, თავის მხრივ, იზიდავენ უფრო მეტ ინვესტორებს, რომლებიც მზად არიან შედარებით დაბალ ფასად განახორციელონ კაპიტალის ინვესტიცია.

ზოგადად, კარგად მართულ კომპანიებს დიდი წვლილი შეაქვთ ეროვნულ ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასეთი კომპანიები გაცილებით ჯანსაღია და მეტ ღირებულებას ქმნიან აქციონერების, თანამშრომლების, საზოგადოებისა და ქვეყნისთვის, ვიდრე სუსტად მართული კომპანიები, რომლებმაც შეიძლება შეამცირონ სამუშაო ადგილები, გამოიწვიონ საპენსიო დანაკარგები და შეარყიონ ნდობა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმართ.

ზოგიერთი ბლოკი ან დონე და სანიმუშო მართვის სპეციფიკური სარგებელი ასახულია მე-3 სურათზე და დაწვრილებით განხილულია ქვემოთ.

**სურათი 3:** სანიმუშო კორპორაციული მართვის დონეები და პოტენციური სარგებელი

### კორპორაციული მართვის ოთხი დონე

### პოტენციური სარგებელი




წყარო: IFC, მარტი, 2004

### 1. საქმიანობის სტიმულირება და საოპერაციო ეფექტიანობის გაუმჯობესება

არსებობს რამდენიმე გზა, რომლის მეშვეობითაც სანიმუშო კორპორაციულ მართვას შეუძლია საქმიანობის გაუმჯობესება და საოპერაციო ეფექტიანობის ამაღლება, როგორც ეს ნაჩვენებია მე-4 სურათზე.

**სურათი 4: კორპორაციული მართვის უპირატესობანი**



კომპანიის მართვის გაუმჯობესება განაპირობებს ანგარიშვალდებულების სისტემის გაჯანსაღებას, შეამცირებს თაღლითობის რისკის და მინიმუმამდე დაიყვანს კომპანიის თანამშრომლების მიერ საკუთარ ინტერესებში ოპერაციების განხორციელების რისკს. ანგარიშვალდებულ ქცევას, რისკის ეფექტიან მართვასა და შიდა კონტროლთან ერთად, შეუძლია პოტენციური პრობლემების წამოწევა სრული მასშტაბით კრიზისის დადგომამდე. კორპორაციული მართვა აუმჯობესებს აღმასრულებელი პირების საქმიანობას და მის კონტროლს, მაგალითად, აღმასრულებელი პირების ანაზღაურება და კავშირებულის კომპანიის ფინანსურ შედეგებთან. ასეთი მართვა ხელსაყრელ პირობებს ქმნის არა მარტო კომპანიის აღმასრულებელი პირების უმტკივნეულო ჩანაცვლებისა და უწყვეტობის დაგეგმვისათვის, არამედ - კომპანიის გრძელვადიანი განვითარების უზრუნველყოფისათვისაც.

სანიმუშო კორპორაციული მართვის სტანდარტების დაცვა ასევე უწყობს ხელს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებას. მაგალითად, საბჭოს წევრები, დირექტორები და აქციონერები, სავარაუდოდ, გაცილებით მეტად ინფორმირებულ, სწრაფ და სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებენ, როდესაც კომპანიის მმართველობის სტრუქტურა საშუალებას მისცემს მკაფიოდ გაიაზრონ საკუთარი როლები და პასუხისმგებლობა და, როცა კომუნიკაციის პროცესი ეფექტიანად რეგულირდება. აღნიშნული, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უნდა აძლიერებდეს კომპანიის ფინანსური და ბიზნესოპერაციების ეფექტიანობას ყველა დონეზე. მაღალი ხარისხის კორპორაციული მართვა ამარტივებს კომპანიის ბიზნესპროცესებს და განაპირობებს უკეთეს სოპერაციო საქმიანობას და დაბალ კაპიტალდანახარჯებს. ამან კი, თავის მხრივ, შეიძლება ხელი შეუწყოს გაყიდვების და მოგების გაზრდას კაპიტალური დანახარჯების და მოთხოვნების შემცირების პარალელურად.

მართვის ეფექტიანი სისტემა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონებს, წესებს, უფლებებსა და დაინტერესებული მხარეების მოვალეობებს. მართვის ეფექტიანი სისტემით კომპანიებს უნდა შეეძლოთ თავიდან აიცილონ ხარჯებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები, აგრეთვე ისეთი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქციონერთა საჩივრებთან, თაღლითობასთან, ინტერესთა კონფლიქტთან, კორუფციასთან, მექრთამეობასა და ინსაიდერული ვაჭრობიდან გამომდინარე დავებთან. კორპორაციული მართვის სანიმუშო სისტემა ხელს უწყობს კორპორაციული კონფლიქტების გადაწყვეტას მცირე და მაკონტროლებელ აქციონერებს, აღმასრულებელ პირებსა და აქციონერებს, აგრეთვე აქციონერებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის. ასევე, კორპორაციული მართვის სანიმუშო სისტემა შესაძლებლობას აძლევს კომპანიის ოფიცრებსა და თანამშრომლებს მინიმუმამდე შეამცირონ პირადი პასუხისმგებლობის რისკი.

**2. კაპიტალის ბაზრებზე წვდომის გაუმჯობესება**

კორპორაციულ მართვას შეუძლია გაუადვილოს კომპანიებს კაპიტალის ბაზრებზე წვდომა. სწორად მართული ფირმები განიხილებიან როგორც ინვესტორზე ორიენტირებული კომპანიები, რომელთა მიმართაც არსებობს იმის ნდობა, რომ აქციონერთა უფლებების დაურღვევლად შეუძლიათ უკუგების

თავი I  
 თავი II  
 თავი III  
 თავი IV  
 თავი V  
 თავი VI  
 თავი VII  
 თავი VIII  
 თავი IX  
 თავი X  
 თავი XI  
 თავი XII


მიღება.

სანიმუშო კორპორაციული მართვა ემყარება ინფორმაციის გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის, ეფექტიანობის, დროულობის, სისრულისა და სიზუსტის პრინციპებს ყველა დონეზე. კომპანიაში გამჭვირვალობის ზრდასთან ერთად ინვესტორებს ეძლევათ შესაძლებლობა ჩაიხედონ კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მონაცემებში. მაშინაც კი, როდესაც კომპანიის მიერ გამჟღავნებული ინფორმაცია უარყოფითია, აქციონერებს შეუძლიათ სარგებლის მიღება გაურკვევლობის რისკის შემცირებიდან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო დროს ინვესტორთა შორის გავრცელებული ტენდენცია, რაც გულისხმობს საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას კორპორაციული მართვის, როგორც ძირითადი კრიტერიუმის, გათვალისწინებას. რაც უფრო კარგია კორპორაციული მართვის სტრუქტურა და პრაქტიკა, მით მეტია იმის ალბათობა, რომ კომპანიის აქტივები აქციონერების ინტერესების გათვალისწინებით იქნება გამოყენებული და არ იქნება დაფარული ან არასათანადოდ გამოყენებული მენეჯერების მიერ. 1-ელი გრაფიკი გვიჩვენებს, რომ კორპორაციული მართვა კონკრეტულ მნიშვნელობას იძენს განვითარებად ბაზრებზე, სადაც აქციონერები ყოველთვის ვერ სარგებლობენ დაცვის იმ მექანიზმებით, რომლებიც განვითარებული ბაზრების პირობებშია ხელმისაწვდომი.

**გრაფიკი 1: მართვის მნიშვნელობის შედარება ფინანსურ ანგარიშგებებთან**

რამდენად მნიშვნელოვანია კორპორაციული მართვა ფინანსურ საკითხებთან მიმართებით, მაგ., მოგება, ზრდის პოტენციალი, პოტენციური ინვესტიციების შეფასება?



**ინვესტორთა პროცენტული მაჩვენებელი**  
 კორპორაციული მართვა მნიშვნელოვანი ფაქტორია ფინანსურ მაჩვენებლებთან შედარებით, როდესაც საუბარია განვითარებად ბაზრებზე

წყარო: McKinsey & Company, Global Investor Opinion Survey, ივლისი, 2002

დაბოლოს, ლისტინგის ახალი მოთხოვნები მსოფლიოს ბევრ საფონდო ბირჟაზე კომპანიებისგან მართვის სულ უფრო მკაცრი სტანდარტების დაცვას მოითხოვს. კომპანიებმა, რომლებსაც უნდათ კაპიტალის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომა, უნდა დაიცვან კორპორაციული მართვის სპეციფიკური სტანდარტები.

**3. კომპანიის კაპიტალის ხარჯის შემცირება და აქტივების ღირებულების გაზრდა**

კომპანიები, რომლებიც ერთგულად იცავენ კორპორაციული მართვის უმაღლეს სტანდარტებს, როგორც წესი, წარმატებით მოიპოვებენ კაპიტალს დაბალ ფასად საკუთარი საქმიანობის დასაფინანსებლად. ამგვარად ისინი ამცირებენ საკუთარ კაპიტალის ხარჯს. კაპიტალის ხარჯი დამოკიდებულია კომპანიისთვის ინვესტორების მიერ მინიჭებულ რისკთან: რაც უფრო მაღალია რისკი, მით მეტია კაპიტალის ხარჯი. ეს რისკები მოიცავს ინვესტორის უფლებების დარღვევის რისკსაც. თუ ინვესტორის უფლებები ადეკვატურადაა დაცული, კაპიტალის ხარჯი და სავალ კაპიტალი შეიძლება შემცირდეს. უნდა




აღინიშნოს, რომ სავალო კაპიტალის მიმწოდებელი ინვესტორები, ანუ კრედიტორები, ბოლო დროს, ინვესტიციის განხორციელების გადაწყვეტილების მიღებისას, კომპანიის კორპორაციული მართვის პრაქტიკას (მაგალითად, მფლობელობის გამჭვირვალე სტრუქტურას და შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას) ძირითად კრიტერიუმად მიიჩნევენ. ამგვარად, კორპორაციული მართვის სანიმუშო სისტემის დანერგვას, საბოლოოდ, შედეგად მოჰყვება კომპანიის მიერ დაბალი საპროცენტო განაკვეთის გადახდა და გაცილებით გრძელვადიანი სესხებისა და კრედიტების მიღება.

რისკის დონე და კაპიტალის ხარჯი ასევე დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ან პოლიტიკურ ვითარებაზე, ინსტიტუციონალურ ბაზასა და აღსრულების მექანიზმებზე. ამგვარად, განვითარებად ბაზრებზე გადამწყვეტ როლს ასრულებს კორპორაციული მართვა კონკრეტულ კომპანიაში, რომლებსაც ხშირად არ გააჩნიათ ინვესტორთა უფლებების უზრუნველყოფის სანიმუშო სისტემა, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია.

ეს დანამდვილებით ასეა, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში როგორც საქართველოა, სადაც სამართლებრივი ბაზა შედარებით ახალია და კვლავ ტესტირებას გადის; სადაც სასამართლო პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არის კარგად ჩამოყალიბებული. ამიტომ, სხვა კომპანიებთან შედარებით, კომპანიის კორპორაციული მართვის მცირე გაუმჯობესებამაც კი, შეიძლება მნიშვნელოვანი განსხვავება შექმნას ინვესტორებისათვის და შეამციროს კაპიტალის ღირებულება. მე-2 გრაფიკზე ნათლადაა ნარმოდეგნილი, რომ ინვესტორების მნიშვნელოვანი პროცენტული რაოდენობა მზადაა გადაიხადოს პრემია კარგად მართული კომპანიის შემთხვევაში (მაგალითად, ეს პრემია რუსული კომპანიების შემთხვევაში 38%-ს შეადგენს).

**გრაფიკი 2:** პრემია უკეთესი კორპორაციული მართვისთვის



წყარო: McKinsey & Company, Global Investor Opinion Survey, ივლისი, 2002

ამავე დროს, არსებობს ძლიერი კავშირი მართვის პრაქტიკასა და ინვესტორების მიერ კომპანიის აქტივების ღირებულების აღქმას შორის (მაგალითად ისეთის, როგორიცაა ძირითადი საშუალებები, დებიტორული დავალიანება, პროდუქტის პორტფელი, ადამიანური კაპიტალი, კვლევა და განვითარება და გუდვილი).

**4. უკეთესი რეპუტაციის დამკვიდრება**

დღევანდელ ბიზნესგარემოში რეპუტაცია კომპანიის გუდვილის ძირითად ელემენტად იქცა. კომპანიის რეპუტაცია და იმიჯი მისი აქტივების განუყოფელი არამატერიალური ნაწილია. სანიმუშო კორპორაციული მართვა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს კომპანიის რეპუტაციას. ამგვარად, ის კომპანიები, რომლებიც პატივს სცემენ აქციონერებისა და კრედიტორების უფლებებს და უზრუნველყოფენ ფინანსურ გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, განიხილებიან როგორც ინვესტორთა უფლებების აქტიური დამცველები. ასეთი კომპანიები იმსახურებენ საზოგადოების გაცილებით დიდ ნდობას და გუდვილს.

საზოგადოების ნდობასა და გუდვილს მივყავართ კომპანიისა და მისი

თავი I  
 თავი II  
 თავი III  
 თავი IV  
 თავი V  
 თავი VI  
 თავი VII  
 თავი VIII  
 თავი IX  
 თავი X  
 თავი XI  
 თავი XII

პროდუქტების მიმართ ნდობის უფრო მეტად გაზრდამდე, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მაღალ გაყიდვებს და, საბოლოოდ, მოგების გაზრდას. მეტიც, კომპანიის დადებითი იმიჯი ან გუდვილი, ცნობილია, რომ მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის შეფასებაში. გუდვილი, ბუღალტრული აღრიცხვის თვალსაზრისით, არის თანხა, რომლითაც შესყიდვის ფასი აღემატება შეძენილი კომპანიის აქტივების საბაზრო ღირებულებას. ეს არის პრემია, რომელსაც ერთი კომპანია იხდის მეორის შესაძენად.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კორპორაციული ქცევის ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპები ფუნდამენტური მიმართულებებია, რომლებიც საფუძვლად უდევს კომპანიის კორპორაციული სისტემის ფორმირებას, ფუნქციონირებასა და გაფართოებას:

1. კორპორაციული მართვა აქციონერებს უნდა აძლევდეს რეალურ შესაძლებლობას გამოიყენონ საკუთარი უფლებები კომპანიასთან მიმართებით.
2. კორპორაციული მართვა უნდა ითვალისწინებდეს ყველა აქციონერი-სადმი თანასწორ დამოკიდებულებას. აქციონერებს უნდა ჰქონდეთ დაცვის ეფექტიან მექანიზმთან წვდომა მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში.
3. კორპორაციული მართვა უნდა ითვალისწინებდეს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის წარმართვას და კონტროლს, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშვალდებულებას აქციონერების წინაშე.
4. კორპორაციული მართვა უნდა უზრუნველყოფდეს აღმასრულებელი ორგანოების მიერ კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვას არასათანადო ჩარევის გარეშე, კეთილსინდისიერად, და მხოლოდ კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე სრულად და დროულად უნდა უზრუნველყოფდეს აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშვალდებულებას სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერების წინაშე.
5. კორპორაციული მართვა უნდა ითვალისწინებდეს ყველა მატერიალური ინფორმაციის სრულ, დროულ და ზუსტ გამჟღავნებას (მათ შორის, ინფორმაციას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ფინანსურ მაჩვენებლებს და მფლობელობისა და მართვის სტრუქტურას), რათა აქციონერებს და ინვესტორებს მისცეს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების საშუალება.
6. კორპორაციული მართვა უნდა უზრუნველყოფდეს მოქმედ კანონებთან შესაბამისობას ყველა დაინტერესებული მხარის კანონით განსაზღვრულ ან სახელშეკრულებო უფლებებთან მიმართებით. კორპორაციული მართვა, უფრო ზოგადად, ხელს უნდა უწყობდეს ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის თანამშრომლების ინტერესების გათვალისწინებას, მაშინაც კი, როდესაც ეს უფლებები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული კანონით, მხარს უნდა უჭერდეს კომპანიასა და დაინტერესებულ მხარეებს შორის აქტიურ თანამშრომლობას, კომპანიის აქტივებისა და ღირებულების გაზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.
7. კორპორაციული მართვა უნდა უზრუნველყოფდეს კომპანიის ფინანსური და ბიზნესოპერაციების ეფექტიან კონტროლს აქციონერთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

## ბ. კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული სარჯები

კორპორაციული მართვა დაკავშირებულია რეალურ ხარჯებთან. ზოგიერთი ხარჯი მოიცავს ისეთი ერთგული პერსონალის დაქირავების ხარჯებს, როგორცაა კორპორაციული მდივანი, გამოცდილი და დამოუკიდებელი დირექტორები, შიდა აუდიტორები ან მართვის სხვა სპეციალისტები. ამისათვის, ალბათ, საჭიროა გარე მრჩევლის, აუდიტორების და კონსულტანტების მომსახურების საკომისოს გადახდა. დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების ხარჯი ასევე მნიშვნელოვანია. მეტიც, ის მოითხოვს მენეჯერულ და სამეთვალყურეო

რეო საბჭოს მნიშვნელოვან დროს, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე. დიდ კომპანიებს, სავარაუდოდ, შეიძლება ჰქონდეთ სათადარიგო რესურსები და გასწონიონ ასეთი ხარჯები, რადგან ეს აადვილებს კორპორაციული მართვის სისტემის დანერგვას. ხოლო მცირე კომპანიებს, საკმაოდ მწირი რესურსის გამო, შეიძლება გაუჭირდეთ მისი დანერგვა.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კორპორაციული მართვა ყველაზე მეტად (თუ არა მხოლოდ) გამოიყენება დიდი ლია სააქციო საზოგადოებებისთვის, რომელთა აქციებიც მონაწილეობს ვაჭრობაში საფონდო ბირჟაზე. ასეთ კომპანიებს ხშირად ახასიათებს დიდი, გაფანტული აქციონერთა ბაზა, სადაც მაკონტროლებელ აქციონერებსა და მენეჯერებს შეიძლება ჰქონდეთ განსაკუთრებული ძალაუფლება და პოტენციურად ბოროტად იყენებდნენ აქციონერთა უფლებებს, მეტიც, დიდი კომპანიები წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან ელემენტებს და ამიტომ საზოგადოების მხრიდან შემონიშნებასა და ყურადღებას საჭიროებენ.

და მაინც, კორპორაციული მართვა სასარგებლოა ყველა კომპანიისთვის სიდიდის, სამართლებრივი ფორმის, აქციონერთა რაოდენობის, მფლობელობის სტრუქტურის ან სხვა მახასიათებლების მიუხედავად. რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი უნივერსალური მიდგომა. კომპანიებმა ფრთხილად უნდა გამოიყენონ კორპორაციული მართვის სტანდარტები. მაგალითად, მცირე კომპანიებს შეიძლება არ ჰქონდეთ საბჭოს კომიტეტების მთელი ნაკრები ან არ ჰყავდეთ სრული განაკვეთით მომუშავე კორპორაციული მდივანი. მეორე მხრივ, მცირე კომპანიამაც შეიძლება მიიღოს სარგებელი საკონსულტაციო ორგანოს არსებობით.

კომპანია ყოველთვის ვერ მიაღწევს საქმიანობის დაუყოვნებელ გაუმჯობესებას იმის გამო, რომ უკეთესი კორპორაციული მართვა აქვს. თუმცა, უკუგება, რომლის განსაზღვრაც ხშირად რთულია, ძირითადად აღემატება დანახარჯებს, განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდში. ეს ნამდვილად ასეა, როცა ხდება სამუშაო ადგილების, პენსიების, ინვესტირებული კაპიტალის შემცირების და ვარდნის პოტენციური რისკის გათვალისწინება და შეიძლება რეალობად იქცეს კომპანიების კოლაფსის დროს. ზოგიერთ შემთხვევაში, სისტემური მართვის პრობლემებმა შეიძლება შეარყიოს ფინანსური ბაზრების მიმართ რწმენა და საფრთხე შეუქმნას ბაზრის სტაბილურობას.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ კორპორაციული მართვა არ არის ერთგვრადი ღონისძიება - იგი უწყვეტად მიმდინარე პროცესია. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი კორპორაციული მართვის სტრუქტურა და პროცესი აქვს კომპანიას, რეკომენდებულია რეგულარულად მათი გადახედვა და განახლება. ბაზარი დიდად აფასებს სანიმუშო კორპორაციული მართვის მიმართ გრძელვადიან ერთგულებას და არა ერთგვრადი ფორმალური ღონისძიების განხორციელებას.

## დ. კორპორაციული მართვის ბაზა საქართველოში

### 1. საქართველოში კორპორაციული მართვის თავისებურებანი

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი აღნიშნავს კორპორაციული მართვის მოდელის დაახლოებას, მაინც რჩება მნიშვნელოვანი განსხვავებები. ყველა ქვეყანას თავისი უნიკალური ისტორია, კულტურა, სამართლებრივი და მარეგულირებელი სისტემა აქვს, თითოეული მათგანი კი გავლენას ახდენს კომპანიის კორპორაციული მართვის სისტემაზე. ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს კორპორაციული სექტორის ზოგადი მახასიათებლები.

**კონცენტრირებული მფლობელობა.** 1990-იანი წლების დასაწყისში გვხვდებოდა შედარებით დისპერსული მფლობელობის სტრუქტურა, თითქმის ექსკლუზიურად, ისეთ კომპანიებში, რომლებმაც საკუთარი კაპიტალის პრივატიზაცია განახორციელეს აქციების უფასო გადაცემით სათანადო საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად.<sup>4</sup> მეორე მხრივ, კომპანიების უმრავლესობაში ამ

<sup>4</sup> „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული კომპანიების პრივატიზაციის პროცესის შესახებ“ საქართველოს 1991 წლის 9 აგვისტოს კანონი და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის 286 ბრძანება „სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების პრივატიზაციის პერიოდში ფასიანი ქაღალედების ბაზრის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ და სხვ.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

აქციების გადაცემა მეორად ბაზარზე განაპირობებდა მფლობელობის კონცენტრირებას აქციონერთა მცირე ჯგუფის - ძირითადად სახელმწიფო კომპანიების ყოფილი დირექტორების ხელში. ამგვარად, ბევრ ქართულ კომპანიას დღესაც აკონტროლებს აქციონერთა მცირე ჯგუფი. ასეთი კონცენტრირებული მფლობელობის სტრუქტურა ხშირად არღვევს მცირე აქციონერთა უფლებებს. ინსაიდერთა დომინირებამ და გარე აქციონერების/ინვესტორების დაცვის სუსტმა მექანიზმებმა მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ საქართველოში ვერ განვითარდა კაპიტალის ბაზარი. ეს ბაზარი შედგება მხოლოდ საქართველოს საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანიებისგან (ფინანსური ბაზრის ერთადერთი ორგანიზატორი საქართველოში). თუმცა, შეიძლება აღინიშნოს ეპიზოდური, პირველადი საჯარო შეთავაზება უცხოურ ბაზრებზე და ამგვარად უფრო მეტად დისპერსული მფლობელობისკენ მიმავალი ახალი ტენდენცია.

**მფლობელობის და კონტროლის გაყოფა.** მაკონტროლებელი აქციონერების უმრავლესობა ისევე მოქმედებს, როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოშია წარმოდგენილი. იმ კომპანიებსაც კი, რომლებიც ერთმანეთსგან გამოყოფენ მფლობელობას და კონტროლს, ხშირად ეს მხოლოდ ქალაქდზე გადააქვთ. ასეთ კომპანიებს, როგორც წესი, აქვთ ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის სუსტი სტრუქტურები (მაკონტროლებელი აქციონერების უმრავლესობა ზედამხედველობას უწევს საკუთარ თავს დირექტორის და მენეჯერის როლში), დაკავშირებული მხარის გარიგებები და ინფორმაციის გამჟღავნების სუსტი მექანიზმები (ინსაიდერებს აქვთ წვდომა ყველა ინფორმაციასთან და არ არიან მოტივირებული, ეს ინფორმაცია გარეშე პირებს რომ გაუმჟღავნონ).

**მოუქნელი ჰოლდინგური სტრუქტურები.** ძირითადი ბიზნესჯგუფები, ჰოლდინგური კომპანიების სახით, აკონტროლებენ კომპანიებს დარგების უმრავლესობაში. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლდინგური სტრუქტურები შეიძლება ემსახურებოდეს სამართლებრივ მიზნებს, კომპლექსურ ბიზნესსტრუქტურებს, აქციების ჯვარედინ მფლობელობას, პირამიდის სტრუქტურებს და სხვა მექანიზმებს შეუძლია მფლობელობის ბუნდოვანი სისტემის შექმნა, რის გამოც კომპანია რთულად გასაგები ხდება აქციონერებისა და ინვესტორებისათვის. ასეთი სტრუქტურები ხშირად გამოიყენება ცალკეული აქციონერების უფლებების ჩამორთმევის და დარღვევის მიზნით. არასათანადოდ კონსოლიდირებული ბუღალტრული აღრიცხვა ან მისი არარსებობა კორპორაციული მართვის კიდევ ერთი საკითხია, რომელიც გადანყვეტას საჭიროებს.

**გამოუცდელი და არაადეკვატური კორპორაციული ორგანოები.** 1994 წელს კანონით განისაზღვრა სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი საბჭოს ინსტიტუტები, მაგრამ 2008 წლის მარტში კანონში მნიშვნელოვანი ცვლილება იქნა შეტანილი. კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა სავალდებულო გახდა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში. სხვა შემთხვევებში კი, კომპანიამ უნდა გადაწყვიტოს, შექმნის თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს. გარდა ამისა, თუ კომპანიის წესდება ამის საშუალებას იძლევა, დირექტორები შეიძლება იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც. მანამდე არსებობდა მკაცრი მოთხოვნა როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ისე აღმასრულებელი საბჭოს (დირექტორატის) არსებობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანოების წევრები უნდა იყვნენ გამოცდილი და შეეძლოთ საკუთარი სამუშაოს შესრულება, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ხშირად მათ ზუსტად არც კი იციან, რისგან შედგება მათი სამუშაო. კორპორაციული მართვის სფეროში გამოცდილების ნაკლებობა დიდი დაბრკოლებაა ქართული ეკონომიკისთვის. სამწუხაროდ, იშვიათად გვხვდება ძლიერი, სოცოცხლისუნარიანი და დამოუკიდებელი კორპორაციული ორგანოები.


## 2. სამართლებრივი და მარეგულირებელი ბაზა

საქართველოში კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული სამართლებრივი და მარეგულირებელი ბაზა მუდმივად ვითარდება, თუმცა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების საწყის ეტაპზეა. კანონმდებლობის პირველი მნიშვნელოვანი ნაწილი დამტკიცდა 1994 წლის მეორე ნახევარში, როცა მიღებულ იქნა მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი. იმ დროისათვის უკვე ბევრი კომპანია იყო დაფუძნებული, რომელთა უმრავლესობა პრივატიზაციის პირველი ფაზის შედეგად შეიქმნა და ძირითადად არ არსებობდა კომპანიების სამართლებრივად კორპორაციული მართვის სათანადო სტრუქტურა.

დღესდღეობით ყველა კომერციული სანარმო, სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ექვემდებარება კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს. მე-2 ცხრილში მოცემულია კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა.

**ცხრილი 2:** კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული ძირითადი კანონები და წესები

კანონი/წესი	ვინ იყენებს	კომენტარები
კანონი მენარმეთა შესახებ	ყველა კომერციული პირი	არეგულირებს ინდივიდუალური მენარმის, კომანდიტური საზოგადოების, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, და სააქციო საზოგადოების დაარსებას, ფუნქციონირებას, რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას
კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ	ყველა იურიდიული პირი, რომელიც უშვებს ფასიან ქაღალდებს განსაკუთრებული აქცენტით საჯარო სააქციო საზოგადოებებზე	არეგულირებს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემისიას და ცირკულაციას; ინფორმაციის გამჟღავნებას; ინსაიდერულ გარიგებებს; ორგანიზებულ ბაზარზე ზედამხედველობას (სებ); ფასიანი ქაღალდების ცენტრალური რეესტრის საქმიანობას; ბაზრის ორგანიზატორებს; ორგანიზებული ბაზრის პროფესიონალი მონაწილეების ორგანიზაციას და ფუნქციონირებას (ბროკერები და დილერები და სხვ.); სებ-ის უფლებამოსილებას და პასუხისმგებლობას <sup>5</sup>
ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ	ფინანსური ბაზრის რეგულირების და ზედამხედველობის სამართლებრივი ასპექტი	სებ-ის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა ფინანსური ბაზრების რეგულირების და ზედამხედველობის თვალსაზრისით
კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ	კომერციული ბანკები	კომერციული ბანკების საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები, სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობა, აუდიტის კომიტეტი და სხვ.
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი	ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი	არეგულირებს აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურის სამართლიანობას
კანონქვემდებარე აქტები	ძირითადად სააქციო საზოგადოებები, კომერციული ბანკები და კომპანიები, რომელთა აქციები საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობს	სააქციო საზოგადოების, კომერციული ბანკების და ანგარიშვალდებული კომპანიების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტი



<sup>5</sup> სახელმძღვანელოს გამოქვეყნების მომენტიდან მინიმუმ ერთი წელიწადის განმავლობაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის უფლებამოსილება.

კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის

მიღებულია საქართველოს ბანკების ასოციაციის მიერ და მოქმედებს პრინციპით - „დაემორჩილე ან განმარტე“

კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის სხვადასხვა ასპექტი

მაგალითად, მენარმეთა შესახებ კანონი ეხება საქართველოს ყველა კომერციულ პირს. ამ ზოგად ნესთან ერთად, იმ კომპანიების საქმიანობა, რომელიც მოიცავს საბანკო, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო სფეროებს, უნდა შეესაბამებოდეს სპეციფიკურ კანონმდებლობას. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი ეხება ყველა იურიდიულ პირს, რომელთაც სურთ ფასიანი ქაღალდების ემისია ან უკვე აქვთ საჯარო ვაჭრობაში მონაწილე ფასიანი ქაღალდები.

ქართული კომპანიები ასევე ექვემდებარებიან სხვა კანონებს, მათ შორის, კანონმდებლობას საგადასახადო, გაკოტრების, ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, ეს სახელმძღვანელო ეხება ამ და სხვა სამართლებრივ აქტებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კანონმდებლობა მუდმივად იცვლება. კერძოდ, ბოლო სამი წლის განმავლობაში ბევრი ცვლილება შევიდა მენარმეთა შესახებ კანონში. დაბოლოს, ყველა ქართული კომპანია, სასურველია, იცავდეს ბანკებისთვის შემუშავებულ კორპორაციული მართვის კოდექსში შემავალ ნესებს მიუხედავად იმისა, რომ იგი შემუშავდა როგორც სტანდარტი კომერციული ბანკებისთვის პრინციპით - „დაემორჩილე ან განმარტე“.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კორპორაციული მართვის სამართლებრივი ბაზა, როგორც წესი, შედგება კანონმდებლობის, რეგულირების, თვითრეგულირების მექანიზმების, ნებაყოფლობითი ვალდებულებებისა და ბიზნესპრაქტიკის ელემენტებისგან და ითვალისწინებს ქვეყნისთვის სპეციფიკურ გარემოებებს, ისტორიასა და ტრადიციებს. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია ამ სფეროს კანონმდებლობა, რეგულირება, თვითრეგულირება, ნებაყოფლობითი სტანდარტები და სხვა ერთობლიობა. ახალი გამოცდილების დაგროვების და ბიზნესგარემოებათა ცვლილებასთან ერთად, ამ ბაზის შემადგენლობა და სტრუქტურა კორექტირებას მოითხოვს. კომპანიებს დასჭირდებათ ასეთი კორექტირების რეგულარული მონიტორინგი და, შესაბამისად, მართვის სისტემების განახლება.

### 3. საქართველოს ბანკების ასოციაციის კორპორაციული მართვის კოდექსი

2009 წლის 23 სექტემბერს საქართველოს ბანკების ასოციაციამ მიიღო კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის (შემდგომ - კორპორაციული მართვის კოდექსი). ეს არის ნებაყოფლობითი კოდექსი, რომელიც ემყარება პრინციპს „დაემორჩილე ან განმარტე“. მისი მიღების შემდეგ 11 კომერციული ბანკი უკვე შეუერთდა კორპორაციული მართვის კოდექსს.

კორპორაციული მართვის კოდექსი ემყარება ეთგო-ს და ბაზელის კორპორაციული მართვის პრინციპებს და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- აქციონერთა უფლებები
- მმართველი ორგანოები
- კორპორაციული მდივანი
- შიდა კონტროლი და რისკების მართვა
- ინფორმაციის გამჟღავნება და გამჭვირვალობა

- მმართველი ორგანოების წევრთა შეფასება და ანაზღაურება
- ინტერესთა კონფლიქტი
- კორპორაციული მართვა ჰოლდინგისთვის
- კორპორაციული მართვა და დაკავშირებული მხარეები

ამ კოდექსის რეკომენდაციით, საქართველოში მოქმედი ყველა ბანკი უნდა ითვალისწინებდეს კოდექსით დადგენილი ნორმების არსს და ყოველწლიურად ამზადებდეს კორპორაციული მართვის ანგარიშს. ასეთ ანგარიშში თითოეულმა ბანკმა უნდა დაამტკიცოს მისი შესაბამისობა კოდექსის მოთხოვნებთან ან განმარტოს მიზეზი, თუ რატომ ირჩევს არ შეასრულოს აღნიშნული მოთხოვნები.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

კორპორაციული მართვის სანიმუშო პრაქტიკა ყურადღებას უთმობს კორპორაციული საქმიანობის მონაწილეთა კანონიერ ინტერესებს. მათ შეუძლიათ კომპანიის ოპერაციების გაუმჯობესება კორპორაციული აქტივების ღირებულების გაზრდით, სამუშაო ადგილების შექმნით და კომპანიის ფინანსური სტაბილურობისა და მომგებიანობის ამაღლებით. კორპორაციულ საქმიანობაში მონაწილეთა შორის ნდობა კომპანიის ეფექტიანი ფუნქციონირების და მის მიერ ინვესტიციების მოზიდვის საფუძველია. კორპორაციული მართვის პრინციპების მიზანია ნდობის შექმნა კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობაში.

#### 4. ინსტიტუციონალური ბაზა

საქართველოში კორპორაციული მართვის საკითხთან დღესდღეობით დაკავშირებული არიან გარკვეული ინსტიტუტები. მე-3 ცხრილში წარმოდგენილია ამ ინსტიტუტების ჩამონათვალი.

**ცხრილი 3:** კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული ინსტიტუტები საქართველოში


სასამართლოები	
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	<a href="http://www.constcourt.ge">www.constcourt.ge</a>
საქართველოს უზენაესი სასამართლო	<a href="http://www.supremecourt.ge">www.supremecourt.ge</a>
თბილისის სააპელაციო სასამართლო	<a href="http://www.tbappeal.court.gov.ge">www.tbappeal.court.gov.ge</a>
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	<a href="http://www.kutaisiapp.court.gov.ge">www.kutaisiapp.court.gov.ge</a>
სახელმწიფო სექტორის ინსტიტუტები	
საქართველოს პრეზიდენტი	<a href="http://www.president.gov.ge">www.president.gov.ge</a>
საქართველოს პარლამენტი	<a href="http://www.parliament.ge">www.parliament.ge</a>
საქართველოს მთავრობა	<a href="http://www.government.gov.ge">www.government.gov.ge</a>
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	<a href="http://www.justice.gov.ge">www.justice.gov.ge</a>
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	<a href="http://www.mof.ge">www.mof.ge</a>

- თავი I
- თავი II
- თავი III
- თავი IV
- თავი V
- თავი VI
- თავი VII
- თავი VIII
- თავი IX
- თავი X
- თავი XI
- თავი XII

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	<a href="http://www.economy.gov.ge">www.economy.gov.ge</a>
საქართველოს ეროვნული ბანკი	<a href="http://www.nbg.gov.ge">www.nbg.gov.ge</a>
<b>კაპიტალის ბაზრებთან დაკავშირებული ინსტიტუტები და ორგანიზაციები</b>	
საქართველოს საფონდო ბირჟა	<a href="http://www.gse.ge">www.gse.ge</a>
<b>არასამთავრობო ორგანიზაციები</b>	
საქართველოს ბანკების ასოციაცია	<a href="http://www.abg.org.ge">www.abg.org.ge</a>
საქართველოს ბიზნეს-ასოციაცია	<a href="http://www.bag.ge">www.bag.ge</a>
<b>საერთაშორისო ორგანიზაციები და პროფესიული ინსტიტუტები</b>	
კორპორაციული მართვის გლობალური ფორუმი (GCGF)	<a href="http://www.gcgf.org">www.gcgf.org</a>
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)	<a href="http://www.ifc.org">www.ifc.org</a>
IFC-ის კორპორაციული მართვის პროექტი საქართველოში	<a href="http://www.ifc.org/gcgp">www.ifc.org/gcgp</a>
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)	<a href="http://www.oecd.org">www.oecd.org</a>
მსოფლიო ბანკი	<a href="http://www.worldbank.org">www.worldbank.org</a>
ევროპის კომისია	<a href="http://www.ec.europa.eu/internal_market/company/index_en.htm">www.ec.europa.eu/internal_market/company/index_en.htm</a>
ევროპის კორპორაციული მართვის ინსტიტუტი	<a href="http://www.ecgi.org">www.ecgi.org</a>
საერთაშორისო კერძო სანარმოთა ცენტრი	<a href="http://www.cipe.org">www.cipe.org</a>
ბიზნესეთიკის ინსტიტუტი	<a href="http://www.ibe.org">www.ibe.org</a>
ფასეულობების ალიანსი	<a href="http://www.thevaluealliance.com">www.thevaluealliance.com</a>
CFA ფინანსური ბაზრების მთლიანობის ცენტრი	<a href="http://www.cfainstitute.org">www.cfainstitute.org</a>
ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭო	<a href="http://www.iasb.org">www.iasb.org</a>
ინგლისისა და უელსის სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტი	<a href="http://www.icaew.org">www.icaew.org</a>
სერტიფიცირებულ საჯარო ბუღალტერთა ამერიკული ინსტიტუტი	<a href="http://www.aicpa.org">www.aicpa.org</a>
დირექტორთა ინსტიტუტი, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო	<a href="http://www.iod.com">www.iod.com</a>
ბრაზილიის კორპორაციული მართვის ინსტიტუტი (Instituto Brasileiro De Governanza Corporativa)	<a href="http://www.ibgc.org.br">www.ibgc.org.br</a>
ჰონკონგის დირექტორთა ინსტიტუტი	<a href="http://www.hkiod.com">www.hkiod.com</a>




კორპორაციულ დირექტორთა ეროვნული ასოციაცია (აშშ)	<a href="http://www.nacdonline.org">www.nacdonline.org</a>
რუსეთის დირექტორთა ინსტიტუტი	<a href="http://www.rid.ru">www.rid.ru</a>
სერტიფიცირებულ მდივანთა და ადმინისტრატორთა ინსტიტუტი	<a href="http://www.icsa.org">www.icsa.org</a>
ინვესტორებთან ურთიერთობის საზოგადოება	<a href="http://www.ir-soc.org.uk">www.ir-soc.org.uk</a>



# თავი

კომპანიის  
ზოგადი მართვის  
სტრუქტურა



## ❓ კითხვარი



აქვს თუ არა კომპანიას ის სამართლებრივი ფორმა, რომელიც საუკეთესოდ ასახავს მფლობელთა ინტერესებს? არის თუ არა სხვა ფორმები უკეთესად მორგებული ასეთი ინტერესების დაკმაყოფილებაზე? როგორია ალტერნატივების უპირატესობანი და ნაკლი? რა არის სააქციო საზოგადოება? რატომ გვჭირდება სააქციო საზოგადოებები? რა არის სააქციო საზოგადოების ძირითადი უპირატესობა სხვა სამართლებრივ ფორმებთან შედარებით? რა არის წყალგამყოფი ღია და დახურულ სააქციო საზოგადოებას შორის? რა მნიშვნელოვანი განსხვავებაა კოტირებულ და არაკოტირებულ ღია სააქციო საზოგადოებებს შორის?



აქციონერთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს გარდა, აქვს თუ არა კომპანიას შექმნილი ანაზღაურების კომიტეტი, აუდიტის კომიტეტი, დანიშვნის კომიტეტი, კენჭისყრის კომიტეტი, და შიდა აუდიტის ფუნქცია (შიდა აუდიტორი ან აუდიტორთა საბჭო)? აქვთ თუ არა ამ ორგანოებს შესაბამისი სტრუქტურა და რესურსი იმისათვის, რომ ეფექტიანად იმუშაონ? ჰყავს თუ არა კომპანიას კორპორაციული მდივანი?

მენარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრულია სააქციო საზოგადოების სტრუქტურა და მისი მართვის ორგანოების სტრუქტურა. შემდეგ, კორპორაციული მართვის კოდექსი რეკომენდაციებს უწევს ბანკებს შექმნან ორი კომიტეტი - აუდიტის და რისკის მართვის კომიტეტები.

ამ თავში განხილულია კომპანიების არსი და მართვის სტრუქტურა, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით და რეკომენდებულია კორპორაციული მართვის კოდექსით.

მმართველი ორგანოების უფლებამოსილება, ფუნქციები და სტრუქტურა უფრო დეტალურად აღწერილია ამ სახელმძღვანელოს მომდევნო თავებში.

### ა. რა არის სააქციო საზოგადოება?

#### 1. კომპანიის განსაზღვრება

მენარმეთა შესახებ კანონით სააქციო საზოგადოება განსაზღვრულია როგორც კომპანია, რომლის კაპიტალიც დაყოფილია კომპანიის წესდებით დადგენილი კლასისა და რაოდენობის აქციებად.<sup>1</sup>

სააქციო საზოგადოება ერთადერთი იურიდიული პირია, რომელსაც შეუძლია აქციების ემისია. აქციონერები, როგორც წესი, არ არიან პასუხისმგებელი კომპანიის ვალდებულებებისათვის, რადგან სააქციო საზოგადოება თვითონაა პასუხისმგებელი კრედიტორების წინაშე თავისი ვალდებულებებიდან გამომდინარე და აქციონერთა პასუხისმგებლობა კომპანიის აქციებით შემოიფარგლება. მათი რისკია მხოლოდ იმ აქციის ღირებულების დანაკარგი, რომელსაც ისინი ფლობენ კომპანიაში. თუმცა, თუ აქციონერებს მთლიანად არა აქვთ განხორციელებული საკუთარი შენატანები, კომპანიის ვალზე მათი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება წინასწარ შეთანხმებული თანხით, მიუხედავად იმისა, შენატანები სრულად დაფარულია თუ არა.<sup>2</sup>

#### 2. ღია და დახურული სააქციო საზოგადოებები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს „ღია და დახურული სააქციო საზოგადოებების“ ჩვეულებრივ განმარტებას, შეიძლება „ანგარიშვალდებული კომპანიის“<sup>3</sup> განმარტების ნახვა - ეს არის კომპანია, რომლის აქციებიც განთავსდა საჯარო შეთავაზების გზით ანდა დაშვებულია

<sup>1</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 53.1

<sup>2</sup> იქვე, მუხ. 3.4

<sup>3</sup> ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 9.1

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე.<sup>4</sup> ანგარიშვალდებული კომპანიები („ლია კომპანიები“) ექვემდებარება გაცილებით მკაცრ და კომპლექსურ წესებს მართვასა და ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით. არაანგარიშვალდებული კომპანიები („დახურული კომპანიები“) შეიძლება უფრო მოსახერხებელი იყოს მცირე სანარმოებისთვის, რადგან მათთვის უფრო ხელსაყრელია მართვის მარტივი სტრუქტურა. ლია კომპანია უფრო მოსახერხებელია დიდი და მზარდი სანარმოებისთვის, რომლებმაც შეიძლება განიზრახონ ფულის მოზიდვა კაპიტალის ბაზრებზე.

**ცხრილი 1:** ანგარიშვალდებული და არაანგარიშვალდებული კომპანიების შედარება

	ანგარიშვალდებული კომპანიები	არაანგარიშვალდებული კომპანიები
მინიმალური სანესდებო კაპიტალი	არა	არა
აქციების ემისია	საჯარო შეთავაზება <sup>5</sup>	დახურული შეთავაზება (მხოლოდ დამფუძნებლებს ან სხვა პირთა წინასწარ განსაზღვრულ ჯგუფებს შორის). საჯარო შეთავაზებად ასევე მიიჩნევა არაანგარიშვალდებული ემიტენტის ფასიანი ქაღალდების შეთავაზება იმ პირის სახელით, რომელიც არ არის ემიტენტი <sup>6</sup>
აქციების გადაცემა	შეზღუდვები არ არის დაშვებული საჯარო ფასიან ქაღალდებზე <sup>7</sup>	შეზღუდვები არ არის დაშვებული საჯარო ფასიან ქაღალდებზე, სხვა შემთხვევაში შესაძლოა საჭირო იყოს კომპანიის თანხმობა რომელიმე კლასის აქციების გადაცემაზე <sup>8</sup>
სამეთვალყურეო საბჭო	სავალდებულო	არა <sup>9</sup>
კორპორაციული მდივანი	არა	არა
გარე აუდიტორი	სავალდებულო	არა <sup>10</sup>
ინფორმაციის გამჟღავნება	კომპანია, მისი მმართველი ორგანოები და მაკონტროლებელი აქციონერები უნდა ამჟღავნებდნენ ინფორმაციის დიდ მოცულობას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის და ოპერაციების შესახებ, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის შესაბამისად <sup>11</sup>	კომპანიამ უნდა გაუმჟღავნოს გარკვეული ინფორმაცია მის აქციონერებს. <sup>12</sup> სხვა შემთხვევაში, არ არსებობს სამართლებრივი მოთხოვნები ინფორმაციის საჯარო გამჟღავნებასთან დაკავშირებით

**3. ლია სააქციო საზოგადოების უპირატესობა სხვა სამართლებრივ ფორმებთან შედარებით**

**ა) კომერციული პირების სამართლებრივი ფორმები**

მენარმეთა შესახებ კანონი იძლევა კომერციული პირების რამდენიმე ტიპის შექმნის შესაძლებლობას. კერძოდ, ესენია:

<sup>4</sup> იქვე, მუხ. 3.1 - განსაზღვრავს ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებას როგორც ფასიანი ქაღალდების პირდაპირ ან არაპირდაპირ გაყიდვის შეთავაზებას ემიტენტის სახელით 100 პირისთვის მინც ან პირთა განუსაზღვრელი რაოდენობისთვის

<sup>5</sup> იქვე, მუხ. 3

<sup>6</sup> იქვე, მუხ. 3.1

<sup>7</sup> იქვე, მუხ. 2.36 განსაზღვრავს საჯარო ფასიან ქაღალდს როგორც ნებისმიერი კლასის ფასიან ქაღალდს, რომელიც დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე და/ან იმყოფება ფასიანი ქაღალდების 100-ზე მეტი მფლობელის საკუთრებაში

<sup>8</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 52.2

<sup>9</sup> იქვე, მუხ. 55.1

<sup>10</sup> იქვე, მუხ. 13.2

<sup>11</sup> ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 4, 11, 12, 14 და 16

<sup>12</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 3.10, 53.3<sup>2</sup> და 53.3<sup>5</sup>

- ინდივიდუალური მენარმე
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)
- კომანდიტური საზოგადოება (კს)
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
- სააქციო საზოგადოება (სს ან კორპორაცია); და
- კოოპერატივი<sup>13</sup>

**ბ) ღია კომპანიის უპირატესობა დახურულ კომპანიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან:**

ღია კომპანიას აქვს ბევრი უპირატესობა, მათ შორის:

- **წვდომა ინვესტორებთან:** ღია კომპანიებს ინვესტიციების დაბალ ფასად მოზიდვის ბევრად უკეთესი შესაძლებლობა აქვთ, რადგან, სხვა კომერციულ იურიდიულ პირებთან შედარებით, პოტენციური ინვესტორების მიმართ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულების გამო ღია კომპანიები უფრო გამჭვირვალედ საქმიანობენ. უკეთესი საბაზრო პოზიცია აუმჯობესებს მათ შესაძლებლობებს, რომ მოიზიდონ ინვესტიციები პრივილეგირებული პირობებით.
- **აქციების თავისუფალი გადაცემა:** კომპანიის აქციების გადაცემა შესაძლებელია რეგულირებად ბაზარზე აქციონერების, კომპანიის ან მისი მენეჯმენტის თანხმობის გარეშე, სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად.
- **აქციონერებისთვის რისკის შეზღუდვა:** აქციონერების რისკი შემოიფარგლება მათი ინვესტიციის ღირებულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებით. აქციონერები, როგორც წესი, არ არიან პასუხისმგებელი კომპანიის სამართლებრივ და ფინანსურ ვალდებულებებზე, რადგან მათი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება გადაუხდელი შენატანების თანხით.
- **რისკების დივერსიფიკაცია:** ღია კომპანიის რისკები ვრცელდება აქციონერების დიდ რაოდენობაზე.

**გ) ღია კომპანიების ნაკლი**

ღია კომპანიის ძირითადი ეკონომიკური უპირატესობაა ფინანსურ ბაზრებთან ადვილი წვდომა. თუმცა, განსაკუთრებულ წვდომას თავისი ნაკლიც აქვს. ორგანიზაციული, სამართლებრივი და მარეგულირებელი დაბრკოლება უნდა გადაილახოს, რათა კომპანიამ მოიპოვოს თავისი ფასიანი ქაღალდების ინვესტორებისთვის შეთავაზების უფლება.

ღია კომპანია მოითხოვს:

- **შესაბამისობას ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ წესებთან,** ხოლო დახურული კომპანიები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, ზოგადად, ამ წესების მოქმედების სფეროს გარეთ არიან.
- **რთულ ორგანიზაციულ სტრუქტურას,** რომელიც შექმნილია აქციონერების დასაცავად და პროფესიონალი მენეჯერებისთვის კომპანიის მართვის საშუალების მისაცემად. კომპანიამ უნდა გაიღოს თავისი მმართველი ორგანოების მხარდაჭერასთან დაკავშირებული ხარჯები.
- **შესაბამისობას ღია კომპანიებისთვის დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნასა და სხვა წესებთან.** ღია კომპანიამ უნდა უზრუნველყოს გამჭვირვალობის სათანადო დონე და საჯაროობა ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ინფორმაციის დროული,

<sup>13</sup> იქვე, მუხ. 2.1

ზუსტი და სრული გამჟღავნებით, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის სამართლებრივი და ფინანსური მდგომარეობის განსასაზღვრად. ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება მოიცავს კომპანიის ბიზნესანგარიშს, ფინანსურ ანგარიშგებებს და აუდიტის დასკვნას, ისევე როგორც სხვა ანგარიშგებებს და ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვანია კომპანიისთვის ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესების შესაბამისად. ამგვარად, ღია კომპანიის საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს გაცილებით მკაცრ კანონმდებლობასა და წესებს და აქციონერთა უფლებების დასაცავად შექმნილ სტანდარტებს.

- **აქციონერებს, რომელთაც უნდათ ინვესტირება კომპანიაში** კომპანიას უნდა შეეძლოს ისეთი აქციონერების მოზიდვა, რომლებიც გარისკავენ კომპანიაში ინვესტიციის განთავსებას, და ინვესტორთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას აქციების გამოშვების შემდეგ. ეს საქმიანობა კომპანიისგან მნიშვნელოვანი ხარჯების განეკისვრება მოითხოვს. ზოგი მათგანი დაკავშირებულია ინვესტორებისთვის შეთავაზებასა და აქციონერებთან უწყვეტი კომუნიკაციის შენარჩუნებასთან, სანყისი საჯარო შეთავაზების შემდეგ.
- **პროფესიონალ მენეჯმენტს** მფლობელობისა და კონტროლის გაყოფა ინვესტორებს შესაძლებლობას აძლევს დაიქირაონ პროფესიონალი მენეჯერები, რომლებიც საკუთარ უნარ-ჩვევებს და ძალისხმევას მოახმარენ კომპანიის მართვას. მფლობელობის და კონტროლის გაყოფა პროფესიონალ მენეჯერებს ასევე აძლევს კომპანიის სამართავად საჭირო წვდომას კაპიტალთან. თუმცა, სანდო პროფესიონალი მენეჯერების გამოძებნა, განვითარება და შენარჩუნება რთული ამოცანაა.

**ბ. კომპანიის კორპორაციული მართვის სტრუქტურა**

მმართველობის სტრუქტურის შექმნისას კომპანიებს კანონმდებლობით ეძლევათ მოქნილობის საშუალება. მენარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად, სააქციო საზოგადოებას უნდა ჰყავდეს, სულ ცოტა, ის ორგანოები ან პირები, რომლებიც შეასრულებენ სამუშაოს განსაკუთრებული კომპეტენციით, კერძოდ:

- აქციონერთა საერთო კრება
- აღმასრულებელი საბჭო

მენარმეთა შესახებ კანონით სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა მოთხოვნილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიის აქციონერთა რაოდენობა 100-ს აღემატება. კომპანია წარმოადგენს ანგარიშვალდებულ სანარმოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის თანახმად, რომლის აქციებიც მონაწილეობს ვაჭრობაში საფონდო ბირჟაზე ან ის ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.<sup>14</sup> სხვა შემთხვევაში, კომპანიის გადასაწყვეტია, შექმნის იგი სამეთვალყურეო საბჭოს თუ არა.

**1. აქციონერთა საერთო კრება**

აქციონერთა საერთო კრება კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა. აქციონერთა საერთო კრების მეშვეობით აქციონერები იღებენ და ამტკიცებენ ძირითად გადაწყვეტილებებს. აქციონერთა საერთო კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს. ამასთან ერთად, ამტკიცებს წლიურ ანგარიშს და ფინანსურ ანგარიშგებებს, გარე აუდიტორს, მოგების და ზარალის განაწილებას (მათ შორის, დივიდენდების გადახდას), სანქსდებო კაპიტალის ცვლილებას და განსაკუთრებულ გარიგებებს.<sup>15</sup>

**2. დირექტორთა საბჭო**

დირექტორთა საბჭო ასრულებს ცენტრალურ როლს კორპორაციული მართვის სისტემაში. ევროპაში შემუშავდა საბჭოს ორი საპირისპირო მოდელი: ერთსაფეხურიანი საბჭო (უნიტარული სისტემა) და ორსაფეხურიანი საბჭო (დუალისტური სისტემა). ევროპაში არსებული ტენდენცია მიმართულია მოქ-

<sup>14</sup> იქვე, მუხ. 55.1  
<sup>15</sup> იქვე, მუხ. 54.6

ნილობის ზრდისკენ, რაც კომპანიებს საშუალებას აძლევს გააკეთონ არჩევანი სხვადასხვა სისტემას შორის და მოახდინონ მათი ადაპტაცია რთული ბიზნესგარემოს მიმართ.

- ერთსაფეხურიანი ანუ უნიტარული საბჭოსთვის დამახასიათებელი ერთი საბჭო, რომელიც მართავს კომპანიას და შედგება როგორც აღმასრულებელი, ისე არააღმასრულებელი წევრებისგან. ასეთ სისტემაში სამეთვალყურეო საბჭოს ხშირად დირექტორთა საბჭო ეწოდება. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ გენერალური დირექტორისა და თავმჯდომარის პოზიცია უკავია ერთსა და იმავე პირს. მმართველობის სტრუქტურა შეიძლება ხელს უწყობდეს ხელმძღვანელობის ძლიერ სტრუქტურებს და გადაწყვეტილების ეფექტიან მიღებას. არააღმასრულებელი და დამოუკიდებელი დირექტორები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მენეჯერების მონიტორინგსა და ხარჯების შემცირებაში. ეს სისტემა ტიპურია საერთო სამართლის ტრადიციის მქონე ქვეყნების კომპანიებისთვის (მაგალითად, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში).
- ორსაფეხურიანი ან დუალისტური სისტემისათვის, მეორე მხრივ, დამახასიათებელია გაცალკევებული სამეთვალყურეო და მენეჯმენტის ორგანოები. პირველს უფრო ხშირად სამეთვალყურეო საბჭოს უწოდებენ, ხოლო მეორეს - აღმასრულებელ საბჭოს (დირექტორატს). ამ სისტემის პირობებში კომპანიის ყოველდღიური მართვა აკისრია აღმასრულებელ საბჭოს, რომელსაც აკონტროლებს სამეთვალყურეო საბჭო (ამ უკანასკნელს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება). ამ ორ ორგანოს მკვეთრად განსხვავებული უფლებამოსილება აქვს და მათი შემადგენლობა არ შეიძლება იყოს შერეული - ანუ, აღმასრულებელი საბჭოს წევრები არ უნდა იყვნენ წარმოდგენილი სამეთვალყურეო საბჭოში და პირიქით. ორსაფეხურიანი სისტემის უპირატესობა კონტროლის მკაფიო მექანიზმია, მაგრამ მას ხშირად აკრიტიკებენ გადაწყვეტილების მიღების არასაკმარისი შესაძლებლობის გამო. ასეთი სისტემა ყველაზე კარგად წარმოდგენილია გერმანიაში. ეს სისტემა გამოიყენებოდა საქართველოშიც ჰიბრიდულ სისტემაზე გადასვლამდე.
- ერთსაფეხურიანი და ორსაფეხურიანი სისტემების გარდა ბევრი ქვეყანა აღიარებს მართვის მესამე სტრუქტურას - ჰიბრიდულ სისტემას, რომელიც ზემოაღნიშნული ორი მოდელის ნაზავია. ჰიბრიდული სისტემა შემოღებულ იქნა მენარმეთა შესახებ კანონით. კანონის დებულებების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში უნდა შეიქმნას, სხვა შემთხვევებში კომპანიას შეიძლება მხოლოდ აღმასრულებელი საბჭო ჰყავდეს.<sup>16</sup> კანონითაა ასევე დაშვებული, რომ კომპანიის აღმასრულებელი საბჭოს (დირექტორატის) წევრები იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).<sup>17</sup>

იმის მიუხედავად, თუ რომელ სისტემას იყენებს ქვეყანა, გასათვალისწინებელია შემდეგი:

- 1 უნდა არსებობდეს ბალანსი ეფექტიანობასა და კონტროლს შორის, როდესაც კომპანიის პრობლემები და ინტერესთა კონფლიქტი დიდია, აქციონერებმა შეიძლება აირჩიონ ორსაფეხურიანი სისტემა, მაგრამ უნდა გააცნობიერონ, რომ მკაცრი მონიტორინგის მართვის სისტემაში შეიძლება მენეჯერები შეაფერხოს და ბიზნესოპერაციები და მიღებული გადაწყვეტილებები არაეფექტიანი გახადოს. მეორე მხრივ, როდესაც აქციონერები და მენეჯერები ერთმანეთს ენდობიან და კომპანიას სჭირდება გაცილებით მაღალი ეფექტიანობა ახალი შესაძლებლობების გამოსაყენებლად, კომპანიამ შეიძლება აირჩიოს მენეჯმენტზე შედარებით მეტად ორიენტირებული ერთსაფეხურიანი სისტემა.
- 2 მიუხედავად იმისა, რომ სისტემებს ბევრი საერთო ნიშანი აქვთ, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც შეეხება საბჭოს უფლებამოსილებას, სტრუქტურასა და ოპერაციებს, აგრეთვე შესაბამისად დირექტორთა მოვალეობებსა და ვალდებულებას.

<sup>16</sup> იქვე, მუხ. 55.1

<sup>17</sup> იქვე, მუხ. 55.2

### 3. სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის სტრატეგიის და ბიზნესპროორიტეტების წარმართვისა და დადგენისათვის, მათ შორის წლიური ფინანსური და ბიზნესგეგმის მომზადებისათვის, ისევე როგორც მენეჯერების საქმიანობის ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის. იგი მოქმედებს კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, იცავს ყველა აქციონერის უფლებას, ზედამხედველობას უწევს გენერალური დირექტორის და აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობას, აგრეთვე ფინანსური კონტროლის სისტემებს.<sup>18</sup> ეფექტიანი, პროფესიონალი და დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭო აუცილებელია სანიმუშო კორპორაციული მართვის განსახორციელებლად.

### 4. აღმასრულებელი საბჭო

აღმასრულებელი საბჭო შედგება გენერალური დირექტორისა და კომპანიის აღმასრულებელი პირებისაგან. მას შეიძლება უწოდებდნენ „მენეჯმენტის საბჭოს“, „მენეჯერულ საბჭოს“, „აღმასრულებელ გუნდს“, „დირექტორატს“ ან „კოლექტიურ აღმასრულებელ ორგანოს“. ტერმინი „აღმასრულებელი საბჭო“ გამოიყენება ამ სახელმძღვანელოს მიზნებისათვის. აღმასრულებელი საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიური მართვისათვის და ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებს.

### 5. საბჭოს კომიტეტები

საბჭოს კომიტეტების არსებობა გათვალისწინებულია კანონმდებლობით და ბანკებისთვის შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსით. კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონი მოითხოვს კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში აუდიტის კომიტეტის შექმნას და დამოუკიდებელი წევრის არსებობას (იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საბჭოს დამოუკიდებელი წევრი).<sup>19</sup> კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაცია აუდიტის და რისკის მართვის კომიტეტების შექმნა.<sup>20</sup> ამ კომიტეტების უპირველესი ამოცანაა საბჭოს მგრძობიარე ფუნქციების შესრულება. ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საბჭოს კომიტეტების უფლებამოსილების, შემადგენლობისა და ფუნქციების განხილვა ძირითადად დამოკიდებულია კორპორაციული მართვის კოდექსის და საუკეთესო პრაქტიკის რეკომენდაციებზე.

### 6. გარე აუდიტორი

კომპანიებს მოეთხოვებათ აუდიტის განხორციელება. თუ აქციონერთა რაოდენობა 100-ს აღემატება, კომპანია წარმოადგენს ანგარიშვალდებულ კომპანიას ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის შესაბამისად, რომლის აქციებიც მონაწილეობს ვაჭრობაში საფონდო ბირჟაზე ან ის ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.<sup>21</sup> გარე აუდიტორი კომპანიის ცალკე ორგანოა, რომელსაც ირჩევს აქციონერთა საერთო კრება,<sup>22</sup> იგი აკონტროლებს კომპანიის საფინანსო და ეკონომიკურ საქმიანობას და ანგარიშვალდებულია უშუალოდ აქციონერთა საერთო კრების წინაშე.

### 7. შიდა აუდიტორი

შიდა კონტროლის სისტემის შესახებ დებულებების მოძიება შეიძლება საბანკო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში<sup>23</sup> და ბანკებისთვის შემუშავებულ კორპორაციული მართვის კოდექსში.<sup>24</sup>

### 8. კორპორაციული მდივანი

კომპანიისთვის არ არის სავალდებულო კორპორაციული მდივნის დანიშვნა, მაგრამ ბანკებისთვის შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციით, ბანკებმა უნდა დანიშნონ კორპორაციული მდივანი. კორპორაციული მდივნის ძირითადი მოვალეობაა მმართველი ორგანოების მიერ პროცედურული მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა. კორპორაციული მდივანი პასუხისმგებელია აწარმოოს აქციონერთა წიგნი, მოამზადოს და აწარმოოს აქციონერთა ყველა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმები, ასევე აწარმოოს აღნიშნული კორ-

<sup>18</sup> იქვე, მუხ. 55.7  
<sup>19</sup> კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 16  
<sup>20</sup> კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის, თავი 6.3  
<sup>21</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 13.2  
<sup>22</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ი)  
<sup>23</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2001 წლის 28 დეკემბრის 318 ბრძანება „კომერციულ ბანკებში შიდა აუდიტის მოთხოვნების შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“  
<sup>24</sup> კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი 6.17-23




პორაციული ორგანოების სხდომის ოქმები და სხვა დოკუმენტები კანონის და კომპანიის დებულებების შესაბამისად. კორპორაციული მდივანი პასუხისმგებელია სამუშაოს ორგანიზებისათვის, ისევე როგორც იმის უზრუნველყოფისათვის, რომ აქციონერთა საერთო კრების, სამეთვალყურეო და აღმასრულებელი საბჭოს გადანყვეტილებები იყოს სათანადოდ გადმოცემული და შესრულებული.<sup>25</sup>

თავი I
თავი II
თავი III
თავი IV
თავი V
თავი VI
თავი VII
თავი VIII
თავი IX
თავი X
თავი XI
თავი XII

<sup>25</sup> კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის, თავი 5

# თავი

შიდა კორპორაციული  
დოკუმენტები



## ❓ კითხვარი

- ✓ აქვს თუ არა კომპანიას მოქმედი წესდება, რომელიც შეიცავს დებულებებს აქციონერთა უფლებების დაცვის, აქციონერთა მიმართ თანასწორი მოპყრობის, მმართველ ორგანოებს შორის უფლებამოსილების განაწილების და ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ?
- ✓ რამდენად დეტალურია წესდება დებულებებთან შედარებით? წესდება და დებულებები იმეორებს თუ არა კანონმდებლობის ზუსტ ენას?
- ✓ არის თუ არა წესდება თავისუფლად ხელმისაწვდომი და ინტერნეტზე ხელმისაწვდომი მხარეებისთვის და ხელმისაწვდომია თუ არა ინტერნეტში?
- ✓ დამტკიცებული აქვს თუ არა კომპანიას დებულებები? თუ აქვს, დამტკიცეს თუ არა ეს დებულებები სამეთვალყურეო საბჭომ ან აქციონერთა საერთო კრებამ? არის თუ არა დებულებების დამტკიცება კომპანიის სამართლებრივი ვალდებულება? არის თუ არა შესაძლებელი კომპანიის დაფუძნება დებულებების გარეშე? ხელმძღვანელობს თუ არა კომპანია რეგულარულად დებულებებით და იცავს თუ არა მათ?
- ✓ აქვს თუ არა კომპანიას მიღებული საკუთარი კორპორაციული მართვის კოდექსი? თუ აქვს, ეხება თუ არა კომპანიის კოდექსი ისეთ საკითხებს, როგორცაა სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება? იძლევა თუ არა კომპანიის კოდექსი რეკომენდაციებს ურთიერთობათა შესახებ კორპორაციულ ორგანოებთან, კერძოდ ურთიერთობის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელ საბჭოს შორის?
- ✓ აქვს თუ არა კომპანიას განსაზღვრული ძირითადი ღირებულებები? აქვს თუ არა კომპანიას ამ ღირებულებათა საფუძველზე შემუშავებული ეთიკის კოდექსი?

წესდება კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტი. არც ერთი კომპანია არ შეიძლება იყოს დაფუძნებული წესდების გარეშე. წესდება ქმნის კომპანიას და განსაზღვრავს მის სტრუქტურასა და მიზანს. იგი ფუნდამენტური მნიშვნელობისაა კომპანიის კორპორაციული მართვის სისტემისთვის, უზრუნველყოფს აქციონერების დაცვას და მათდამი თანასწორ მოპყრობას, უფლებამოსილების განაწილებას მმართველ ორგანოებს შორის, აგრეთვე კომპანიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებასა და გამჭვირვალობას. იგი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მესამე მხარეებთან მიმართებით, რადგან იძლევა ინფორმაციას კომპანიის, განსაკუთრებით კი, მისი კორპორაციული მართვის სისტემის შესახებ. კომპანიას არ მოეთხოვება წესდების რეგისტრაცია, თუმცა რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი სადამფუძნებლო დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კომპანიის შესახებ (კომპანიის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, ინფორმაცია პარტნიორების და დირექტორების შესახებ და სხვ.).<sup>1</sup>

წესდების გარდა, კომპანიამ შეიძლება დაამტკიცოს სხვა ძირითადი დოკუმენტები სხვადასხვა მიზნებისათვის. დებულებები ერთადერთი ძირითადი დოკუმენტებია, რომლებშიც განვრცობილია წესდების მოთხოვნები. დებულებების მიღება-არმიღება კომპანიის არჩევანია. ამგვარად, კომპანიას შეუძლია გადაწყვიტოს, ჰქონდეს თუ არა დებულებები. დებულებები საჭიროა კომპანიის მართვის ორგანოებისთვის დეტალური პროცედურების რეგულირებისათვის. იმის გამო, რომ წესდება დიდი მოცულობისაა და მისი აღქმა და შეცვლა საკმაოდ რთულია, დებულებებს შეუძლია დახმარების განევა წესდების ნაკითხვის თავიდან აცილებაში.

კომპანიის დონეზე არსებული კორპორაციული მართვის კოდექსები და ეთი-

<sup>1</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 3.4<sup>1</sup>

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

კის კოდექსები ასევე მნიშვნელოვანი ძირითადი დოკუმენტებია კომპანიისთვის, რადგან ისინი კომპანიას საშუალებას აძლევენ მისი მართვის სტრუქტურა იყოს გაცილებით გამჭვირვალე და მოახდინოს კომპანიის ერთგულების დემონსტრირება სანიმუშო კორპორაციული მართვის და ბიზნესპრაქტიკის მიმართ.

ამ თავში განხილულია კორპორაციული მართვის საკითხები წესდების დებულებებთან მიმართებით და განმარტავს, როდის და როგორ არის შესაძლებელი წესდების, დებულებების და სხვა ძირითადი დოკუმენტების მიღება-გამოყენება. შემდეგ კი, მიმოხილულია ის მნიშვნელოვანი როლი, რომლის შესრულებაც შეუძლიათ კომპანიის დონეზე არსებულ კორპორაციული მართვის კოდექსს და ეთიკის კოდექსს.

## ა. კომპანიის წესდება

### 1. წესდების დებულებები

წესდება უნდა შეიცავდეს კომპანიის სტრუქტურასა და საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებულ დებულებებს, განსაზღვრავდეს მმართველი ორგანოების უფლებამოსილებას და აქციონერთა უფლებებს. კომპანიის საქმიანობის, მფლობელობის და მართვის სტრუქტურის მიუხედავად, წესდება უნდა შეიცავდეს ისეთ სავალდებულო დებულებებს, როგორცაა:

- კომპანიის კორპორაციული დასახელება
- კომპანიის რეგისტრირებული მისამართი
- თითოეული დამფუძნებლის სახელი და მისამართი (სახელი და გვარი, პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი და საცხოვრებელი ადგილი ფიზიკური პირებისთვის, კორპორაციული დასახელება, ოფისის რეგისტრაციის მისამართი, კომპანიის სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და წარმომადგენლობითი მონაცემები იურიდიული პირების შემთხვევაში)
- კომპანიის მმართველი ორგანოები და გადაწყვეტილების მიღების წესი
- კომპანიის მართვისა და წარმომადგენლობისათვის პასუხისმგებელ პირთა სახელი და გვარი
- რწმუნებული პირის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი
- რამდენიმე უფლებამოსილი წარმომადგენლის არსებობისას, უნდა აღინიშნოს ამ უფლებამოსილ პირებს შეუძლიათ თუ არა ერთობლივად ან ცალ-ცალკე მოქმედება
- საწესდებო კაპიტალის (გაცხადებული და განაღდებული) მოცულობა და შენატანების ტიპი<sup>2</sup>
- მონაცემები ფიზიკური ან იურიდიული პირების შესახებ (სახელი და გვარი, პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი და ფიზიკური პირების საცხოვრებელი ადგილი, და კორპორაციული დასახელება, რეგისტრირებული ოფისი, კომპანიის სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები იურიდიული პირების წარმომადგენლების შესახებ), რომლებიც უფლებამოსილი არიან განახორციელონ სადამფუძნებლო დოკუმენტებში ცვლილებების რეგისტრაცია<sup>3</sup>
- აქციების რაოდენობა და კლასი, ისევე როგორც თითოეულ კლასთან დაკავშირებული აქციონერის უფლებები<sup>4</sup>
- აქციების გადაცემის უფლება ასეთის არსებობის შემთხვევაში<sup>5</sup>
- დივიდენდების მოცულობა და მათი განაწილების წესი<sup>6</sup>

<sup>2</sup> იქვე, მუხ. 3.5 და 3.7

<sup>3</sup> იქვე, მუხ. 3.4<sup>1</sup> და მუხ. 5.1

<sup>4</sup> იქვე, მუხ. 52.1<sup>1</sup>

<sup>5</sup> იქვე, მუხ. 52.2

<sup>6</sup> იქვე, მუხ. 52.1

- მომავალში გამოსაშვები გაცხადებული აქციების რაოდენობა და კლასი<sup>7</sup>

ზემოთ აღნიშნულ სავალდებულო ინფორმაციასთან ერთად, კომპანიის წესდებით შეიძლება განისაზღვროს სამენარმეო კანონმდებლობისგან განსხვავებული მოთხოვნები (მაგალითად, აქციონერთა საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელ საბჭოს შორის უფლებამოსილების განაწილების შესახებ<sup>8</sup>, აქციონერთა საერთო კრების გამართვის შესახებ<sup>9</sup> და სხვ.).

დაბოლოს, დასაშვებია სხვა მოთხოვნების არსებობა, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება მენარმეთა შესახებ კანონს და მოქმედ კანონმდებლობას. მეტიც, კომპანიებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ყველა იმ საკითხს, რომელიც ითვლება სამართლებრივად გადაუჭრელად კომპანიის დონეზე შემდგომი რეგულირების თვალსაზრისით. ეს საკითხები კომპანიას და მის აქციონერებს აძლევს მოქმედების თავისუფლებას კომპანიის სტრუქტურის ორგანიზებაში, მისი საქმიანობის, ფინანსური სტრუქტურის და აქციონერთა უფლებების გათვალისწინებით. სხვაგვარად რომ ითქვას, წესდება ზოგადად განსაზღვრავს კომპანიის მახასიათებლებს და საქმიანობას.

## 2. როდის უნდა შეიცვალოს წესდება?

წესდება უნდა შეიცვალოს, თუ განხორციელდა ისეთი ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენს წესდებით განსაზღვრულ ნებისმიერ სავალდებულო და მნიშვნელოვან მოთხოვნაზე. მაგალითად, თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ უნდა შეცვალოს თავისი კორპორაციული დასახელება, კაპიტალის ოდენობა ან აქციების სხვადასხვა კლასთან დაკავშირებული უფლებები, წესდება უნდა შეიცვალოს<sup>10</sup>. ეს წესი შეესაბამება ყველა რეგისტრირებული მონაცემის სიზუსტის და საიმედოობის პრინციპს და, სანიმუშო კორპორაციული პრაქტიკიდან გამომდინარე, რეკომენდებულია მისი დაცვა.

წესდება ასევე უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს, როცა ხდება ახალი მოთხოვნების დადგენა, რომლებიც გავლენას ახდენს წესდების დებულებებზე.

## 3. ვის შეუძლია წესდების შეცვლა?

მენარმეთა შესახებ კანონის თანახმად, მხოლოდ 75%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე აქციონერებისგან შემდგარ საერთო კრებას აქვს წესდების შეცვლის უფლება<sup>11</sup>. თუმცა, განსაკუთრებულ გარემოებებში ცვლილებები შეიძლება შეიტანოს აღმასრულებელმა საბჭომ (გამგეობამ). ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა კომპანიას არ გამოუშვია გაცხადებული აქციების დაგეგმილი რაოდენობა და ამცირებს მათ რიცხვს. ასეთ დროს, დირექტორი უფლებამოსილია ცვლილებები შეიტანოს წესდებაში აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე<sup>12</sup>.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

პრივილეგირებული აქციების მფლობელმა აქციონერებმა შეიძლება ხმა მისცენ განსაკუთრებულ გარემოებებში. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა დივიდენდები პრივილეგირებულ აქციებზე არ არის გადახდილი ან პრივილეგირებული აქციებისთვის მინიჭებული ნებისმიერი უფლება ან უპირატესობა შეზღუდულია.

## 4. როგორ უნდა შეიცვალოს წესდება?

მენარმეთა შესახებ კანონით არ არის განსაზღვრული რამე სპეციფიკური პროცედურა ამ მიზნისათვის. აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის მუხლის სახით ცვლილების პროექტი სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს შესაბამის რეკომენდაციებთან ერთად უნდა გაეგზავნოს აქციონერებს<sup>13</sup>. აღნიშნულთან ერთად წესდების ცვლილების მომზადება მოითხოვს სამართლებრივი დოკუმენტის შემუშავების უნარ-ჩვევებს და კორპორა-

<sup>7</sup> იქვე, მუხ. 59.3  
<sup>8</sup> იქვე, მუხ. 54, 55 და 56  
<sup>9</sup> იქვე, მუხ. 54  
<sup>10</sup> იქვე, მუხ. 54 და მუხ. 52  
<sup>11</sup> იქვე, მუხ. 54.7 და 54.6 (ა)  
<sup>12</sup> იქვე, მუხ. 59.7  
<sup>13</sup> იქვე, მუხ. 54.2

თავი I  
 თავი II  
 თავი III  
 თავი IV  
 თავი V  
 თავი VI  
 თავი VII  
 თავი VIII  
 თავი IX  
 თავი X  
 თავი XI  
 თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

დირექტორთა საბჭო ამზადებს წესდების პროექტს. მიღებული პრაქტიკით, წესდების ცვლილება უნდა მოამზადოს კომპანიის იურისტმა/იურიდიულმა დეპარტამენტმა (შესაძლოა გარე იურისტ-კონსულტანტთან ერთად) კორპორაციული მდივნის მონაწილეობით. გენერალური დირექტორი ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს პროცესს, რათა უზრუნველყოს წესდების დებულებების ფორმულირება საბჭოს მითითებების შესაბამისად. ტექსტის საბოლოო ვარიანტი უნდა შეფასდეს და დამტკიცდეს დირექტორთა საბჭოს სხდომაზე. ტექსტი წარედგინება აქციონერთა საერთო კრებას შეთავაზების სახით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა წესდების შეცვლა საბჭოს უფლებამოსილებაში შედის. ამ შემთხვევაში დირექტორთა საბჭო დასკვნითი შეთავაზების ნაცვლად მიიღებს წესდების შეცვლის გადაწყვეტილებას.


კომპანიამ წესდება შეიძლება შეცვალოს ნებისმიერ დროს რამე დებულების დამატების ან ცვლილების მიზნით, რომელიც ნებადართულია ან მოთხოვნილია წესდებაში, ანდა ამოიღოს დებულება, რომლის არსებობაც წესდებაში აუცილებელი არ არის.

არსებობს კომპანიის მიერ წესდების ცვლილების სამი გზა. ესენია:

- წესდების არსებული დებულებების ცვლილება
- წესდებაში ახალი დებულებების დამატება; ან
- წესდების სრულიად ახალი ვერსიის დამტკიცება (წესდების გადა-მუშავება), რაც რეკომენდებულია ბევრი ცვლილების შეტანის შემთხვევაში

1-ელი სურათზე წარმოდგენილია წესდების შეცვლის პროცედურა. წესდების ხელახალი დამტკიცების პროცედურა მსგავსია.

**სურათი 1:** წესდების ცვლილების პროცედურა



წყარო: IFC, მარტი, 2004<sup>14</sup>

მენარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად, აქციონერთა საერთო კრებას აქვს უფლებამოსილება ყველა ხმის უფლების მქონე აქციონერის 75%-ზე მეტის საშუალებით დაამტკიცოს წესდების ცვლილებები. თუმცა კომპანიის წესდება შეიძლება განსაზღვრავდეს განსხვავებულ ზღურბლს წესდებაში ცვლილებების შესატანად.<sup>15</sup>

### 5. ინფორმაციის გამჟღავნება წესდების საშუალებით

წესდება აქციონერებისა და პოტენციური ინვესტორებისთვის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა. წესდების დოკუმენტის დედანი, ისევე როგორც მას-

<sup>14</sup> საქართველოს შემთხვევაში მე-4 საფეხური ასახავს მხოლოდ სარეგისტრაციო განაცხადში ასახული მონაცემების ცვლილებას (გარდა აქციონერების და მათ მფლობელობაში არსებული წილის ცვლილებისა). მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 3.4<sup>1</sup>; დღეისათვის საქართველოში რეგისტრაციას ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

<sup>15</sup> იქვე, მუხ. 54.7

ში შეტანილი ცვლილებები, მუდმივად უნდა ინახებოდეს კომპანიის რეგისტრირებულ ოფისში ან სხვა ადგილზე, რომელიც ცნობილი და ხელმისაწვდომია აქციონერებისთვის. კომპანიის აქციონერები უფლებამოსილი არიან შეამოწმონ წესდება და მასში შეტანილი ცვლილებები ჩვეულებრივი სამუშაო საათების განმავლობაში კომპანიის სათავო ოფისში და გადაიღონ მისი ასლი. კომპანიამ აქციონერებს შეიძლება არ გადაახდევინოს ასლის გადაღების ღირებულებაზე მეტი.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კომპანიის მიერ წესდების გამოქვეყნება ინტერნეტის ვებგვერდზე სანიმუშო კორპორაციულ პრაქტიკად ითვლება. გაუმართლებელია აქციონერებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს არ შეეძლოთ წესდებასთან ისეთი დაუყოვნებელი წვდომა, როგორცაა წესდების ტექნიკურად მარტივი და ეფექტიანი განთავსება ინტერნეტში. თუ კომპანიას არ გააჩნია საკუთარი ვებგვერდი, მაშინ მას შეუძლია ეს ვალდებულება შეასრულოს იმით, რომ გამოაქვეყნოს წესდება კომპანიის სარეკლამო დაფაზე ან უფასოდ მიანოდოს აქციონერებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს საკმარისი რაოდენობის წესდების ასლები გენერალური დირექტორის ოფისში.

## ბ. კომპანიის დებულებები

### 1. დებულებები – ძირითადი საკითხები

დებულებები კომპანიის შიდა დოკუმენტებია, რომლებიც ავსებენ და აკონკრეტებენ წესდების დებულებებს. კომპანიის დებულებები შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერ დებულებას ბიზნესის მართვასა და კომპანიის საქმიანობის რეგულირებასთან დაკავშირებით.

დებულებები ყოველთვის არჩევითია. თუ კომპანია მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ უნდა ჰქონდეს დებულებები, ეს უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით. კომპანიის გადასაწყვეტია, მიიღებს თუ არა ის დებულებებს ან სხვა ზოგადი სახის დოკუმენტებს, რომელშიც წარმოდგენილი იქნება დეტალური პროცედურები კომპანიის მმართველი ორგანოებისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში, კომპანიის დებულებები და სხვა ზოგადი სახის დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს წესდებსა და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობას. წესდება დომინანტური დოკუმენტია, წესდებებსა და დებულებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წესდებს.

კომპანია არ არის ვალდებული, სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში დაარეგისტრიროს თავისი დებულებები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომპანია შეიძლება შეიქმნას და არსებობდეს დებულებების გარეშე. კომპანიის ფორმირების შესახებ განაცხადს არ არის აუცილებელი თან ერთვოდეს დებულებები.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მოთხოვნები უნდა იყოს განსაზღვრული წესდებაში, დებულებებს გარკვეული უპირატესობა აქვს. კერძოდ:

- დებულებებს არ სჭირდება რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ორგანოში, რაც განაპირობებს კომპანიის რესურსების დაზოგვას, რეგისტრაციის გადასახადის და ბიუროკრატიული პროცედურების თავიდან აცილებას;
- წესდებასთან შედარებით დებულებების შეცვლის პროცედურა გამარტივებულია, რაც აადვილებს ადაპტირებას ცვალებადი გარემოებების მიმართ;
- დებულებები უზრუნველყოფს აქციონერების დაცვის ისეთივე დონეს, როგორსაც წესდება, კერძოდ, თუ მისი დებულებები გავლენას ახდენს აქციონერთა უფლებებზე.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

ამავე დროს, გარკვეული დებულებები შეიძლება შედიოდეს ან წესდების, ან დებულებების შემადგენლობაში. მაგალითად:

- აქციონერების მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება, ისევე როგორც ამ უფლებების დათმობის შეზღუდვა
- აქციების თანამფლობელების მიერ აქციებთან დაკავშირებული უფლებების გამოყენების ფორმა
- შუალედური დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებული შეზღუდვები
- კორპორაციული მართვის კოდექსით რეკომენდებული დებულებები (მაგალითად, აქციონერების მიერ რწმუნების გადაცემა ელექტრონული საშუალებით; და კენჭისყრაში სხვადასხვა ქვეყნიებიდან მონაწილეობის წესი)

## 2. როგორ ხორციელდება დებულებების მიღება და შეცვლა?

დებულებები უნდა დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ. სავალდებულო მოთხოვნაა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს ჰქონდეს დებულებების მიღებისა და ცვლილების უფლებამოსილება. საბჭოს წევრების უმრავლესობა შეადგენს კვორუმს და სამეთვალყურეო საბჭო იღებს ან ცვლის დებულებებს დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით. წესდება და დებულებები შეიძლება განსაზღვრავდეს ხმების უფრო დიდ პროცენტს სამეთვალყურეო საბჭოსთვის დებულებების დასამტკიცებლად.

სამეთვალყურეო საბჭოს აქვს უფლებამოსილება, მიიღოს კომპანიის სხვა ძირითადი დოკუმენტები. წესდება შეიძლება ანიჭებდეს აღმასრულებელ საბჭოს ყველა აღნიშნული დოკუმენტის მიღების უფლებამოსილებას, გარდა მმართველი ორგანოებსა და კორპორაციულ მდივანთან დაკავშირებული დოკუმენტებისა.

## ბ. კომპანიის კორპორაციული მართვის კოდექსი

### 1. რას წარმოადგენს კომპანიის კორპორაციული მართვის კოდექსი?

კომპანიის კორპორაციული მართვის კოდექსი წარმოადგენს პრინციპებზე დამყარებულ განაცხადს კომპანიის კორპორაციული მართვის შესახებ. იგი გამიზნულია იმისათვის, რომ მართვის სტრუქტურა გაცილებით გამჭვირვალე გახდეს, დაადასტუროს კომპანიის ერთგულება სანიმუშო კორპორაციული მართვის მიმართ და უზრუნველყოს:

- პასუხისმგებლობის მქონე, ანგარიშვალდებული და ღირებულებებზე ორიენტირებული მენეჯმენტის არსებობა
- ეფექტიანი სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი საბჭო, რომლებიც მოქმედებენ კომპანიის და მისი აქციონერების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მცირე აქციონერების ჩათვლით და ცდილობენ აქციების ღირებულების მდგრად ზრდას; და
- ინფორმაციის სათანადო გამჟღავნება და გამჭვირვალობა, ისევე როგორც რისკის მართვისა და შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა

კომპანიის კორპორაციული მართვის კოდექსის მიღებით, დაცვითა და რეგულარული განახლებით კომპანია ადასტურებს იმას, რომ სურს დემონსტრაციულად წარმართოს და დაამკვიდროს კორპორაციული მართვის სანიმუშო პრაქტიკა. აქციონერების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით, კომპანიის კორპორაციული მართვის კოდექსი უნდა სცილდებოდეს დადგენილ სამართლებრივ და მარეგულირებელ სისტემას და მოიცავდეს ეროვნულ და საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორაციული მართვის პრაქტიკის საუკეთესო სტანდარტებს.



## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კარგად განვითარებული კორპორაციული მართვის პრაქტიკის მქონე ქვეყნებში ბევრ კომპანიას წესდებასა და დებულებებთან ერთად ნებაყოფლობით აქვს ნებაყოფლობითი კორპორაციული მართვის კოდექსი ან მითითებები. ამ კოდექსების უმეტესობა არის პრინციპების მოკლე და მარტივი განაცხადი. კოდექსებში ზოგადად ასახულია დირექტორთა საბჭოს და მენეჯმენტის სურვილი, განახორციელონ კომპანიის ოპერაციები პატიოსანი, სამართლიანი და სოციალურის პასუხისმგებლობით აღსავსე ფორმით. კომპანიის კოდექსები და მითითებები შეიძლება მოიცავდეს საკითხების მნიშვნელოვან რაოდენობას, მათ შორისაა:

- კორპორაციული მართვის ზოგადი საკითხები:
  - კომპანიის მიზნები და ამოცანები;
  - ურთიერთობა აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს შორის;
  - ურთიერთობა დირექტორთა საბჭოსა და გენერალურ დირექტორს შორის;
  - ურთიერთობა მაკონტროლებელ და მცირე აქციონერებს შორის.
- საბჭოს სანიმუშო პრაქტიკა:
  - შემადგენლობაში რამდენიმე დამოუკიდებელი დირექტორის არსებობა;
  - კომიტეტების რაოდენობა და სტრუქტურა;
  - ზოგადი სამუშაო პროცედურები; და
  - არააღმასრულებელი დირექტორების ანაზღაურება.
- აქციონერთა უფლებები:
  - აქციონერთა საერთო კრების ორგანიზებასა და გამართვასთან დაკავშირებით;
  - მცირე აქციონერების დაცვა;
  - დაკავშირებული მხარის გარიგებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება; და
  - კომპანიის დივიდენდების პოლიტიკა.
- ინფორმაციის გამჟღავნებასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხები:
  - შიდა კონტროლის ფუნქცია რისკის მართვის ჩათვლით;
  - აუდიტის და საკონსულტაციო მომსახურების გამოყენებისა და გარე აუდიტორის როტაციის პოლიტიკა;
  - ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა და სტანდარტები;
  - კომპანიის შესახებ ფინანსური ანგარიშგებების და მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამჟღავნება.
- კომპანიის ანგარიშვალდებულება დაინტერესებული მხარეების წინაშე:
  - ურთიერთობა ინვესტორებსა და სხვა მხარეებთან, რომლებსაც აქვთ კომპანიის მიმართ ინტერესი.

თუ რა საკითხები უნდა მოიცვას კოდექსმა, დამოკიდებულია კომპანიისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობის თემებზე. როგორც წესი, კომპანიის კოდექსს ამტკიცებს დირექტორთა საბჭო, რაც ეცნობებათ აქციონერებსა და ინვესტორებს და ქვეყნდება კომპანიის ინტერნეტგვერდზე. კომპანიის კოდექსი ან მითითებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას, აგრეთვე წესდებასა და დებულებებს და ზოგადად უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებს. კორპორაციული მართვის კოდექსი ვერ შეცვლის წესდებასა და დებულებებს.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

დამტკიცებული კორპორაციული მართვის კოდექსი უნდა გამოქვეყნდეს კომპანიის ვებგვერდზე და კომპანიამ კოდექსის ასლი უფასოდ უნდა მიანოდოს ყველა აქციონერს.

## 2. საქართველოს კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის

2009 წლის 23 სექტემბერს საქართველოს ბანკების ასოციაციამ მიიღო კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის (კორპორაციული მართვის კოდექსი). ეს არის ნებაყოფლობითი კოდექსი, რომელიც ემყარება „დაემორჩილე ან განმარტე“ პრინციპს. მისი მიღების შემდეგ 11 კომერციული ბანკი უკვე შეუერთდა კორპორაციული მართვის კოდექსს.

კორპორაციული მართვის კოდექსი ემყარება ეთგო-სა და ბაზელის კორპორაციული მართვის პრინციპებს და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: აქციონერთა უფლებები, მმართველი ორგანოები, კორპორაციული მდივანი, შიდა კონტროლი და რისკის მართვა, ინფორმაციის გამჟღავნება და გამჭვირვალობა, მარეგულირებელი ორგანოების წევრთა შეფასება და ანაზღაურება, ინტერესთა კონფლიქტი, ჰოლდინგური კომპანიის კორპორაციული მართვა და დაკავშირებული მხარეების კორპორაციული მართვა.

ამ კოდექსის რეკომენდაციით, საქართველოში მოქმედი ყველა ბანკი უნდა ითვალისწინებდეს კოდექსით დადგენილი ნორმების არსს და ყოველწლიურად ამზადებდეს კორპორაციული მართვის ანგარიშგებებს. ასეთ ანგარიშგებებში თითოეულმა ბანკმა უნდა დაამტკიცოს მისი შესაბამისობა კოდექსის მოთხოვნებთან ან ახსნას მიზეზები, რატომ ურჩევნია არ შეასრულოს აღნიშნული მოთხოვნები.

მართალია კორპორაციული მართვის კოდექსი ბანკებისთვისაა მიღებული, მაგრამ მისი დებულებები ზოგადაა და სხვა კომპანიებსაც თავისუფლად შეუძლიათ გამოიყენონ კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციები როგორც სტანდარტი საწინამდებარე კორპორაციული მართვის პრაქტიკისთვის.

## დ. კომპანიის ეთიკის კოდექსი

### 1. რას წარმოადგენს ეთიკის კოდექსი?

ეთიკის კოდექსი (რომელსაც ასევე უწოდებენ ქცევის კოდექსს ან პასუხისმგებლობის განცხადებას) არის ქცევის ძირითადი სახელმძღვანელო, რომელიც კომპანიის ოფიცრებსა და თანამშრომლებს აკისრებს მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, კოლეგების, მომხმარებლებისა და კლიენტების, ბიზნესპარტნიორების (მაგ., მომწოდებლების), მთავრობისა და საზოგადოების წინაშე.

### 2. რატომ არის საჭირო ეთიკის კოდექსის მიღება?

კომპანიას შეიძლება უნდოდეს ეთიკის კოდექსის მიღება, რადგან კოდექსი:

- **აძლიერებს კომპანიის რეპუტაციას/იმიჯს:** კომპანიის რეპუტაცია და იმიჯი მისი აქტივების შემადგენელი არამატერიალური ნაწილია. ეთიკის კოდექსის შემუშავება ეფექტიანი გზაა იმ მნიშვნელობის კომუნიკაციისთვის, რომელსაც კომპანია ანიჭებს საწინამდებარე ბიზნესპრაქტიკას.
- **აუმჯობესებს რისკის და კრიზისის მართვას:** ეთიკის კოდექსს შეუძლია პოტენციურ პრობლემებზე სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს ყურადღების გამახვილება ყოველსადაც ველი კრიზისის დადგომამდე, რადგან ის ამზადებს თანამშრომლებს ეთიკურ დილემებზე რეაგირებისათვის.
- **შეიმუშავებს კორპორაციულ კულტურას და წინა პლანზე გამოაქვს კორპორაციული ღირებულებები:** ეთიკის კოდექსი შემუშავებულია და ფართოდაა გავრცელებული კომპანიის ოფიცრების და თანამშრომლების მიერ, და მას შეუძლია დახმარების განევა ერთიანი კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებაში, საერთო ღირებუ-

ლებების საფუძველზე, რაც დახმარებას უნევს თანამშრომლებს მათ ყოველდღიურ საქმიანობაში.

- **ხელს უწყობს კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან:** ეთიკის კოდექსს აქვს ძლიერი სადემონსტრაციო ეფექტი დაინტერესებული მხარეების მიმართ, განსაკუთრებით კრიზისის პერიოდში, აგრეთვე მათთვის კომპანიის ეთიკური ქცევისადმი ერთგულების დამტკიცების თვალსაზრისით და იმის ხაზგასმით, რომ მნიშვნელოვანი დარღვევები გამონაკლისი უნდა იყოს და არა წესი.
- **გამორიცხავს სასამართლო დავას:** ეთიკის კოდექსი ეთიკის ეფექტიან პროგრამასთან ერთად იძლევა სასამართლო პროცესის რისკის მინიმუმამდე დაყვანის საშუალებას, რომელიც გამონეწულია თაღლითობით, ინტერესთა კონფლიქტით, კორუფციით და მექრთამობითა და ინსაიდერული ვაჭრობით.

### 3. როგორ უნდა დაინერგოს ეთიკის კოდექსი?


თითოეული კომპანია განსხვავებულია სიდიდისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით და აქვს გამორჩეული ბიზნესკულტურა, ღირებულებათა ნაკრები და ეთიკურად მგრძობიარე საოპერაციო არეალი. ეთიკის კოდექსი უნდა ასახავდეს ამ განსხვავებებს. იგი უნდა სცილდებოდეს მარტივ წესებს და ყურადღებას უნდა აქცევდეს ძირითად ღირებულებებს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეთიკის კოდექსის შემუშავებამდე კომპანიას განსაზღვრული და ფორმულირებული ჰქონდეს საკუთარი ღირებულებები.

ეთიკის კოდექსის შემუშავება უფრო მეტია, ვიდრე ქაღალდზე მისი გადატანა. კოდექსის შემუშავება პროცესიცაა და, ამავე დროს, შედეგიც. ეთიკის კოდექსის საჭიროების განსაზღვრისას, კომპანიამ წინასწარ უნდა შეისწავლოს შიდაეთიკური კლიმატი, თანამშრომლებისა და ოფიცრების მიერ მიღებული ეთიკური მითითებების რაოდენობა და ტიპი, აგრეთვე შეაფასოს კომპანიის წინაშე არსებული რისკები ასეთი კოდექსის არსებობის გარეშე. შემდეგ, კომპანია უნდა ეცადოს, რომ ყველამ, ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების ჩათვლით, თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში, თუ უნდა, რომ კოდექსმა რეალურად იმუშაოს კომპანიის ეთიკური პრაქტიკის თვალსაზრისით. ყველაზე მნიშვნელოვანია, კომპანიამ უზრუნველყოს კომპანიის შიგნით ფართო საკონსულტაციო პროცესი. სამეთვალყურეო საბჭოსთვის ეთიკის კოდექსის დასამტკიცებლად წარდგენის მომენტისათვის თითოეული თანამშრომელი უნდა იცნობდეს კოდექსს და წვლილი ჰქონდეს შეტანილი მის შემუშავებაში - პროცესში, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილეობას და ხელს უწყობს მის დანერგვას.

კომპანიამ ასევე უნდა აღიაროს, რომ „ზედა დონეზე არსებული ტონი“ მნიშვნელოვანია და ხელმძღვანელობის და დირექტორების საჯარო და სადემონსტრაციო ერთგულება ძირითადი კომპონენტია ეთიკის კოდექსის დანერგვის პროცესში.

ეთიკის კოდექსი უნდა იყოს მომხმარებლის ინტერესებზე მორგებული, ე.ი. უნდა იძლეოდეს პრაქტიკულ მითითებებს კომპანიის მენეჯმენტისა და თანამშრომლების იმ ეთიკური პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ყოველდღიურ ბიზნესსაქმიანობაში. ეთიკის კოდექსის მხარდასაჭერად კომპანიამ შეიძლება შეიმუშაოს ეთიკის ტრენინგის პროგრამა, დანიშნოს ეთიკის ოფიცერი, შექმნას ეთიკის ოფისი და/ან სამეთვალყურეო საბჭოს ეთიკის კომიტეტი, რომელიც რეკომენდაციებსა და ცოდნას გადასცემს ოფიცრებსა და თანამშრომლებს და უზრუნველყოფს კონსულტაციების კონფიდენციალურობას.

სამეთვალყურეო საბჭოს ეთიკის კომიტეტმა ეთიკის კოდექსი მუდმივად უნდა ცვალოს, შეიტანოს სარედაქციო ცვლილებები და განაახლოს.



თავი

სამეთვალყურეო საბჭო

IV

## ❓ კითხვარი



### სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება:

არის თუ არა სამეთვალყურეო საბჭო ფოკუსირებული კომპანიისა და მისი აქციონერების ინტერესების დაცვაზე? ესმის თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს სამეთვალყურეო საბჭოს როლი და პრიორიტეტები? აქვს თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს წესდებით განსაზღვრული საკმარისი უფლებამოსილება, რომ განახორციელოს საზედამხედველო მოვალეობები? არის თუ არა ეს უფლებამოსილება სათანადოდ გადმოცემული? იყენებს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო საკუთარ უფლებამოსილებას რეალურად?

როგორია სამეთვალყურეო საბჭოს როლი ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა კომპანიის მართვა, აქციონერთა საერთო კრების ორგანიზება, კომპანიის აქტივების დაცვა, კონფლიქტების გადაწყვეტა და შიდა კონტროლის და რისკის მართვის ზედამხედველობა? რამდენად ეფექტიანია საბჭო სტრატეგიის წარმართვასა და დადგენაში? არსებობს თუ არა ჩანაცვლების გეგმა, განსაკუთრებით - გენერალური დირექტორისთვის?

განსხვავდება თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება მენეჯმენტის უფლებამოსილებისგან როგორც დოკუმენტურად, ისე პრაქტიკულად?



### სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა:

ვინ არიან სამეთვალყურეო საბჭოს კანდიდატები? მიენოდებათ თუ არა აქციონერებს საკმარისი ინფორმაცია წარდგენილი კანდიდატების შესახებ? როგორ ახდენს სამეთვალყურეო საბჭო გავლენას წარდგენის პროცესზე?

უზრუნველყოფს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო, რომ ყველა აქციონერს ესმოდეს კუმულაციური კენჭისყრის არსი?



### სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა:

აქვს თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს შემუშავებული, მკაფიოდ განსაზღვრული და დანერგული პოლიტიკა მის სიდიდესთან, შემადგენლობასა და საჭირო უნარ-ჩვევების ნაკრებთან, გამოცდილებასა და სხვა აუცილებელ მახასიათებლებთან დაკავშირებით?

არის თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა ადეკვატური, წევრთა კომპეტენციის და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, საზედამხედველო მოვალეობების შესასრულებლად და მისი სტრატეგიის შესამუშავებლად?

რამდენად ეფექტიანია სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც ერთიანი გუნდის, საქმიანობა?

ჰყავს თუ არა კომპანიას საბჭოს დამოუკიდებელი წევრები? შეადგენენ თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს არააღმასრულებელი წევრები უმრავლესობას (შერეული სამეთვალყურეო საბჭოს შემთხვევაში)?

რამდენად ეფექტიანია სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობის უნარი როგორც საბჭოს, ისე კომიტეტის დონეზე?

შეესაბამება თუ არა საბჭოს წევრთა რაოდენობა კომპანიის სა-

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ❓ კითხვარი

ჭიროებას? ჰყავს თუ არა კომპანიას წევრების საკმარისი რაოდენობა სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების შესაქმნელად?



### სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა და კომიტეტები:

აქვს თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნილი აუდიტის, დანიშვნის და/ან ანაზღაურების კომიტეტები? როგორია ამ ან სხვა კომიტეტებთან დაკავშირებული ხარჯი და სარგებელი? არიან თუ არა საკმარისად დამოუკიდებელი (არააღმასრულებელი) წევრები, რათა შეასრულონ ამ კომიტეტების თავმჯდომარისა და წევრების ფუნქცია? აქვთ თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებს საკმარისი რესურსი, როგორც ადამიანური, ისე ფინანსური, თავიანთი ფუნქციების ეფექტიანად განსახორციელებლად?

რამდენად კარგად არიან ინფორმირებული კომიტეტების არაწევრები კომიტეტებში მიმდინარე განხილვების შესახებ? ადეკვატურია თუ არა კომიტეტის მიერ სამეთვალყურეო საბჭოსთვის მომზადებული ინფორმაცია ეფექტიანი გადაწყვეტილების მისაღებად?

აქვთ თუ არა აუდიტის კომიტეტის წევრებს საკმარისი გამოცდილება საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით? მიუწვდებათ თუ არა მათ ხელი სარევიზიო კომისიის, გარე აუდიტორის, შიდა აუდიტის განყოფილების და აღმასრულებელი ორგანოების ინფორმაციაზე კომპანიის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ?



### სამეთვალყურეო საბჭოს სამუშაო პროცედურები:

აქვს თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს განსაზღვრული, პრიორიტეტებად ჩამოყალიბებული და დაგეგმილი ძირითადი საკითხები, რომლებიც რეგულარულად უნდა იქნეს განხილული? აქვს თუ არა საბჭოს განსაზღვრული ინფორმაცია, რომელიც მას სჭირდება საკვანძო საკითხების გასაანალიზებლად?

ასრულებს თუ არა თავმჯდომარე აქტიურ როლს სამეთვალყურეო საბჭოს სამუშაოს ორგანიზებაში? აწყობს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო სხდომებს რეგულარულად განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად?

ხელს უწყობს თუ არა თავმჯდომარე თავისუფალი და ღია დისკუსიის მოწყობას?

არსებობს თუ არა პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მომზადებასა და გამართვას, მაგ., პროცედურები დღის წესრიგის შესახებ წინასწარი შეტყობინების თაობაზე, მასალებისა და დოკუმენტების გავრცელების შესახებ, კვორუმის სათანადოდ განსაზღვრის, დაუსწრებელი კენჭისყრის ბიულეტენებისა და ოქმების მომზადების შესახებ? რამდენად ეფექტიანია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები პრაქტიკაში?

არის თუ არა წევრებისთვის მიწოდებული ინფორმაცია ფოკუსირებული, ლაკონური და იძლევა თუ არა ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას? არის თუ არა ძირითადი საკითხები და რისკები გაშუქებული? შეიცავს თუ არა მასალები დანართებს შემდგომი სათანადო დეტალებით?

## ❓ კითხვარი

როგორ უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭო აღმასრულებელი ორგანოების სათანადო ზედამხედველობას? იღებს თუ არა იგი აღმასრულებელი ორგანოებისგან პერიოდულ ანგარიშებს და განახლებულ ინფორმაციას? ინვესს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო აღმასრულებელი ორგანოების წევრებს საბჭოს სხდომებზე მისი წევრების ძირითადი საკითხების შესახებ ინფორმირების მიზნით? რამდენად კარგად ურთიერთქმედებს სამეთვალყურეო საბჭო აღმასრულებელ ორგანოებთან, მათ შორის გენერალურ დირექტორთან? იძლევა თუ არა საბჭო გონივრულ რჩევას და მკაფიო მიმართულებას? უპირისპირდება თუ არა მათ იგი საკმარისად? როგორ აბალანსებს იგი ზედამხედველობას მიკრომართვის მიმართ?



### სამეთვალყურეო საბჭოს მოვალეობები და ვალდებულებანი:

ესმის თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს საკუთარი მოვალეობა, რომ იმოქმედოს კეთილსინდისიერად კომპანიის და მისი აქციონერების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე? ემზადებიან თუ არა წევრები სათანადოდ საბჭოს სხდომებისთვის? რამდენად ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭო სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს?

აქვს თუ არა კომპანიას გაფორმებული ხელშეკრულებები საბჭოს წევრებთან? აღწერილია თუ არა ასეთ ხელშეკრულებებში მათი მოვალეობები და ვალდებულება? არიან თუ არა დაცული საბჭოს წევრები?



### სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასება და ტრენინგი:

ახორციელებს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურ თვითშეფასებას? აქვს თუ არა შემუშავებული ფუნქციონირების მაჩვენებლები ან სტანდარტები საკუთარი საქმიანობის შესაფასებლად? არის თუ არა ეს პროცესი სანდო და ხელმისაწვდომია თუ არა შედეგები აქციონერებისთვის?

ატარებს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულ ტრენინგებს კორპორაციულ მართვასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით? ესწრება თუ არა საბჭოს ყველა წევრი აღნიშნულ ტრენინგებს? ეწყობა თუ არა კომპანიაში საორიენტაციო ტრენინგი ახალი წევრებისთვის კომპანიის სტრატეგიისა და ოპერაციების გასაცნობად?



### სამეთვალყურეო საბჭოს ანაზღაურება:

არის თუ არა საბჭოს წევრების ანაზღაურება კონკურენტული? ერთნაირია თუ არა ყველა წევრის ანაზღაურება? არის თუ არა ანაზღაურება იმგვარად შედგენილი, რომ იძლეოდეს სტიმულს დამატებითი პასუხისმგებლობის, მაგალითად, კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობების შესასრულებლად?

ანაზღაურების პაკეტი საფრთხის ქვეშ ხომ არ აყენებს საბჭოს წევრის დამოუკიდებლობას? არის თუ არა ერთიანი ანაზღაურების პაკეტი საბჭოს წევრის მთლიანი წლიური შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი?

სამეთვალყურეო საბჭო და მისი ნომინაციებისა და ანაზღაურების კომიტეტი პერიოდულად განიხილავენ თუ არა საბჭოს წევრებისთვის გადახდილ ანაზღაურებას? ხდება თუ არა საბჭოს წევრების ანაზღაურების გამჟღავნება ინდივიდუალურ საფუძ-

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ❓ კითხვარი

ველზე?

აქვს თუ არა კომპანიას პოლიტიკა, რომელიც კრძალავს პირადი სესხების ან კრედიტების გაცემას საბჭოს წევრებისათვის?

აქვს თუ არა აღმასრულებელ და არააღმასრულებელ პირებს ერთნაირი ანაზღაურება? აქვს თუ არა კომპანიას პოლიტიკა სამეთვალყურეო საბჭოში (შერეული სამეთვალყურეო საბჭოს შემთხვევაში) აღმასრულებელი წევრების საქმიანობის ანაზღაურებასთან დაკავშირებით (აღმასრულებელ პოზიციაზე მიღებული ანაზღაურების გარდა)?

სანიმუშო კორპორაციული მართვისთვის აუცილებელია ეფექტიანი, პროფესიონალი და დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა.<sup>1</sup> სამეთვალყურეო საბჭო მოქმედებს კომპანიისა და მისი აქციონერების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. იგი განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას, იცავს აქციონერთა უფლებებს და ზედამხედველობას უწევს კომპანიის აღმასრულებელ ორგანოებს და ფინანსურ ოპერაციებს.

მიუხედავად იმისა, რომ სამეთვალყურეო საბჭო ვერ დაიკავებს ნიჭიერი პროფესიონალი მენეჯერების ადგილს და ვერ შეცვლის ეკონომიკურ გარემოს კომპანიის ფუნქციონირებისათვის, მას სტრატეგიული ზედამხედველობის მეშვეობით და მენეჯმენტის კონტროლით შეუძლია გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე. სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა შეიძლება სრულიად შეუმჩნეველი იყოს, როცა ეკონომიკა ძლიერია, აქციების ფასები იზრდება და ყოველივე თითქოს უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. მეორე მხრივ, როდესაც მოვლენები ცუდად ვითარდება, სამეთვალყურეო საბჭო ექცევა ყურადღების ცენტრში და თვალსაჩინო ხდება მისი მნიშვნელობა.

სამეთვალყურეო საბჭოს სამართლებრივ რეჟიმს ახასიათებს სავალდებულო მოთხოვნები, მაგრამ იგი აგრეთვე ერთგვარი მოქნილობის საშუალებას იძლევა, რითაც კომპანიებს შეუძლიათ თავიანთი შიდა ორგანიზაცია მოარგონ საკუთარ საჭიროებებსა და გარემოებებს.

ამ თავში აღწერილია სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება, მისი წევრების არჩევა და გათავისუფლება, შემადგენლობა, სტრუქტურა, სამუშაო პროცედურები, მოვალეობები და ვალდებულება, შეფასება და ანაზღაურება.

მასში ასევე განხილულია კორპორაციული მართვის პრინციპები და სტანდარტები, რომლებიც წარმოადგენილია კომერციული ბანკებისთვის შემუშავებულ კორპორაციული მართვის კოდექსში, და სხვა საუკეთესო პრაქტიკა.

### ა. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება

#### 1. როდის უნდა შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა მოთხოვნილია მენარმეთა შესახებ კანონით მსოლოდ იმ შემთხვევებში, როცა კომპანიის აქციონერთა რაოდენობა 100-ს აღემატება. კომპანია წარმოადგენს ანგარიშვალდებულ სანარმოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის თანახმად, რომლის აქციებიც მონაწილეობს ვაჭრობაში საფონდო ბირჟაზე ან ის ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ<sup>2</sup>. სხვა შემთხვევებში კომპანიის გადასაწყვეტია, შექმნის ის სამეთვალყურეო საბჭოს თუ არა.

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ არ შექმნას სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ მისი წესდებით სამეთვალყურეო საბჭოს კანონით დადგენილი ფუნქციები და უფ-

<sup>1</sup> სამეთვალყურეო საბჭო ორსაფეხურიან სისტემაში შეესაბამება უნიტარული საბჭოს სისტემაში არსებულ დირექტორთა საბჭოს

<sup>2</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მ.უხ. 55.1



ლებამოსილება უნდა გადანანილდეს კომპანიის მართვის სხვა ორგანოებზე<sup>3</sup> (აქციონერთა საერთო კრება და აღმასრულებელი საბჭო).

იმ კომპანიამ, რომელსაც უნდა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, სასურველია გადადგას გარკვეული ნაბიჯები, რომლებიც 1-ელ სურათზეა მითითებული:

**სურათი 1:** ხუთი ნაბიჯი სამეთვალყურეო საბჭოს შესაქმნელად

<b>ნაბიჯი 1</b>	სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილების, სტრუქტურის (კომიტეტების) და სიდიდის (წევრთა მთლიანი რაოდენობა) შესახებ გადანყვეტილების მიღება.	თავი I
<b>ნაბიჯი 2</b>	სამეთვალყურეო საბჭოს მიზნის, ამოცანებისა და საოპერაციო საქმიანობის განსაზღვრა (მაგ., შეხვედრის გრაფიკი, დრო და ადგილი).	თავი II
<b>ნაბიჯი 3</b>	სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისთვის კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების განსაზღვრა და დირექტორთა შესაბამისი პროფილების შემუშავება (მაგ., დარგობრივი გამოცდილება, პატიოსნება, საფინანსო განათლება და სხვ.).	თავი III
<b>ნაბიჯი 4</b>	გვერდის შემუშავება წევრების გამოსაძებნად და დასაქირავებლად, შესაძლოა სპეციალიზებული საკონსულტაციო სამსახურების და/ან ინსტიტუტების გამოყენებით.	თავი IV
<b>ნაბიჯი 5</b>	საორიენტაციო ტრენინგის პროგრამის შემუშავება ახალი წევრებისათვის. საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრა და სათანადო მასალების ხელმისაწვდომობა შეხვედრების დროს.	თავი V

წყარო: IFC, მარტი, 2004

**2. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილების მიმოხილვა**

მენარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება.<sup>4</sup> სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის სტრატეგიისა და ბიზნესპროორიტეტების განსაზღვრისათვის, ისევე, როგორც მენეჯმენტის საქმიანობის ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, აგრეთვე გადანყვეტილების მიღებისათვის ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილების ფარგლებს. რეალურად, სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციაა ხელმძღვანელობა და არა მართვა. ზოგიერთ შემთხვევაში წესდებით შეიძლება აქციონერთა საერთო კრების გარკვეული უფლებამოსილების სამეთვალყურეო საბჭოსათვის დელეგირება.<sup>5</sup> წესდებითვე შეიძლება აღმასრულებელი საბჭოს ფუნქციები მინიჭოს სამეთვალყურეო საბჭოს.<sup>6</sup>

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

როდესაც წესდებით სამეთვალყურეო საბჭოს ენიჭება დამატებითი ძალაუფლება და უფლებამოსილება, ეს უნდა შეესაბამებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს ტიპურ ფუნქციებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბუნდოვანება აქციონერთა საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭოს, გენერალურ დირექტორს და/ან აღმასრულებელ საბჭოს შორის უფლებამოსილების განაწილებასთან დაკავშირებით.

<sup>3</sup> იქვე, მუხ. 55.1  
<sup>4</sup> იქვე, მუხ. 55.7 და 55.8  
<sup>5</sup> იქვე, მუხ. 54.6  
<sup>6</sup> იქვე, მუხ. 55.7<sup>2</sup>

- ზოგადად, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია გადანყვეტილებები მიიღოს ისეთ სფეროებში, როგორიცაა:
- სტრატეგიული ზედამხედველობა და კონტროლი

- აქციონერთა უფლებების დაცვა
- აქტივები და სანესდებო კაპიტალი; და
- კონტროლი, ინფორმაციის გამჟღავნება და გამჭვირვალობა

### 3. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება სტრატეგიულ ზედამხედველობასა და კონტროლთან დაკავშირებით

სამეთვალყურეო საბჭო მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის სტრატეგიული ზედამხედველობისა და კონტროლის საქმეში. ამ სფეროში სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შემდეგი უფლებამოსილება:

#### ა) კომპანიის პრიორიტეტების და სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრა

სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს კომპანიის პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულება.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია:

- განსაზღვროს კომპანიის სტრატეგიული მიმართულება
- ყოველწლიურად დაამტკიცოს ფინანსური და ბიზნესგეგმები; და
- დაადგინოს და ზედამხედველობა გაუწიოს შიდა კონტროლის პროცედურებს

სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებას საბაზრო გარემოს, ფინანსური მდგომარეობის და სხვა ფაქტორების კონტექსტში. კომპანიის სტრატეგიული და ბიზნესგეგმები განხილული და შეფასებული უნდა იყოს, სულ ცოტა, ყოველწლიურად. შეფასება ასევე უნდა მოიცავდეს წარმოებას, მარკეტინგს და დაგეგმილ ინვესტიციებს. დაბოლოს, სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ერთ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ერთი წლის ფინანსურ პროგნოზს.

კორპორაციული მართვის სანიმუშო პრინციპების რეკომენდაცია ასევე, რომ:

- გენერალური დირექტორი და აღმასრულებელი საბჭო იღებდნენ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას გარიგებებისთვის, რომლებიც სცდება ფინანსური და ბიზნესგეგმის ფარგლებს (არასტანდარტული ოპერაციები)
- კომპანიამ შეიმუშაოს დებულებები ან სხვა შიდა დოკუმენტები დეტალური პროცედურებით გენერალური დირექტორისა და აღმასრულებელი საბჭოსთვის, თუ როგორ მიიღონ თანხმობა ისეთ გარიგებებზე, რომლებიც სცილდება ფინანსური და ბიზნესგეგმის ფარგლებს; და
- სამეთვალყურეო საბჭოს ჰქონდეს გენერალური დირექტორის და აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების ვეტოს უფლება არასტანდარტული ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებით, თუ ასეთი ვეტოს გამოყენება გამართლებულია

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

სამეთვალყურეო საბჭო არ მონაწილეობს კომპანიის ყოველდღიურ მართვაში - ეს აღმასრულებელი ორგანოების პასუხისმგებლობაა.

**ბ) აღმასრულებელი საბჭოს წევრთა დანიშვნა**

სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია დანიშნოს აღმასრულებელი საბჭოს წევრები და გააფორმოს მათთან ხელშეკრულებები.<sup>7</sup>

**გ) აღმასრულებელი საბჭოს წევრების გათავისუფლება**

აღმასრულებელი საბჭოს წევრების დანიშვნის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულია გათავისუფლების უფლებამოსილებაც.

**დ) ხელშეკრულების გაფორმება აღმასრულებელ ორგანოებთან**

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს კომპანიასა და აღმასრულებელი საბჭოს წევრებს შორის. მენარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრულია, რომ თუ კომპანიის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით უნდა დადგინდეს აღმასრულებელი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ფარგლები.<sup>8</sup>

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

რეკომენდებულია სამეთვალყურეო საბჭომ დაადგინოს მენეჯერებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები, მათი ანაზღაურების ჩათვლით. გავრცელებული საერთაშორისო პრაქტიკაა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს ანაზღაურების კომიტეტმა, რომელსაც თავმჯდომარეობს და რომლის შემადგენლობაშიც შედიან დამოუკიდებელი წევრები, განსაზღვროს გენერალური დირექტორის და სხვა ხელმძღვანელ პირთა ანაზღაურება. მაგალითად, გერმანული კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, აღმასრულებელი საბჭოს ანაზღაურება განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საქმიანობის შეფასების საფუძველზე. ანაზღაურების დონის შესაფასებლად გამოყენებული კრიტერიუმებია: აღმასრულებელი საბჭოს წევრების ამოცანები; მათი საქმიანობა; კომპანიის ეკონომიკური (ფინანსური) მდგომარეობა; და, განსაკუთრებით, საქმიანობის პერსპექტივები კონკურენტ კომპანიებთან შედარებით.

**ე) აღმასრულებელი ორგანოების ოპერაციების ზედამხედველობა**

აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდებული უნდა იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერების წინაშე.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

აღმასრულებელი ორგანოები, როგორც წესი, ანგარიშს აბარებენ აქციონერებს საერთო კრების მსვლელობისას. აქციონერების უმრავლესობა, განსაკუთრებით, მცირე აქციონერები, ვერ ახორციელებენ მენეჯმენტის ეფექტიან ზედამხედველობას. ეს სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობაა, რომელიც ზედამხედველობას უწევს აღმასრულებელ ორგანოებს ყველა აქციონერის სახელით.

იმისათვის, რომ სამეთვალყურეო საბჭომ შეასრულოს საზედამხედველო ფუნქცია, წესდებით მას უნდა მიენიჭოს საკმარისი უფლებამოსილება საკითხების ფართო სპექტრთან დაკავშირებით, მათ შორის, კომპანიის ფინანსური და ბიზნესოპერაციების ზედამხედველობის უფლებამოსილების ჩათვლით. აღმასრულებელი საბჭოს შექმნისა და არჩევისას სათანადო ბალანსი უნდა იქნეს დაცული გენერალურ დირექტორზე ზედამხედველობის დანებსა და კორპორაციულ საქმიანობაში მისთვის საკმარისი ავტონომიის მიცემას შორის. სუსტი ზედამხედველობის საფრთხე ყველასთვის ცნობილია; მენეჯერები შეიძლება მოქმედებდნენ პირადი ინტერესებით და ატყუებდნენ აქციონერებს. მეორე მხრივ, ასევე არსებობს ზედმეტი ზედამხედველობის საშიშროება, რაც მოიცავს

<sup>7</sup> იქვე, მუხ. 55.7 (ვ)

<sup>8</sup> იქვე, მუხ. 55.8 (ე)

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

მიკრომართვას და მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიზებას. როგორც სუსტმა, ისე ზედმეტმა ზედამხედველობამ შეიძლება გამოიწვიოს არა-ეფექტიანობა და სამართლებრივი პრობლემები. შედეგად, წესდებები, დებულებები და პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები უნდა შემუშავდეს კომპანიის მმართველ ორგანოებს შორის პასუხისმგებლობის განაწილების მიმართულებით, იმის საფუძველზე, თუ რომელი ორგანოა უკეთესად მორგებული კონკრეტული ამოცანის შესრულებას. მენეჯერული ამოცანების განხორციელება, რა თქმა უნდა, დაეკისრებათ პროფესიონალ მენეჯერებს. საზედამხედველო ამოცანები უნდა განახორციელონ ისეთმა საზედამხედველო ორგანოებმა, როგორცაა სამეთვალყურეო საბჭო და აქციონერთა საერთო კრება.

მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია მოითხოვოს აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმები. სამეთვალყურეო საბჭო ასევე იღებს გადაწყვეტილებას, შეიძლება თუ არა გენერალურ დირექტორს და აღმასრულებელი საბჭოს წევრს ეკავოს თანამდებობა სხვა იურიდიული პირის მმართველობით ორგანოში, რათა თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი, რაც შესაძლოა ხელს უშლიდეს გენერალურ დირექტორს და სხვა აღმასრულებელ პირებს თავიანთი ფუნქციების სათანადოდ განხორციელებაში.<sup>9</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

სამეთვალყურეო საბჭოს საჭიროა ესმოდეს, რისი მონიტორინგი უნდა განახორციელოს. ყველა სამეთვალყურეო საბჭოს შეიძლება გაუჩნდეს ისეთი სფეროების მონიტორინგის სურვილი, როგორცაა:

- კომპანიის საერთო საქმიანობა, განსაკუთრებით კონკურენტ კომპანიებთან შედარებით
- აღმასრულებელი ორგანოების შესაბამისობა კანონებსა და შიდა პროცედურებთან, მათ შორის კორპორაციული მართვის, რისკის მართვისა და შიდა კონტროლის, აგრეთვე ეთიკის პროცედურებთან
- აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობა, როგორც გუნდური ისე ინდივიდუალური
- კომპანიის სტრატეგიის განხორციელება
- კომპანიის მარკეტინგული და გაყიდვების ამოცანები
- კომპანიის ფინანსური შედეგები; და
- ურთიერთობა ძირითად აქციონერებთან, მათ შორის კომპანიის აქციონერებთან, ისევე როგორც თანამშრომლებთან, მიმწოდებლებსა და კლიენტებთან

### ვ) კორპორაციული მდივნის დანიშვნა

მიუხედავად იმისა, რომ მენარმეთა შესახებ კანონით არ არის გათვალისწინებული სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება დანიშნოს კორპორაციული მდივანი, სამეთვალყურეო საბჭოს ეს ფუნქცია წესდებით უნდა განისაზღვროს. ეს პრინციპი ასახულია საქართველოს კომერციული ბანკებისთვის შემუშავებულ კორპორაციული მართვის კოდექსში, რომლის თანახმადაც, კორპორაციული მდივნის დანიშვნა და მასთან ხელშეკრულების ვადების და პირობების განსაზღვრა, ანაზღაურების თანხის ჩათვლით, უნდა შედიოდეს სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებაში. მეტიც, კორპორაციული მდივანი ანგარიშვალდებული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე და იყოფებოდეს მისი ზედამხედველობის ქვეშ მისი სასამართლო ხელშეკრულების ვადის და პირობების შესაბამისად.<sup>10</sup>

### ზ) საბჭოს კომიტეტების შექმნა

მენარმეთა შესახებ კანონი არ შეიცავს დებულებებს სამეთვალყურეო საბჭოს

<sup>9</sup> იქვე, მუხ. 9.5  
<sup>10</sup> კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, თავი 5

კომიტეტების შესახებ. ეს დებულებები მოცემულია კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონში, რომელიც მოითხოვს კომერციული ბანკებისგან შექმნან აუდიტის კომიტეტი.<sup>11</sup>

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

**კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:**

სამეთვალყურეო საბჭო, თავისი საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების მიზნით, თავისი წევრებისგან ქმნის კომიტეტებს.

სამეთვალყურეო საბჭოში ბანკები ქმნიან, სულ მცირე, აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტებს. (ნაწილი 6, 3 და 4)

**თ) დებულებების დამტკიცება**

მიუხედავად იმისა, რომ, მენარმეთა შესახებ კანონით არ არის დაკონკრეტებული, სამეთვალყურეო საბჭოა ის ორგანო, რომელმაც უნდა დაამტკიცოს დებულებები და კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა შიდა დოკუმენტები.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

**კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:**

გარდა კანონმდებლობით და ბანკის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებებისა, სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებია შიდა დებულებების, ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული წესებისა და ინსტრუქციების, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის წევრთა ჩანაცვლების, ანაზღაურების და ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკების შემუშავება და დამტკიცება. (ნაწილი 4 (ა) 5)

**ი) ფილიალებისა და წარმომადგენლობითი ოფისების შექმნა**

კომპანიის ფილიალებისა და წარმომადგენლობითი ოფისების შექმნისათვის საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა.<sup>12</sup>

**4. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება აქციონერთა უფლებებთან დაკავშირებით**

**ა) აქციონერთა საერთო კრების ორგანიზება**

სამეთვალყურეო საბჭოს აქვს უფლება და ზოგჯერ ვალდებულებაც, რომ შეიტანოს საკითხები დღის წესრიგში.<sup>13</sup> სამეთვალყურეო საბჭოს ასევე შეუძლია აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში შეიტანოს საკითხები აქციონერის (ან აქციონერთა ჯგუფის) მოთხოვნის საფუძველზე.<sup>14</sup>

**ბ) კორპორაციული კონფლიქტების გადაწყვეტა**

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქციაა კორპორაციულ პროცედურებთან შესაბამისობის სისტემის შექმნა. სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ყველა საჭირო ნაბიჯის გადადგმა იმ კონფლიქტების პრევენციისა და გადაწყვეტისათვის, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას აქციონერებსა და კომპანიას შორის. მან შეიძლება დანიშნოს თანამდებობის პირები აღსრულების სისტემების დანერგვის მიზნით. ასევე სამეთვალყურეო საბჭომ შეიძლება შექმნას კონფლიქტების მოგვარების საბჭო.

<sup>11</sup> კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 16  
<sup>12</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 55.8 (ბ)  
<sup>13</sup> იქვე, მუხ. 55.7 (დ)  
<sup>14</sup> იქვე, მუხ. 53.3<sup>1</sup> და 53.3<sup>3</sup>

თავი I  
 თავი II  
 თავი III  
 თავი IV  
 თავი V  
 თავი VI  
 თავი VII  
 თავი VIII  
 თავი IX  
 თავი X  
 თავი XI  
 თავი XII

## 5. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება აქტივებსა და სანქსდებო კაპიტალთან დაკავშირებით

თუ კომპანიის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა საჭიროა საწარმოს 50%-ზე მეტი წილის შექმნისა და გასხვისებისათვის, აგრეთვე კომპანიის აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დასაშვებად და საზოგადოების იმ ქონების შექმნის ან გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, რომელთა ღირებულებაც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას.<sup>15</sup>

კომპანიის წესდებით სამეთვალყურეო საბჭოს შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება ნებადართული აქციების ფარგლებში ახალი აქციების განთავსების შესახებ.<sup>16</sup> აქციებში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების მიმართ გამოიყენება იგივე წესი.<sup>17</sup>

## 6. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება კონტროლთან, ინფორმაციის გამჟღავნებასთან და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით

### ა) წლიური ანგარიშის წინასწარი დამტკიცება

აღმასრულებელი ორგანოები პასუხისმგებელი არიან ფინანსური ანგარიშგების წარმოებისა და მომზადებისთვის. სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს და ადასტურებს წლიურ ანგარიშს და ფინანსურ ანგარიშგებებს აქციონერთა საერთო კრებისთვის წარსაადგენად საბოლოო დამტკიცების მიზნით.<sup>18</sup>

### ბ) რისკის მართვის განხორციელება

სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს რისკის შეფასებისა და მართვის სისტემების არსებობა.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

რისკის მართვა სამეთვალყურეო საბჭოს მნიშვნელოვანი ფუნქციაა. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს ისეთი სისტემების შექმნა, რომლებიც კომპანიას აძლევს რისკის შეფასებისა და კონტროლის საშუალებას. სხვა საკითხებთან ერთად, სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია:

- დამტკიცოს მართვის პროცედურები და უზრუნველყოს ასეთი პროცედურების შესაბამისობა (ეს პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს კომპანიისა და მისი თანამშრომლების მიერ სამეთვალყურეო საბჭოს დროულ ინფორმირებას რისკის მართვის მექანიზმებში ყველა არსებითი ნაკლის შესახებ)
- რეგულარულად გააანალიზოს, შეაფასოს და გააუმჯობესოს რისკის მართვის შიდა პროცედურები
- შეიმუშაოს ნახალისების ადეკვატური მექანიზმები აღმასრულებელი ორგანოებისთვის, დეპარტამენტებისა და თანამშრომლებისთვის შიდა კონტროლის სისტემების გამოსაყენებლად
- საჭიროების შემთხვევაში, შექმნას სამეთვალყურეო საბჭოს რისკის მართვის კომიტეტი; და
- უზრუნველყოს კომპანიის შესაბამისობა კანონმდებლობასა და წესდების დებულებებთან

## ბ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა და გათავისუფლება

### 1. საბჭოს წევრების არჩევა და სამსახურის ვადა

აქციონერთა საერთო კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს განსაზღვრული ვადით, რომლის ათვლაც იწყება მათი არჩევის მომენტიდან აქციონერთა მორიგ საერთო კრებამდე. არ არსებობს შეზღუდვა პირის ხელახალ არჩევასთან დაკავშირებით. მენარმეთა შესახებ კანონის თანახმად, საბ-

<sup>15</sup> იქვე, მუხ. 55.8 (ა), (ი) და (ლ)

<sup>16</sup> იქვე, მუხ. 59.5

<sup>17</sup> იქვე, მუხ. 59.8

<sup>18</sup> იქვე, მუხ. 55.7 (ე)

ჭოს წევრები აირჩევიან ერთნაირი ვადით, თუ წესდებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით სხვა ვადა არ არის დადგენილი.<sup>19</sup>

**2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელება**

მენარმეთა შესახებ კანონით არ არის დაკონკრეტებული, ვის შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელება, თუმცა, ყველაზე კარგ შემთხვევაში, ეს არიან აქციონერები. აღნიშნული კანონით განსაზღვრულია მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც საბჭოს წევრის გადადგომიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩა ახალი წევრი და სასამართლოს კომპანიის იურიდიული მისამართის მიხედვით შეუძლია ერთ-ერთი აქციონერის, აღმასრულებელი საბჭოს ან/და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის განაცხადით დანიშნოს ახალი წევრი, თუ კომპანიის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.<sup>20</sup>

**3. ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატების შესახებ**

ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატების შესახებ უნდა წარედგინოს აქციონერთა საერთო კრების მონაწილე პირებს კრებამდე.<sup>21</sup> თუმცა, აღნიშნული კანონით არ არის განსაზღვრული, თუ რა ინფორმაცია უნდა იქნეს მიწოდებული კანდიდატთან დაკავშირებით.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

აქციონერებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატზე იმის შესაფასებლად, რამდენად აქვს მას დაკისრებული მოვალეობების შესრულების უნარი და, თუ საჭიროა, განსაზღვრონ მისი დამოუკიდებლობა. ამ თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაცია შეიძლება იყოს:

- კანდიდატის ვინაობა
- აქციონერის ვინაობა (ან აქციონერების ჯგუფი), რომელიც წარადგენს კანდიდატს
- კანდიდატის ასაკი და განათლება
- ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კანდიდატის მიერ დაკავებული თანამდებობები
- წარდგენის მომენტისათვის კანდიდატის მიერ დაკავებული თანამდებობა
- ურთიერთობის ტიპი, რომელიც კანდიდატს აქვს კომპანიასთან
- სხვა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა ან კანდიდატის მიერ დაკავებული ოფიციალური თანამდებობა
- არის თუ არა კანდიდატი წარდგენილი სხვა თანამდებობაზე სამეთვალყურეო საბჭოში ან ოფიციალურ პოზიციაზე
- კანდიდატის ურთიერთობა კომპანიასთან დაკავშირებულ პირებთან
- კანდიდატის ურთიერთობა კომპანიის ძირითად ბიზნესპარტნიორებთან
- კანდიდატის ფინანსურ სტატუსთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კანდიდატის, როგორც საბჭოს წევრის, დამოუკიდებლობაზე; და
- კანდიდატის უარის მიზეზი, უპასუხოს კომპანიის მოთხოვნას ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით

**4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა**

თუ კომპანიის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა ხდება დამსწრე აქციონერთა 50%-ზე მეტი ხმით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევისას აქციონერები შეიძლება შეთანხმდნენ კუმულაციურ კენჭისყრაზე.<sup>22</sup> კუმულაციური კენჭისყრა არის სისტემა, რომელიც მცირე აქციონერებს აძლევს საშუალებას, საკუთარი ხმების გაერთიანების გზით აირჩიონ წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოში. საბჭოს წევრების არჩევა არ შეიძლება განხორციელდეს, თუ აქციონერ-

<sup>19</sup> იქვე, მუხ. 55.1<sup>2</sup>  
<sup>20</sup> იქვე, მუხ. 55.1<sup>2</sup>  
<sup>21</sup> იქვე, მუხ. 54.2  
<sup>22</sup> იქვე, მუხ. 54.7

თავი I  
 თავი II  
 თავი III  
 თავი IV  
 თავი V  
 თავი VI  
 თავი VII  
 თავი VIII  
 თავი IX  
 თავი X  
 თავი XI  
 თავი XII

თა საერთო კრება ტარდება წერილობითი თანხმობით.<sup>23</sup>

### ა) როგორ მოქმედებს კუმულაციური კენჭისყრა

კუმულაციური კენჭისყრა მოქმედებს ასე:

- ყველა აქციონერი ანაწილებს მთელ თავის ხმებს წარმოდგენილ კანდიდატთა ნებისმიერ რაოდენობაზე ისე, რომ მის მიერ მიცემულ ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ ხმათა სრულ რაოდენობას;
- აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატს (მის წინააღმდეგ ხმის მიცემა დაუშვებელია);
- თუ კანდიდატების რაოდენობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია, მაშინ ყველა კანდიდატი, რომელმაც მიიღო თუნდაც ერთი ხმა, ავტომატურად ხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმათა უმრავლესობა.

### ბ) კუმულაციური კენჭისყრა და კოლექტიური მოქმედება

კუმულაციური კენჭისყრა ზრდის მცირე აქციონერების მიერ სამეთვალყურეო საბჭოში წარმომადგენლის არჩევის შესაძლებლობას. ეფექტიანობის მიზნით, მცირე აქციონერებმა უნდა მოახერხონ საკუთარი ორგანიზება ხმის მისაცემად. ამისათვის ისინი ვალდებული არიან:

- ჰქონდეთ რესურსები და სათანადო უნარ-ჩვევები კანდიდატების საარჩევნო კამპანიის განსახორციელებლად;
- გამოიყენონ აქციონერთა სია სხვა აქციონერებთან დასაკავშირებლად; და
- შექმნათ კუმულაციური კენჭისყრის სტრატეგიული გამოყენება.

### გ) ურთიერთობა საბჭოს წევრთა რაოდენობასა და კუმულაციური კენჭისყრის ეფექტიანობას შორის

არსებობს პირდაპირი კავშირი კუმულაციური კენჭისყრის ეფექტიანობასა და საბჭოს წევრთა რაოდენობას შორის: რაც უფრო დიდია ასარჩევ წევრთა რაოდენობა, მით მეტია მცირე აქციონერების შესაძლებლობა აირჩიონ სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენელი.

### 5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა გათავისუფლება

მხოლოდ აქციონერთა საერთო კრებას შეუძლია საბჭოს წევრთა გათავისუფლება მათი წევრობის ვადის გასვლამდე.<sup>25</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

მენარმეთა შესახებ კანონით არ არის განსაზღვრული სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა გათავისუფლების მიზეზი. ეს შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატის მიერ კომპანიისთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდება, სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობის თვითნებური შეუსრულებლობა ან ნასამართლეობა სისხლის სამართლის დანაშაულისთვის.

## გ. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

### 1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მთლიანი რაოდენობა უნდა იყოს გან-

<sup>23</sup> იქვე, მუხ. 54.8

<sup>24</sup> იქვე, მუხ. 54.8 (ა-გ)

<sup>25</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ვ) და 55.1<sup>2</sup>



საზღვრული წესდებით აქციონერთა საერთო კრების მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად. მენარმეთა შესახებ კანონით დადგენილია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა, რაც შესაბამისად არის 3 და 21.<sup>26</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კომპანიებმა უნდა აირჩიონ იმ სიდიდის სამეთვალყურეო საბჭო, რომლითაც შესაძლებელი იქნება:

- ნაყოფიერი და კონსტრუქციული დისკუსიები
- დროული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღება; და
- მისი კომიტეტების ეფექტიანი ორგანიზება, მათი შექმნის შემთხვევაში

დირექტორთა რაოდენობა უნდა განისაზღვროს სამართლებრივი მოთხოვნებიდან და კომპანიისა და აქციონერების სპეციფიკური საჭიროებიდან გამომდინარე. რუსეთში კომპანიების უმრავლესობას ექვსიდან ათ დირექტორამდე ჰყავს.

საბჭოს წევრთა მცირე ან ზედმეტმა რაოდენობამ შეიძლება პრობლემები შეუქმნას ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას. პატარა სამეთვალყურეო საბჭო შეიძლება კომპანიას არ აძლევდეს იმის საშუალებას, რომ სარგებელი მიიღოს სათანადო უნარ-ჩვევებიდან ან დაგროვებული გამოცდილებიდან. დიდი სამეთვალყურეო საბჭო კი, როგორც წესი, უფრო ძნელი სამართავია, კონსენსუსის მიღწევა რთულია და დიდ დროსთანაა დაკავშირებული. სათანადო ბალანსის გამონახვაა საჭირო ადეკვატური სიდიდის სამეთვალყურეო საბჭოს შესარჩევად.

### 2. ვინ შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი?

მენარმეთა შესახებ კანონით არ არის დაწესებული საბჭოს წევრთა შესაბამისობის განმსაზღვრელი სამართლებრივი მოთხოვნები, თუმცა კანონმდებლობით გარკვეული მოთხოვნები დაწესებულია კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმართ.<sup>27</sup> საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად:

- საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ სრულად ქმედუნარიანი პირი. წევრებს უნდა შეეძლოთ თავისი მოქმედებებით სამოქალაქო სამართლის უფლებების შექმნა და გამოყენება, სამოქალაქო სამართლის ვალდებულებათა შექმნა და ამ უფლებათა და ვალდებულებათა განხორციელება;
- საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს იურიდიული პირი, თუმცა პირი, რომელიც იურიდიული პირის წარმომადგენელია, შეიძლება არჩეულ იქნეს სამეთვალყურეო საბჭოში.

ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოში არჩეული ფიზიკური პირი შეიძლება მართო ამ პოზიციაზე ასრულებდეს საბჭოს წევრის ფუნქციებს და არა იურიდიული პირის წარმომადგენლის მოვალეობებს - ანუ იგი უნდა მოქმედებდეს იმ კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრიცაა და არა იმ კომპანიის ინტერესებით, რომელსაც იგი წარმოადგენს.

მენარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად, კომპანიის აღმასრულებელი საბჭოს წევრი ან გენერალური დირექტორი შეიძლება იყოს იმავე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.<sup>28</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ფიზიკური პირი არ უნდა აირჩეს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში, თუ იგი არის:

<sup>26</sup> იქვე, მუხ. 55.1  
<sup>27</sup> კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 41  
<sup>28</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 55.2

თავი I  
 თავი II  
 თავი III  
 თავი IV  
 თავი V  
 თავი VI  
 თავი VII  
 თავი VIII  
 თავი IX  
 თავი X  
 თავი XI  
 თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

- კონკურენტი კომპანიის დირექტორი
- კონკურენტი კომპანიის მენეჯერი
- კონკურენტი კომპანიის თანამშრომელი


სამეთვალყურეო საბჭოს წევრად წარდგენილი კანდიდატი ასევე არ უნდა იყოს დაკავშირებული მომწოდებელთან, დაკავშირებულ პირებთან, აგრეთვე დამოუკიდებელი გარე აუდიტორის თანამშრომლებთან.

### 3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კვალიფიკაცია

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ საჭირო უნარ-ჩვევები და გამოცდილება სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

მე-2 სურათზე წარმოდგენილია ის პიროვნული თვისებები, მახასიათებლები და კომპეტენცია, რომლებიც საჭიროა ამ მოვალეობის შესასრულებლად.

**სურათი 2:** რეკომენდებული თვისებები და კომპეტენციები სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის



როგორც უკვე ითქვა, არ არსებობს საბჭოს წევრთა საკვალიფიკაციო კრიტერიუმების სამართლებრივი მოთხოვნები. მაგრამ, ასეთი კრიტერიუმები უნდა განისაზღვროს რამე დოკუმენტით, მაგალითად, კორპორაციული მართვის კოდექსით. კომპანიებმა ასევე შეიძლება მიზანშეწონილად მიიჩნიონ კვალიფიკაციის მოთხოვნათა ჩართვა თავიანთ შიდა კორპორაციულ დოკუმენტებში. ასეთი შემთხვევაა აღწერილი ამ გრაფაში.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

წესდებით უნდა განისაზღვროს დირექტორთა საბჭოს წევრების საკვალიფიკაციო კრიტერიუმები.

საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ ისეთი კვალიფიკაცია, როგორცაა:

- აქციონერების, სხვა დირექტორების, მენეჯერების და კომპანიის თანამშრომლების ნდობა
- ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების დაკავშირების და სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი
- საქმიანობის ეფექტიანობისთვის საჭირო პროფესიული გამოცდილება და განათლება
- საერთაშორისო ბიზნესგამოცდილება, ეროვნული პრობლემების და ტენდენციების ცოდნა, ბაზრის, პროდუქტების და კონკურენტების

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

- ცოდნა; და
- ცოდნისა და გამოცდილების გადაწყვეტილებად ქცევის უნარი

თუმცა, კომპანიას შეიძლება გაუჭირდეს იმის განსაზღვრა, აქვს თუ არა საბჭოს პოტენციურ წევრს ზემოაღნიშნული კვალიფიკაცია. მეტიც, კომპანიის წესდებით ასეთი კვალიფიკაციის მოთხოვნამ შეიძლება გაურკვევლობა გამოიწვიოს და ამიტომ ნაკლებად გამოსადეგი იყოს. არ არის გამორიცხული კომპანიებს უნდოდეთ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების ასახვა თავიანთ დებულებებსა და სხვა შიდა დოკუმენტებში. მართლაც, აშშ-ში ბევრი კომპანია იყენებს კორპორაციული მართვის მითითებებს ამ მიზნით. აქციონერებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია დირექტორთა საბჭოს წევრების კვალიფიკაციის შესახებ, გარდა ამისა, საბჭოს წევრობის კანდიდატთა განხილვისას, მითითებული უნდა იყოს კანდიდატი არის თუ იქნება:

- გენერალური დირექტორი
- აღმასრულებელი საბჭოს წევრი
- კომპანიის ოფიცერი ან თანამშრომელი; და
- შეძლებს თუ არა შეასრულოს დირექტორთა საბჭოს დამოუკიდებელი წევრისთვის განსაზღვრული მოთხოვნები

დირექტორთა საბჭოს წევრობის კანდიდატთა ბიოგრაფია უნდა შემოწმდეს ნასამართლეობისა და წარსულში ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კუთხით, რომლებიც თავისი ბუნებით არ არის de minimis (უმნიშვნელო).

### 4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კატეგორიები

საერთაშორისო პრაქტიკა ასხვავებს დირექტორთა საბჭოს წევრთა სხვადასხვა კატეგორიას იმ ხარისხის შესაბამისად, რომლითაც ასეთი წევრები მონაწილეობენ კომპანიის საქმიანობაში (ან დაკავშირებული არიან მასთან). არსებობს აღმასრულებელი, არააღმასრულებელი და დამოუკიდებელი წევრების სამი კატეგორია.

#### ა) აღმასრულებელი საბჭოს წევრები

მენარმეთა შესახებ კანონში 2008 წლის მარტის ცვლილებების შესაბამისად, აღმასრულებელი საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, თუ კომპანიის წესდებით ეს დაშვებულია (შერეული სამეთვალყურეო საბჭო).<sup>29</sup> მიუხედავად იმისა, რომ მართვის ეს ფორმა ძალიან ჰგავს საერთო სამართლის ერთსაფეხურიან მართვის სისტემას, ეს ორი სხვადასხვა მექანიზმია და არ შეიძლება მათი გაიგივება, რადგან საქართველოში ეს შესაძლებელია როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ისე დირექტორატის არსებობის შემთხვევაში.

ამ შემთხვევაში რეკომენდებულია, კომპანიის წესდებასა და მის შიდა დებულებებში მკაფიოდ იქნეს განსხვავებული სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შემავალი აღმასრულებელი პირების და საბჭოს სხვა არააღმასრულებელი წევრების მოვალეობები და პასუხისმგებლობა. ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის გენერალური დირექტორი (აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე) ამავე დროს არ იყოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (საერთაშორისო პრაქტიკაში ე.წ. “CEO-duality”).

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:

შერეული სამეთვალყურეო საბჭო

როდესაც დირექტორები წარმოდგენილი არიან სამეთვალყურეო საბჭოში, უნ-

<sup>29</sup> იქვე, მუხ. 55.2 - აღმასრულებელი საბჭოს წევრები არ უნდა იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს უმრავლესობა

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

და მოხდეს დირექტორების (აღმასრულებელი წევრები) უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების გამიჯვნა საბჭოს სხვა წევრებისაგან (არააღმასრულებელი წევრები). შერეული სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ არ შეიძლება არჩეულ იქნეს რომელიმე დირექტორი.

1. შერეული სამეთვალყურეო საბჭოს შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დამოუკიდებელი წევრების ადეკვატური რაოდენობის არსებობა.
2. აუცილებელია, ბანკის წესდებითა და შიდა დებულებებით მკაფიოდ იქნეს გამიჯნული სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელ და არააღმასრულებელ წევრთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა.
3. სამეთვალყურეო საბჭოს არააღმასრულებელმა წევრებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის ზედამხედველობაში, მათი ანგარიშების დამტკიცებასა და საქმიანობის შეფასებაში. სამეთვალყურეო საბჭოში წარმოდგენილ აღმასრულებელ წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ბანკის ზოგად სტრატეგიასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცედურული თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში.

ბანკი უზრუნველყოფს დირექტორატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების მართებულად გამოყენებასა და გაუგებრობის თავიდან აცილებას, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს შერეული სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებების ერთმანეთში აღრევას, ფუნქციების დუბლირებას, ბანკის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაზე არაეფექტურ ზედამხედველობასა და კონტროლს, ან/და სხვ. (ნაწილი 4 (გ))

### ბ) არააღმასრულებელი წევრები

სამეთვალყურეო საბჭოს არააღმასრულებელი წევრები არიან პირები, რომლებსაც არ უკავიათ აღმასრულებელი თანამდებობა კომპანიაში. ეფექტიან არააღმასრულებელ წევრებს უნდა ჰქონდეთ ისეთი პიროვნული მახასიათებლები, როგორცაა:

- პატიოსნება და მაღალი ეთიკური სტანდარტები
- ჯანსაღი აზროვნების უნარი
- გამონევისა და გამოცდის უნარი და სურვილი; და
- ურთიერთობის სათანადო უნარ-ჩვევები

სამეთვალყურეო საბჭოს არააღმასრულებელი წევრები უნდა ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს აღმასრულებელი ორგანოების ზედამხედველობაში, მათი ანგარიშების დამტკიცებასა და საქმიანობის შეფასებაში.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კორპორაციული მართვის საერთაშორისო და ეროვნული კოდექსების უმეტესობის რეკომენდაციით, (სამეთვალყურეო) საბჭო უნდა შედგებოდეს არააღმასრულებელ წევრთა უმრავლესობისგან, რომლებიც საბჭოს მუშაობას შემატევენ:

- გარე პერსპექტივას და გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობას
- დამატებით გარე გამოცდილებასა და ცოდნას; და
- სასარგებლო კონტაქტებს

მაგალითად, გერმანიაში (საბჭოს ორსაფეხურიანი მოდელი) აღმასრულებელი

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

საბჭოს ანუ **Vorstand**-ის არა უმეტეს ორი ყოფილი წევრი შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რათა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამოუკიდებელი ზედამხედველობის განხორციელება. ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში არააღმასრულებელი დირექტორები, როგორც წესი, ზედამხედველობას უწევენ კომპანიის საფინანსო და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას. აღნიშნულის გარდა, არსებობს კიდევ სამი სფერო, რომელიც საჭიროებს არააღმასრულებელი დირექტორების მხრიდან მიუკერძოებელ მონიტორინგს. ესენია:

- დირექტორების წარდგენა (ნომინაცია)
- ზედარგოლის მენეჯერებისა და დირექტორების ანაზღაურება; და
- შიდა და გარე აუდიტი

გაერთიანებულ სამეფოში ჰიგსის ანგარიში არააღმასრულებელი დირექტორების როლს აჯგუფებს ოთხი საკითხის გარშემო. ესენია:

1. **სტრატეგია:** არააღმასრულებელი დირექტორები კონსტრუქციულ კითხვებს უნდა სვამდნენ და წვლილი შეჰქონდეთ კომპანიის სტრატეგიის შემუშავებაში;
2. **საქმიანობა:** არააღმასრულებელმა დირექტორებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ მენეჯმენტის საქმიანობა შეთანხმებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების თვალსაზრისით და განახორციელონ საქმიანობის შესახებ ანგარიშგების მონიტორინგი;
3. **რისკი:** არააღმასრულებელი დირექტორები უნდა დარწმუნდნენ ფინანსური ინფორმაციის სისწორეში და იმაში, რომ ფინანსური კონტროლი და რისკის მართვის სისტემები ძლიერი და თავდაცვისუნარიანია;
4. **ადამიანები:** არააღმასრულებელი დირექტორები პასუხისმგებელი არიან აღმასრულებელი პირებისათვის ანაზღაურების სხვადასხვა დონის განსაზღვრისათვის, წამყვანი როლი ეკისრებათ მათ დანიშვნაში და, სადაც საჭიროა, მენეჯმენტის ზედა რგოლის გათავისუფლებასა და ჩანაცვლების დაგეგმვაში.

არააღმასრულებელი წევრები, კომპანიასთან მათი კავშირიდან გამომდინარე, შეიძლება იყვნენ დამოუკიდებელი ან არადამოუკიდებელი.

### გ) საბჭოს დამოუკიდებელი წევრები

საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს შეუძლიათ დიდი წვლილის შეტანა კომპანიის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, განსაკუთრებით აღმასრულებელი პირების საქმიანობის შეფასებაში, აღმასრულებელი პირებისა და წევრების ანაზღაურების განსაზღვრაში, ფინანსური ანგარიშგებების განხილვასა და კორპორაციული კონფლიქტების გადაწყვეტაში. დამოუკიდებელი წევრების არსებობა ინვესტორებს დამატებით საშუალებას აძლევს იმისათვის, რომ დარწმუნებული იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობაში. რეკომენდებულია, კომპანიებმა წლიურ ანგარიშებში გაამჟღავნონ ინფორმაცია დამოუკიდებელი წევრების შესახებ.

მენარმეთა შესახებ კანონში არ არის განსაზღვრული დამოუკიდებელი წევრის კონცეფცია. კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონში მოხსენიებულია სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, თუმცა არ არის მისი განმარტება.<sup>30</sup> საქართველოში მხოლოდ კორპორაციული მართვის კოდექსშია განმარტებული დამოუკიდებელი წევრი.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

### კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:

- ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ ჩაითვლება დამოუკიდებლად, თუ ის,

<sup>30</sup> კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 16.1

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ან მისი პირველი ან მეორე რიგის მემკვიდრე:

- (1) ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო ბანკის, მისი შვილობილი, დედობილი ან დობილი ორგანიზაციის დირექტორატის წევრი, ან ეკავა სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა;
- (2) იღებს ბანკისგან ან მისი შვილობილი, დედობილი ან დობილი ორგანიზაციისგან ანაზღაურებას ნებისმიერი ფორმით, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის დადგენილი ანაზღაურებისა და აქციონერების კუთვნილი დივიდენდისა;
- (3) აქვს მნიშვნელოვანი პირადი კომერციული ურთიერთობა ბანკთან;
- (4) არის იმ იურიდიული პირის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, რომელსაც მნიშვნელოვანი კომერციული ურთიერთობა აქვს ბანკთან;
- (5) არის დირექტორი იმ კომპანიისა, რომელშიც ბანკის ერთ-ერთი დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს წევრია;
- (6) ეკუთვნის ბანკის კაპიტალის 5 პროცენტი ან მეტი;

არის დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან წარმომადგენელი კომპანიისა, რომელსაც ეკუთვნის ბანკის კაპიტალის 5 პროცენტი ან მეტი. (ნაწილი 2 (დ))

ნებისმიერ შემთხვევაში დამოუკიდებელმა წევრებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი მოქმედებებისგან, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათ დამოუკიდებლობას.

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები უნდა იყვნენ დამოუკიდებელი და ადეკვატური ბალანსი უნდა იყოს შენარჩუნებული აქციონერების წარმომადგენლებსა და საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს შორის. ამით დამოუკიდებელ წევრებს საშუალება ექნებათ ზეგავლენა მოახდინონ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და წარადგინონ მოსაზრებების ფართო სპექტრი სამეთვალყურეო საბჭოს დისკუსიებში მონაწილეობის მისაღებად.<sup>31</sup>

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მინიმალური მოთხოვნები სასარგებლო სტანდარტებია, ისინი მაინც არ არის საკმარისი მიკროდოქტორების გამორიცხვის უზრუნველსაყოფად. თითოეულ სამეთვალყურეო საბჭოსთან დაკავშირებული გარემოებები, სავარაუდოდ, განსხვავებულია. არის შემთხვევები, როდესაც დამოუკიდებელ წევრთა მინიმუმი შეიძლება იყოს საკმარისი დაბალანსებული განხილვისთვის; სხვა შემთხვევებში შესაძლოა დამოუკიდებელი და უკომპრომისო წევრების მეტი რაოდენობა იყოს საჭირო დომინანტური გენერალური დირექტორის დასაბალანსებლად.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კორპორაციული მართვის სხვა საერთაშორისო და ეროვნულ კოდექსებში მოცემულია დამოუკიდებელ წევრთა უფრო მკაცრი განმარტება. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში არააღმასრულებელი წევრი განიხილება დამოუკიდებლად, თუ დირექტორატი განსაზღვრავს, რომ წევრი დამოუკიდებელია თავისი ხასიათითა და აზროვნებით და არ არსებობს რამე კავშირი ან გარემოება, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ან ახდენს გავლენას წევრის გადაწყვეტილების მიღების უნარზე. ასეთი ურთიერთობა და გარემოებები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც წევრი:

- კომპანიის ან ჯგუფის ყოფილი თანამშრომელია, რომლის მიერ სამსახურის დატოვებიდან (ან ნებისმიერი სხვა არსებითი კავშირის არსებობიდან) არ გასულა ხუთი წელი;
- არის ან იყო ბოლო სამი წლის განმავლობაში არსებით საქმიან ურთიერთობაში კომპანიასთან პირდაპირ ან როგორც პარტნიორი, აქციონერი,

<sup>31</sup> კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, ნაწილი 4 (ა) 3

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

- დირექტორი, ან ისეთი ორგანოს მაღალი რანგის თანამშრომელია, რომელსაც აქვს ასეთი ურთიერთობა კომპანიასთან;
- იღებდა ან იღებს დამატებით ანაზღაურებას კომპანიისგან გარდა სანევრო ჰონორარისა, მონაწილეობს კომპანიის სააქციო სქემაში ან შრომის ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ანაზღაურების სქემაში, ან კომპანიის საპენსიო სქემის წევრია;
- ახლო ნათესაური კავშირი აქვს კომპანიის რომელიმე მრჩეველთან, დირექტორთან ან მაღალი რანგის თანამშრომელთან;
- ერთდროულად არის რამდენიმე დირექტორატის წევრი ან მნიშვნელოვანი კავშირი აქვს სხვა დირექტორებთან მათ კომპანიებში ან მართვის ორგანოებში მონაწილეობის საშუალებით;
- მნიშვნელოვანი აქციონერია; ან
- მსახურობს სამეთვალყურეო საბჭოში 10 წელზე მეტი ხანია.

ამ რაოდენობის დეტალურმა ჩამონათვალმა შეიძლება დაბნეულობა გამოიწვიოს. რეალურად კი, დამოუკიდებლობის გაცნობიერება და განსაზღვრა არ უნდა იყოს რთული. ინსტიტუციონალური ინვესტორების საბჭო (CII), რომელიც მსოფლიოს უდიდესი ინსტიტუციონალური ინვესტორების დაჯგუფებაა, დამოუკიდებელ დირექტორს განსაზღვრავს მარტივად, ასეთი ფორმულირებით: „მეტი რომ არ ვთქვათ, დამოუკიდებელი წევრი არის პირი, რომლის დირექტორობაც წარმოადგენს კორპორაციასთან მის ერთადერთ კავშირს.“

ეს არის სწორედ საკითხის არსი. მათთვის, ვისაც აინტერესებს, რეალურად როგორ უნდა გამოიყენოს ეს მარტივი განმარტება, ინსტიტუციონალური ინვესტორების საბჭო (CII) განსაზღვრავს სპეციფიკურ გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს დამოუკიდებლობაზე. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორის დამოუკიდებლობა არ არის პანაცეა. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა ამის ნათელი მაგალითია. 2003 წელს ბირჟა სკანდალში გაეხვა თავისი გენერალური დირექტორის ზედმეტად მაღალი ანაზღაურების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურების დონეები განსაზღვრული ჰქონდა დამოუკიდებელი დირექტორებით დაკომპლექტებულ კომიტეტს, რომელსაც ასევე დამოუკიდებელი თავმჯდომარე ჰყავდა.

### დ. სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა და კომიტეტები

#### 1. თავმჯდომარე

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ირჩევენ თავმჯდომარეს.<sup>32</sup> საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და არ შეიძლება იყოს კომპანიის გენერალური დირექტორი.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

თავმჯდომარის უნარი სათანადოდ შეასრულოს თავისი მოვალეობები, დამოკიდებულია დაკისრებული უფლებამოსილების საკმარისობასა და ადეკვატურობაზე, აგრეთვე მის პირად და პროფესიულ კვალიფიკაციაზე. თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული პროფესიული რეპუტაცია და გამოირჩეოდეს პატიოსნებით, უნდა მოქმედებდეს კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და სარგებლობდეს აქციონერებისა და სხვა დირექტორების ნდობით. უნდა არსებობდეს პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილება კომპანიის სათავეში სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელ ორგანოს შორის, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვისათვის – როგორც დოკუმენტურად, კანონის შესაბამისად, ისე პრაქტიკულად. კომპანიებმა დებულებები და სხვა შიდა დოკუმენტებით მაქსიმალურად დეტალურად უნდა განსაზღვრონ თავმჯდომარისა და გენერალური დირექტორის უფლებამოსილება.

<sup>32</sup> კანონი მენარმეთა შესახებ, მუხ. 55.3

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

თავმჯდომარე უფლებამოსილია:

- მოამზადოს და თავმჯდომარეობა და ორგანიზება გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს;
- თავმჯდომარეობდეს აქციონერთა საერთო კრებას;
- ხელშეკრულებები გააფორმოს კომპანიის გენერალურ დირექტორსა და აღმასრულებელი საბჭოს წევრებთან; და
- განახორციელოს წესდებით და დებულებებით განსაზღვრული ნებისმიერი სხვა მოვალეობა.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

თავმჯდომარის სხვა მოვალეობები ან პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით. ამასთან ერთად, თუ კომპანიას უნდა პოზიციის აღწერილობის ან უფლებამოსილების ჩამონათვალის შემუშავება, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები, სადაც თავმჯდომარე:

- ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს და უზრუნველყოფს მის ეფექტიანობას;
- ადგენს, ნერგავს და განიხილავს პროცედურებს, რომლებიც მართავს სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობას;
- ადგენს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების კალენდარს და უთანხმებს მას საბჭოს კომიტეტების თავმჯდომარეებს;
- ორგანიზებას უწევს და წარადგენს სხდომების დღის წესრიგს და უზრუნველყოფს, რომ ყველა დირექტორი დროულად იღებდეს სათანადო ინფორმაციას;
- პერიოდულად უკავშირდება გენერალურ დირექტორს და ასრულებს მკავშირის როლს სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელ პირებს შორის;
- უზრუნველყოფს ინფორმაციის ზუსტ, დროულ და მკაფიო გადაცემას და მიღებას სხვა დირექტორებისგან;
- უზრუნველყოფს აქციონერებთან ეფექტიან კომუნიკაციას;
- რეგულარულად აფასებს სამეთვალყურეო საბჭოს, აგრეთვე მისი კომიტეტებისა და ინდივიდუალური დირექტორების საქმიანობას;
- ხელს უწყობს არააღმასრულებელი და/ან დამოუკიდებელი დირექტორების ეფექტიან მონაწილეობას და შესაძლებელს ხდის კონსტრუქციულ ურთიერთობას აღმასრულებელ და არააღმასრულებელ დირექტორებს შორის; და
- ასრულებს სხვა მოვალეობებს აქციონერთა საერთო კრების და მთლიანად სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნის შესაბამისად, საჭიროებიდან და გარემოებიდან გამომდინარე.

## 2. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

რამდენადაც ბიზნესგარეშო სულ უფრო მეტად რთულდება, იზრდება სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე არსებული მოთხოვნები და მისი პასუხისმგებლობა. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები ფართოდ განიხილება იმ ძირითად ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც სამეთვალყურეო საბჭო აკვარებს აღნიშნულ საკითხს. უფრო დეტალურად, კომიტეტები:

- საშუალებას აძლევენ სამეთვალყურეო საბჭოს მოაგვაროს ბევრი კომპლექსური საკითხი გაცილებით ეფექტიანად, კერძოდ, სპეცი-ალისტებს მისცენ კონკრეტულ საკითხზე ფოკუსირების საშუალება, რომლებიც შემდეგ საბჭოს წარუდგენენ დეტალურ ანალიზს და რეკომენდაციებს;
- საშუალებას აძლევენ სამეთვალყურეო საბჭოს შეიმუშაოს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული საექსპერტო დასკვნა კომპანიის ოპერაციების შესახებ, განსაკუთრებით ფინანსური ანგარიშგების, რისკისა და შიდა კონტროლის შესახებ; და
- აძლიერებენ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების ობიექტურობას და დამოუკიდებლობას და იცავენ მას მენეჯერების და მაკონტროლებელი აქციონერების პოტენციური არასათანადო ზეგავლენისგან.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კომიტეტები სამეთვალყურეო საბ-



ჭოს ნაწილად განიხილებოდა. სამეთვალყურეო საბჭო ქმნის კომიტეტებს, განსაზღვრავს მათი სამუშაოს აღწერილობას კომიტეტის დებულებების მეშვეობით, ნიშნავს მის წევრებს და მათ რეკომენდაციებს რეალობად აქცევს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ კომიტეტებმა რეკომენდაციები წარუდგინონ სამეთვალყურეო საბჭოს და არ მიიღონ გადაწყვეტილებები მისი სახელით.

კომიტეტების ოპერაციების გამარტივების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული კომიტეტის დებულება.

**ა) კომიტეტების ტიპები**

მიუხედავად იმისა, რომ მენარმეთა შესახებ კანონში არაფერია ნათქვამი კომიტეტების შესახებ,<sup>33</sup> კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსით რეკომენდებულია, კომპანიებმა შექმნან კომიტეტების გარკვეული რაოდენობა (სულ ცოცა, აუდიტის და რისკის მართვის კომიტეტები).<sup>34</sup>

თუმცა, საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა. ბევრი კომიტეტის მართვა რთული იქნება და შეიძლება დაანაწევროს სამეთვალყურეო საბჭო. რეკომენდებულია, კომიტეტები შეიქმნას საჭიროებიდან გამომდინარე. ჯერ შეიქმნას ყველაზე კრიტიკული მნიშვნელობის კომიტეტი და შემდეგ დანარჩენი კომიტეტები გამოცდილების შეძენასთან ერთად. სამეთვალყურეო საბჭომ შეიძლება შექმნას მუდმივი ან დროებითი კომიტეტები. აქციონერთა პერსპექტივიდან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვანია აუდიტის კომიტეტი. ზოგი კომიტეტი, რომელთა შექმნაც შეიძლება განიხილოს კომპანიამ, აღწერილია ქვემოთ:

**1. აუდიტის კომიტეტი:**

- შეიმუშავებს რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოსთვის გარე აუდიტორის შერჩევასთან დაკავშირებით;
- ურთიერთობა აქვს კომპანიის გარე აუდიტორსა და სარევიზიო კომისიასთან;
- ზედამხედველობას უწევს კომპანიის საფინანსო და ბიზნესოპერაციებს და ფინანსური და ბიზნესგეგმის განხორციელებას;
- ახორციელებს შიდა აუდიტის ფუნქციის მონიტორინგს;
- აფასებს შიდა კონტროლის პროცედურებს;
- შეიმუშავებს შიდა კონტროლის და რისკის მართვის პროცედურებს; და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არასტანდარტული ოპერაციების დასამტკიცებლად.

წესდება (ან დებულებები) უნდა განსაზღვრავდეს კომიტეტის წევრთა კვალიფიკაციას. კერძოდ, აუდიტის კომიტეტის წევრებმა უნდა იცოდნენ ფინანსები და ერკვეოდნენ აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საკითხებში.

**2. სტრატეგიული დაგეგმვის და ფინანსების კომიტეტი:**

- განსაზღვრავს სტრატეგიასა და ამოცანებს, აგრეთვე საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს;
- განსაზღვრავს საოპერაციო პრიორიტეტებს;
- შეიმუშავებს დივიდენდების პოლიტიკას; და
- აფასებს კომპანიის ოპერაციების გრძელვადიან პროდუქტიულობას.

**3. ეთიკის კომიტეტი:**

- უზრუნველყოფს კომპანიის შესაბამისობას ეთიკის სტანდარტებთან და ხელს უწყობს კომპანიის შიგნით ნდობის ატმოსფეროს შექმნას;
- გამოავლენს და აღკვეთს კომპანიის მიერ კანონმდებლობის და ეთიკის სტანდარტების დარღვევის ფაქტებს.

**4. წარდგენის (ნომინაციების) და ანაზღაურების კომიტეტი:**

- განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს წევრთა კვალიფიკაციას;

<sup>33</sup> მხოლოდ კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ აუდიტის კომიტეტის შექმნა, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით (მუხ. 16)

<sup>34</sup> კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, ნაწილი 6.3

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

- შეიმუშავებს კომპანიის ანაზღაურების პოლიტიკას, განსაზღვრავს ანაზღაურების ძირითად პრინციპებსა და კრიტერიუმებს, რომელიც გადასახდელია:
  - სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის;
  - გენერალური დირექტორისთვის;
  - აღმასრულებელი საბჭოს წევრებისთვის; და
  - კომპანიის მთავარი განყოფილებების უფროსებისთვის.
- შეიმუშავებს კრიტერიუმებს აღიშნული პირების საქმიანობის შესაფასებლად;
- პერიოდულად აფასებს გენერალური დირექტორების და აღმასრულებელი საბჭოს წევრების საქმიანობას;
- განსაზღვრავს ამ პირებისთვის ხელმისაწვდომ სარგებელს (სიცოცხლის დაზღვევის, ჯანმრთელობის დაზღვევის და არასამთავრობო საპენსიო სარგებლის ჩათვლით);
- განსაზღვრავს აღმასრულებელი ორგანოების და კომპანიის ძირითადი სამსახურების უფროსების თანამდებობაზე წარსადგენი კანდიდატურების კვალიფიკაციას;
- ამზადებს სასამსახურო ხელშეკრულების პირობებს კომპანიასა და გენერალურ დირექტორს და აღმასრულებელი საბჭოს წევრებს შორის;
- წინასწარ აფასებს გენერალური დირექტორისა და აღმასრულებელი საბჭოს წევრთა თანამდებობისთვის კანდიდატურების;
- ამზადებს რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოსთვის გენერალური დირექტორის და აღმასრულებელი საბჭოს წევრების ხელახალ დანიშნასთან დაკავშირებით; და
- განიხილავს კომპანიის საკადრო პოლიტიკას, მათ შორის ხელფასთან დაკავშირებულ საკითხებს.

## 5. კორპორაციული კონფლიქტების გადაწყვეტის კომიტეტი:

- უზრუნველყოფს აქციონერთა უფლებების სათანადო და სპეციფიკურ განსაზღვრას კომპანიის წესდებაში, დებულებებში და კომპანიის დონეზე არსებულ კორპორაციული მართვის კოდექსში და შეიმუშავებს სხვადასხვა პოლიტიკასა და პროცედურას აღნიშნული უფლებების დასაცავად;
- შეიმუშავებს და პერიოდულად განიხილავს კომპანიის კონფლიქტთა გადაჭრის პოლიტიკასა და პროცედურებს; და
- შეიმუშავებს რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოსთვის, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ეფექტიანად კორპორაციული კონფლიქტები კომპანიას, მის აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი საბჭოს წევრებს შორის.

### ბ) სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების უფლებამოსილება

სამეთვალყურეო საბჭო კოლექტიური ორგანოა, რომელშიც:

- ყველა წევრს თანაბარი უფლება და მოვალეობა აქვს (წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს თავმჯდომარის გადამწყვეტი ხმის უფლება ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში);
- ყველა წევრი უნდა იყოს პასუხისმგებელი ერთობლივად და ცალ-ცალკე; და
- წევრები უნდა მოქმედებდნენ როგორც ერთიანი ორგანო, გადაწყვეტილების მიღების სპეციფიკური პროცედურების შესაბამისად.

ეს იმას ნიშნავს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებისათვის გარკვეული ფუნქციების დელეგირების მიუხედავად, საბოლოო გადაწყვეტილების პასუხისმგებლობა აკისრია მთლიანად სამეთვალყურეო საბჭოს. კომიტეტის წევრებს არ აკისრიათ უფრო მეტი სამართლებრივი უფლებები, ვიდრე სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ სხვა წევრს, მიუხედავად იმისა, რომ მათ დამატებითი პასუხისმგებლობა და მოვალეობები აქვთ.

### გ) სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების შემადგენლობა

სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები უნდა შედგებოდეს მხოლოდ სამეთ-

ვალყურეო საბჭოს წევრებისგან. სხვა მხარეების, უმეტესწილად, მენეჯერების მიწვევა შეიძლება ცალკეული საკითხების წარსადგენად ან დასამუშავებლად, მაგრამ მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით, ე.ი. ისინი ვერ მიიღებენ მონაწილეობას გარკვეული საკითხების განხილვაში და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში.

★ **საუკეთესო პრაქტიკა**

სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები უნდა დაკომპლექტდეს გამოცდილი და მცოდნე წევრებით. სამუშაოს შესასრულებლად საჭიროა წევრთა საკმარისი რაოდენობა. რადგან სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს ხანგრძლივ განხილვებს, წევრთა მონაწილეობა სამეთვალყურეო საბჭოს სხვადასხვა კომიტეტის მუშაობაში უნდა შეიზღუდოს. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებს მუშაობის პროცესში ხანდახან შეიძლება დასჭირდეთ გარე მრჩეველების დახმარება. თუმცა, ამ მრჩეველებმა არ უნდა მიიღონ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის სტატუსი.

ბევრი საფონდო ბირჟის რეკომენდაციით, დირექტორთა საბჭოს კომიტეტები უნდა შედგებოდეს დამოუკიდებელი დირექტორებისგან ან ასეთი დირექტორი თავმჯდომარეობდეს კომიტეტს. ზოგიერთი საფონდო ბირჟის, მაგალითად, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის ლისტინგის მოთხოვნები უფრო შორს მიდის და მოითხოვს დამოუკიდებელი დირექტორების უმრავლესობას, ასევე აუდიტის, ნომინაციებისა და ანაზღაურების კომიტეტების შემადგენლობაში მხოლოდ დამოუკიდებელი დირექტორების არსებობას.

**დ) თავმჯდომარის როლი სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებთან დაკავშირებით**

★ **საუკეთესო პრაქტიკა**

თავმჯდომარე უნდა:

- ითვალისწინებდეს საბჭოს წევრების მოსაზრებებს კომიტეტების შექმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით
- წარადგინდეს წევრებს კომიტეტში არსებულ პოზიციებზე; და
- ახორციელებდეს საჭირო ადმინისტრაციულ ღონისძიებებს კომიტეტების მიერ მათი ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად

**3. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარე**

კომიტეტის თავმჯდომარე პასუხისმგებელია კომიტეტის ეფექტიანი საქმიანობისთვის, მისი სხვა მოვალეობების მიუხედავად. კომიტეტის თავმჯდომარე ქმნის ქმედით გუნდს, ორგანიზებას უწევს კომიტეტის სხდომებს და უზრუნველყოფს კომპლექსური საკითხების გადაწყვეტის ინტელექტუალურ ხელმძღვანელობას.

★ **საუკეთესო პრაქტიკა**

კომიტეტის თავმჯდომარე ასრულებს მნიშვნელოვან როლს კომიტეტის მუშაობის ორგანიზებაში. საუკეთესო შემთხვევაში, ეს უნდა იყოს დამოუკიდებელი წევრი. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება აუდიტის, ნომინაციებისა და ანაზღაურების კომიტეტებს, რომელთა თავმჯდომარეებიც, კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, უნდა იყვნენ დამოუკიდებელი წევრები. კომიტეტის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმირება თავისი საქმიანობის შესახებ. ამასთან, კომიტეტის თავმჯდომარე უნდა დაესწროს აქციონერთა საერთო კრებას აქციონერთა შეკითხვებზე პასუხის გასაცემად.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## II. სამეთვალყურეო საბჭოს სამუშაო პროცედურები

სამეთვალყურეო საბჭო არის მმართველობითი ორგანო, რომელიც ფუნქციონირებს მენარმეთა შესახებ კანონით, წესდებით ან დებულებებით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

### 1. თავმჯდომარე და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები

თავმჯდომარე უფლებამოსილია:

- მოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, გასწიოს მისი ორგანიზება და თავმჯდომარეობა;
- მოამზადოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომათა ოქმები;
- გამოიყენოს გადაწყვეტი ხმის უფლება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე კენჭისყრის დროს ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში; და
- ხელი მოაწეროს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმებს (როდესაც იგი თავმჯდომარეობს სხდომას).

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

უფრო კონკრეტულად, თავმჯდომარე ხელს უწყობს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მუშაობას, იმით რომ:

- განსაზღვრავს სხდომების დღის წესრიგს;
- ხელს უწყობს დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას;
- ხელს უწყობს მეგობრულ და კონსტრუქციულ გარემოში ღია დისკუსიის წარმართვას;
- შესაძლებლობას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით; და
- ხელს უწყობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ კონსენსუსის მიღწევას.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისას თავმჯდომარე უნდა მოქმედებდეს თავდაჯერებულად და ყოველთვის კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. მეტიც, დებულებებითა და სხვა შიდა დოკუმენტებით თავმჯდომარეს უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა:

- გადადგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა დირექტორი იღებდეს ინფორმაციას დღის წესრიგში შემავალი საკითხების დროულად გადაწყვეტის მიზნით;
- ხელი შეუწყოს დირექტორებს დღის წესრიგში შემავალ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით აზრის თავისუფლად გამოხატვაში;
- ღიად განიხილოს დირექტორთა მოსაზრებები; და
- განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების შედგენის ინიცირება.

### 2. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები

სამეთვალყურეო საბჭო უნდა იცავდეს სამართლებრივ მოთხოვნებს კანონიერი გადაწყვეტილებების მისაღებად, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გადაწყვეტილება შეიძლება გააუქმოს სასამართლომ, თუ გადაწყვეტილება გასაჩივრდება სასამართლოში.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

წევრებმა უნდა უზრუნველყონ სამეთვალყურეო საბჭოს და კომიტეტების სხდომების კარგი ორგანიზება და რეგულარული გამართვა. წევრები აქტიურად უნდა

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

მონაწილეობდნენ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში და თითოეული დირექტორი უნდა:

- მონაწილეობდეს დისკუსიასა და კენჭისყრაში;
- მონაწილეობდეს სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების საქმიანობაში;
- ითხოვდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომისგან მისთვის საინტერესო საკითხების განხილვას; და
- ატყობინებდეს სამეთვალყურეო საბჭოს, როდესაც მას არ შეუძლია სხდომებზე დასწრება.

ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეიმუშაოს რეგულირების წესი მისი წევრების სხვა კომპანიებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

მაგალითად, ავსტრალიაში (ერთსაფეხურიანი საბჭოს მოდელი) ლისტინგში შემავალი კომპანიის თავმჯდომარეობა განიხილება სამი დირექტორის ეკვივალენტურად, აგრეთვე ფიზიკური პირისთვის დაკავებული დირექტორის ან ეკვივალენტური პოზიციების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს. რამდენიმე დირექტორთა საბჭოში დირექტორის პოზიციის დაკავებასთან დაკავშირებული წესი უნდა ემყარებოდეს დროის შეზღუდვას - თუ დირექტორს არა აქვს დრო, მან არ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა.

### 3. სამეთვალყურეო საბჭოს პირველი სხდომა

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ახალარჩეული სამეთვალყურეო საბჭოს პირველი სხდომა უნდა გაიმართოს მისი არჩევიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. მოხერხებულობის თვალსაზრისით, სამეთვალყურეო საბჭოს პირველი სხდომის ორგანიზება შეიძლება აქციონერთა საერთო კრების მიყოლებით. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა, როგორც წესი, ხდება ამ სხდომაზე. ამასთან, რეკომენდებულია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს პირველმა სხდომამ:

- განსაზღვროს და დაადასტუროს სამეთვალყურეო საბჭოს პრიორიტეტები;
- შექმნას კომიტეტები საჭიროების შემთხვევაში; და
- აირჩიოს კომიტეტის თავმჯდომარე.

კომპანიამ შეიძლება ასევე მოინდომოს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრებისთვის საორიენტაციო ტრენინგის მოწყობა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს კომპანიასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების მიმოხილვას, როგორცაა:

- დარგის და სექტორის ფუნქციონირება;
- ბიზნესოპერაციები;
- მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა;
- სტრატეგია;
- ბიზნესრისკები; და
- წამყვანი თანამშრომლების ბიოგრაფიული მონაცემები და უნარ-ჩვევები.

### 4. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების დაგეგმვა

წესდებით ან დებულებით უნდა განისაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევისა და გამართვის პროცედურები.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების გრაფიკთან ერთად უნდა ჰქონდეს სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავს განსახილველ საკითხთა ნუსხას. პროდუქტიული და ეფექტიანი სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების გამართვის მიზნით, ერთგვარი სახელმძღვანელო მითითებებია:

- **სხდომების წლიური კალენდრის შემუშავება.** წევრებს საშუალება ექნებათ ჩაებან სხდომების დღის წესრიგში. გასათვალისწინებელია, რომ ეს კალენდარი უნდა ასრულებდეს სახელმძღვანელოს როლს, ეი სამეთვალყურეო საბჭომ უნდა გამართოს დამატებითი სხდომები, როდესაც საჭიროა და პირიქით, გააუქმოს სხდომები განსახილველი საკითხების არარსებობის შემთხვევაში.
- **დღის წესრიგის წინასწარ მომზადება.** ამგვარად, საბჭოს წევრები შეძლებენ სათანადო ფოკუსირებას და მომზადებას ამოცანის შესასრულებლად. თავმჯდომარემ შეიძლება მოინდომოს წინასწარ დღის წესრიგის პროექტის განსაზღვრა, რაც შესაძლებელს გახდის შენიშვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას.
- **მნიშვნელოვანი საკითხების განთავსება დღის წესრიგის დასაწყისში.** საბჭოს წევრებს ხშირად სხვა ვალდებულებაც აქვთ და შეიძლება დასჭირდეთ დასრულებამდე სხდომის დატოვება. ინტერაქტიული დისკუსიების ხელშესაწყობად სხდომების დაგეგმვა დღის საათებში გაცილებით ხელსაყრელია, ვიდრე დღის მეორე ნახევარში.

## ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

უახლესი კვლევების შესაბამისად, ქართული კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოები სხდომას მართავენ წელიწადში 8–11-ჯერ.

### 5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის გამართვის შესახებ გაგზავნილი სათანადო შეტყობინება

მენარმეთა შესახებ კანონის თანახმად, შეტყობინება სხდომის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უნდა გაეგზავნოთ სხდომამდე, სულ ცოტა, 8 დღით ადრე.<sup>35</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები სათანადოდ უნდა მოემზადონ სხდომებზე ეფექტიანი მონაწილეობისათვის. მათ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც არა აქვთ ინფორმაცია ან რომელი საკითხიც მათ არ ესმით. საჭირო ინფორმაცია და მასალები წევრებს უნდა გაეგზავნოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის შესახებ შეტყობინებასთან ერთად, სხდომამდე გარკვეული დროით ადრე, რათა თითოეულ წევრს მიეცეს ინფორმაციის საფუძვლიანად განხილვის საშუალება. ორი კვირა შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს. დებულებებით ან სხვა შიდა დოკუმენტებით უნდა განისაზღვროს შეტყობინების ფორმა და მასალების მიწოდების გზა, რომელიც ყველაზე მისაღები და მოსახერხებელია ყველა წევრისთვის (მაგ., ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეტაიპი, ტელეფონი ან ელ-ფოსტა).

### 6. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის კვორუმი

კვორუმი არის **წევრთა მინიმალური რაოდენობა**, რომელიც უნდა მონაწი-

<sup>35</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 55.5

ლებდეს სხდომის მსვლელობაში ლეგიტიმური გადაწყვეტილებების მისაღებად. კვორუმის არსებობისთვის საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა, სულ ცოტა, ნახევარი. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში, თავმჯდომარემ ხელახლა უნდა მოიწვიოს სხდომა არა უგვიანეს 8 დღისა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ წევრთა მინიმუმ 25% არ იქნება წარმოდგენილი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება შეწყდება.<sup>36</sup>

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

რამდენიმე მნიშვნელოვანი კორპორაციული მოქმედების განსახორციელებლად წესდებით, დებულებებით ან სხვა შიდა დოკუმენტებით შეიძლება დადგინდეს კვორუმის უფრო მკაცრი მოთხოვნები. მაგალითად, საბჭოს წევრთა მთლიანი რაოდენობის 2/3-ის კვორუმია საჭირო:

- სტრატეგიული გეგმებისა და ფინანსური და ბიზნესგეგმების დასამტკიცებლად;
- კომპანიის დივიდენდების რეკომენდებული გადახდის დასამტკიცებლად;
- კომპანიის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებით აქციონერთა საერთო კრებისთვის წინადადების წარსადგენად; და
- საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად ან შესამცირებლად წინადადების მოსამზადებლად.

ამასთან, კვორუმი იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ დამოუკიდებელი წევრების მონაწილეობა აუცილებელი იყოს კვორუმისათვის.

**7. როგორ შეუძლიათ საბჭოს წევრებს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში მონაწილეობა**

წევრებმა შეიძლება მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში, თუ ისინი:

- ფიზიკურად ესწრებიან სხდომას;
- წარმოდგენილი არიან რწმუნებული პირებით;
- მონაწილეობენ საკონფერენციო ჩართვით ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებით (რაც ნებადართულია წესდებით ან დებულებებით); ან
- არ ესწრებიან სხდომას, მაგრამ წარდგენილი აქვთ საკუთარი მოსაზრება წერილობითი ფორმით (როდესაც აღნიშნული ნებადართულია წესდებით ან დებულებებით).

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

ზოგიერთი საკითხი ისეთი მნიშვნელობისაა, რომ მოითხოვს საბჭოს წევრთა ფიზიკურ დასწრებას. ეს საკითხებია:

- სტრატეგიული გეგმისა და კომპანიის ფინანსური და ბიზნესგეგმების დამტკიცება;
- აქციონერთა საერთო კრების მოწვევა და გადაწყვეტილებების მიღება იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ასეთი სხდომების ორგანიზებასთან;
- კომპანიის წლიური ანგარიშის წინასწარი დამტკიცება; აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა მესამე მხარის მოთხოვნით ან ასეთი მოთხოვნის უარყოფა;
- თავმჯდომარის არჩევა;
- აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილების განსაზღვრა და ადრეული შეწყვეტა;
- გენერალური დირექტორის უფლებამოსილების შეჩერება;
- კომპანიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; და
- კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდა და აქციების ემისია.

<sup>36</sup> იქვე, მუხ. 55.6

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

წევრს შეუძლია თავისი ხმის მიცემის უფლების დელეგირება სხვა პირზე, მათ შორის, სხვა წევრზე.<sup>37</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაში მონაწილეობისას თითოეულმა წევრმა უნდა:

- მოისმინოს და გაიაზროს ზეპირი პრეზენტაცია;
- დასვას შეკითხვები. ეს თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც აღმასრულებელი პირები მნიშვნელოვან პრეზენტაციებსა და ანგარიშებს წარადგენენ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე, განსაკუთრებით, თუ ასეთი მასალები წარმოდგენილია რთული და ბუნდოვანი ფორმით; და
- მოითხოვოს დამხმარე მასალები. ამა თუ იმ საკითხის წარდგენისას, რომელიც არ შეესაბამება წევრის გამოცდილების სფეროს, დამატებითი ინფორმაცია კვლევის ფორმით, დამოუკიდებელი შეფასება და სხვა დოკუმენტაცია ამ საკითხთან დაკავშირებით მოთხოვნილ უნდა იქნეს სხდომის დაწყებამდე.

### 8. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები მტკიცდება ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ წესდება და/ან დებულებები არ მოითხოვს ხმათა უფრო მაღალ პროცენტს.

### 9. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები

სამეთვალყურეო საბჭომ უნდა აწარმოოს სხდომების ოქმები.<sup>38</sup> ოქმები უნდა ინახებოდეს კომპანიის არქივში. ოქმი უნდა შეიცავდეს, სულ ცოტა, ისეთ ინფორმაციას, როგორცაა:

- სხდომის გამართვის დრო და ადგილი;
- სხდომის მონაწილე პირების სახელები;
- სხდომის დღის წესრიგი;
- დღის წესრიგის მუხლები და კენჭისყრის შედეგები; და
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღწერა.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე პასუხისმგებელია ოქმების სისწორისათვის, რასაც ადასტურებს ხელმოწერით.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

საბჭოს წევრთა მიმართ დაწესებული სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების კომპლექსურობის ზრდის პირობებში, ოქმები მნიშვნელოვანი მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო ზრუნვის მოვალეობას. კორპორაციული მართვის სანიმუშო პრაქტიკიდან გამომდინარე, ოქმებში აისახება თითოეული წევრის მონაწილეობა კენჭისყრაში. კომპანიამ შეიძლება ასევე განიხილოს თითოეული წევრის მიერ ოქმების ხელმოწერა.

სამეთვალყურეო საბჭოს ხშირად მოეთხოვება მდივნის დანიშვნა, რომელიც სხდომის განმავლობაში მოამზადებს ჩანაწერებს და მონაწილეობას მიიღებს ოქმების მომზადებაში. საერთაშორისო პრაქტიკაში კორპორაციული მდივანი ხშირად ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს მდივნის როლს და ასევე შეიძლება აწერდეს ხელს ოქმზე. ოქმები იძლევა მოკლე შემაჯამებელ ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის შესახებ, ხოლო სტენოგრაფიული ჩა-

<sup>37</sup> იქვე, მუხ. 55.5

<sup>38</sup> იქვე, მუხ. 55.4



ნაწერები - დისკუსიების სიტყვა-სიტყვით აღწერას.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

იმის მიუხედავად, რომელს აირჩევს კომპანია - ოქმების თუ სტენოგრაფიული ჩანაწერების წარმოებას, აღნიშნულ ანგარიშებთან ერთად უნდა ინახებოდეს:

- კენჭისყრის ბიულეტენები;
- საბჭოს იმ წევრთა წერილობითი მოსაზრებები, რომლებმაც სხდომაზე დასწრება ვერ შეძლეს.

თითოეულ წევრს ასევე უნდა მიენდოს სამეთვალყურეო საბჭოზე მიმდინარე განხილვების მოკლე შინაარსი. კომპანიამ უნდა დაადგინოს პროცედურა, რომელიც ყველა წევრს უზრუნველყოფს:

- ოქმების და/ან სტენოგრაფიული ანგარიშის ასლით; და
- კენჭისყრის შედეგების ამსახველი ანგარიშით.

ეს უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში სხდომის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს სამეთვალყურეო საბჭოს მომდევნო სხდომისა.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

### 10. კორპორაციული მდივანი და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

კორპორაციული მდივანი პასუხისმგებელი უნდა იყოს ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ საკითხებზე სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მომზადებასა და გამართვასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ სხდომის გამართვის გადწყვეტილებას იღებს თავმჯდომარე, კორპორაციული მდივანი უნდა იყოს პასუხისმგებელი ისეთი საკითხების გადწყვეტისათვის, როგორცაა:

- ყველა წევრის ინფორმირება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების შესახებ;
- კენჭისყრის ბიულეტენების გაგზავნა;
- შევსებული და დაუსრულებელი კენჭისყრის ბიულეტენების შეგროვება; სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების პროცედურებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; და
- ოქმებისა და სტენოგრაფიული ჩანაწერების წარმოება.

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

### 3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მოვალეობები და პასუხისმგებლობა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და ზრუნავდნენ მასზე.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, სამეთვალყურეო საბჭოს კანონით მოთხოვნილი მხოლოდ კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედება (კომპანიის ინტერესების განსაზღვრის გარეშე მისი აქციონერების და/ან დაინტერესებული მხარეების მიმართ). თუმცა, მხოლოდ კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედების მოთხოვნა მენეჯერებს მისცემს საკუთარი შეხედულებების დაცვის საშუალებას და ამიტომ აქციონერებმა (და, რა თქმა უნდა, კანონმდებელმა) ყურადღებით უნდა განიხილონ საბჭოს წევრებისგან აქციონერების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედების მოთხოვნის შესაძლებლობა.

თავი XI

თავი XII

ტერმინები - „კეთილსინდისიერება“, „სათანადო წინდახედულება“ და „სათანადო ზრუნვა“ - ისევე, როგორც პროფესიული ქცევის, ინტერპრეტაციის სტანდარტები, დროთა განმავლობაში ვითარდება ქვეყნის სასამართლო სისტემაში, ეკონომიკასა და კორპორაციულ კულტურაში.<sup>39</sup>

მენარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრულია, რომ წევრები უნდა მოქმედებდნენ გონივრულად და კეთილსინდისიერად, იმ რწმენით, რომ ეს ყველაზე ხელსაყრელია კომპანიისათვის.<sup>40</sup> აღსანიშნავია, რომ, როდესაც სასამართლო ღონისძიება ხორციელდება ფიზიკური პირის მიმართ და საკითხი დგას, მოქმედება თუ არა აღნიშნული პირი გონივრულად და კეთილსინდისიერად, ამ შემთხვევაში იგულისხმება მიზანშეწონილობა და კეთილსინდისიერება. თუმცა, არც მენარმეთა შესახებ კანონით და არც სამოქალაქო კოდექსით არ არის განსაზღვრული „კეთილსინდისიერება“ და „გონივრულობა“. სახელმძღვანელოდ შეიძლება სხვა იურისდიქციის, მაგალითად, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მაგალითის გამოყენება, სადაც გონივრულობა და კეთილსინდისიერება მიიჩნევა წევრის ზრუნვის და ერთგულების მოვალეობის ფუნდამენტურ პრინციპებად.

## 1. ზრუნვის მოვალეობა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პასუხისმგებელი არიან გამოიყენონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ საკუთარი მოვალეობები კეთილსინდისიერად, სიფრთხილით და პროფესიულად.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი:

- უნდა მოქმედებდეს პატიოსნად და კეთილსინდისიერად;
- არ უნდა იყოს პასიური;
- უნდა მოქმედებდეს გონივრულად და ზრუნავდეს კომპანიაზე ისე, როგორც მოეთხოვება კარგ საბჭოს წევრს მსგავს გარემოებებში და ვითარებაში;
- არ უნდა განაპირობებდეს კომპანიის უკანონო მოქმედებას;
- რეგულარულად უნდა ესწრებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და აქტიურად მონაწილეობდეს მის საქმიანობაში;
- უფლებამოსილია შეიტანოს განსახილველი საკითხები სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დღის წესრიგში და მოითხოვოს ასეთი სხდომების გამართვა საჭიროებიდან გამომდინარე;
- უნდა უზრუნველყოფდეს ეფექტიანი და ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის არსებობას;
- უფლებამოსილია მოითხოვოს, რომ გენერალური დირექტორი და აღმასრულებელი საბჭოს წევრები ადეკვატურ ინფორმაციას აწვდიდნენ სამეთვალყურეო საბჭოს იმგვარად, რომ მისი წევრები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული კორპორაციული საკითხების შესახებ; და
- უფლებამოსილია განახორციელოს აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობის გონივრული ზედამხედველობა.

## 2. ერთგულების მოვალეობა

ერთგულების მოვალეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მართვის იმ სისტემისთვის, რომელიც განამტკიცებს ძირითადი კორპორაციული ღონისძიებების ეფექტიან განხორციელებას, მაგალითად, დაკავშირებული მხარის გარიგებების მონიტორინგს და ანაზღაურების პოლიტიკის განსაზღვრას სამეთვალყურეო და აღმასრულებელი საბჭოს წევრებისათვის.

ერთგულების მოვალეობა წევრებისგან მოითხოვს თავიანთი უფლებამოსილების გამოყენებას მთლიანად კომპანიის საუკეთესო ინტერესებში. მეტი რომ არ ვთქვათ, წევრებმა პირადი ინტერესები არ უნდა დააყენონ კომპანიის ინტერესებზე წინ. ერთგულების მოვალეობა, როგორც წესი, წევრებს უკრძა-

<sup>39</sup> აღნიშნული მოვალეობების განმარტებისას სახელმძღვანელო ეხება, ერთი მხრივ, სამოქალაქო კოდექსის და მენარმეთა შესახებ - საქართველოს კანონის ძირითად დებულებებს და, მეორე მხრივ, კომერციული ბანკებისთვის შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებს და საერთაშორისო აღიარების მქონე კორპორაციული მართვის პრინციპებს.

<sup>40</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 9.6

ლავს:

- კონკურენტულ კომპანიაში მონაწილეობას;<sup>41</sup>
- კომპანიასთან გარიგებაში მონაწილეობას წინასწარ გარიგების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების და სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერთა საერთო კრების თანხმობის მოპოვების გარეშე;<sup>42</sup>
- კორპორაციული ქონების და საშუალებების გამოყენებას პირადი მიზნებისათვის;
- არასაჯარო კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას; და
- კომპანიის ინფორმაციის ან ბიზნესშესაძლებლობების გამოყენებას პირადი მიზნებისთვის ანუ პირადი მოგების ან სარგებლის მისაღებად. კომპანიების ჯგუფურ სტრუქტურაში მომუშავე წევრებისთვის ასევე ძირითადი პრინციპია: იმის მიუხედავად, თუ კომპანიას აკონტროლებს მეორე სანარმო, წევრის ერთგულების მოვალეობა დაკავშირებულია კომპანიასა და მის ყველა აქციონერთან, და არა ჯგუფის მაკონტროლებელ კომპანიასთან.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

ერთგულების მოვალეობა საბჭოს წევრისგან მოითხოვს კომპანიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებას, იმის მიუხედავად:

- ვინ წარადგინა და აირჩია ეს წევრი; და
- როგორია ზემოქმედება სხვა საბჭოს წევრებისგან, აქციონერებისგან ან სხვა პირებისგან ისეთი მოქმედებების განხორციელებასთან ან გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით, რომლებიც არ შედის კომპანიის საუკეთესო ინტერესებში.

ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თავისი მოვალეობის შესრულებისას სამეთვალყურეო საბჭო არ იქნეს განიხილული ან არ მოქმედებდეს როგორც სხვადასხვა წარმონაქმნის ინდივიდუალურ წარმომადგენელთა ერთობლიობა. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული საბჭოს წევრები შეიძლება წარდგენილი ან არჩეული იყვნენ გარკვეული აქციონერების მიერ (და ზოგჯერ სხვათა ნების სანაღმდეგოდ), სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობას აუცილებლად უნდა ახასიათებდეს წევრთა პასუხისმგებლობა, შეასრულონ თავიანთი მოვალეობები მიუკერძოებლად და სამართლიანად ყველა აქციონერთან მიმართებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პრინციპის დადგენა მაკონტროლებელი აქციონერების თანდასწრებით, რომლებსაც შესწევთ ყველა საბჭოს წევრის არჩევის უნარი. მეტიც, საბჭოს წევრებმა და დაკავშირებულმა პირებმა (მაგალითად, ოჯახმა, მეგობრებმა და ბიზნესპარტნიორებმა) არ უნდა მიიღონ საჩუქრები ისეთი პირებისგან, რომლებიც დაინტერესებული არიან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებით, ან მიიღონ რამე სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი სარგებელი. გამონაკლისი შეიძლება იყოს სიმბოლური საჩუქარი ან სუვენირი, რომელთა გადაცემაც ხდება თავაზიანობის ნიშნად ოფიციალური ღონისძიებების დროს. ეს გამონაკლისები აღწერილი უნდა იყოს კომპანიის დებულებებში ან სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში.

#### ა) ინტერესთა კონფლიქტი

წევრმა არ უნდა განახორციელოს თავისი მოვალეობები, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი მასსა და კომპანიას და მის აქციონერებს შორის.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როცა:

- კომპანია მონაწილეობს გარიგებაში, რომლითაც დაინტერესებულია მისი საბჭოს წევრი;
- საბჭოს წევრი პირდაპირ ან არაპირდაპირ იძენს კომპანიის აქციებს;

<sup>41</sup> იქვე, მუხ. 9.5  
<sup>42</sup> საქართველოში ეს მოთხოვნა კანონმდებლობით ცალკე გამოყოფილია ანგარიშვალდებული კომპანიებისათვის (ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 16<sup>1</sup>)

- თავი I
- თავი II
- თავი III
- თავი IV
- თავი V
- თავი VI
- თავი VII
- თავი VIII
- თავი IX
- თავი X
- თავი XI
- თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

- საბჭოს წევრი იღებს ოფიციალურ თანამდებობას კონკურენტი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში; და/ან
- საბჭოს წევრი ამყარებს სახელშეკრულებო ურთიერთობას კონკურენტი კომპანიასთან.

საბჭოს წევრებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი მოქმედებისგან, რომელმაც შეიძლება პოტენციურად წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი თავიანთ და კომპანიის ინტერესებს შორის. ასევე რეკომენდებულია, თავი შეიკავონ კენჭისყრაში მონაწილეობისგან ისეთ ვითარებაში, როცა პირადი ინტერესი აქვთ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ აქციონერთა საერთო კრებას ან სამეთვალყურეო საბჭოს წესდამდებ პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.<sup>43</sup>

### ბ) ინფორმაციის კონფიდენციალურობა

მენარმეთა შესახებ კანონით დადგენილია, რომ საბჭოს წევრებმა პირადი სარგებლის მიზნით არ გამოიყენონ კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობის შესრულებისას ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. საბჭოს წევრებთან დადებული ხელშეკრულებით, შეიძლება აღნიშნული ვალდებულება ძალაში დარჩეს, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა.<sup>44</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

საბჭოს წევრებმა არ უნდა გაამჟღავნონ კონფიდენციალური ინფორმაცია ან გამოიყენონ კომპანიის ინფორმაციასთან წვდომის უფლება პირადი ან მესამე მხარეების ინტერესებისათვის. კონფიდენციალური ინფორმაციის პირადი მიზნებისთვის გამოყენება საბოლოოდ ზიანს აყენებს აქციონერებს. რეკომენდებულია, რომ:

- საბჭოს წევრმა მიიღოს ზომები კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად;
- საბჭოს წევრმა არ გაამჟღავნოს ან გამოიყენოს ინფორმაცია საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე;
- კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების სტანდარტები აღწერილი იყოს კომპანიის შიდა დოკუმენტებში; და
- ხელშეკრულებები კომპანიასა და საბჭოს წევრებს შორის ასახავდეს საბჭოს წევრთა ვალდებულებას, არ გაამჟღავნონ კონფიდენციალური ინფორმაცია მათ მიერ კომპანიის დატოვებიდან ათი წლის განმავლობაში.

კონფიდენციალური ინფორმაციის არავტორიზებული გამოყენების აღკვეთის ეფექტიანი მექანიზმის შესამუშავებლად, კომპანიამ საბჭოს წევრებს უნდა მოსთხოვოს:

- სამეთვალყურეო საბჭოს წერილობითი შეტყობინება მათი განზრახვის შესახებ, გააფორმონ გარიგება კომპანიის ან მისი შვილობილი კომპანიების ფასიანი ქაღალდების მონაწილეობით; და
- ინფორმაციის გამჟღავნება კომპანიის ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული წარსული გარიგებების შესახებ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით განსაზღვრული არსებითი ფაქტების გამჟღავნების პროცედურების შესაბამისად.

<sup>43</sup> საქართველოში ეს მოთხოვნა კანონმდებლობით ცალკე გამოყოფილი ანგარიშვალდებული კომპანიებისთვის (ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი, მუხ. 16<sup>1</sup>)

<sup>44</sup> საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ, მუხ. 9.6

გ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მოვალეობების ფორმალიზება

★ **საუკეთესო პრაქტიკა**

კომპანიამ უნდა შეიმუშაოს და კორპორაციულ დოკუმენტებში შეიტანოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მოვალეობების მკაფიო ჩამონათვალი.

3. საბჭოს წევრთა წვდომა ინფორმაციასთან

★ **საუკეთესო პრაქტიკა**

საბჭოს წევრებს აუცილებელია ჰქონდეთ წვდომა იმ ინფორმაციასთან, რომელიც საჭიროა მათი მოვალეობების სათანადოდ შესრულებისათვის, აგრეთვე, სრულ და ზუსტ პასუხებთან, რომლებიც მიღებულია წევრებისა და აღმასრულებელი ორგანოებისგან, ასევე კომპანიის სხვა თანამშრომლებისგან მათი შეკითხვის საპასუხოდ. კომპანიამ უნდა შეიმუშაოს მექანიზმი იმის უზრუნველსაყოფად, რომ საბჭოს წევრებმა მიიღონ ინფორმაცია კომპანიაში მიმდინარე მნიშვნელოვანი ფინანსური და ბიზნესმოვლენების შესახებ, ისევე როგორც, სხვა ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ აქციონერთა ინტერესებზე. დებულებების ან სხვა შიდა დოკუმენტების თანახმად, გენერალურ დირექტორს, აღმასრულებელი საბჭოს წევრებს და ძირითადი დეპარტამენტების უფროსებს აკისრიათ სამეთვალყურეო საბჭოსთვის სრული და საიმედო ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება.

კომპანიის შიდა დოკუმენტები უნდა შეიცავდეს საბჭოს წევრების უფლებას, მოითხოვონ ინფორმაცია აღმასრულებელი საბჭოს წევრებისგან.

4. საბჭოს წევრთა ვალდებულება

საბჭოს წევრებმა შეიძლება პასუხი აგონ კომპანიის წინაშე მათი არასწორი მოქმედებიდან გამომდინარე ზარალის გამო. პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი წინაპირობებია:

- კონკრეტული მოქმედება ან უმოქმედობა;
- შეცდომა, რომელიც მოიცავს როგორც დაუდევრობას, ისე განზრახ მოქმედებას;
- მიზეზშედეგობრივი კავშირი წევრის მოქმედებასა და ზარალს შორის.

თუ კომპანიისთვის მიყენებული ზარალი რამდენიმე წევრის მოქმედების შედეგია, მაშინ ისინი იქნებიან პასუხისმგებელი ერთობლივად და ცალ-ცალკე. მნიშვნელოვანია, რომ ჩვეულებრივი ბიზნესპრაქტიკა და სხვა შესაბამისი გარემოებები იქნეს გათვალისწინებული წევრთა პასუხისმგებლობის საფუძვლის განსასაზღვრად.

★ **საუკეთესო პრაქტიკა**

კომპანიამ:

- ხელი უნდა შეუწყოს საბჭოს წევრებს მათი მოვალეობების სათანადოდ განხორციელებაში;
- უნდა მიიღოს ზომები იმ საბჭოს წევრების უფლებამოსილების შესანყვეტად, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მიყენებული ზარალისათვის; და
- უნდა დააყენოს საბჭოს წევრების პასუხისმგებლობა, როდესაც ისინი არ ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს კომპანიის მიმართ.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## 5. როდის თავისუფლდება საბჭოს წევრი პასუხისმგებლობისგან

კომპანიის საქმიანობის მართვა კომპლექსური პროცესია და რისკთანაა დაკავშირებული - გადაწყვეტილებები, რომლებსაც იღებს სამეთვალყურეო საბჭო გონივრულად და კეთილსინდისიერად, შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს და უარყოფითი შედეგი გამოიწვიოს კომპანიისთვის. წევრები, ზოგადად, არ შეიძლება იყვნენ პასუხისმგებელი ზარალისათვის, თუ მათ:

- ხმა მისცეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელსაც შედეგად მოჰყვა უარყოფითი გარემოებები; ან
- არ ესწრაფოდნენ სამეთვალყურეო საბჭოს იმ სხდომას, რომელზეც ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული (ეს იმას ნიშნავს, რომ წევრთა დასწრება არ იქნა გათვალისწინებული სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის კვორუმში).

წევრები არ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოდან გადადგომის ან გათავისუფლების შემდეგ ისეთი მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების გამო, რომლებიც განხორციელდა და მიღებულ იქნა წევრად ყოფნის პერიოდში.

## 6. ვის შეუძლია სარჩელის შეტანა საბჭოს წევრის წინააღმდეგ

კომპანიას (ასკ) უფლება აქვს დანიშნოს წარმომადგენელი სასამართლოში საბჭოს წევრების წინააღმდეგ სარჩელის შესატანად.<sup>45</sup>

## 7. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები და წევრთა პასუხისმგებლობა

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

საბჭოს წევრთა პასუხისმგებლობის მარეგულირებელი დებულებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, რეკომენდებულია, კომპანიამ აწარმოოს სხდომების დეტალური ოქმები (და, შესაძლოა, სტენოგრაფიული ჩანაწერები). როგორც აღინიშნა, თუ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებას შედეგად მოჰყვება ზარალი, მხოლოდ ის საბჭოს წევრები იქნებიან პასუხისმგებელი, რომლებმაც ხმა მისცეს აღნიშნულ გადაწყვეტილებას. ამგვარად, მნიშვნელოვანია სამეთვალყურეო საბჭომ აწარმოოს სხდომების დეტალური ოქმები, რათა დადგინდეს, თუ ვინ მისცა ხმა კონკრეტულ გადაწყვეტილებას და ვისი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს.

## 8. საბჭოს წევრთა დაცვა პასუხისმგებლობისგან

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

კომპანიების უმრავლესობამ საშუალება უნდა მისცეს თავისი საბჭოს წევრებს, თავი დაიცვან პასუხისმგებლობისგან ან შეზღუდონ პასუხისმგებლობა მათ მიერ მოვალეობების შესრულების შედეგად დამდგარი ზარალის გამო. ასეთი მექანიზმებია:

- ოფიცრისა და საბჭოს წევრის პასუხისმგებლობის დაზღვევა; და
- წესდებაში ან დებულებებში არსებული პირობები, რომლებიც იცავს საბჭოს წევრს მოთხოვნებისგან, სასამართლო ხარჯებისა და პასუხისმგებლობისგან გარკვეულ გარემოებებში.

დასავლეთის ქვეყნების კომპანიებში საბჭოს წევრები ხშირად არიან დაცული პრეზუმციით, რომ, თუ ისინი მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და კომპანი-

<sup>45</sup> იქვე, მუხ. 54.6 (კ)

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი გადაწყვეტილებებით კომპანიისთვის მიყენებული ზარალისათვის. ამას ეწოდება „ბიზნესგადაწყვეტილების წესი“ (“business judgment rule”) და შეიძლება მისი გამოყენება საბჭოს წევრების პასუხისმგებლობისგან დასაცავად.

კომპანიამ შეიძლება საბჭოს წევრს აუნაზღაუროს თავისი როლის, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, პოზიციის დასაცავად განეული ხარჯები, თუ იგი მოქმედებდა:

- პატიოსნად;
- კეთილსინდისიერად;
- კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე; და
- კანონის, წესდების და დებულებების შესაბამისად.

კომპანიას შეიძლება უნდოდეს საბჭოს წევრების პასუხისმგებლობის დაზღვევა, იმ რისკის დასაზღვევად, რომ მათ მოქმედებას შესაძლოა მოჰყვეს ზარალი კომპანიისთვის ან მესამე მხარეებისთვის. საბჭოს წევრების პასუხისმგებლობის დაზღვევა კომპანიას უნდა აძლევდეს სამოქალაქო სამართლის მექანიზმების გაცილებით ეფექტიანად გამოყენების საშუალებას. ხშირად საჭირო ხდება კომპეტენტური საბჭოს წევრების მოზიდვა.

## ზ. სამეთვალყურეო საბჭოს და მისი წევრების შეფასება და განათლება

იმისათვის, რომ ეფექტიანი იყოს, სამეთვალყურეო საბჭოს უნდა ჰქონდეს საჭირო რესურსები მისი წევრების ცოდნისა და უნარ-ჩვევების გასაღრმავებლად და გასაფასებლად. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი წევრების პერიოდულ შეფასებაზე დამყარებულ ტრენინგის პროგრამებს.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

სამეთვალყურეო საბჭოს შეფასების მნიშვნელობა ფართოდაა აღიარებული საერთაშორისო ბიზნესსაზოგადოებაში. საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად რეკომენდებულია, რომ:

- სამეთვალყურეო საბჭომ თავისი საქმიანობა შეაფასოს ყოველწლიურად; და
- წლიურ ანგარიშში აისახოს საქმიანობის შეფასების შედეგები.

სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი წევრების საქმიანობის შეფასება შეიძლება განახორციელონ:

- წევრებმა თვითშეფასების საშუალებით და/ან
- კონსულტანტებმა, პროფესიულმა ასოციაციებმა და კორპორაციული მართვის სარეიტინგო ორგანიზაციებმა.

ალტერნატიული მიდგომა მოითხოვს გარეშე მხარის, მაგალითად, იურისტის ან სპეციალიზებული კონსულტანტების მიერ მსგავსი კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოების კონფიდენციალურ შეფასებას.

### 1. სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასება

თვითშეფასება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სამეთვალყურეო საბჭოსთვის თავისი საქმიანობის ხარისხის შესაფასებლად. კრიტიკული აზროვნებისა და თვითშეფასების გზით წევრები შეიძლება უფრო მგრძობიარე გახდნენ აქციონერების, ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიმართ. თვითშეფასებისათვის საჭიროა:

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

- თათბირის ორგანიზება და გარე კოორდინატორის მოწვევა;
- სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწყობა სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შესაფასებლად ან ალტერნატიულად, ჩვეულებრივი სხდომისას დროის გამოყოფა საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად;
- სააღრიცხვო ბარათის შემუშავება, რომლის გამოყენებაც შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს წევრს თავისი საქმიანობის შესაფასებლად;
- და
- მონაწილეობა სპეციალურ სატრენინგო პროგრამებში და ამით წევრებისთვის იმის საშუალების მიცემა, რომ კრიტიკულად შეაფასონ საკუთარი საქმიანობა და შეიმუშაონ და სხვებს გაუზიარონ ახალი იდეები.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

სამეთვალყურეო საბჭოს შეფასების კიდევ ერთი საჭირო ხერხია კონსულტანტის, მრჩევლის, დირექტორთა ინსტიტუტის ან სარეიტინგო სააგენტოს გამოყენება სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი შეფასების მიზნით. მაგალითად, სარეიტინგო სააგენტო არა მარტო შეაფასებს სამეთვალყურეო საბჭოს, არამედ შეაფასებს კომპანიის კორპორაციული მართვის სისტემის სხვა ასპექტებსაც.

### 2. განათლება და ტრენინგი

სამეთვალყურეო საბჭოს და მისი წევრების შეფასებამ შეიძლება გამოავლინოს საბჭოს ძლიერი და სუსტი მხარეები. ეს ინფორმაცია შეიძლება ასევე გამოიყენოს სამეთვალყურეო საბჭომ კოლექტიური და ინდივიდუალური ტრენინგის საჭიროების განსასაზღვრად. კორპორაციული ტრენინგი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის კონტექსტში, რადგან საბჭოს წევრები არ უნდა ჩამორჩნენ სამართლებრივი და მარეგულირებელი სისტემის ცვლილებებს და უნდა გაეცნონ საუკეთესო პრაქტიკას. კომპანიის ასეთი საგანმანათლებლო პოლიტიკა სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი წევრებისთვის წარმატების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი გახდება კომპეტენტური, მცოდნე და ძლიერი საბჭოს ჩამოყალიბების და მხარდაჭერის პროცესში.

### თ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, შესაძლებელია, იღებდნენ ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოსთვის. ასეთი ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს აქციონერთა საერთო კრება.<sup>46</sup>

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურება ერთ-ერთი ყველაზე სადავო საკითხია კორპორაციული მართვის სფეროში და რეკომენდებულია, რომ კომპანიები დიდი სიფრთხილით და გააზრებულად მოეკიდონ ამ საქმეს. ზედმეტი ანაზღაურების გეგმები ხშირად განიხილება როგორც ძალაუფლების გაუმართლებელი გამოყენება. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ საბჭოს წევრის ანაზღაურება იყოს კონკურენტული, მაგრამ ამავე დროს - გონივრული.

მნიშვნელოვნად უნდა განსხვავდებოდეს არააღმასრულებელ და აღმასრულებელ წევრებს შორის ანაზღაურება კომბინირებული სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის პირობებში. როგორც წესი, აღმასრულებელი წევრები არ იღებენ დამატებით ანაზღაურებას სამეთვალყურეო საბჭოში მონაწილეობისთვის. აღმასრულებელ პოზიციაზე მათი კომპენსაციის პაკეტი ზოგადად ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოში შესრულებულ მოვალეობებს. არააღმასრულებელი წევრები, მეორე მხრივ, უნდა იღებდნენ ანაზღაურებას. ყველაზე გავრცელებული ანაზღაურების ფორმა არააღმასრულებელი წევრებისათვის არის ფულადი ჰონორარი.

მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შეუძლიათ მიიღონ:

<sup>46</sup> იქვე, მუხ. 54.6 (თ)



- წლიური ჰონორარი (რომლის გადახდაც შეიძლება აქციების ფორმით ნაღდი ფულის ნაცვლად);
- ჰონორარი სხდომაზე დასწრების შესაბამისად;
- ჰონორარი ისეთი დამატებით შესრულებული სამუშაოსთვის, როგორცაა სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებში საქმიანობა; და
- ჰონორარი ისეთი დამატებითი პასუხისმგებლობისთვის, როგორცაა სამეთვალყურეო საბჭოს ან რომელიმე მისი კომიტეტის თავმჯდომარეობა.

წევრებმა შეიძლება ასევე მიიღონ მგზავრობის ხარჯებისა და სხვა ბიზნეს-ხარჯების ანაზღაურება.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

საბჭოს წევრებისათვის გადასახდელი გასამრჯელო თანაბარი უნდა იყოს ყველა წევრისთვის. მეტიც, კომპანიის მიერ გადახდილი ჰონორარი უნდა იყოს კონკურენტული - საკმარისი კომპეტენტური პირების მოსაზიდად. აღნიშნული ანაზღაურება ისე უნდა განისაზღვროს, რომ ბევრად არ აღემატებოდეს და არც ჩამორჩებოდეს მსგავსი კომპანიების მიერ საბჭოს წევრებისათვის გადახდილ გასამრჯელოს. საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების გონივრული ოდენობის დადგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საფრთხე არ შეექმნას დამოუკიდებელი წევრების განსაკუთრებულ სტატუსს. იმის მიუხედავად, დამოუკიდებელია წევრი თუ არა, მისი გადაწყვეტილების მიღების უნარზე შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ჰონორარის სახით მისი მთლიანი შემოსავლის მნიშვნელოვანი პროცენტის შეთავაზებამ. საბჭოს წევრი, რომელიც დამოუკიდებელია საბჭოს ანაზღაურებაზე, მალე აღმოჩნდება კომპანიაზე დამოკიდებული და, სავარაუდოდ, საკუთარ პასუხისმგებლობას ვეღარ შეასრულებს მიუკერძოებლად.

სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა იხილავდეს თავისი წევრების ანაზღაურების საკითხს.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

საუკეთესო შემთხვევაში, ეს უნდა განახორციელონ ან ანაზღაურების კომიტეტმა, რომელიც მთლიანად საბჭოს დამოუკიდებელი წევრებისაგან შედგება, ან საბჭოს დამოუკიდებელმა წევრებმა. კომპანიამ თავის წლიურ ანგარიშში უნდა გაამჟღავნოს ანაზღაურების გეგმა და თითოეული საბჭოს წევრის ანაზღაურება ინდივიდუალური ან აგრეგატული ფორმით. პირველის განხორციელება ძალზე ადვილია, როცა საბჭოს წევრები ერთსა და იმავე ანაზღაურებას იღებენ. შესაძლებელია წლიურ ანგარიშში მარტივი განცხადების გაკეთება: „ყველა აღმასრულებელი დირექტორი იღებს წელიწადში XXX ლარს.“

დიდი სიფრთხილეა საჭირო შედეგებზე დამყარებული ანაზღაურების სისტემის დანერგვის შემთხვევაში (კერძოდ, აქციებით ანაზღაურებისას). შედეგებზე დამყარებული ანაზღაურება ზოგადად მიიჩნევა ისეთ ფაქტორად, რომელიც ზიანს აყენებს საბჭოს წევრის დამოუკიდებლობას.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ აქციებზე დამყარებული ანაზღაურება გავრცელებულია აშშ-ში, ის ნაკლებადაა გავრცელებული სხვა ქვეყნებში, რადგან არსებობს მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა. აქციებზე დამყარებული ანაზღაურების სქემები, კერძოდ კი, აქციების ოფციონის გეგმები კომპლექსური სისტემებია. მართალია ზოგადად ისინი გამოიყენება საბჭოს წევრთა წასახალისებლად, მაგრამ შეიძლება ასევე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ კომპანიასა და აქციონერებზე.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

- ითვლება, რომ აქციებით ოფციონი ინვესტს საბჭოს წევრთა ფოკუსირებას მოკლევადიან საქმიანობაზე და აქციების ფასის ცვლილებაზე.
- თუ გადაცემული აქციებით ოფციონი დიდია, აღნიშნულმა შეიძლება ასევე შექმნას უთანხმოება საბჭოს წევრებსა და აღმასრულებელ პირებს შორის, რომლებიც ცდილობენ დიდი სარგებლის მიღებას ფასის მოკლევადიანი ცვლილებებიდან.
- აქციონერები დგანან წილის შემცირების წინაშე, როდესაც ხდება დიდი ოფციონის გეგმების გაცემა.
- დაბოლოს, დიდი ოფციონი არ გამოიციხავს მენეჯერების მიერ კომპანიით მანიპულაციას და ფინანსური ინფორმაციის საკუთარი თავის სასარგებლოდ გამოყენებას.

შესაბამისად, ოფციონის გეგმების მიმართ სულ უფრო იზრდება კონტროლი. ასეთი გეგმების განხილვისას საჭიროა სიფრთხილე, სწორი დაგეგმვა და ინფორმაციის გამჟღავნების სპეციალური ზომები. კომპანიებმა, ალბათ აჯობებს, თავიდან აიცილონ საბჭოს წევრებისათვის აქციებით ოფციონი.

თუ კომპანია ირჩევს აქციებით ოფციონის გეგმის დანერგვას, ის გამჭვირვალე უნდა იყოს ფასთან დაკავშირებით წილის შემცირების თვალსაზრისით. კომპანიამ ასევე უნდა გაამჟღავნოს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, რომელიც გამოყენებულია აქციების ფასის და გადაცემული ოფციონის აღსარიცხავად. საუკეთესო პრაქტიკა აქციონერებისგან მოითხოვს აქციებზე ან ოფციონზე დამყარებული ანაზღაურების გეგმის დამტკიცებას, რომელსაც შეუძლია აქციონერის მფლობელობაში არსებული წილის შემცირება ან მოგებაზე გავლენის მოხდენა.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა პირადი სესხები ან კრედიტები ასევე ერთგვარი ნაღმი და კონფლიქტის პოტენციური წყაროა, რომლებიც კომპანიებმა თავიდან უნდა აიცილონ.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

### კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:

მმართველ ორგანოთა წევრთა ანაზღაურების პოლიტიკის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბანკის კორპორაციული კულტურა, გრძელვადიანი მიზნები, სტრატეგია და კონტროლის გარემო.

ანაზღაურების პოლიტიკის ის ნაწილი, რომელიც ეხება მმართველ ორგანოთა წევრთა ბანკის აქციებით ან/და აქციების შეძენაზე ოფციონების ფორმით ანაზღაურებას, უნდა წარედგინოს აქციონერთა საერთო კრებას დასამტკიცებლად. დამტკიცებას ექვემდებარება ანაზღაურების ზოგადი პრინციპები და არ გულისხმობს მმართველ ორგანოთა ცალკეული წევრის ანაზღაურებას.

ანაზღაურების პოლიტიკა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:


- ა) ანაზღაურების ფიქსირებული და ცვალებადი კომპონენტების განსაზღვრებანი;
- ბ) ანაზღაურების თითოეული კომპონენტისთვის დაწესებული მაქსიმალური ზღვარი;
- გ) მმართველ ორგანოთა წევრების საქმიანობის ეფექტურობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები;
- დ) კავშირი ანაზღაურებასა და საქმიანობის ეფექტურობას შორის;
- ე) წლიური პრემიების სქემის პირობები და პარამეტრები;
- ვ) სხვა არაფულადი ანაზღაურება (ბანკის აქციები, ოფციონები ბანკის აქციების შეძენაზე, დაზღვევა, საპენსიო სქემა, გასასვლელი დახმარება და სხვა.).  
(ნაწილი 8 (ბ))

## საქართველოში არსებული პრაქტიკა

### კორპორაციული მართვის კვლევის შედეგები ქართულ კომპანიებში:

კორპორაციული მართვის კვლევის თანახმად, გამოკითხული კომპანიების ნახევარი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უხდის ფიქსირებულ ხელფასს. კომპანიების 12 პროცენტის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურება ემყარება კორპორაციული მოგების პროცენტულ მაჩვენებელს. კვლევამ აჩვენა, რომ კომპანიების 34 პროცენტი საერთოდ არ უხდის ანაზღაურებას სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს.

### სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება



### 1. სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტიანობის განმსაზღვრელი შემაჯამებელი სააღრიცხვო ბარათი

შეკითხვები - დიახ, არა

ა) უთმობს თუ არა ბოლო დროს სამეთვალყურეო საბჭო მნიშვნელოვან დროსა და ყურადღებას კომპანიის შედარებით გრძელვადიან ამოცანებს და მის წინაშე მდგომ სტრატეგიულ არჩევანს მათ მისაღწევად? თუ უთმობს, აღწევს თუ არა კონსენსუსს საბჭოს შიგნით ამ საკითხების განხილვის ან გადაწყვეტილების მიღებისას სამომავლო ამოცანების და სტრატეგიების შესახებ და არის თუ არა ეს დოკუმენტურად გაფორმებული?

ბ) გააცნობიერა თუ არა სამეთვალყურეო საბჭომ ე.წ. ძირითადი კორპორაციული ფილოსოფია და გამოიტანა თუ არა დასკვნა ისეთ საკითხებზე, როგორცაა მისი ღირებულებათა სისტემა, ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობა, სასურველი „იმიჯი“ და სხვ.? და თუ ასეა, ასახულია თუ არა აღნიშნული დასკვნები მკაფიოდ მის პოლიტიკაში, მაგალითად, სასამსახურო ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით? აქვს თუ არა კომპანიას ჩამოყალიბებული პროცედურები სამეთვალყურეო საბჭოს ძირითად გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვადასხვა მიმართულების მენეჯერებისათვის განკუთვნილი პოლიტიკასთან დაკავშირებული მითითებებისათვის, აღრიცხვისა და გამოქვეყნებისათვის?

გ) განიხილავს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო პერიოდულად კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურას და გეგმავს თუ არა, როგორ შეიძლება სამომავლოდ მისი შეცვლა? განიხილავს თუ არა ყველა მნიშვნელოვან პოზიციაზე დასანიშნ კანდიდატს და ამტკიცებს თუ არა მათ? არსებობს თუ არა ადამიანური რესურსების განვითარების ადეკვატური პროგრამები?

დ) იღებს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო სისტემატურად მთელ ინფორმაციას, რომელიც სჭირდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ განახორციელოს კომპანიისა და მისი მენეჯმენტის ეფექტიანი კონტროლი? მომხდარა თუ არა რამე არასასიამოვნო გარემოება, მაგალითად, არახელსაყრელი შედეგები ან

- თავი I
- თავი II
- თავი III
- თავი IV
- თავი V
- თავი VI
- თავი VII
- თავი VIII
- თავი IX
- თავი X
- თავი XI
- თავი XII

გაუთვალისწინებელი კრიზისი, რომელიც შეიძლება მიენეროს დროული და ზუსტი ინფორმაციის არარსებობას?

ე) ითხოვს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო დაბეჯითებით გენერალური დირექტორისგან წლიური გეგმისა და ბიუჯეტის წარდგენას განსახილველად და დასამტკიცებლად? ახორციელებს თუ არა საბჭო გენერალური დირექტორის და მას დაქვემდებარებული მენეჯერების საქმიანობის რეგულარულ მონიტორინგს შეთანხმებული გეგმისა და ბიუჯეტის რეალურ შესრულებასთან დაკავშირებით?

ვ) როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს მოეთხოვება ძირითადი გადანყვეტილებების მიღება სამომავლო ამოცანებთან, სტრატეგიებთან, სხვადასხვა პოლიტიკასთან, ძირითად ინვესტიციებთან, ხელმძღვანელი პირების დანიშვნასა და სხვასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა მას ადეკვატური დრო და ცოდნა ჯანსაღი გადანყვეტილებების მისაღებად – თუ უბრალოდ ადევნებს თვალს მოვლენებს და მექანიკურად ამტკიცებს რეალურად უკვე მიღებულ გადანყვეტილებებს ან ნაკისრ ვალდებულებებს?

თუ ყველა აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი დადებითია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ეფექტიანად მუშაობს. თუ პასუხი უარყოფითია ან არც ისე მკაფიოა, მაშინ კომპანიამ უნდა გადააფასოს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა და როლი.



# თავი

აღმასრულებელი  
ორგანოები

## ❓ კითხვარი



არის თუ არა კომპანიაში მკაფიოდ განსაზღვრული და განცალკევებული უფლებამოსილებები აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს წევრებს შორის? აქვს თუ არა კომპანიას სათანადოდ შექმნილი სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი საბჭო? წესდებით მკაფიოდ არის თუ არა გამიჯნული გენერალური დირექტორის უფლებამოსილება აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობის) უფლებამოსილებისგან?



აქვთ თუ არა გენერალურ დირექტორსა და აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრს კომპანიის სამართავად საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები? ასრულებენ თუ არა ისინი თავიანთ ფუნქციებს სრული განაკვეთით? დაყოფილია თუ არა გამჭვირვალედ აღმასრულებელი საბჭოს წევრებს შორის ამოცანები ისეთ სფეროებში, როგორცაა საოპერაციო მიმართულება, მარკეტინგი, ფინანსები და სამართლებრივი ასპექტები?



ვინ ნიშნავს აღმასრულებელი ორგანოების წევრებს? საკმარისად არის თუ არა გენერალური დირექტორი ჩაბმული სხვა აღმასრულებელი პირების წარდგენის პროცესში?



რეგულარულად იმართება თუ არა აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობის) სხდომები კომპანიის საქმიანობის განსახილველად? არის თუ არა ეს სხდომები სათანადოდ მომზადებული დღის წესრიგით და დარიგებულია თუ არა წინასწარ საინფორმაციო მასალები (წერილობით და/ან ელექტრონულად)?



ანვდიან თუ არა გენერალური დირექტორი და აღმასრულებელი საბჭო რეგულარულად და ადეკვატურად ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს კომპანიის ყველა ოპერაციის შესახებ? ანვდიან თუ არა აღმასრულებელი ორგანოები ყველა საჭირო ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს და გარე აუდიტორს?



მკაფიოდ ესმის თუ არა აღმასრულებელი ორგანოების ყველა წევრს საკუთარი მოვალეობები იმისათვის, რომ გონივრულად და კეთილსინდისიერად იმოქმედოს კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე? იღებს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო ზომებს, რათა უზრუნველყოს იმ მენეჯერების პასუხისმგებლობა სამოქალაქო, ადმინისტრაციული და/ან სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს?



ეფუძნება თუ არა აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის სრულყოფილი შეფასება შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლებს? მკაცრად აფასებს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო აღმასრულებელი პირების საქმიანობას, სულ ცოტა, ყოველწლიურად მაინც? მკაფიოდ უკავშირებს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო ერთმანეთს შრომის ნაყოფიერებასა და ანაზღაურებას, როდესაც იღებს აღმასრულებელი პირების ანაზღაურების განწყვეტილებას?



ესმის თუ არა სრულად აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრს, როგორ ფუნქციონირებს აქციებზე ოფციონი? იცის თუ არა აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრმა აქციებზე ოფციონის ღირებულების გატარების და ანგარიშგების განსხვავებული მეთოდები? ამონებს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო კრიტიკულად ოფციონის გამოყენებას როგორც სტიმულირების ინსტრუმენტს, უზრუნველყოფს თუ არა, რომ ოფციონი არ იყოს მხოლოდ მენეჯმენტის საჩუქარი და აცნობებს თუ არა აღნიშნულს აქციონერებს სრულად და ეფექტიანად?

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავენ აღმასრულებელი ორგანოები. ისინი ახორციელებენ სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა საერთო კრების სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს და არიან კომპანიის მართვის სტრუქტურის აუცილებელი ნაწილი. ამ თავში აღწერილია აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილება, შემადგენლობა, ფორმირება და სამუშაო პროცედურები, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოსთან ურთიერთქმედება, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობა, შეფასება და ანაზღაურება.

**ა. აღმასრულებელი ორგანოები და მათი უფლებამოსილება**

აღმასრულებელი ორგანო შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე პირისგან შემდგარი ორგანო, ე.ი გენერალური დირექტორი ან კოლექტიური აღმასრულებელი ორგანო, ანუ აღმასრულებელი საბჭო (დირექტორატი), რომელიც შედგება გენერალური დირექტორისა და ერთი ან რამდენიმე დირექტორისგან.

როგორც წესი, აღმასრულებელ ორგანოს აქვს უფლება გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომელიც არ შედის აქციონერთა საერთო კრების და/ან სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებაში. საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც შედის აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებაში შეიძლება დელეგირებულ იქნეს აღმასრულებელ ორგანოებზე.<sup>1</sup> ასეთ შემთხვევებში, წესდებით უნდა განისაზღვროს აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილება.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობა უნდა წარიმართოს ფინანსური და ბიზნესგეგმებით, რომლებსაც ყოველწლიურად ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. ფინანსური და ბიზნესგეგმა უნდა შეიცავდეს ძირითად მითითებებს კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების განსახორციელებლად. სანიმუშო კორპორაციული მართვის პრინციპების რეკომენდაციით:

- გენერალურმა დირექტორმა და დირექტორატმა უნდა მიიღონ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა იმ გარიგებებისათვის, რომლებიც სცილდება ფინანსური და ბიზნესგეგმის (არასტანდარტული ოპერაციები) მოქმედების სფეროს;
- კომპანიამ უნდა შეიმუშაოს დებულებები ან სხვა შიდა დოკუმენტები, რომლებშიც დეტალურად აისახება პროცედურები გენერალური დირექტორისა და დირექტორატისთვის, თუ როგორ მოიპოვონ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა; და
- სამეთვალყურეო საბჭოს უნდა ჰქონდეს ვეტოს უფლება გენერალური დირექტორის და დირექტორატის მიერ არასტანდარტული ოპერაციების განხორციელების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

**1. გენერალური დირექტორის უფლებამოსილება**

მიუხედავად იმისა, რომ მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით არ არის განსაზღვრული გენერალური დირექტორის უფლებამოსილებანი, ისინი შეიძლება ჩამოყალიბდეს 1-ელი სურათის მსგავსად:

**სურათი 1:** გენერალური დირექტორის უფლებამოსილებანი



<sup>1</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 54.6 და 55.1<sup>1</sup>

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

## 2. აღმასრულებელი საბჭოს უფლებამოსილება

კომპანიის აღმასრულებელი საბჭოს უფლებამოსილება უნდა განისაზღვროს წესდების შესაბამისად.<sup>2</sup>

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

კომპანიის წესდებით უნდა განისაზღვროს აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილება:

- შეიმუშაოს დოკუმენტები კომპანიის საქმიანობის პრიორიტეტულ სფეროებთან დაკავშირებით;
- შეიმუშაოს კომპანიის ბიზნესგეგმა;
- დაამტკიცოს გარიგებები, რომელთა ღირებულება ცტოლია ან აღემატება კომპანიის აქტივების 5%-ს, და დაუყოვნებლივ მიაწოდოს ეს ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს;
- დანიშნოს კომპანიის ფილიალებისა და წარმომადგენლობითი ოფისების უფროსები;
- დაამტკიცოს შიდა სამუშაო გრაფიკები;
- დაამტკიცოს კომპანიის მენეჯმენტის დონის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა;
- დაამტკიცოს შუალედური რგოლის მენეჯერების სასამსახურო ხელშეკრულებები; და
- დაამტკიცოს კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებები.

## ბ. აღმასრულებელი ორგანოს შემაჯავნელობა

### 1. ვინ შეიძლება იყოს გენერალური დირექტორი ან აღმასრულებელი საბჭოს წევრი?

ნებისმიერი ფიზიკური პირი შეიძლება იყოს გენერალური დირექტორი ან აღმასრულებელი საბჭოს წევრი. თუმცა, არსებობს შეზღუდვები:

- მხოლოდ „სრული ქმედუნარიანობის“ მქონე პირები შეიძლება იყვნენ აღმასრულებელი ორგანოების წევრები, რაც იმას ნიშნავს, რომ პირს უნდა ჰქონდეს უნარი თავისი მოქმედებებით შეიძინოს და გამოიყენოს სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებები, მას უნდა შეეძლოს სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებათა შექმნა და ამ უფლებებისა და ვალდებულებათა განხორციელება;
- იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს აღმასრულებელი საბჭოს წევრი; და კომპანიის აღმასრულებელი ორგანოების წევრი შეიძლება იყოს მეორე კომპანიის აღმასრულებელი ორგანოს წევრი მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში.<sup>3</sup>

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

საუკეთესო პრაქტიკის რეკომენდაციით, აღმასრულებელ ორგანოში არ უნდა დაინიშნოს პირი, თუ ის არის:

- კონკურენტი კომპანიის დირექტორი;
- კონკურენტი კომპანიის მენეჯერი; ან
- კონკურენტი კომპანიის თანამშრომელი.

გენერალური დირექტორი არ უნდა მონაწილეობდეს ნებისმიერ სხვა ბიზნესსაქმიანობაში, გარდა კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობისა.

<sup>2</sup> იქვე, მუხ. 56.2

<sup>3</sup> იქვე, მუხ. 9.5



## 2. გენერალური დირექტორისა და აღმასრულებელი საბჭოს წევრთა კვალიფიკაცია

აღმასრულებელი ორგანოების წევრთა საქმიანობა შეიძლება იყოს ეფექტიანი მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ აქვთ ადეკვატური ფინანსური და ადამიანური რესურსები, აგრეთვე საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები, დრო და გამოცდილება საკუთარი მოვალეობების განსახორციელებლად.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

წესდებით ან დებულებებით უნდა განისაზღვროს აღმასრულებელი ორგანოების წევრების, აგრეთვე ძირითადი ქვედანაყოფების უფროსების კვალიფიკაცია. აღმასრულებელი ორგანოს წევრი, ზოგადად, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა სარგებლობდეს კომპანიის აქციონერების, დირექტორების, სხვა მენეჯერებისა და თანამშრომლების ნდობით;
- უნდა ჰქონდეს ყველა აქციონერის ინტერესების გათვალისწინებისა და სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- ჰქონდეს პროფესიული გამოცდილება და განათლება იმისათვის, რომ იყოს ეფექტიანი გენერალური დირექტორი და მენეჯერი;
- ჰქონდეს ბიზნესგამოცდილება (საერთაშორისო), იცოდეს თავისი ქვეყნის ეკონომიკის, პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური საკითხები, აგრეთვე ჰქონდეს ინფორმაცია საბაზრო ტენდენციების, პროდუქტების და კონკურენტების (საერთაშორისო და ადგილობრივი) შესახებ;
- ჰქონდეს ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკულ გადაწყვეტილებებად გარდაქმნის უნარი, რომელიც შეიძლება გამოიყენოს კომპანიის საქმიანობისთვის. მეტიც, აუცილებელია კანდიდატების ბიოგრაფიის შესწავლა სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის შესაძლო ნასამართლეობის გასარკვევად. ასეთი დანაშაულების მტკიცებულების გამოვლენისას, კანდიდატს უნდა ეთქვას უარი.

## 3. აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობა

აღმასრულებელი საბჭოს წევრთა რაოდენობა, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განსაზღვროს აღმასრულებელი საბჭოს წევრთა რაოდენობა, რომელსაც დაამტკიცებს აქციონერთა საერთო კრება.

### გ. აღმასრულებელი ორგანოების ფორმირება და გაუქმება

მენარმეთა შესახებ კანონით სამეთვალყურეო საბჭოს ანიჭებს აქვს უფლებამოსილება დანიშნოს და გამოიწვიოს აღმასრულებელი საბჭოს წევრები, თუმცა, აღნიშნული ფუნქცია შეიძლება გადაეცეს აქციონერთა საერთო კრებას, კომპანიაში სამეთვალყურეო საბჭოს არარსებობის შემთხვევაში. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობა საკმარისია აღმასრულებელი ორგანოების წევრთა დასანიშნად, თუ წესდებით ან დებულებებით უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებელი არ არის დადგენილი.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში აქციონერთა საერთო კრების მონაწილეობამ შეიძლება აქციონერებს მისცეს გადაწყვეტილების მიღების საშუალება, თუ ვინ უნდა მართავდეს კომპანიას. აღნიშნული ასევე იძლევა აქციონერთა უფლებების დაცვის შესაძლებლობას, რამდენადაც მათ შეუძლიათ არა მარტო მენეჯერებისთვის ხმის მიცემა, არამედ ასევე აქვთ კანდიდატების შეთავაზების უფლება. კორპორაციული მართვის ზოგიერთი კოდექსის რეკომენდა-

<sup>4</sup> იქვე, მუხ. 55.7 (ვ)  
<sup>5</sup> იქვე, მუხ. 55.1<sup>1</sup>

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ციით, აქციონერთა საერთო კრებამ უნდა აირჩიოს აღმასრულებელი ორგანოები. მეორე მხრივ, კორპორაციული მართვის თითქმის ყოველი მეორე სისტემა ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გენერალური დირექტორის არჩევას. აქციონერებთან შედარებით, სამეთვალყურეო საბჭო უკეთეს მდგომარეობაშია იმისათვის, რათა განსაზღვროს კრიტერიუმები, თუ რა ტიპის გენერალური დირექტორი სჭირდება კომპანიას, ორგანიზება გაუწიოს ჩანაცვლების სათანადო დაგეგმვას და გამოძებნოს ასეთი პირი. ამ მიზნით სამეთვალყურეო საბჭომ შეიძლება შექმნას კიდევ ნომინაციის (წარდგენის) დამოუკიდებელი კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება გენერალური დირექტორის თანამდებობაზე პოტენციური კანდიდატების დასანიშნად რეკომენდაციების მომზადებისათვის. აქციონერების ინტერესები არ ზარალდება, რადგან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, ერთგულებისა და ზრუნვის ვალდებულებიდან გამომდინარე, უნდა მოქმედებდნენ კომპანიის და მისი აქციონერების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. განსაკუთრებით რეკომენდებულია სამეთვალყურეო საბჭოსთვის ამ უფლებამოსილების დელეგირება ისეთი გარდამავალი ეკონომიკური სისტემების ქვეყნებში, სადაც სამეთვალყურეო საბჭოები ჩამოყალიბების ეტაპზე არიან მაკონტროლებელ აქციონერებთან მიმართებით და გაძლიერებას საჭიროებენ. დაბოლოს, რადგან მენეჯმენტის ზედამხედველობის განხორციელება სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა, საბჭოს უფლებამოსილება, გაათავისუფლოს გენერალური დირექტორი, უნდა ემთხვეოდეს ამ მნიშვნელოვანი პირის არჩევის უფლებას.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ზედა დონის პერსონალის დანიშვნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, ზოგადად, და უფრო კონკრეტულად დირექტორატის წევრების შერჩევა, საუკეთესოდ შეიძლება იქნეს მიღწეული გენერალური დირექტორის სამეთვალყურეო საბჭოსთან თანამშრომლობით. პერსონალთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები არ უნდა იყოს პოლიტიკური. დირექტორატის პოტენციური წევრების უნარ-ჩვევების და კვალიფიკაციების შეფასება საუკეთესოდ შეიძლება განახორციელოს ისეთმა პირმა, რომელიც ყოველდღიურად საქმიანობს პოტენციურ კანდიდატებთან. აქციონერებმა ან სამეთვალყურეო საბჭომ, რომელთა მიზანია ამ პროცესის მკაცრი კონტროლი, ალბათ, აჯობებს შეიმუშაონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს შედეგს, და არ მიიღონ მონაწილეობა შერჩევის დეტალებში. ძირითადი აღმასრულებელი პოზიციებისთვის უფლებამოსილების ზუსტი და ეფექტიანი ჩამონათვალის შემუშავება მხოლოდ ერთი მაგალითია. წინადადებები დირექტორატის წევრობასთან დაკავშირებით უნდა შეთანხმდეს უშუალოდ გენერალურ დირექტორთან, რომელიც წარადგენს კანდიდატს, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო დაამტკიცებს მას.

კანონმდებლობით ასევე არ არის განსაზღვრული მინიმალური და მაქსიმალური ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა დაინიშნონ აღმასრულებელი ორგანოები. წესდებით, დებულებებით ან სასამსახურო ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს პერიოდი, რა ვადითაც ხდება გენერალური დირექტორის და აღმასრულებელი ორგანოს წევრთა არჩევა. სურვილის შემთხვევაში, აღმასრულებელი ორგანოს წევრები შეიძლება ხელახლა იქნენ არჩეული.

ინფორმაცია აღმასრულებელი ორგანოების წევრობის კანდიდატების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს წევრ-აქციონერებს უნდა წარედგინოთ სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრამდე/აქციონერთა საერთო კრებამდე. კომპანიებს შეუძლიათ წესდებით განსაზღვრონ იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროა აღმასრულებელ ორგანოებში კანდიდატების დასანიშნად.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

აღმასრულებელი ორგანოების წევრობის კანდიდატების შესახებ ინფორმაცია (წერილობით და/ან ელექტრონული ფორმით) უნდა შეიცავდეს ისეთ მონაცემებს, როგორცაა:

- კანდიდატის ვინაობა;
- კანდიდატის ასაკი და განათლება;
- კანდიდატის მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაკავებული თანამდებობები;
- წარდგენის მომენტისთვის კანდიდატის მიერ დაკავებული თანამდებობა; კანდიდატის კავშირი კომპანიასთან;
- კანდიდატის წევრობა სხვა იურიდიული პირების სამეთვალყურეო საბჭოში ან ასეთ იურიდიულ პირებში დაკავებული ნებისმიერი სხვა თანამდებობა;
- ინფორმაცია კანდიდატის წარდგენის შესახებ სხვა იურიდიული პირის აღმასრულებელ და სხვა თანამდებობაზე;
- კანდიდატის კავშირი აფილირებულ პირებთან;
- კავშირი, რომელიც კანდიდატს აქვს კომპანიის ძირითად ბიზნესპარტნიორებთან;
- კანდიდატის ფინანსურ სტატუსთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კანდიდატის, როგორც აღმასრულებელი ორგანოს წევრის, მოვალეობებზე; და
- კანდიდატის უარი, ასეთის არსებობის შემთხვევაში; მიაწოდოს ეს ინფორმაცია კომპანიას.

რეკომენდებულია, კანდიდატმა წარადგინოს წერილობითი განაცხადი, რომლითაც გამოთქვამს გენერალური დირექტორის ან აღმასრულებელი ორგანოს წევრის თანამდებობის დაკავების სურვილს არჩევის შემთხვევაში. ასეთი განაცხადის არარსებობის დროს, იმ შეხვედრის მსვლელობისას, რომელზეც დანიშნვის გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული, კანდიდატმა სიტყვიერად უნდა დაადასტუროს, რომ მზად არის დაიკავოს თანამდებობა.

## დ. აღმასრულებელი ორგანოების სამუშაო პროცედურები

### 1. გენერალური დირექტორი, CEO

გენერალური დირექტორი თავმჯდომარეობს აღმასრულებელი საბჭოს სხდომებს. აღმასრულებელი საბჭოს სხდომებისთვის გენერალურ დირექტორს (ან აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარეს) აქვს უფლებამოსილება:

- მოიწვიოს და ორგანიზება გაუწიოს აღმასრულებელი საბჭოს სხდომებს და შეასრულოს თავმჯდომარის როლი;
- ხელი მოაწეროს აღმასრულებელი საბჭოს ყველა დოკუმენტს გადაწყვეტილებას და ოქმს;
- შეასრულოს ნებისმიერი სხვა მოვალეობა წესდების და დებულებების შესაბამისად.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ამასთან, აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია:

- დისკუსიებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ხელშეწყობა და კონსტრუქციული ატმოსფეროს შექმნა; და
- ნაბიჯების გადადგმა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა წევრი საკმარისად იყოს მომზადებული დირექტორატის საქმიანობაში წვლილის შესატანად.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## 2. აღმასრულებელი საბჭოს სხდომები

წესდებით და დებულებებით განსაზღვრული უნდა იყოს:

- აღმასრულებელი საბჭოს სხდომების სიხშირე;
- აღმასრულებელი საბჭოს სხდომების ორგანიზებისა და გამართვისათვის საჭირო პროცედურები; და
- გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები აღმასრულებელი საბჭოს სხდომების მიმდინარეობისას.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

თუმცა, საბოლოოდ, სხდომების გამართვის სიხშირე, ალბათ, დამოკიდებული უნდა იყოს თითოეული კომპანიის ინდივიდუალურ გარემოებებზე.

## 3. აღმასრულებელი საბჭოს სხდომის მონვევის უფლება

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

აღმასრულებელი საბჭო პრობლემების გადასაწყვეტად პრაქტიკული მექანიზმია. აღმასრულებელი საბჭოს წევრებს ასევე უნდა ჰქონდეთ ხმის უფლება აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობის) სხდომების მონვევასა და დღის წესრიგის შედგენაში.

წესდებით ან დებულებებით განსაზღვრული უნდა იყოს აღმასრულებელი საბჭოს სხდომის მონვევისა და გამართვის პროცედურები.

## 4. შეტყობინება სხდომის შესახებ

მენარმეთა შესახებ კანონით არ არის დაკონკრეტებული აღმასრულებელი საბჭოს სხდომების მონვევის სიხშირე. რამდენადაც აღმასრულებელი საბჭო მართვის ინსტრუმენტია, იგი, სავარაუდოდ, უნდა უპასუხებდეს კომპანიის და მისი გარემოს ცვალებად მოთხოვნებს და მზად უნდა იყოს სათანადო რეაგირებისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში, სწრაფად რეაგირების საჭიროების გამო, შეიძლება გართულდეს ან შეუძლებელი გახდეს სხდომის გრძელვადიანი, გულდასმით მომზადება. ცხადია, აღმასრულებელი საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული მომზადება. შეძლებისდაგვარად, წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებული სხდომის გამართვის შესახებ, რათა მოსამზადებელი დრო დარჩეთ სხდომაზე ეფექტიანი მონაწილეობის მისაღებად.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

აღმასრულებელმა პირებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით, თუ არ არიან საკმარისად ინფორმირებული. შეძლებისდაგვარად, აღმასრულებელი საბჭოს წევრებს მასალები უნდა გაეზავნოთ წინასწარ შეტყობინებასა და დღის წესრიგთან ერთად. თუმცა, ყოველთვის შეიძლება ვერ მოხდეს ეს და ამის გამო ზოგჯერ გაჭირდეს ჯანსაღი გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილების მიღება შეიძლება გადაიდოს, თუ:

- წევრების ინფორმირება დროულად ვერ ხერხდება; ან
- წევრებს არ მიუღიათ საჭირო ინფორმაცია დროულად; ან
- წევრებისთვის არ მიუციათ საკმარისი დრო სხდომისთვის მოსამზადებლად.

წესდებით ან სხვა შიდა დოკუმენტებით უნდა განისაზღვროს ფორმა, რომლის გამოყენებითაც შეტყობინება და მასალები აღმასრულებელი საბჭოს წევრებს

გადაეცემათ ყველაზე მოსახერხებელი და სათანადო ფორმით.

**5. აღმასრულებელი საბჭოს სხდომების კვორუმი**

აღმასრულებელი საბჭოს სხდომებზე კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საბჭოს წევრთა განსაზღვრული რაოდენობა - კვორუმი. კვორუმი განისაზღვრება წესდებით ან დებულებებით. მარეგულირებელი კანონით არ არის დეტალურად გაწერილი ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით. აღმასრულებელი საბჭო ვერ მიიღებს კანონიერ გადაწყვეტილებას ნებისმიერ სხდომაზე, თუ არ იქნა კვორუმი.

**6. ხმის მიცემა აღმასრულებელი საბჭოს სხდომების დროს**

აღმასრულებელი საბჭოს წევრთა უბრალო უმრავლესობა, რომელიც მონაწილეობს სხდომაში, საკმარისია აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებათა მისაღებად, თუ წესდებით ან დებულებებით არ მოითხოვება ხმების ზეკვალიფიციური უმრავლესობა. აღმასრულებელი საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. აგრეთვე წესდებით შეიძლება იმის განსაზღვრა, რომ ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარემ ისარგებლოს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

**7. აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმი**

მიუხედავად იმისა, რომ მენარმეთა შესახებ კანონით არ მოითხოვება აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმების წარმოება და შენახვა, მაინც სასურველია ამის გაკეთება, რადგან ოქმები იძლევა აღმასრულებელი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე დაკვირვების საშუალებას და მათი გამოყენება შეიძლება აღმასრულებელი საბჭოს პასუხისმგებლობის საკითხზე მსჯელობისას.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

აღმასრულებელი საბჭოს სხდომათა ოქმები უნდა მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა:

- სხდომის გამართვის ადგილი და დრო;
- სხდომაზე გამომსვლელთა ვინაობა;
- სხდომის დღის წესრიგი;
- დღის წესრიგის საკითხები, აგრეთვე კენჭისყრის შედეგები ცალკეულ შემთხვევებში;
- დირექტორატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; და
- მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება.

ოქმს ხელს აწერს აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე. აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმები მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს აღმასრულებელი საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმები ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპანიის შიდა აუდიტის ფუნქციის განმახორციელებელი სამსახურისათვის.

თუ კომპანიას არ ჰყავს აღმასრულებელი საბჭო, გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებები ასევე უნდა იყოს დაცული კომპანიის არქივში. ასეთ შემთხვევაში წესდებით უნდა გაინეროს გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებათა დაარქივების პროცედურები.

**ე. აღმასრულებელი ორგანოების წევრთა მოვალეობები და პასუხისმგებლობა**

აღმასრულებელი საბჭოს წევრებს აქვთ ზრუნვისა და ერთგულების ისეთივე

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

მოვალეობები, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და ექვემდებარებული პასუხისმგებლობის ისეთსავე სტანდარტებს, როგორსაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრები.<sup>6</sup>

### 3. საქმიანობის შეფასება

აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის პერიოდული შეფასება ზედამხედველობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მისი საშუალებით შეიძლება საქმიანობის მუდმივი მართვისა და გაუმჯობესების სისტემის შექმნა.

#### ★ საუკეთესო პრაქტიკა

წესდებით ან დებულებებით შეიძლება განისაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის შეფასება, სულ ცოტა, ყოველწლიურად. სამეთვალყურეო საბჭომ შეიძლება ასევე მიზანშეწონილად მიიჩნიოს, მიიღოს შეფასებები აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის შესახებ, რომლებსაც ახორციელებენ გენერალური დირექტორი და დირექტორატის წევრები თვითშეფასების გზით, კომპანიის ადამიანური რესურსების საქმიანობის შეფასებისა და დაგეგმვის პროცესის ფარგლებში.

### 4. აღმასრულებელი ორგანოების ანაზღაურება და კომპენსაცია

#### ★ საუკეთესო პრაქტიკა

კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:

მმართველი ორგანოების შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი კრიტერიუმები: ბანკის მიერ დასახული მიზნების მიღწევა, წევრთა გამოცდილება და განათლება, სხდომებზე და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის ხარისხი, აქციონერთა უფლებების დაცვა და სხვ. (ნაწილი 8 (ა) 2)

მენარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრულია, რომ თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება დადგინდეს ხელმძღვანელ პირთა ანაზღაურების ზოგიერთი ასპექტი.<sup>7</sup>

#### ★ საუკეთესო პრაქტიკა

აღმასრულებელ პირთა ანაზღაურება მნიშვნელოვანი ასპექტია ნიჭიერი მენეჯერების მოსაზიდად. მეორე მხრივ, აღმასრულებელ პირთა მაღალი ანაზღაურება ხშირად ძალაუფლების გაუმართლებელ გამოყენებად მიიჩნევა. შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ აღმასრულებელ პირთა ანაზღაურება კონკურენტული იყოს მსგავსი კომპანიების ჯგუფთან მიმართებით (იდეალურ შემთხვევაში), მაგრამ გონიერების ფარგლებში. აღმასრულებელ პირთა ანაზღაურებას არ უნდა განსაზღვრავდნენ მარტო აღმასრულებელი ორგანოები. ის უნდა შედიოდეს სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებაში. კომპანიებმა თავიანთ წესდებაში უნდა განაცხადონ, რომ აღმასრულებელ პირთა ანაზღაურების განსაზღვრა სამეთვალყურეო საბჭოს პრეროგატივაა. სამეთვალყურეო საბჭომ აღმასრულებელი პირების ანაზღაურების განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინოს მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორები, რომლებიც ემყარება კომპანიის მუშაობის ძირითად მაჩვენებლებს. ანაზღაურების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ზოგიერთი საკითხი, კერძოდ:

- პასუხისმგებლობათა სპექტრი;
- საჭირო კვალიფიკაციის ტიპი და დონე;
- კანდიდატის გამოცდილება;
- კანდიდატის პირადი და საქმიანი თვისებები;

<sup>6</sup> იქვე, მუხ. 55.9 და 56.4

<sup>7</sup> იქვე, მუხ. 55.8 (კ)

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

- კომპანიაში და ზოგადად დარგში ანაზღაურების ტიპური დონე; და
- კომპანიის ფინანსური მდგომარეობა.

აღმასრულებელი პირის ძირითადი ხელფასი, როგორც წესი, დაკავშირებულია მის განათლებასა და გამოცდილებასთან, ხოლო ცვალებადი ანაზღაურება, ზოგადად, დამოკიდებულია აღმასრულებელი პირის საქმიანობაზე (შრომის ნაყოფიერებაზე).

### 1. ანაზღაურების პოლიტიკა

მენეჯერების ანაზღაურება შეიძლება შედგებოდეს როგორც ფიქსირებული, ისე ცვალებადი კომპონენტისგან. ფიქსირებული კომპონენტი, როგორც წესი, შედგება ძირითადი ხელფასისგან. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმასრულებელი პირის ძირითადი ხელფასის განსაზღვრაში არის მსგავსი კომპანიების ჯგუფში არსებული ანაზღაურების პრაქტიკა. ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმასრულებელი პირის ცვალებადი ანაზღაურების განსაზღვრაში არის მისი წვლილი კომპანიის მოკლე- და გრძელვადიან ფინანსურ საქმიანობაში. ცვალებადი კომპონენტი ხშირად შედგება წლიური ბონუსისგან და დამოკიდებულია საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებზე. უკეთესად საქმიანობის მოტივაციის გაზრდის მიზნით ბევრ ქვეყანაში ცვალებადი ანაზღაურება უკვე არის აღმასრულებელი პირის ანაზღაურების პაკეტის მნიშვნელოვანი ნაწილი, მეტიც, აღმასრულებელ პირებს ხშირად ეძლევათ სარგებლის გეგმა, რომელიც შედგება საპენსიო, სამედიცინო და სტომატოლოგიური, დანაზოგების, სიცოცხლის დაზღვევისა და უუნარობის (ინვალიდობის) გეგმებისგან.

ხელმძღვანელ პირებს სხვა პრივილეგიებიც აქვთ, მათ შორის კლუბის წევრობა, კომპანიის ავტომობილისა და მძღოლის გამოყენება და მსგავსი შეღავათები. დაბოლოს, დასავლეთის ქვეყნების ზოგიერთი კომპანია აღმასრულებელ პირებს უზრუნველყოფს გრძელვადიანი წამახალისებელი სისტემებით, რომელიც შეიძლება იყოს საფონდო ოფციონიც.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურების განსაზღვრა, ზოგადად, სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობად მიიჩნევა, აქციებსა და ოფციონზე დამყარებული კომპენსაცია ისეთი საკითხია, რომელიც აქციონერთა თანხმობას საჭიროებს. ამის მიზეზია ის, რომ კაპიტალთან დაკავშირებული კომპენსაცია აქციონერებისთვის მნიშვნელოვან დაფარულ ხარჯებს შეიცავს. ეს ხარჯები უხილავია, რადგან აღრიცხვის პრაქტიკა, როგორც წესი, ვერ ადგენს ოფციონზე დამყარებული კომპენსაციის ნამდვილ ღირებულებას. სწორედ ამიტომ, სულ უფრო მეტი კომპანია ცდილობს ოფციონზე დამყარებული კომპენსაციის რეალური ღირებულების განსაზღვრას. ამასთან ერთად, ზოგიერთი საფონდო ბირჟა, მაგალითად, როგორცაა NYSE და NASDAQ, ახლა ითხოვს აქციონერების თანხმობას კომპენსაციის ყველა სქემისთვის, რომელიც კაპიტალზეა დამყარებული. მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურების სქემა შეიძლება ასრულებდეს ნიჭიერი აღმასრულებელი პირების მოზიდვის და უკეთესად საქმიანობის მოტივაციის ფუნქციას, აღმასრულებელი პირების ანაზღაურების საკითხი რთულია და ერთგვარი მეხამრიდია აქციონერებისა და საზოგადოების კრიტიკის მიმართ. კომპანიები, რომლებიც ნერგავენ ასეთ სქემებს, კერძოდ აქციებზე – ოფციონებზე დამყარებულ გეგმებს, უნდა მოქმედებდნენ განსაკუთრებული სიფრთხილით და მაქსიმალურად გამჭვირვალედ.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

### კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:


ანაზღაურების პოლიტიკას შეიმუშავენ სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც უნდა წარედგინოს აქციონერთა საერთო კრებას განსახილველად. კრებას ასევე უნდა მიენოდოს ინფორმაცია ანაზღაურების პოლიტიკაში უკანასკნელ წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და ყველა იმ შემთხვევის შესახებ, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა ანაზღაურების პოლიტიკიდან გადახრას, მიზეზების მითითებით.

ანაზღაურების პოლიტიკის ის ნაწილი, რომელიც ეხება მმართველ ორგანოთა წევრთა ბანკის აქციებით ან/და აქციების შეძენაზე ოფციონების ფორმით ანაზღაურებას, უნდა წარედგინოს აქციონერთა საერთო კრებას დასამტკიცებლად. დამტკიცებას ექვემდებარება ანაზღაურების ზოგადი პრინციპები და არ გულისხმობს მმართველ ორგანოთა ცალკეული წევრის ანაზღაურებას. (ნაწილი 8 (ბ) 3-4)

## ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

### კორპორაციული მართვის კვლევა საქართველოს კომპანიებში:

#### დირექტორების ანაზღაურება



## 2. აღმასრულებელი პირების სასამსახურო ხელშეკრულებები

მენარმეთა შესახებ კანონის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო დებს აღმასრულებელი საბჭოს წევრებთან ხელშეკრულებებს, რომლებითაც განისაზღვრება მათი უფლებამოსილება.<sup>8</sup> როგორც წესი, აღნიშნულ ხელშეკრულებებში უნდა აისახოს:

- გენერალური დირექტორის ან აღმასრულებელი საბჭოს წევრის ვინაობა;
- კომპანიის დასახელება;
- ხელშეკრულების მოქმედების საწყისი თარიღი;
- გენერალური დირექტორის ან აღმასრულებელი საბჭოს წევრის უფლებები და მოვალეობები;
- კომპანიის უფლებები და მოვალეობები;
- ანაზღაურება; და
- ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

აქციონერთა საერთო კრება არ არის მკაფიოდ აღჭურვილი უფლებამოსილებით, მოლაპარაკება ანარმოს ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

<sup>8</sup> იქვე, მუხ. 55.7 (ვ) და 56.2



## ★ საუკეთესო პრაქტიკა

სალი აზრი და სამენარმეო კანონის გონივრული ინტერპრეტაცია იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ ეს განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ. სანი-მუშო კორპორაციული მართვის პრაქტიკა, სულ ცოტა, სამეთვალყურეო საბ-ჭოსგან მოითხოვს ხელშეკრულებების დამტკიცებას აღმასრულებელი ორგანოების წევრებთან. დირექტორებს არ უნდა შეეძლოთ საკუთარი ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ეს უნდა განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში, დამოუკიდებელმა ანაზღაურების კომიტეტმა.

მენარმეთა შესახებ კანონით ასევე განსაზღვრულია, რომ თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შე-იძლება დადგინდეს აღმასრულებელი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ფარგლები.<sup>9</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს ისეთ დამატებით მუხლებს, როგორცაა:

- რომელიმე მხარის მიერ პასუხისმგებლობის შეუსრულებლობისათვის და-საკისრებელი სანქციები;
- სარგებელი და სხვა პრივილეგიები (მაგ., ფასდათმობა კომპანიის აქციების შექენისას, ჯანმრთელობის დაზღვევა, საცხოვრებელი ხარჯების ანაზღაუ-რება);
- ზარალის ანაზღაურება;
- კონფიდენციალურობის დაცვა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მას შემდეგ, რაც აღმასრულებელი პირი დატოვებს კომპანიას, წასვლის მი-ზეზის მიუხედავად;
- კონკურენციის აკრძალვასთან დაკავშირებული პირობა სამსახურის პერი-ოდში და მას შემდეგ, რაც აღმასრულებელი პირი დატოვებს კომპანიას, წასვლის მიზეზის მიუხედავად;
- კომპანიის და მისი აქციონერების ინტერესების დაცვის ვალდებულება; და ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის მიზეზები.

### 3. გენერალური დირექტორის და აღმასრულებელი საბჭოს წევრებისთვის სამსახურიდან გათავისუფლებისას გადასახდელი კომპენსაცია

აღმასრულებელი პირები რიგი გარემოებების გამო შეიძლება უმიზეზოდ გა-თავისუფლდნენ სამსახურიდან, რა დროსაც ისინი იღებენ შესაბამის კომპენ-საციას. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა კომპანია იყიდება და ახალ მფლო-ბელს ახალი მენეჯმენტის დანიშვნა უნდა. ასეთ კომპენსაციას ზოგჯერ „ოქ-როს პარაშუტს“ უწოდებენ. „ოქროს პარაშუტი“ შეიძლება პირობის სახით ჩა-იდოს აღმასრულებელი პირის სასამსახურო ხელშეკრულებაში - რომ აღმას-რულებელი პირი მიიღებს მნიშვნელოვან სარგებელს იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის გაყიდვის გამო ხელშეკრულება შეუწყდება. ასეთი სარგებელი შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის - კომპენსაცია, ბონუსი, საფონდო ოფცი-ონი ან მათი კომბინაცია. კომპენსაციის სხვა ფორმების მსგავსად, „ოქროს პა-რაშუტიც“ ხშირად კრიტიკის ობიექტი ხდება. თუმცა, გათავისუფლებისას კომპენსაციის გადახდა აქციონერთა ინტერესებში უნდა შედიოდეს, რადგან ამით შეძლებენ თავიდან აიცილონ ხანგრძლივი და ძვირადღირებული სასა-მართლო პროცესები და პრობლემები საზოგადოებასთან ურთიერთობაში. მიუხედავად ამისა, ამ სისტემის დანერგვისას სიფრთხილეა გამოსაჩენი და გამოსაყენებელია კომპეტენტური გარე მრჩეველების დახმარება. სამსახური-დან გათავისუფლების შედეგად გადასახდელი კომპენსაციის დამტკიცება პრიორიტეტი უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოსათვის და, შესაძლოა, აქ-ციონერთა საერთო კრებისათვის.

<sup>9</sup> იქვე, მუხ. 55.8 (ე)

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

თავი

კორპორატიული  
მდივანი

VI

## ❓ კითხვარი

- ✓ ჰყავს თუ არა კომპანიას კორპორაციული მდივანი? სჭირდება თუ არა კომპანიას კორპორაციული მდივანი? რა შეუძლია შემატოს კორპორაციულმა მდივანმა კომპანიის მმართველობით ორგანოებს?
- ✓ არის თუ არა კორპორაციული მდივანის პოზიცია სრული განაკვეთის მქონე, თუ კორპორაციული მდივანი თავის ფუნქციებს უთავსებს სხვა მოვალეობებს?
- ✓ აქვს თუ არა კორპორაციულ მდივანს ადეკვატური პროფესიული და პიროვნული თვისებები და კომპეტენცია?
- ✓ როგორ ახორციელებს კომპანია კორპორაციული მდივანის საქმიანობის რეგულირებას? არის თუ არა კორპორაციული მდივანის პოზიცია განსაზღვრული კომპანიის წესდებით ან დებულებებით ან აქვს თუ არა კომპანიას თუნდაც დებულების პროექტი კორპორაციული მდივანის შესახებ?
- ✓ უზრუნველყოფს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო კორპორაციული მდივანის წვდომას თავისი მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო ყველა ინფორმაციასთან? არიან თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს წევრები ვალდებული კორპორაციულ მდივანს მიანოდონ თავისი მოვალეობების შესასრულებლად მოთხოვნილი ან საჭირო ყველა ინფორმაცია? ასრულებს თუ არა კორპორაციული მდივანი სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელ ორგანოებს შორის ეფექტიანი მეკავშირის როლს?
- ✓ როგორია კორპორაციული მდივანის როლი ინვესტორებისა და საზოგადოების წინაშე ინფორმაციის დროულ და არსებით გამჟღავნებაში? მუშაობს თუ არა კორპორაციული მდივანი კომპანიის იურიდიულ და ინვესტორებთან ურთიერთობის დეპარტამენტებთან?
- ✓ რა როლს ასრულებს კორპორაციული მდივანი აქციონერთა საერთო კრების დაგეგმვასა და ორგანიზებაში?
- ✓ როგორ ეხმარება კორპორაციული მდივანი სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მომზადებასა და გამართვაში? ასრულებს თუ არა კორპორაციული მდივანი მნიშვნელოვან როლს სამეთვალყურეო საბჭოს ტრენინგსა და შეფასებაში?

კორპორაციული მდივანის საქმიანობა აუცილებელია კომპანიის მართვისა და ადმინისტრირებისათვის. კორპორაციული მდივანი მმართველობით ორგანოებს ეხმარება მათი მოვალეობების და პასუხისმგებლობათა განხორციელებაში. ამ თავში ყურადღება ეთმობა კორპორაციული მდივანის ფუნქციებს, კვალიფიკაციასა და უფლებამოსილებას, აგრეთვე იმ როლს, რომელსაც კორპორაციული მდივანი ასრულებს კორპორაციული მართვის სანიმუშო პრაქტიკის დანერგვაში.

### ა. კორპორაციული მდივანის როლი

#### 1. კორპორაციული მდივანის არსებობის საჭიროება და მნიშვნელობა

ბევრ კომპანიას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი. კორპორაციული მდივანი, მეორე მხრივ, ქართული კომპანიებისთვის შედარებით ახალი პოზიციაა. მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის ნახსენები კანონმდებლობაში, კო-

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

მერციული ბანკებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსში კორპორაციული მდივნის პასუხისმგებლობას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა.


კორპორაციული მდივანი უზრუნველყოფს, რომ კომპანიის მმართველობითი ორგანოები იცავდნენ შიდა კორპორაციულ წესებს და პოლიტიკებს და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეაქვს მათში ან შეიმუშავენ ახალ დოკუმენტებს. კორპორაციულ მდივანს ასევე შეუძლია დახმარება გაუწიოს კომპანიას სხვადასხვა მმართველობით ორგანოს შორის მკაფიო კომუნიკაციის დამყარებასა და შენარჩუნებაში კომპანიის წესდების, დებულებებისა და სხვა შიდა წესების შესაბამისად.

ამასთან, კორპორაციული მდივანი უზრუნველყოფს მმართველობითი ორგანოების მიერ ადგილობრივი და, შესაძლოა, უცხოური შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულებას. შესაბამისად, კორპორაციული მდივანი ხშირად მოქმედებს როგორც სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს წევრების მრჩეველი მარეგულირებელ მოთხოვნებთან, ლისტინგის წესებსა და კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ კანონმდებლობასთან მიმართებით. კორპორაციულმა მდივანმა შეიძლება ასევე გამოავლინოს კორპორაციული მართვის საკითხებში არსებული ნაკლოვანებები და დასახოს სათანადო გზები ასეთი სისუსტის გამოსასწორებლად.

კორპორაციული მდივნის არსებობა სანიმუშო კორპორაციული მართვის ერთ-ერთი ატრიბუტია. გარკვეულწილად, ამით უზრუნველყოფილია სანიმუშო კორპორაციული მართვის პრაქტიკის დაცვა.

## ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

როგორც IFC-ის კვლევამ ცხადყო, გამოკითხული კომპანიების მხოლოდ მეხუთედმა აღნიშნა, რომ გამოყოფილი აქვთ პოზიცია აქციონერებთან მუშაობისათვის პასუხისმგებელი და კომპანიის მმართველობით ორგანოებს შორის ურთიერთობის მაკოორდინირებელი პირისთვის. ყველაზე ხშირად კვლევის რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ამ პოზიციასთან დაკავშირებული ფუნქციები მოიცავდა აქციონერთა საერთო კრების ორგანიზებას, აქციონერებს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფას, საზოგადოებასთან ურთიერთობის დამყარებას და მმართველობითი ორგანოების საქმიანობის ხელშეწყობას.



## 2. კორპორაციული მდივნის კვალიფიკაცია

მხოლოდ ამ მოვალეობის შემსრულებელ, სრული დატვირთვით მომუშავე წევრს შეუძლია კორპორაციული მდივნის ფუნქციების საუკეთესოდ შესრულება.

კორპორაციული მდივნის შერჩევისას სამეთვალყურეო საბჭომ უნდა გამო-  
ნახოს უმაღლესი კვალიფიკაციისა და საუკეთესო უნარ-ჩვევების მქონე პირი.  
სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეაფასოს კანდიდატის განათლება, სამუშაო  
გამოცდილება, პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები. წესდებით უნდა  
განისაზღვროს ზოგადი მოთხოვნები კანდიდატების მიმართ, ხოლო კორპო-  
რაციული მდივნის შესახებ დებულებაში გაცილებით დეტალურად უნდა იქ-  
ნეს აღწერილი ასეთი კანდიდატების შეფასების სპეციფიკური კრიტერიუმე-  
ბი. სამუშაოს დეტალური აღწერილობის მომზადება სამეთვალყურეო საბჭოს  
ფუნქციაა და ის უნდა შემუშავდეს ხელშეკრულებასთან ერთად.

კორპორაციული მდივნის ძირითადი კვალიფიკაცია წარმოდგენილია 1-ელ  
სურათზე.

**სურათი 1:** კორპორაციული მდივნის კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები



წყარო: IFC, მარტი, 2004

კორპორაციული მდივანი უნდა იყოს უზადო რეპუტაციის მქონე პირი. რეკო-  
მენდებულია, კომპანიებმა ამ პოზიციაზე არ დანიშნონ ნასამართლევი ან მნი-  
შვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირები; კარ-  
გი იქნება, არც ერთი ასეთი პირი არ იქნეს განხილული კორპორაციული მდივ-  
ნის კანდიდატურად.

**3. კორპორაციული მდივნის დამოუკიდებლობა**

იმისათვის, რომ კორპორაციული მდივანი მუდმივად კომპანიისა და მისი აქ-  
ციონერების ინტერესებში მოქმედებდეს, იგი დაცული უნდა იყოს მენეჯმენტის  
და სხვა მხარეების არასათანადო ზეგავლენისგან. ამგვარად, კორპორა-  
ციული მდივანი ანგარიშვალდებული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წი-  
ნაშე, რომელიც კონტროლს გაუწევს მის საქმიანობას. ის არ უნდა იყოს კომპა-  
ნიასთან ან მის თანამშრომლებთან დაკავშირებული პირი, მაგალითად, გენე-  
რალური დირექტორის ოჯახის წევრი ან კომპანიის ბიზნესპარტნიორი.

კორპორაციულმა მდივანმა საკმარისი დრო უნდა დაუთმოს საკუთარ პასუ-  
ხისმგებლობასა და მოვალეობებს. ამგვარად, იმ კომპანიებში, სადაც ბევრი  
აქციონერია, წარმოდგენილია დიდი სამეთვალყურეო საბჭო და/ან სამეთ-  
ვალყურეო საბჭოს სხვადასხვა კომიტეტი, არ შეიძლება კორპორაციულ მდი-  
ვანს ერთდროულად სხვა პოზიციაც ეკავოს ან სხვა იურიდიული პირის სამსა-  
ხურში იდგეს. შედარებით პატარა კომპანიებში კორპორაციული მდივნის მო-  
ვალეობები შეიძლება შეასრულოს მრჩეველმა იურიდიულ საკითხებში ან  
მსგავსი თანამდებობის პირმა.

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

### კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:

კორპორაციული მდივანი არ უნდა იყოს ბანკის რომელიმე მმართველობითი ორგანოს წევრი ან ბანკში გადაწყვეტილების მიღების ფუნქციის მქონე პირი, ან ბანკთან სხვაგვარად დაკავშირებული პირი, რაც შესაძლოა ხელს უშლიდეს მას საკუთარი მოვალეობების მიუკერძოებლად შესრულებაში (ნაწილი 5.4)

#### 4. კორპორაციული მდივნის დანიშვნა

კორპორაციული მდივნის შერჩევის პროცედურა უნდა განისაზღვროს კომპანიის წესდებით, თუმცა, კომპანიის დებულებებით ეს საკითხი შესაძლოა უკეთესად იყოს მოწესრიგებული. კორპორაციული მდივანი ინიშნება თანამდებობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მენარმეთა შესახებ კანონში არაფერია ნათქვამი კორპორაციული მდივნის დანიშვნის უფლებამოსილების შესახებ, კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, ეს უფლება სამეთვალყურეო საბჭოს ენიჭება. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განსაზღვროს სასამსახურო ხელშეკრულების ვადა და პირობები, აგრეთვე განსაკუთრებულად მიუდგეს ანაზღაურებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხებს.

#### ა) ინფორმაცია კანდიდატების შესახებ

კორპორაციული მდივნის პოზიციაზე წარდგენილმა კანდიდატმა სამეთვალყურეო საბჭოს უნდა მიაწოდოს საკმარისი ინფორმაცია თავისი კანდიდატურის შესაფასებლად. კანდიდატმა, სულ ცოტა, უნდა წარადგინოს ინფორმაცია:

- განათლების შესახებ;
- სხვა კომპანიებში საქმიანობის შესახებ;
- ნებისმიერი ურთიერთობის შესახებ, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს კომპანიასთან დაკავშირებულ პირებთან და/ან მის ძირითად ბიზნესპარტნიორებთან; თავის მფლობელობაში არსებული კომპანიის აქციების ტიპისა და რაოდენობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში); და
- ნებისმიერი სხვა ასპექტის ან გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის სამომავლო საქმიანობაზე.

ამ ინფორმაციას შეიძლება დაემატოს პერსონალური რეკომენდაციები და ინტერვიუები სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან, კერძოდ, თავმჯდომარესთან, რადგან კარგი პიროვნული ურთიერთგაგება თავმჯდომარეს, სხვა წევრებსა და კორპორაციულ მდივანს შორის მნიშვნელოვანი იქნება ეფექტიანი სამუშაო ურთიერთობის შენარჩუნებაში. კორპორაციულმა მდივანმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სამეთვალყურეო საბჭოს გარემოებების ნებისმიერი ცვლილება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს თავისი ფუნქციების სათანადოდ განხორციელებაზე.

#### ბ) ხელშეკრულება კორპორაციულ მდივანთან

სამეთვალყურეო საბჭომ კორპორაციულ მდივანს შეუძლია შესთავაზოს მოკლევადიანი სასამსახურო ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრული იქნება ვადა. ფიქსირებული მოკლევადიანი სასამსახურო ხელშეკრულება არ შეიძლება გაფორმდეს ხუთ წელზე მეტი ხნით. როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდი კომპანიებისთვის რეკომენდებულია კორპორაციული მდივნის დაქირავება სრული განაკვეთით, რაც მას მისცემს იმის საშუალებას, რომ სათანადოდ შესრულოს საკუთარი მოვალეობები.

#### გ) კორპორაციული მდივნის ოფისი

დიდმა კომპანიებმა შეიძლება საჭიროდ მიიჩნიონ კორპორაციული მდივნის

<sup>1</sup> კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, ნაწილი 5.3

ოფისის შექმნა, რომელიც დაკომპლექტებული იქნება რამდენიმე ასისტენტით. დამატებითი პერსონალი შეიძლება დასჭიდეთ ისეთ კომპანიებს, სადაც ბევრი აქციონერია, დიდია სამეთვალყურეო საბჭო და/ან სამეთვალყურეო საბჭოს ჰყავს მრავალი კომიტეტი.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

ბევრ უცხოურ კომპანიას, კერძოდ კი, საჯარო ლისტინგში შემავალ კომპანიებს აქვთ კორპორაციული მდივნის ოფისი, სადაც რამდენიმე თანამშრომელი მუშაობს. მე-2 სურათზე ნაჩვენებია გაერთიანებულ სამეფოში არსებული ვითარება.

**სურათი 2:** ურთიერთკავშირი კომპანიის ზომასა და თანამშრომელთა რაოდენობას შორის კორპორაციული მდივნის ოფისში

	კომპანიის ბრუნვა (£ მლნ)						
	სულ	10-მდე	10-49	50-99	100-499	500-1000	1000-ზე მეტი
	%	%	%	%	%	%	%
<b>თანამშრომელთა რაოდენობა კორპორაციული მდივნის ოფისში</b>							
1 თანამშრომელი	25	58	50	10	20	5	5
2 თანამშრომელი	23	23	21	43	27	18	8
3 თანამშრომელი	23	16	26	24	22	32	19
4 თანამშრომელი	11	3	-	13	19	14	14
5-10 თანამშრომელი	16	-	3	10	11	27	49
10-ზე მეტი თანამშრომელი	2	-	-	-	1	4	5

წყარო: კორპორაციული მდივნის პასუხისმგებლობათა და ხელფასის კვლევა 2000/2001, სერტიფიცირებულ მდივანთა და ადმინისტრატორთა ინსტიტუტი

თუ კომპანიას უნდა კორპორაციული მდივნის ოფისის შექმნა, მაშინ მან მდივნის ოფისის პასუხისმგებლობა უნდა განსაზღვროს დებულებებით ან სხვა შიდა დოკუმენტებით.

**ბ. კორპორაციული მდივნის უფლებამოსილება**

**1. ზოგადი დებულებები**

მენარმეთა შესახებ კანონი არ ეხება კორპორაციული მდივნის პოზიციას და უფლებამოსილებას. თუმცა კომერციული ბანკებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციით, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დაამტკიცოს შიდა დებულება კორპორაციული მდივნის შესახებ, რომელიც დეტალურად უნდა განსაზღვრავდეს კორპორაციული მდივნის უფლებამოსილებასა და ვალდებულებას, ფუნქციების ჩამონათვალს, საჭირო განათლებასა და კვალიფიკაციას, რომელიც უნდა ჰქონდეს კანდიდატს.<sup>2</sup>

მე-3 სურათზე მოცემულია კორპორაციული მდივნის უფლებამოსილების მიმოხილვა მსოფლიოს მასშტაბით.

<sup>2</sup> იქვე, ნაწილი 5.2

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

**სურათი 3. კორპორაციული მდივნის უფლებამოსილებანი**



წყარო: IFC, მარტი, 2004

**საუკეთესო პრაქტიკა**

**კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:**

კორპორაციული მდივნის ძირითადი ფუნქციებია:

- ა) ორგანიზაციული და ინფორმაციული მხარდაჭერის გზით, დაეხმაროს საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭოსა (კომიტეტების ჩათვლით) და დირექტორატს თავისი საქმიანობის განხორციელებაში;
- ბ) აწარმოოს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის სხდომების ოქმები;
- გ) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს მისცეს კორპორაციულ დოკუმენტაციასა და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებული რჩევები;
- დ) მჭიდროდ ითანამშრომლოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატთან მათი სხდომების დღის წესრიგის შედგენისა და დაგზავნის, სხდომების ორგანიზებისა და გამართვის, აგრეთვე, შეტყობინების დაგზავნის საკითხებში;
- ე) დაგეგმოს საჭირო ტრენინგები და მოსამზადებელი საორიენტაციო შეხვედრები უკვე მომუშავე თუ ახალდანიშნული/არჩეული სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის წევრებისათვის;
- ვ) აწარმოოს და/ან შეინახოს ყველა კორპორაციული დოკუმენტი, სხდომების, კრებების ოქმი თუ სხვა საჭირო საბუთი და ინფორმაცია;
- ზ) განახორციელოს დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს შორის;
- თ) ორგანიზება გაუწიოს აქციონერთა საერთო კრების გამართვას, უზრუნველყოს ყველა საჭირო ვადისა და პროცედურის დაცვა კრების გასამართად. უზრუნველყოს, რომ კრების ოფიციალური მოწვევის განმარტებულ პირს მიეწოდოს სრული ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომელთა დღის წესრიგში შეტანა, კანონმდებლობის და წესდების დაცვით, მოთხოვნილ იქნა აქციონერთა, სამეთვალყურეო საბჭოსა თუ დირექტორატის წევრების მიერ;
- ი) ზედამხედველობა გაუწიოს მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებულ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და მარეგულირებულ, ასევე, ბანკის მიერ მიღებული კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ სტანდარტებთან შესაბამისობას;
- კ) განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის სხდომების, აგრეთვე აქციონერთა საერთო კრების მდივნის ფუნქცია. (ნაწილი 5.5)



ამ თავში დეტალურადაა განხილული კორპორაციული მდივნის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციები.

## 2. კორპორაციული მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავება

კორპორაციული მდივანი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კომპანიასა და სამეთვალყურეო საბჭოს კორპორაციული მართვის სისტემის შემუშავებაში. უფრო კონკრეტულად, კორპორაციულ მდივანს შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება კომპანიის მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავებაში, მათი შესაბამისობის უზრუნველყოფასა და პერიოდულ განხილვაში.

კომპანიის კორპორაციული მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის გასაუმჯობესებელი მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული გეგმის შემუშავების პროცესში კორპორაციული მდივანი საფუძველს უყრის რეფორმებს ამ სფეროში. ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ იგი ეწევა აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისობის მონიტორინგს და სამეთვალყურეო საბჭოს აწვდის ინფორმაციას ნებისმიერი დარღვევის შესახებ, რითაც საშუალება ეძლევა გამოხატოს კორპორაციული მართვის მიმართ ერთგულება.

დაბოლოს, კომპანიის პოლიტიკის რეგულარული განხილვით (პარალელურად კორპორაციული მართვის უკანასკნელი სიახლეების, სამართლებრივი და მარეგულირებელი ბაზის ცვლილებების და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით) კორპორაციული მდივანი უზრუნველყოფს, რომ კომპანია იმართებოდეს თანამედროვე და მუდმივად მაღალი დონის სტანდარტებით.

## 3. სამეთვალყურეო საბჭოს დახმარება

კორპორაციული მდივნის საქმიანობის უდიდესი ნაწილი უნდა დაეთმოს სამეთვალყურეო საბჭოს დახმარებას, მათ შორისაა:

### ა) სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ორგანიზება

კორპორაციული მდივანი პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ორგანიზებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების გამართვა თავმჯდომარის ფუნქციაა, კორპორაციული მდივანი აგვარებს ისეთ ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ საკითხებს, როგორიცაა:

- თავმჯდომარისთვის დახმარების განევა დღის წესრიგის მომზადებაში;
- განსახილველ მნიშვნელოვან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით პრეზენტაციის მომზადება;
- საბჭოზე განსახილველად წარსადგენი მოდელების რეზიუმეს წარდგენა.

რეკომენდებულია აგრეთვე კორპორაციულმა მდივანმა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის შესახებ შეტყობინება მიანოლოს საბჭოს ყველა წევრს და:

- კენჭისყრის ბიულეტენები გაუგზავნოს საბჭოს წევრებს;
- შეაგროვოს შევსებული კენჭისყრის ბიულეტენები და საბჭოს წევრების წერილობითი მოსაზრებები, რომლებიც ფიზიკურად არ ესწრებიან სხდომას; და
- კენჭისყრის ბიულეტენები და წერილობითი მოსაზრებები გადასცეს თავმჯდომარეს.

ამასთან, კორპორაციულმა მდივანმა უნდა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის პროცედურების დაცვა. რეკომენდებულია, კორპორაციულმა მდივანმა თავმჯდომარესთან ერთად შეადგინოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი. კორპორაციულმა მდივანმა ასევე უნდა შეადგინოს დირექტორების სხდომის ოქმები.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

კორპორაციულმა მდივანმა სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს ახალ წევრებს უნდა მიანოდოს მოკლე ინფორმაცია ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა:

- სამეთვალყურეო საბჭოს და მართვის სხვა ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი კორპორაციული პროცედურები;
- ორგანიზაციული სტრუქტურა და კომპანიის თანამშრომლები;
- კომპანიის შიდა დოკუმენტები;
- აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მოქმედი გადაწყვეტილებები; და
- უნდა უზრუნველყოს საბჭოს წევრების მიერ მათი მოვალეობების სათანადოდ შესასრულებლად საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

### **ბ) ინფორმაციასთან სამეთვალყურეო საბჭოს წვდომის უზრუნველყოფა**

კორპორაციული მდივანი უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს (ასევე აღმასრულებელი საბჭოს წევრებს) გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციით, რითაც ასრულებს გადამწყვეტ როლს მათ დასახმარებლად. კორპორაციული მდივანი ასევე უზრუნველყოფს, რომ საბჭოს წევრებს ჰქონდეთ დროული და სრული წვდომა ისეთ დოკუმენტებთან, როგორცაა:

- სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- გენერალური დირექტორისა და აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული გადაწყვეტილებები;
- გენერალური დირექტორისა და აღმასრულებელი საბჭოს დოკუმენტები;
- გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სხდომის ოქმები და ანგარიშები; და
- ფინანსური დოკუმენტები.

კომპანიას შეუძლია ეს როლი სურვილისამებრ აღწეროს სამეთვალყურეო საბჭოს დებულებებში კორპორაციული მდივნის შესახებ და/ან ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ.

### **გ) სამართლებრივი დახმარების განევა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის მართვის საკითხებთან დაკავშირებით**

კორპორაციული მდივანი უნდა დაეხმაროს საბჭოს წევრებს (ასევე აღმასრულებელი საბჭოს წევრებს) კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული ისეთი სამართლებრივი და მარეგულირებელი აქტების ინტერპრეტირებაში, როგორცაა ლისტინგის წესები, კორპორაციული მართვის კოდექსები და საერთაშორისო წესები და მოვლენები. ეს ასევე ეხება აქციონერთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს სხდომების მომზადებასა და გამართვასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს, რომლებიც რეგულირდება წესდებით, დებულებებით, და/ან სხვა შიდა დოკუმენტებით, და ინფორმაციის გამჟღავნებას. თუმცა, კორპორაციულმა მდივანმა არ უნდა გასწიოს იურიდიული კონსულტაცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ შედის მის კომპეტენციასა და მოვალეობაში. კორპორაციული მდივნის მოვალეობები მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს კომპანიის იურისტის მოვალეობებთან მიმართებით.

კორპორაციულმა მდივანმა უშუალოდ უნდა შეატყობინოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს კორპორაციული პროცედურების ნებისმიერი შესაძლო დარღვევა, როდესაც ეს მისთვის ცნობილი გახდება. ასეთი დარღვევები შეიძლება იყოს:

- კორპორაციული ოფიცრების ან სხვა კორპორაციული თანამშრომლების მიერ მათი სამართლებრივი მოვალეობების და პასუხისმგებლობების განხორციელების პროცესში ჩადენილი სავარაუდო უკანონო მოქმედება ან დაუდევრობა; და
- აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების

ორგანიზების, ინფორმაციის გამჟღავნების და აქციონერთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი პროცედურების დარღვევა.

## ბ. აქციონერთა უფლებების დაცვა

### ა) აქციონერთა საერთო კრების ორგანიზება

კორპორაციული მდივანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს აქციონერთა საერთო კრების მომზადებაში. კერძოდ:

- უზრუნველყოფს აქციონერთა სიის მომზადებას;
- აქციონერთა საერთო კრების მიმდინარეობისას პასუხს გასცემს პროცედურულ შეკითხვებს და წყვეტს აქციონერთა საერთო კრების მომზადებასა და გამართვასთან დაკავშირებულ დავებს;
- აქციონერებს უგზავნის შეტყობინებას აქციონერთა საერთო კრების შესახებ;
- აქციონერებს აწვდის აქციონერთა საერთო კრების შედეგების ანგარიშს;
- ავრცელებს აქციონერთა საერთო კრების მასალებს (დოკუმენტებს) მისი მიმდინარეობის პროცესში;
- უზრუნველყოფს კენჭისყრის ოქმებისა და აქციონერთა საერთო კრების ოქმების წარმოებას;
- აგროვებს კენჭისყრის ბიულეტენებს და გადასცემს მათ ხმის დამოუკიდებელ კომისიას;
- უზრუნველყოფს აქციონერთა საერთო კრების რეგისტრაციის პროცედურებთან შესაბამისობას.

### ბ) დახმარების განწვევა აქციონერთა უფლებების განხორციელებაში

კორპორაციული მდივანი:

- უზრუნველყოფს, რომ კომპანია დროულად იყოს ინფორმირებული აქციონერთა მიერ სათანადოდ წარდგენილი შუამდგომლობების შესახებ;
- აქციონერთა მიერ სათანადოდ წარდგენილ შეკითხვებს გადასცემს კომპანიის შესაბამის მმართველობით ორგანოებს და დეპარტამენტებს.

კორპორაციულმა მდივანმა უნდა სცადოს ნებისმიერი კონფლიქტის, განსაკუთრებით აქციონერთა რეესტრთან დაკავშირებული კონფლიქტების, გადაწყვეტა დროულად და სამართლიანად. თუ გარე რეგისტრატორი აწარმოებს აქციონერთა რეესტრს, კორპორაციულ მდივანს უნდა ჰქონდეს სრული უფლება, მოსთხოვოს რეგისტრატორს ადეკვატური და დროული განმარტება აქციონერთა პრეტენზიების შესახებ. კომპანიასა და რეგისტრატორს შორის დადებული ხელშეკრულების პირობებში უნდა იყოს ჩადებული რეგისტრატორის ვალდებულება, ადეკვატური და დროული წერილობითი განმარტება მიანოდოს კორპორაციულ მდივანს.

### გ) დახმარების განწვევა კორპორაციული კონფლიქტების გადაწყვეტაში

კორპორაციული მდივანი პასუხისმგებელია კორპორაციული კონფლიქტების აღრიცხვისათვის. კორპორაციული მდივანი რეგისტრაციაში ატარებს აქციონერების მიერ წარდგენილ შეკითხვებს, წერილებს ან მოთხოვნებს, განიხილავს მათ და წარუდგენს იმ მმართველობით ორგანოებს, რომლებსაც აქვთ კონფლიქტის გადაწყვეტის უფლებამოსილება. კომპანიის ეფექტიანობა კონფლიქტების პრევენციისა და გადაწყვეტის საქმეში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გასცემს იგი პასუხს ყველა კანონიერ პრეტენზიას. კორპორაციულმა მდივანმა ასევე პერიოდულად უნდა შეამოწმოს წარდგენილი პრეტენზიების სტატუსი, რათა უზრუნველყოს მათზე დროული და სრული რეაგირება, და/ან მათი გადაწყვეტა ან უარყოფა. კონფლიქტები შეიძლება წარმოიშვას სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს წევრებს, და აქციონერებს შორის. კორპორაციულმა მდივანმა უნდა შეატყობინოს თავმ-

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

ჯდომარეს ნებისმიერი პოტენციური ან არსებული კონფლიქტის შესახებ იმ-გვარად, რომ მოხდეს მათი სათანადოდ გადაწყვეტა. საუკეთესო პრაქტიკის რეკომენდაციით, კორპორაციული მდივანი უნდა მოქმედებდეს როგორც შუამავალი არსებული კონფლიქტების შემთხვევაში.

## დ. ინფორმაციის გამჟღავნების და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

კორპორაციული მდივანი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელ საბჭოს კომპანიის აქციონერებისა და ფინანსური ბაზრებისთვის ინფორმაციის დროული გამჟღავნების ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით.

### ა) კორპორაციული მდივანი:

- უზრუნველყოფს, რომ კომპანია საქმიანობდეს კომპანიის შესახებ ინფორმაციის წარმოების და გამჟღავნების პროცედურების შესაბამისად;
- უზრუნველყოფს ინფორმაციასთან აქციონერების შეუზღუდავ წვდომას მენარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად;
- ამონმებს დოკუმენტების ასლებს, სანამ ისინი გადაეცემა აქციონერებს;
- უზრუნველყოფს კორპორაციული დოკუმენტაციის უსაფრთხო დაცვას.

კორპორაციული მდივანი ასევე უზრუნველყოფს კონტროლის გამჭვირვალე პროცედურების არსებობას.

## ე. კორპორაციული მდივანის პროფესიული ასოციაციაში

კორპორაციული მდივანის პოზიცია შედარებით ახალია საქართველოს ბაზარზე, თუმცა სულ უფრო მეტი კომპანია ნერგავს მას. ეს პოზიცია მოითხოვს განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს, როგორც ეს ნაჩვენებია ზემოთ, 1-ელ სურათზე. ამჟამად ხორციელდება სპეციალური ღონისძიებები კორპორაციული მდივანის პოზიციის სარგებლიანობის პოპულარიზაციისათვის. ასევე მზადდება ტრენინგები ახალი პროფესიის ჩამოყალიბების ხელშესაწობად. უცხოურ ბაზრებზე ამ ფუნქციას ხშირად ასრულებენ კორპორაციული მდივანების პროფესიული ასოციაციები ან ინსტიტუტები. ასეთი ორგანიზაციები, როგორც ნესი, აერთიანებენ კორპორაციულ მდივანებს და ასრულებენ ისეთ ფუნქციებს, როგორცაა:

- კომპანიების სანიმუშო მმართველობის, მართვისა და ეფექტიანი ადმინისტრირების ხელშეწყობა;
- წევრი კორპორაციული მდივანების ტიპის, სტატუსის და ინტერესების მხარდაჭერა და დაცვა;
- კორპორაციული მდივანების მიერ განეული მომსახურების და პროფესიული ქცევის სტანდარტის ეფექტიანობისა და სარგებლიანობის პოპულარიზაცია;
- კორპორაციული მდივანების ტრენინგი;
- წევრი კორპორაციული მდივანებისთვის განსაკუთრებით საინტერესო სფეროებში შეთავაზებულ და არსებულ კანონებზე, წესებსა და დებულებებზე კომენტარების მომზადება;
- ხელშეწყობა და დახმარება კორპორაციულ მდივანებსა და მათ კომპანიებთან დაკავშირებული მოვალეობების, პრობლემების და პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის ნებაყოფლობით გაცვლაში.

საქართველოში ასეთი პროფესიული ასოციაციის შექმნა კომპანიებში კორპორაციული მდივანის პოზიციის შემოღების ხელშეწყობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.



**თავი**

**აქციონერთა  
უფლებების  
შესავალი**

## ❓ კითხვარი

- ✓ იცავს თუ არა კომპანიის წესდება აქციონერთა უფლებებს სამენარმეო კანონმდებლობის და კომერციული ბანკებისთვის შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციების შესაბამისად?
- ✓ იღებს თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი სათანადო ზომებს აღნიშნული უფლებების დასაცავად?
- ✓ სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი ყველანაირად უწყობს თუ არა ხელს აქციონერებს, რათა მათ გამოიყენონ საკუთარი უფლებები, კერძოდ კი ხმის მიცემის უფლება?
- ✓ იყენებენ თუ არა აქციონერები თავიანთ უფლებებს კოლექტიურად?
- ✓ უზრუნველყოფს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო აქციონერთა თავისუფალ წვდომას კომპანიის ინფორმაციასთან, გარდა სამენარმეო კანონმდებლობის მოთხოვნებით განსაზღვრული ინფორმაციისა?
- ✓ მუშავდება თუ არა ყველა აქციონერის მოთხოვნა სათანადოდ და დროულად?
- ✓ უზრუნველყოფს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო გარე რეგისტრატორის (ან შესაბამისი კომპანიის თანამშრომლის მიერ) აქციონერთა რეესტრის წარმოებას?
- ✓ აწვდის თუ არა რეგისტრატორი აქციონერებს სრულ და ზუსტ ინფორმაციას მათი ანგარიშის შესახებ?
- ✓ უწყობს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო ხელს აქციონერებს მათი უფლებების დაცვაში კანონმდებლობით და კომერციული ბანკებისთვის შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსით განსაზღვრული ყველა მექანიზმის გამოყენებით?
- ✓ უზრუნველყოფს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო, რომ წესდება და სხვა შიდა დოკუმენტები არ განსაზღვრავდეს აქციონერთა მოვალეობებს გარდა სამენარმეო კანონმდებლობით მკაფიოდ განსაზღვრული ვალდებულებისა?

აქციონერები დამოკიდებული არიან იმ უფლებებზე, რომლებსაც ისინი იღებენ თავიანთი ინვესტიციის სანაცვლოდ. აქციონერების უმრავლესობისთვის ეს გულისხმობს კომპანიის მოგებაში მონაწილეობის უფლებას. ასევე მნიშვნელოვანია სხვა ისეთი უფლებებიც, მაგალითად, როგორცაა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის, წესდების შესწორებებისა და კაპიტალის ცვლილებების დამტკიცებასთან დაკავშირებით, აგრეთვე წლიური ანგარიშისა და ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცება და კომპანიისა და მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციასთან წვდომის უფლება. ამ უფლებების გამოყენებით აქციონერები უზრუნველყოფენ იმას, რომ კომპანიის მენეჯერებმა ვერ დაიტაცონ ინვესტირებული თანხები.

ინვესტორების დაცვის ხარისხს კორპორაციული მართვის თვალსაზრისით რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს, მაგალითად, კაპიტალის ბაზრების სიღრმე, მფლობელობის მოდელი, დივიდენდების პოლიტიკა და რესურსების განაწილების ეფექტიანობა.<sup>1</sup> იქ, სადაც აქციონერები კანონით არიან დაცული და ეს კანონები სრულდება, აქციონერები გამოხატავენ საკუთარი კაპიტალის ინვესტირების სურვილს და საფინანსო ბაზრები გაცილებით ფართო და ფასეულია. ხოლო იქ, სადაც კანონი სათანადოდ არ იცავს აქციონერებს, საფინანსო ბაზრების განვითარება შეფერხებულია. როდესაც აქციონერთა უფლებები კანონითაა დაცული და მათ ასევე იცავს კომპანია, გარე ინ-

<sup>1</sup> რაფაელ ლა პორტა, ფლორენსიო ლოპეს დე სილანესი, ანდრეი შლაიფერი, რობერტ ვიშნი, „ინვესტორის დაცვა და კორპორაციული შეფასება“, ეკონომიკური კვლევის ეროვნული ბიურო, სამუშაო დოკუმენტი 7403, ოქტომბერი, 1999

ვესტორებს უჩნდებათ სურვილი სულ უფრო მეტი გადაიხადონ ისეთ საფინანსო აქტივში, როგორცაა კაპიტალი. ისინი იხდიან მეტს, რადგან ესმით, რომ უკეთესი სამართლებრივი დაცვის პირობებში მათ დაუბრუნდებათ ფირმის მოგების უფრო დიდი ნაწილი დივიდენდების და/ან კაპიტალზე უკუგების სახით (მენეჯერების ან მაკონტროლებელი აქციონერის მიერ თანხების მითვისების სანაცვლოდ). „ქალაქზე არსებული კანონი“ არ არის საკმარისი აქციონერთა უფლებების ადეკვატურად დასაცავად - საჭიროა აგრეთვე კანონის ეფექტიანი განხორციელება. აქციონერთა უფლებების დაცვის ეკვივალენტურია თავად კომპანიის მოქმედება, განსაკუთრებით კი, ქართული კომპანიებისთვის, რომლებიც არ იმყოფებიან ხელსაყრელ სამართლებრივ გარემოში და რომლებისთვისაც დამახასიათებელი იყო კორუპციული სკანდალები პრივატიზაციის მიმდინარეობის წლებში.

ამ თავში მიმოხილულია აქციონერთა უფლებები და წესები, რომლებიც კომპანიამ უნდა შეასრულოს აღნიშნული უფლებების დასაცავად. ზოგიერთი სპეციფიკური უფლება, მაგალითად, აქციონერთა საერთო კრებაში (ასკ) მონაწილეობა, დეტალურად იქნება განხილული ამ სახელმძღვანელოს მომდევნო თავებში.


**ა. ზოგადი დებულებები აქციონერთა უფლებების შესახებ**

**1. აქციონერად გახდომის მიზეზები**

ინვესტორები კომპანიის აქციებს ყიდულობენ სხვადასხვა მიზეზით. ყველაზე გავრცელებული მიზეზები ნაჩვენებია 1-ელ სურათზე.

**სურათი 1. აქციონერად გახდომის გავრცელებული მიზეზები**

**კონტროლი:** აქციები ინვესტორებს აძლევს შესაძლებლობას კანონიერად აკონტროლონ კომპანია და გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღებაზე დირექტორების და, შესაძლოა, მენეჯმენტის წარდგენით. რაც უფრო მეტია აქციონერის ხელთ არსებული ხმის უფლების მქონე აქციათა რაოდენობა, მით უფრო დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია მას.



**დივიდენდები:** დივიდენდები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინვესტირებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში. დივიდენდების რეგულარული გადახდა, განსაკუთრებით, თუ ინვესტორი ფლობს აქციების პორტფელს, შეიძლება ახდენდეს პროგნოზირებადი ფულადი ნაკადების გენერაციას.

**კაპიტალზე უკუგება:** ინვესტორები ყიდულობენ აქციებს, რათა სარგებელი მიიღონ კაპიტალის გაზრდისგან. დივიდენდებისგან განსხვავებით, აქციები უნდა გაიყიდოს, რათა მოხდეს აქციების ფასის გაზრდით გამოწვეული მოგების რეალიზაცია.

წყარო: IFC, მარტი, 2004

**2. აქციების კლასები**

კანონმდებლობა განსაზღვრავს აქციების ორ კლასს: ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებს. ამასთან ერთად, აქციონერთა გადაწყვეტილების შესაბამისად კომპანიამ შეიძლება გამოუშვას სხვა კლასის აქციები.<sup>2</sup> აქციების ყვე-

<sup>2</sup> მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 52.1<sup>1</sup>

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

ლა კლასი შეიძლება იყოს ან არ იყოს ნომინალური ღირებულებით. ერთი და იმავე კლასის აქციები მფლობელებს უნდა ანიჭებდეს ერთნაირ უფლებებს.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

### კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:

ერთი და იმავე კლასის აქციების აქციონერებს ერთი და იგივე უფლებები აქვთ მათ მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის გათვალისწინებით და იმის მიუხედავად, არიან თუ არა ისინი ადგილობრივი თუ უცხოელი ინვესტორები. ინფორმაცია ცალკეული კლასის აქციების მფლობელების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის (ნაწილი 3.4)

### ა) ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ კომპანიის გადაწყვეტილების მიღებაში, რაც, ყველაზე ხშირად, გამოიხატება აქციონერთა საერთო კრების დროს ხმის მიცემისას. მათ ასევე აქვთ კომპანიის მოგებიდან წილის მიღების უფლება დივიდენდების ან კაპიტალის გაზრდის მეშვეობით.

### ბ) პრივილეგირებული აქციები

კომპანიას აქვს პრივილეგირებული აქციების გამოშვების უფლება. პრივილეგირებული აქციები მათ მფლობელს აძლევს ფიქსირებული დივიდენდის მიღების უფლებას, მაგრამ არ აძლევს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას.

ძირითადი განსხვავებები ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებს შორის შეჯამებულია 1-ელ ცხრილში.

### ცხრილი 1. ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების შედარება

	ჩვეულებრივი აქციები	პრივილეგირებული აქციები
სავალდებულო	დიახ	არა, არჩევითია
აქვთ თუ არა აქციონერებს აქციონერთა საერთო კრების მიმდინარეობისას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება?	დიახ, კანონით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა	არა, გარდა განსაკუთრებული გამონაკლისი შემთხვევებისა
შეუძლია თუ არა წესდებს დამატებითი უფლებების მინიჭება აქციონერებისთვის?	დიახ	დიახ

კომპანიის წესდებამ შეიძლება განსხვავებულად განსაზღვროს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციებისთვის მინიჭებული უფლებები.<sup>3</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

პრივილეგირებული აქციები მათ მფლობელებს შეიძლება აძლევდეს დივიდენდების განაწილებასთან, აქციების სალიკვიდაციო ღირებულებასა და განსაკუთრებულ გარემოებებში ხმის მიცემის უფლებასთან დაკავშირებულ პრივილეგირებულ უფლებებს (მაგალითად, კომპანიის უუნარობა გადაიხადოს დივიდენდები ან, როდესაც კომპანიის გადაწყვეტილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს პრივილეგირებულ აქციონერთა უფლებებზე).

<sup>3</sup> იქვე, მუხ. 52.1



## ★ საუკეთესო პრაქტიკა

იმ იურისდიქციებში, სადაც კანონმდებლობით კომპანიებს საშუალება აქვთ ჰქონდეთ სხვადასხვა კლასის პრივილეგირებული აქციები, ასეთი აქციები შეიძლება განსხვავებულ უფლებებს ანიჭებდეს მათ მფლობელებს. მაგალითად, პრივილეგირებული აქციები შეიძლება აქციონერს ანიჭებდეს უფლებას:

- **კუმულაციურ დივიდენდებზე:** გადაუხდელი დივიდენდების აკუმულირების და მიღების უფლება, სანამ დივიდენდების გადახდა მოხდება ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისთვის; და
- **მონაწილეობით დივიდენდებზე:** უფლება ფიქსირებულ დივიდენდზე, ან მოგების წილზე, სანამ დივიდენდების გადახდა მოხდება ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისთვის.


### გ) აქციების სხვა კლასები

ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებთან ერთად კომპანიამ შეიძლება ასევე გამოუმშვას სხვა კლასის აქციები. აქციების სხვადასხვა კლასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მათი რაოდენობა, აქციონერთა უფლებები და ვალდებულებები, და სხვ.) უნდა განისაზღვროს კომპანიის წესდებით.<sup>4</sup>

### 3. აქციონერთა უფლებების ტიპები

სამეწარმეო კანონმდებლობით გამოიწვეულია ცალკეული აქციონერების უფლებები და აქციონერთა ჯგუფის უფლებები. ასევე შესაძლებელია აქციონერთა უფლებების განსხვავება მათი ბუნების მიხედვით. ზოგიერთი უფლება დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებასა და კომპანიის ორგანიზაციასთან. სხვა უფლებები დაკავშირებულია კაპიტალისა და აქციონერთა ინვესტიციიდან მიღებულ უკუგებასთან (იხ. სურათი 2).

სურათი 2. აქციონერთა უფლებების ორმხრივი ბუნება



წყარო: IFC, მარტი, 2004

## ბ. აქციონერთა სავაჭრო უფლებები

### 1. ხმის მიცემის უფლება

აქციონერებს შეუძლიათ კომპანიის გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა აქციონერთა საერთო კრების მსვლელობისას ხმის მიცემის უფლების გამოყენებით. აქციონერებს შეუძლიათ, მაგალითად, აკონტროლონ კომპანიის გრძელვადიანი მიმართულება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევით, აგრეთვე ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებით, რომლებიც ექცევა აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილების ფარგლებში.

<sup>4</sup> იქვე, მუხ. 52.1<sup>1</sup>

ხმის მიცემის უფლების გამოყენება შეიძლება პირადად ან მინდობილობის საშუალებით.<sup>5</sup> მინდობილობა უფლებამოსილ მფლობელს ანიჭებს აქციონერის სახელით მოქმედებისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებას, რომელსაც აქციონერი გამოიყენებდა აქციონერთა კრების მსვლელობისას.

**ა) ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული ხმის მიცემის უფლება**

ჩვეულებრივი აქცია მფლობელს ანიჭებს ხმის მიცემის უფლებას. თუმცა, არსებობს გარკვეული გარემოებები, როდესაც ჩვეულებრივი აქცია ხდება ხმის უფლების არმქონე. ეს გარემოებები შეჯამებულია მე-2 ცხრილში.

**ცხრილი 2.** ხმის უფლების არმქონე ჩვეულებრივი აქციები

წინაპირობები	სამართლებრივი შედეგები
<p>აქციების თანხის სრულად გადაუხდელობა: როდესაც კომპანიის დამფუძნებლებთან განთავსებული აქციების საფასური ბოლომდე არ არის გადახდილი, თუ წესდებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული</p>	<p>გამორიცხავს კენჭისყრაში მონაწილეობას ყველა საკითხთან დაკავშირებით დამფუძნებელი აქციონერთა საერთო კრების მსვლელობისას</p>
<p>სახაზინო აქციები: როდესაც კომპანია ფლობს კომპანიის მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ აქციებს</p>	<p>გამორიცხავს კენჭისყრაში მონაწილეობას ყველა საკითხთან დაკავშირებით აქციონერთა საერთო კრების მსვლელობისას<sup>6</sup></p>
<p>დაკავშირებული მხარის გარიგებების დამტკიცება: ჩვეულებრივი აქციები არის აქციონერის მფლობელობაში, რომელიც დაინტერესებული მხარეა დაკავშირებული მხარის გარიგებაში</p>	<p>გამორიცხავს კენჭისყრაში მონაწილეობას დაკავშირებული მხარის გარიგების დამტკიცებასთან დაკავშირებით, რომელშიც აქციონერი დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს<sup>7</sup></p>
<p>აქციების შეძენის წესების დარღვევა გარიგებაში, რომელსაც მოჰყვება კომპანიაზე კონტროლის მოპოვება: როდესაც ეს პირი (ან დაკავშირებულ პირთა ჯგუფი) არ ამჟღავნებს ინფორმაციას ანგარიშვალდებული კომპანიის აქციების მნიშვნელოვანი შეძენის შესახებ</p>	<p>გამორიცხავს კენჭისყრაში მონაწილეობას ანგარიშვალდებული საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების 10%-ზე მეტის შემთხვევაში<sup>8</sup></p>
<p>სავალდებულო სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა: როდესაც პირი (ან დაკავშირებულ პირთა ჯგუფი), რომელსაც არ გაუკეთებია სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, იძენს სამიზნე კომპანიის ჩვეულებრივ აქციებს, რაც აღემატება მთლიანი ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ს</p>	<p>გამორიცხავს კენჭისყრაში მონაწილეობას აქციონერთა საერთო კრებაზე მის კონტროლქვეშ არსებული ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტის შემთხვევაში<sup>9</sup></p>

**ბ) პრივილეგირებულ აქციებთან დაკავშირებული ხმის მიცემის უფლება**

სამეწარმეო კანონმდებლობის შესაბამისად, პრივილეგირებული აქციების მფლობელები აქციონერთა საერთო კრებაზე, როგორც წესი, არ სარგებლობენ ხმის მიცემის უფლებით, თუ კომპანიის წესდება სხვაგვარად არ არეგულირებს პრივილეგირებული აქციების მფლობელთა უფლებებს.<sup>10</sup>

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

პრივილეგირებული აქციების მფლობელები შესაძლოა ხმას აძლევდნენ განსაკუთრებულ გარემოებებში. ეს შეიძლება ხდებოდეს მაშინ, როცა პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების გადახდა არ წარმოებს ან, როდესაც შეზღუდულია პრივილეგირებული აქციებისთვის მინიჭებული რომელიმე უფლება.

<sup>5</sup> იქვე, მუხ. 54.3  
<sup>6</sup> იქვე, მუხ. 53.<sup>19</sup>  
<sup>7</sup> იქვე, მუხ. 53.4 და ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 16.<sup>15</sup>  
<sup>8</sup> იქვე, მუხ. 14.6  
<sup>9</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 53.<sup>23</sup>  
<sup>10</sup> იქვე, მუხ. 52.1

## 2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევის უფლება

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის წესდება ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნას ან აღნიშნული მოთხოვნითაა მენარმეთა შესახებ კანონით,<sup>11</sup> აქციონერები ირჩევენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს.<sup>12</sup> სამენარმეო კანონმდებლობა ითვალისწინებს საბჭოს წევრთა არჩევის შესაძლებლობას კენჭისყრის კუმულაციური მეთოდის გამოყენებით.

ეს მეთოდი გულისხმობს შემდეგს:

- ა) თითოეული აქციონერი ანაწილებს თავის მფლობელობაში არსებულ ყველა აქციას წარმოდგენილი კანდიდატების ნებისმიერ რაოდენობაზე ისე, რომ მისი ხმების მთლიანი რაოდენობა არ აღემატებოდეს მის ხელთ არსებული აქციების მთლიან რაოდენობას;
- ბ) აქციონერმა თავისი თითოეული ხმით შეიძლება მხოლოდ მხარი დაუჭიროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატს (კანდიდატის წინააღმდეგ ხმის მიცემა არ არის ნებადართული);
- გ) თუ კანდიდატების რაოდენობა ნაკლებია ან ტოლია საბჭოს წევრთა ფიქსირებული რაოდენობისა, მაშინ ყველა კანდიდატი, რომელიც მიიღებს ერთ ხმას მაინც, ავტომატურად გახდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. თუ კანდიდატების რაოდენობა ნაკლებია ან ტოლია საბჭოს წევრთა ფიქსირებული რაოდენობისა, მაშინ კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ ხმების უმრავლესობას, არჩეულ უნდა იქნენ სამეთვალყურეო საბჭოში.<sup>13</sup>

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

კუმულაციული კენჭისყრა ითვლება ეფექტიან ინსტრუმენტად აქციონერთა უფლებების დაცვის სფეროში, რამდენადაც კანდიდატს, რომელიც მიიღებს ერთ ხმასაც კი, აქვს შესაძლებლობა არჩეულ იქნეს საბჭოს წევრად. ეს სქემა კარგად იმუშავებს, როცა მცირე აქციონერებს ექნებათ საბჭოს წევრის თანამდებობაზე კანდიდატის წარდგენის უფლება.

## 3. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლება

კომპანია არ განსაზღვრავს კონკრეტულ გარემოებებს, როდესაც აქციონერს უფლება აქვს გაასაჩივროს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებები სასამართლოში. ეს შეიძლება იყოს ის შემთხვევები, როცა აქციონერთა უფლებები და კანონიერი ინტერესები ირღვევა ან გადაწყვეტილება არღვევს კანონმდებლობას ან წესდების დებულებებს.

აქციონერმა, რომელიც ასაჩივრებს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებას, საჩივარი სასამართლოში უნდა შეიტანოს შესაბამისი სხდომის ოქმის მომზადებიდან ორი თვის ვადაში. ამ წესიდან გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს მაშინ, როცა აქციონერთა საერთო კრება მოწვეულია და იმართება კანონის ან წესდების მნიშვნელოვანი დარღვევით. ასეთ შემთხვევაში საჩივრის ხანდაზმულობის ვადა ერთი წლით განისაზღვრება.<sup>14</sup>

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

**კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:**

აქციონერებმა უნდა შეძლონ საკუთარი უფლებების დაცვა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მოითხოვონ კომპენსაცია მათთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში (ნაწილი 3.7)

<sup>11</sup> იქვე, მუხ. 55.1  
<sup>12</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ვ)  
<sup>13</sup> იქვე, მუხ. 54.8  
<sup>14</sup> იქვე, მუხ. 15.2

- თავი I
- თავი II
- თავი III
- თავი IV
- თავი V
- თავი VI
- თავი VII
- თავი VIII
- თავი IX
- თავი X
- თავი XI
- თავი XII

#### 4. კომპანიის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება

სამენარმეო კანონმდებლობა აქციონერებს ანიჭებს კომპანიის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას მათ მფლობელობაში არსებული აქციების პროცენტული მაჩვენებლის საფუძველზე. განსხვავება კეთდება ნებისმიერ აქციონერსა და სულ ცოტა აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერს (ან აქციონერთა ჯგუფს) შორის.

ნებისმიერ აქციონერს აქვს წლიური ანგარიშის და კომპანიის ნებისმიერი სხვა პუბლიკაციის ასლის მიღების უფლება. გარდა ამისა, აქციონერმა შეიძლება მოითხოვოს წლიური ანგარიშის შესაბამისობის შემოწმება და ამ მიზნით გაცნოს კომპანიის დოკუმენტაციას.<sup>15</sup>

აქციების სულ ცოტა 5%-ის მფლობელ აქციონერებს შეუძლიათ მოითხოვონ კომპანიის წლიური ბალანსის ან ეკონომიკური საქმიანობის სპეციალური შემოწმება და ასევე მიიღონ ინფორმაცია კომპანიის მიერ დადებული (დასაღები) გარიგებების შესახებ.<sup>16</sup>

#### ★ საუკეთესო პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ სამენარმეო კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული კონკრეტული დრო, რეკომენდებულია, მოთხოვნილი დოკუმენტები აქციონერებს შესამოწმებლად გადაეცეთ კომპანიის შენობაში მოთხოვნის მიღებიდან ხუთი დღის განმავლობაში.

#### კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:

აქციონერებს უნდა შეეძლოს აუცილებელი ინფორმაციის მიღება სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი საბჭოს წევრებისგან, ისევე როგორც აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებისგან შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად (ნაწილი 3.5)

#### 5. აქციების თავისუფლად გადაცემის უფლება

სამენარმეო კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი კლასის აქციების გადაცემის უფლება (გარდა საჯარო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც ასეთად განსაზღვრულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონით) შეიძლება დამოკიდებული იყოს კომპანიის თანხმობაზე. თანხმობის გაცემის წესი აქციების განთავსებამდე უნდა განისაზღვროს კომპანიის წესდებით.<sup>17</sup>

#### ★ საუკეთესო პრაქტიკა

კომპანიის აქციების მფლობელებს უფლება აქვთ გაყიდონ საკუთარი აქციები ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ფასად სხვა აქციონერების და კომპანიის თანხმობის გარეშე. ერთადერთი გამონაკლისი შეიძლება იყოს სხვა აქციონერების მიერ იმავე კლასის აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება.

#### 6. აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება

სამენარმეო კანონმდებლობით გათვალისწინებულია აქციონერთა მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება, რომელიც მათ საშუალებას აძლევს შეიძინონ აქციები ან კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდები პრიორიტეტულად მესამე მხარეებისთვის აქციების შეთავაზებამდე. ეს უფლება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.<sup>18</sup> აქციონერთა მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება არ შეიძლება განცალკევებულ იქნეს აქციებისგან. აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გადაცემა მხოლოდ აქციებთან ერთად ხდება.

<sup>15</sup> იქვე, მუხ. 3.10

<sup>16</sup> იქვე, მუხ. 53.3<sup>2</sup> და მუხ. 53.3<sup>5</sup>

<sup>17</sup> იქვე, მუხ. 52.2

<sup>18</sup> იქვე, მუხ. 54.6 (გ)


**ა) აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მიზანი**

აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება უზრუნველყოფს, რომ ერთი კლასის ყველა აქციონერის მიმართ დამოკიდებულება იყოს ერთგვაროვანი. ის იძლევა ახალი აქციების შექმნის საშუალებას, როდესაც კომპანიას უნდა თავისი სანესდებო კაპიტალის გაზრდა. უპირატესი შესყიდვის უფლება აქციონერებს იცავს წილის შემცირებისგან, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მათი ზოგიერთი უფლების დაკარგვა მფლობელობაში არსებული აქციების პროცენტული მაჩვენებლის შემცირების გამო.

**ბ) როდესაც არსებობს აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება**

უპირატესი შესყიდვის უფლების არსებობა შეიძლება დამოკიდებული იყოს გამონერის ტიპზე (ღია ან დახურული) და იმაზე, შემოიფარგლება თუ არა გამონერა არსებული აქციონერებით ან მესამე მხარეებს შეუძლიათ თუ არა ახალი აქციების შესყიდვა. მე-3 სურათზე ნაჩვენებია ის შემთხვევები, როდესაც აქციების მფლობელებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება.

**სურათი 3.** როდის არსებობს აქციების შესყიდვის უპირატესი უფლება



წყარო: IFC, მარტი, 2004

**გ) აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება**

სამენარმეო კანონმდებლობით არ არის დადგენილი დეტალური წესები აქციების უპირატესი შესყიდვის უფლებების გამოსაყენებლად.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე აქციონერთა სია უნდა შედგეს აქციონერთა რეესტრის საფუძველზე, რომელიც მომზადებულია დამატებითი აქციების ან სხვა კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების ემისიის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღის მდგომარეობით. აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე აქციონერთა ჩამონათვალში შეყვანილი აქციონერების ინფორმირება უნდა მოხდეს ისევე, როგორც აქციონერთა საერთო კრების შესახებ შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში.

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

შეტყობინება უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა:

- გამოსაშვები აქციების ან კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების რაოდენობა;
- განთავსების ფასი ან განთავსების ფასის განმსაზღვრელი პროცედურა (განთავსების ფასის ჩათვლით ან უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე აქციონერებისთვის დამატებით გამოშვებული აქციების განთავსების ფასის განსაზღვრის პროცედურის ჩათვლით);
- აქციების რაოდენობის ან კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების რაოდენობის განსაზღვრი პროცედურა, რომლის შექმნის უფლებაც თითოეულ აქციონერს აქვს; და
- პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს გამოყენებული უპირატესი შესყიდვის უფლება.

აქციონერს, რომელსაც აქვს უპირატესი შესყიდვის უფლებები, შეუძლია ეს უფლებები გამოიყენოს სრულად ან ნაწილობრივ, რისთვისაც კომპანიას უნდა წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები, კერძოდ:

- წერილობითი განცხადება დამატებით გამოშვებული აქციების ან სხვა კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების მოთხოვნით, რომელიც უნდა შეიცავდეს:
  - აქციონერის სახელს;
  - აქციონერის საცხოვრებელ ადგილს (მდებარეობას); და
  - აქციონერის მიერ შესაძენი აქციების ან კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების რაოდენობას
- დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აქციების და სხვა კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდას.

### 7. კომპანიის მოგებიდან წილის მიღების უფლება

წარმატებული კომპანიები იღებენ მოგებას, რომელიც შესაძლოა დარჩეს კომპანიას ან გაუნაწილდეს აქციონერებს დივიდენდების სახით. საქართველოში არსებობს მოლოდინი, კერძოდ, მცირე წილის მქონე აქციონერებს შორის, რომ კომპანიებმა უნდა გადაიხადონ დივიდენდები და ექსკლუზიურად არ დაიტოვონ თავიანთი მოგება.

სამეწარმეო კანონმდებლობით გათვალისწინებულია დივიდენდების გადახდის შესაძლებლობა წლიური ან ნახევარწლიური შედეგების საფუძველზე აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად.<sup>19</sup>


ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების მფლობელებს დივიდენდებთან დაკავშირებით განსხვავებული უფლებები აქვთ. ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების განაწილება მხოლოდ კომპანიის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. მეორე მხრივ, პრივილეგირებული აქციების მფლობელებს აქვთ დივიდენდების მიღების უფლება. დივიდენდების მოცულობა და დივიდენდების მიღების პროცედურები უნდა განისაზღვროს კომპანიის წესდებით.<sup>20</sup>

საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, დივიდენდების განსხვავებული ტიპები წარმოდგენილია ქვემოთ, მე-4 სურათზე.

<sup>19</sup> იქვე, მუხ. 8

<sup>20</sup> იქვე, მუხ. 52.1

**სურათი 4: დივიდენდების ტიპები**



**შუალედური დივიდენდები**  
შეიძლება გადახდის იქნეს ფინანსური წლის განმავლობაში, თუ წესდებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული.

**ფიქსირებული დივიდენდები**  
განისაზღვრება წესდებით როგორც პრივილეგიებული აქციების ნომინალური ღირებულების ფიქსირებული პროცენტი.

**ნლიური დივიდენდები**  
ნლიური დივიდენდების გადახდა ყოველწლიურად წარმოებს.

**დივიდენდები ცვალეზადი განაკვეთით**  
გულისხმობს დივიდენდების ცვალეზად პროცენტს, რომელიც ემყარება პრივილეგიებული აქციების ნომინალურ ღირებულებას ან კომპანიის წმინდა მოგების პროცენტულ მაჩვენებელს.

**კუმულაციური დივიდენდები**  
ამ შემთხვევაში წესდებით განსაზღვრულია, რომ გაუცხადებელი ან ნაწილობრივ გაცხადებული დივიდენდები პრივილეგიებულ აქციებზე უნდა იქნეს აკუმულირებული, გაცხადებული და გადახდილი გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

**მონაწილეობის დივიდენდები**  
ამ შემთხვევაში პრივილეგიებული აქციების მფლობელებს პრიორიტეტული დივიდენდების მიღების შემდეგ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ჩვეულებრივი აქციების მფლობელებთან ერთად დანარჩენი მოგების განაწილებაში.

კომპანიებისთვის უმჯობესია მკაფიოდ გაცხადებული და რაციონალური დივიდენდების პოლიტიკის განსაზღვრა აქციონერთა პრიორიტეტების შესაბამისად.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

კომპანიებმა უნდა აცნობონ ბაზარს თავიანთი დივიდენდების პოლიტიკის შესახებ, მაგალითად, ბეჭდვითი მედიის საშუალებით. ინფორმაციის ასეთი გამჟღავნება უნდა განხორციელდეს აქციონერთა საერთო კრების შესახებ შეტყობინების გამოსაქვეყნებლად წესდებით განსაზღვრულ დროს. კომპანიამ ასევე უნდა განიხილოს ამ მიზნით ინტერნეტის გამოყენების შესაძლებლობა.

აუცილებელია, რომ აქციონერებმა მიიღონ ინფორმაცია, სულ ცოტა, ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა:

- მეთოდი, რომელსაც კომპანია იყენებს მოგების იმ ნაწილის განსაზღვრად, რომელიც შეიძლება გადახდის იქნეს დივიდენდის სახით;
- პირობები, რომლითაც შეიძლება დივიდენდების გადახდა;
- დივიდენდების მინიმალური თანხა, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი თითოეული კლასის აქციებისთვის;
- კრიტერიუმები, რომლებსაც იყენებენ სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი საბჭო დივიდენდების გაცხადების შესახებ რეკომენდაციის მიღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას; და
- პროცედურა დივიდენდების გადახდის შესახებ, დროის, ადგილის და გადახდის ფორმის ჩათვლით.

ამის შემდეგ კომპანიებმა უნდა დანერგონ გამჭვირვალე და ადვილად გასაგები მექანიზმები დივიდენდების განსაზღვრად, რისთვისაც მათ უნდა დაამტკიცონ დებულება დივიდენდების შესახებ. დებულებაში უნდა აისახოს ისეთი ინფორმაცია, როგორცაა:

- წმინდა მოგების პროცენტული მაჩვენებელი დივიდენდების გადასახდელად;
- დივიდენდების გადახდის ვადა და პირობები;
- დივიდენდების თანხა გადასახდელი აქციების სპეციფიკურ ტიპსა და კლასზე, თუ ეს თანხა არ არის განსაზღვრული წესდებით;
- დივიდენდების მინიმალური თანხა, რომელიც გადასახდელია თითოე-

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

- ული ტიპის და კლასის აქციებზე;
- დივიდენდების გადახდის პროცედურა გრაფიკის, ადგილის და მეთოდების ჩათვლით; და
- გარემოებები როდესაც დივიდენდები არ იქნება გაცხადებული ან, როდესაც დივიდენდები შეიძლება ნაწილობრივ გაცხადდეს პრივილეგირებულ აქციებზე.

დივიდენდების გადახდის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს აქციონერთა საერთო კრებამ, სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე.<sup>21</sup>

## ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

როგორც IFC-ის კვლევის შედეგად დადგინდა, კომპანიების მხოლოდ 40.7%-მა მიიღო გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდის შესახებ კანონით დადგენილი ფორმით. რესპონდენტთა 53.3%-ის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღო სამეთვალყურეო საბჭომ, ხოლო 8.0%-ის შემთხვევაში - აღმასრულებელმა საბჭომ.

სამენარმეო კანონმდებლობა ითვალისწინებს კონკრეტულ თარიღებს გაცხადებული დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით. აღნიშნული უნდა განისაზღვროს კომპანიის წესდებით.<sup>22</sup>

### 8. აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება

აქციონერს უფლება აქვს კომპანიას შეაფასებინოს და გამოასყიდინოს თავისი აქციები, როდესაც იგი აქციონერთა საერთო კრებაზე ხმას აძლევს რომელიმე ისეთი საკითხის წინააღმდეგ, როგორცაა:

- გადაწყვეტილება კომპანიის რეორგანიზაციის შესახებ;
- გადაწყვეტილება აქციონერის უფლების მნიშვნელოვანი დარღვევის შესახებ.

კომპანიის წესდება შეიძლება დეტალურად აღწერდეს აქციების შეფასების და გამოსყიდვის პროცედურებს.<sup>23</sup>

შეტყობინება აქციონერთა საერთო კრების შესახებ, რომელმაც უნდა დაამტკიცოს გამოსყიდვის უფლების გამოყენების განმაპირობებელი გადაწყვეტილებები, აუცილებელია აღწერდეს მისაღებ გადაწყვეტილებებს, მათთან დაკავშირებულ გამოსყიდვის მოთხოვნის უფლებას და მისი გამოყენების პროცედურას.<sup>24</sup>

სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განსაზღვროს გამოსყიდვის ფასი, რომელიც არ შეიძლება იყოს აქციონერებისთვის ზემოთ აღნიშნული შეტყობინების გაგზავნის წინა დღეს გამოსასყიდი აქციების არსებულ საბაზრო ფასზე ნაკლები.<sup>25</sup>

აქციონერებს უფლება აქვთ კომპანიას წარუდგინონ წერილობითი მოთხოვნა თავიანთი აქციების გამოსყიდვის შესახებ, რაც უნდა განხორციელდეს გამოსყიდვის უფლებების გამოყენების განმაპირობებელი გადაწყვეტილების აქციონერთა საერთო კრების მიერ დამტკიცებიდან არა უგვიანეს 45 დღის განმავლობაში.<sup>26</sup>

აქციების გამოსყიდვის შესახებ მოთხოვნების წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ სამეთვალყურეო საბჭომ 30 დღის განმავლობაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება აქციების გამოსყიდვის შესახებ. აქციონერს, რომელიც არ ეთანხმება

<sup>21</sup> იქვე, მუხ. 54.6 (დ)

<sup>22</sup> იქვე, მუხ. 52.1

<sup>23</sup> იქვე, მუხ. 53.<sup>1</sup>

<sup>24</sup> იქვე, მუხ. 53.<sup>1</sup> 2

<sup>25</sup> იქვე, მუხ. 53.<sup>1</sup> 4

<sup>26</sup> იქვე, მუხ. 53.<sup>1</sup> 3



აქციების გამოსყიდვის პირობებს, შეუძლია გაასაჩივროს ის სასამართლოში სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში.<sup>27</sup>

სამენარმო კანონმდებლობით განისაზღვრება ზოგიერთი შეზღუდვები გამოსყიდვის უფლების გამოყენებასა<sup>28</sup> და აქციების გამოსყიდვასთან დაკავშირებით.<sup>29</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება ასევე ენიჭება აქციონერს, როდესაც იგი არ მონაწილეობს კენჭისყრაში დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით. აქციონერებისთვის გაგზავნილი ინფორმაცია ასევე უნდა შეიცავდეს გამოსყიდვის ფასს, რომელსაც ისინი მიიღებენ დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების წინააღმდეგ ხმის მიცემის შემთხვევაში.

### 9. აქციონერთა უფლებები კორპორაციული და დაკავშირებული მხარის გარიგებების განხორციელებისას

#### ა) კორპორაციული გარიგებები

##### 1. სატენდერო შეთავაზება

##### 1.1 ნებაყოფლობითი სატენდერო შეთავაზება

პირმა, რომელიც აპირებს ანგარიშვალდებული კომპანიის ფასიანი ქაღალდების გარკვეული რაოდენობის შეძენას, რასაც შეიძლება მოჰყვეს ამ კომპანიაზე კონტროლის განხორციელება, შესაძლოა ეს განახორციელოს სატენდერო შეთავაზების მეშვეობით. ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა უნდა გამოაქვეყნოს შეტყობინება სამიზნე კომპანიაზე კონტროლის მოპოვებასთან დაკავშირებით საკუთარი განზრახვის შესახებ და აცნობოს ეს საქართველოს ეროვნულ ბანკს.<sup>30</sup> ამ პროცესს ეწოდება „ნებაყოფლობითი სატენდერო შეთავაზება“.

სატენდერო შეთავაზების პირობები და შემთავაზებლის მიერ წარდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს იგივე შესაბამისი ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელისათვის. იმ შემთხვევაში, თუ შემთავაზებელმა მიიღო თანხმობა ფასიანი ქაღალდების ისეთი რაოდენობის გაყიდვის შესახებ, რომელიც აღემატება სატენდერო შეთავაზებაში მითითებულ რაოდენობას, მაშინ მყიდველმა ფასიანი ქაღალდები უნდა შეიძინოს პროპორციული განაწილების საფუძველზე.<sup>31</sup>

თუ შემთავაზებელი ცვლის სატენდერო შეთავაზების პირობებს შეთავაზების დამთავრებამდე და ფასიანი ქაღალდების მფლობელებს სთავაზობს გაზრდილ თანხას, იგი ვალდებულია ეს თანხა გადაუხადოს ყველა მფლობელს, რომელმაც თანხმობა განაცხადა სატენდერო შეთავაზების პირობებზე, მიუხედავად იმისა, მოხდა ეს ცვლილების გამოქვეყნებამდე თუ გამოქვეყნების შემდეგ.<sup>32</sup>

საქართველოს ეროვნული ბანკის კანონქვემდებარე აქტები იძლევა დეტალურ პროცედურებს სატენდერო შეთავაზებისთვის.<sup>33</sup>

##### 1.2 სავალდებულო სატენდერო შეთავაზება

თუ აქციონერი ან შეთანხმების საფუძველზე მოქმედი აქციონერთა ჯგუფი შეიძენს აქციათა პაკეტს, რის შედეგადაც აკონტროლებს არაანგარიშვალდებული კომპანიის ხმათა საერთო რაოდენობის 1/2-ზე მეტს, იგი ვალდებულია, ამ ფაქტის დადგომიდან არა უგვიანეს 45 დღისა განახორციელოს სატენდერო შეთავაზება საბაზრო ფასით ყველა დარჩენილი აქციის გამოსყიდვის მიზნით ან იმავე ვადაში მისი კონტროლის ქვეშ მყოფი აქციების რაოდენობა ჩამოიყვანოს შესაბამის ლიმიტზე ქვემოთ.<sup>34</sup> აღნიშნულს უწოდებენ „სავალდებულო

<sup>27</sup> იქვე, მუხ. 53.<sup>1</sup> 6  
<sup>28</sup> იქვე, მუხ. 53.<sup>1</sup> 3 (ა) და (ბ)  
<sup>29</sup> იქვე, მუხ. 53.<sup>1</sup> 7

<sup>30</sup> ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 15.1 და 2  
<sup>31</sup> იქვე, მუხ. 15.4 და 5  
<sup>32</sup> იქვე, მუხ. 15.6

<sup>33</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის 2010 წლის 22 თებერვლის 20/01 ბრძანება „საჯარო ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციის თარიღის და მფლობელების, აქციების ფლობასთან დაკავშირებული უფლებების და ვალდებულებების განსაზღვრასთან და ქონებრივი უფლებების წარმოქმნასთან, შეცვლასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული პროცედურების დამტკიცების შესახებ“, მუხ. 12

<sup>34</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 53.<sup>2</sup> 1 - სატენდერო შეთავაზება უნდა განხორციელდეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის - შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისი დებულებების თანახმად (მუხ. 15 „სატენდერო შეთავაზება“)

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

სატენდერო შეთავაზებას”.

შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი თითოეული კლასის აქციისათვის არ უნდა იყოს იმ უმაღლეს ფასზე ნაკლები, რომელიც გამოსყიდვის განმახორციელებელმა აქციონერმა ბოლო ექვსი თვის განმავლობაში გადაიხადა კომპანიის ამ კლასის აქციაში. გარე ექსპერტმა ან საბროკერო კომპანიამ უნდა შეადგინოს გამოსყიდვის ანგარიში და მასში მიუთითოს გამოსყიდვის ფაქტის დოკუმენტური მტკიცებულება, გამოსასყიდი აქციის საბაზრო ფასის დასაფიქსირებლად გამოყენებული მეთოდი და აღნიშნულ საფუძველზე დაფიქსირებული აქციის ფასი.<sup>35</sup>

სამენარმეო კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეულ გარემოებებს, როდესაც არ უნდა მოხდეს სავალდებულო სატენდერო შეთავაზების გამოყენება.<sup>36</sup> სხვა შემთხვევებში სატენდერო შეთავაზების მოქმედების ვადის გასვლამდე მყიდველს არ აქვს უფლება აქციონერთა საერთო კრებაზე გამოიყენოს მისი კონტროლის ქვეშ არსებული ხმების 50%-ზე მეტი.<sup>37</sup>

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

კონტროლთან დაკავშირებული გარიგებები, როგორც წესი, მოიცავს ე.წ. კონტროლის პრემიას, რომელსაც კონტროლის შემსყიდველი უხდის გამყიდველ აქციონერებს. ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, აქციონერების მიმართ თანაბარი დამოკიდებულება ასევე უნდა განაპირობებდეს კონტროლის პრემიის გაყოფას. ამიტომ გაერთიანებისა და შერწყმის შესახებ დიდი ბრიტანეთის „სიტის კოდექსისა“ და ევროკავშირის მეცამეტე დირექტივის მოთხოვნით, სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ფასი უნდა იყოს კონტროლის შესაძენად გადახდილი უმაღლესი ფასის ტოლი.

## 2. აქციების სავალდებულო მიყიდვა

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

სავალდებულო სატენდერო შეთავაზების წესთან ერთად, დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობით გათვალისწინებულია აქციონერთა დაცვის დამატებითი მექანიზმი - გაყიდვის უფლება. გაყიდვის უფლება მცირე აქციონერებს აძლევს საშუალებას, აიძულონ მაკონტროლებელი აქციონერები (როგორც წესი, სანესდებო კაპიტალის 90–95%-ის მფლობელები) იყიდონ მათი ყველა აქცია. გაყიდვის უფლების „სარკისებრი გამოსახულება“ მაკონტროლებელი აქციონერის შესაბამისი უფლება, აიძულოს მცირე აქციონერები გავიდნენ კომპანიიდან, ე.წ. აქციების სავალდებულო მიყიდვის უფლება, თუ ის ფლობს კომპანიის სანესდებო კაპიტალის 90–95%-ს

საქართველომ მიიღო მხოლოდ აქციების სავალდებულო მიყიდვის უფლება, რომელიც ამჟამად რეგულირდება სამენარმეო კანონმდებლობის<sup>38</sup> და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის<sup>39</sup> შესაბამისი დებულებებით.

აქციების სავალდებულო მიყიდვის უფლება ძირითადად ეხება მსხვილი აქციონერის უფლებას, აიძულოს კომპანიის მცირე აქციონერები, რომ მას მიჰყიდონ აქციები. ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, თუ შეთავაზების განმახორციელებელი მხარე აქციების საკონტროლო პაკეტის შესყიდვის შესახებ წინადადების წარდგენის შემდეგ ფლობს სამიზნე კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 95%-ზე მეტს, მას შეუძლია დარჩენილი აქციების მფლობელებს მოსთხოვოს მისთვის აღნიშნული ფასიანი ქალაქების მიყიდვა სამართლიან ფასად.<sup>40</sup>

აქციების სავალდებულო მიყიდვის საკითხი სადავო საკითხად იქცა საქართველოში და ამ ნორმის<sup>41</sup> 2005 წლის ივნისში მიღებული პირველი ვერსია წინააღმდეგობრივად მიჩნეულ იქნა საქართველოს კონსტიტუციასთან<sup>42</sup> მიმართებით. საქმე ეხებოდა სამართლიან ფასს, რომელიც აქციების სავალდებუ-

<sup>35</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 53.<sup>2</sup>

<sup>36</sup> იქვე, მუხ. 53.<sup>2</sup>1

<sup>37</sup> იქვე, მუხ. 53.<sup>2</sup>3

<sup>38</sup> იქვე, მუხ. 53<sup>4</sup>

<sup>39</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 309<sup>8</sup> - 309<sup>15</sup>

<sup>40</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 53.<sup>4</sup>1

<sup>41</sup> იქვე, მუხ. 53.<sup>3</sup>1

<sup>42</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მაისი 18, 2007 2/1 - 370, 382, 390, 402, 405

ლო მიყიდვის პუნქტის ძველი ვერსიის<sup>43</sup> შესაბამისად განსაზღვრული უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის მიერ სავალდებულო სატენდერო შეთავაზების მსგავსად (მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 53.<sup>3</sup>2).

აქციების სავალდებულო მიყიდვის ნორმის ამჟამინდელი ვერსია ითვალისწინებს სასამართლოს მიერ აქციების სავალდებულო მიყიდვის თარიღის და სამართლიანი ფასის განსაზღვრას სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.<sup>44</sup> სამართლიანი ფასის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული აქციების ფასი საფონდო ბაზარზე, კომპანიის საპროგნოზო შემოსავალი, მისი აქტივები (კომპანიის რეზერვის, მისი ბიზნესრეპუტაციის, გამოცდილების, პერსპექტივებისა და ბიზნესკავშირების ჩათვლით) და ვალდებულებები.<sup>45</sup>

**ბ) დაკავშირებული მხარის გარიგებები**

დაკავშირებული მხარის გარიგებები მოიცავს ისეთ ინსაიდერებს, როგორცაა სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი საბჭოს წევრები, მსხვილი აქციონერები ან მათთან დაკავშირებული პირები. დაკავშირებული მხარის ზოგიერთ გარიგებას აქვს კანონიერი მიზანი და შესაძლებელია სამართლიანად განხორციელდეს, სხვებს - არა. მიუხედავად ამისა, მათი ბოროტად გამოყენება ადვილად ხდება და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, რადგან მათ შეუძლიათ გამოიწვიონ კომპანიის ღირებულების შემცირება და აქციონერთა უფლებების დაკარგვა.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი შეიცავს დეტალურ პროცედურებს, რომლებიც მიმართულია სამართლიანობის უზრუნველსაყოფად დაკავშირებული მხარის გარიგების განხორციელებისას. აღნიშნული კანონის მე-16<sup>1</sup> მუხლი - „ინტერესთა კონფლიქტი და ინფორმაციის განცხადება“ - განსაზღვრავს პროცედურებს ანგარიშვალდებული კომპანიებისთვის, როდესაც დაკავშირებული მხარის გარიგება ხორციელდება ან განხორციელდება მომავალში.

ამ მუხლის მიზნებისთვის პირი განისაზღვრება „დაკავშირებულ მხარედ“, როდესაც იგი:

- ა) არის გარიგების მეორე მხარე;
- ბ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს იმ ირიდიული პირის ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ს ან მეტს, რომელიც გარიგების მეორე მხარეა;
- გ) არის გარიგების მეორე მხარის მმართველი ორგანოს წევრი;
- დ) დანიშნულია/არჩეულია ამ ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრად გარიგების მეორე მხარის ანდა გარიგების მეორე მხარის ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის მფლობელის (მფლობელების) წარდგინებით;
- ე) გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სახის სარგებელს, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ ანგარიშვალდებული საწარმოს წილის ფლობასთან ან მმართველი ორგანოს წევრობასთან;
- ვ) ასეთად განისაზღვრება ამ ანგარიშვალდებული საწარმოს წესდებით.<sup>46</sup>

დაკავშირებულმა მხარეებმა უნდა გაამჟღავნონ გარიგების მიმართ საკუთარი ინტერესი და თავი შეიკავონ კენჭისყრისგან. როდესაც გარიგების ღირებულება აღემატება კომპანიის აქტივების ღირებულების 10%-ს, ის შეიძლება დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ ან აქციონერთა საერთო კრებამ, ხოლო, თუ გარიგების ღირებულება აღემატება აქტივების ფასის 50%-ს, მაშინ მხოლოდ აქციონერთა საერთო კრებამ.<sup>47</sup>

<sup>43</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 53.<sup>3</sup>  
<sup>44</sup> იქვე, მუხ. 53.<sup>4</sup>3  
<sup>45</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 309.<sup>14</sup>  
<sup>46</sup> ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 16.<sup>1</sup>2  
<sup>47</sup> იქვე, მუხ. 16.<sup>1</sup>6

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

არსებობს დაკავშირებული მხარის გარიგებების რეგულირების სხვადასხვა საშუალება. გარკვეული ტიპის გარიგებების აკრძალვა გვხვდება დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში, სადაც ამ ქვეყნის სამენარმეო კანონმდებლო-

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ბით დირექტორებს ეკრძალებათ გარკვეული გარიგებების გაფორმება, რომლებიც კომპანიისთვის საზიანოდ ითვლება. ამ პირველი მიდგომის უპირატესობა ნათელია: ყველა პრაქტიკოსმა იცის მოქმედების ფარგლები. არ მოხდება დახვეწილი ანალიზი აკრძალვის გვერდის ასავლელი გზების გამოსავლენად. ნაკლი წესის მოუქნელობაშია: ეკონომიკურად სასარგებლო გარიგებებიც კი შეიძლება ვერ განხორციელდეს, თუ კანონი შეიცავს მკაფიო აკრძალვას. ამასთან, მხარეებმა შეიძლება დიდი ძალისხმევა დახარჯონ წესისგან თავის ასარიდებლად.

ზოგიერთ იურისდიქციაში იყო მიდგომის შეცვლის და სამართლიანობის კრიტერიუმების გაძლიერების მოთხოვნა: ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებები ყოველთვის უნდა დადგეს ეჭვქვეშ (მათი შესაძლო არასამართლიანობის გამო). ეს მეორე მიდგომა ნშირად გვხვდება აშშ-ის კანონმდებლობასა და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში.

საქართველომ აირჩია მესამე ვარიანტი, რომელიც ასევე წარმოდგენილია განვითარებულ ქვეყნებში – ეს არის დაკავშირებული მხარის გარიგებების დამტკიცების სპეციალური პროცედურები.

მენარმეთა შესახებ კანონი არ შეიცავს ასეთი სახის დებულებებს არაანგარიშვალდებული კომპანიებისთვის. ის მხოლოდ აღნიშნავს აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილებას, დაამტკიცოს განსაკუთრებული გარიგებები, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებს, და რომლის ღირებულებაც აღემატება კომპანიის აქტივების ნახევარს (თუ წესდება არ განსაზღვრავს სხვა მაჩვენებელს).<sup>48</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ მენარმეთა შესახებ კანონით არ არის მოთხოვნილი, ზოგიერთი არაანგარიშვალდებული კომპანია თავისი წესდებითა და შესაბამისი დებულებით განსაზღვრავს და ამტკიცებს ინტერესთა კონფლიქტისა და ინფორმაციის გამჟღავნების შესაბამისი მექანიზმების პოლიტიკას, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით განსაზღვრული ფორმის მსგავსად.

### კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:

ბანკის მმართველობითი ორგანოების წევრებმა უნდა უზრუნველყონ სხვადასხვა ადეკვატური პოლიტიკისა და პროცედურის არსებობა მათ საქმიანობაში ინტერესთა კონფლიქტის ასაცილებლად. ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში, მმართველობითი ორგანოების წევრებმა უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია და თავი შეიკავონ გადაწყვეტილების მიღების შესაბამისი პროცესისგან (პუნქტი 9)

## 10. აქციონერთა უფლებები კომპანიის ლიკვიდაციის პროცესში

აქციონერები მოთხოვნის უფლების მქონე პირთა რიგში უკანასკნელ ადგილზე არიან - როდესაც მიმდინარეობს კომპანიის ლიკვიდაციის პროცესი, ისინი მიიღებენ აქტივების იმ ნაწილს, რომელიც დარჩება კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ. სამენარმეო კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ დარჩენილი აქტივები უნდა განაწილდეს პარტნიორებს (აქციონერებს) შორის მათი წილის პროპორციულად, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კომპანიის წესდებით (აქციონერთა ხელშეკრულებით).<sup>49</sup>

<sup>48</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 54.6 (ლ)

<sup>49</sup> იქვე, მუხ. 14.10

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ კომპანიის ქონების წილი კომპანიაში მათი მფლობელობის პროპორციულად. პრივილეგირებული აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ მათი პრივილეგირებული აქციების სალიკვიდაციო ღირებულება. თუ კომპანიას განთავსებული აქვს სხვადასხვა კლასის აქციები, წესდებით უნდა იყოს განსაზღვრული მოთხოვნების პრიორიტეტულობა პრივილეგირებული აქციების თითოეული კლასისთვის.

### 11. აქციონერთა სიის განხილვის უფლება

აქციონერთა სია მოიცავს ასეთი სტატუსის მქონე ყველა აქციონერს კომპანიის აქციონერთა სტრუქტურის განსაზღვრის თარიღის მდგომარეობით. კომპანიამ რეგისტრირებულ აქციონერებს უნდა მისცეს აქციონერთა სიის განხილვის შესაძლებლობა, რაც აქციონერებს საშუალებას მისცემს დაუკავშირდნენ სხვა აქციონერებს და განახორციელონ საკუთარი ხმის მიცემის კოორდინაცია კოლექტიურად მოქმედების მიზნებისათვის. ეს ასევე მნიშვნელოვანია აქციონერთა სიაში ინფორმაციის გადასამოწმებლად და აქციებთან დაკავშირებული უფლებების გამოსაყენებლად.

### 12. კომპანიის სახელით საჩივრის შეტანის უფლება

აქციონერს (ან აქციონერთა ჯგუფს), რომელიც ფლობს კომპანიის სააქციო კაპიტალის 5%-ს მაინც, უფლება აქვს საჩივარი შეიტანოს სასამართლოში საკუთარი და კომპანიის სახელით, რათა დაიბრუნოს კომპანიის აღმასრულებელი საბჭოს წევრის მიერ ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევით კომპანიისთვის მიყენებული ზარალი.<sup>50</sup>

შესაძლებელია სხვა შემთხვევაც, როდესაც კომპანია არ ახორციელებს მის მოთხოვნას ნებისმიერი მესამე მხარის მიმართ და აქციონერმა სანაცვლოდ და კომპანიის სასარგებლოდ შეიძლება საკუთარი სახელით შეიტანოს სარჩევი აღნიშნული მოთხოვნის შესასრულებლად.<sup>51</sup>

## გ. სახელმწიფო, როგორც აქციონერის, უფლებები

სახელმწიფო შეიძლება კომპანიაში მონაწილეობდეს როგორც აქციონერი. თუ სახელმწიფო ფლობს კომპანიის 50%-ზე მეტს, საქართველოს მთავრობამ შესაძლებელია გადაწყვეტილება მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ,<sup>52</sup> დაამტკიცოს აღმასრულებელი საბჭოს წევრთა დანიშვნა<sup>53</sup> და დაადგინოს სალიკვიდაციო პროცედურები.<sup>54</sup>

## დ. აქციონერთა რეესტრი

აქციონერთა რეესტრი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს აქციონერებსა და კომპანიის სხვა რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების მფლობელებს. მისი გამოყენება შეიძლება აქციების ნომრის, ნომინალური ღირებულებისა და კლასის და სხვა რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების გადასამოწმებლად. აქციონერთა რეესტრის წარმოება ასევე ხდება აქციონერთა უფლებების უზრუნველსაყოფად და აქციების და სხვა რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის მონიტორინგისთვის.

### 1. აქციონერთა რეესტრის წარმოება

კომპანიებს უნდა ჰქონდეთ აქციონერთა რეესტრი, რომელსაც აწარმოებს ან თვითონ კომპანია, ან გარე რეგისტრატორი. რეგისტრატორი პროფესიონალი კომპანიაა, რომელიც ახორციელებს აქციონერთა რეესტრს კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. კომპანიებში, სადაც 50 აქციონერზე მეტია, აქციონერთა რეესტრი სავალდებულოა რომ აწარმოოს გარე რეგისტრატორმა.<sup>55</sup>

<sup>50</sup> იქვე, მუხ. 9.5  
<sup>51</sup> იქვე, მუხ. 53.5  
<sup>52</sup> იქვე, მუხ. 9.8  
<sup>53</sup> იქვე, მუხ. 55.7 გ<sup>1</sup>  
<sup>54</sup> იქვე, მუხ. 14.20  
<sup>55</sup> იქვე, მუხ. 51.3

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## 2. აქციონერთა რეესტრის შინაარსი

აქციონერთა რეესტრი უნდა შეიცავდეს, სულ ცოტა, შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის გარე რეგისტრატორი;
- კომპანია, მისი აქციონერები და დამფუძნებლები;
- კომპანიის საწესდებო კაპიტალი, კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების კლასი, რაოდენობა და ნომინალური ფასი;
- მარეგულირებლების მიერ კომპანიის ფასიანი ქაღალდების კლასებისთვის მინიჭებული სპეციალური კოდები;
- კომპანიის ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული გარიგებების დეტალები და სხვ.<sup>56</sup>

## 3. წვდომა აქციონერთა რეესტრთან

აქციონერთა რეესტრთან წვდომა აქვთ:

- კომპანიას;
- ფასიანი ქაღალდების მფლობელებსა და ნომინალურ აქციონერებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან აქციონერთა რეესტრში; და
- მარეგულირებელ ორგანოს.<sup>57</sup>

რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების მფლობელები და ნომინალური აქციონერები უფლებამოსილი არიან მიიღონ მათ პირად ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაცია. რეგისტრატორმა უნდა დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ის გაუმჟღავნოს მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ პირებს.<sup>58</sup>

## 1. აქციონერთა უფლებების დაცვა

აქციონერთა უფლებების დაცვა კორპორაციული მართვის ძირითადი საკითხია და განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ფუნქციონირებენ განვითარებად ბაზრებზე ან გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. აქციონერთა უფლებების დაცვა ხორციელდება როგორც კომპანიის შიგნით (ე.ი. შიდა კორპორაციული პროცედურების და სამენარმეო და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარანტიების მეშვეობით), ისე მის გარეთ (ე.ი. გარეშე მხარეების მეშვეობით).

### 1. სამენარმეო კანონმდებლობით განსაზღვრული გარანტიები

სამენარმეო კანონმდებლობით გათვალისწინებულია ძირითადი გარანტიები აქციონერთა უფლებების რეალიზაციისა და დაცვისთვის. ზოგიერთი გარანტია ბუნებით პროცედურულია და უკავშირდება აქციონერთა საერთო კრების ორგანიზებას. ზოგიერთი აისახება მმართველობითი ორგანოების და კომპანიის ოფიცრების შესაბამის ვალდებულებაში ანუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, გენერალური დირექტორისა და აღმასრულებელი საბჭოს წევრების ვალდებულებაში.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

მნიშვნელოვანია, რომ წესდებით განსაზღვრული აქციონერთა უფლებები და აღნიშნული უფლებების უზრუნველყოფისა და დაცვის მექანიზმები მკაფიოდ იქნეს ჩამოყალიბებული.

### 2. სასამართლო დაცვა

როდესაც ირღვევა აქციონერთა უფლებები, აქციონერებს უფლება აქვთ დაცვისათვის მიმართონ სასამართლოს. სამენარმეო კანონმდებლობით გათვალისწინებულია ისეთი ზომები, როგორცაა კომპანიის გარკვეული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება და სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი საბჭოს წევრების წინააღმდეგ კომპანიის სახელით სასამართლო პროცესის წამოწყება. მე-3 ცხრილში მოცემულია ასეთი უფლებების მაგალითები, რომლებიც განხილული იქნება ამ სახელმძღვანელოს მომდევნო

<sup>56</sup> საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2008 წლის 8 სექტემბრის მე-5 ბრძანება „ფასიანი ქაღალდების წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“, მუხ. 4.4

<sup>57</sup> იქვე, მუხ. 6.1

<sup>58</sup> იქვე, მუხ. 3.3 (ბ) და (გ)

თავებში.


**ცხრილი 3.** შემთხვევები, როცა აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს

აქციონერთა მოქმედება	სამართლებრივი საფუძველი
საჩივარი აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევასთან დაკავშირებით	მენარმეთა შესახებ კანონი, მუხ. 53.3 <sup>4</sup>
საჩივარი აქციების გამოსყიდვის პირობებთან დაკავშირებით	მენარმეთა შესახებ კანონი, მუხ. 53 <sup>1</sup> .6
საჩივარი აქციების სავალდებულო გაყიდვის მოთხოვნით	მენარმეთა შესახებ კანონი, მუხ. 53 <sup>4</sup>
საჩივარი სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევასთან დაკავშირებით	მენარმეთა შესახებ კანონი, მუხ. 55.1 <sup>2</sup>

### ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

როგორც IFC-ის კვლევამ გამოავლინა, საჩივრის/პრეტენზიის წარდგენა ყველაზე ხშირად განპირობებული იყო კომპანიის მიერ დივიდენდების გადაუხდელობით, ინტერესთა კონფლიქტით (ორივე შემთხვევაში რესპონდენტთა 26.7 პროცენტი) და აქციების გამოსყიდვის პროცედურებით (20 პროცენტი). ასევე მიზეზებს შორის დასახელდა აქციონერთა უფლებების დარღვევა აქციების ემისიის პროცესში, ინფორმაციის არაადეკვატური გამჟღავნება, უზუსტობები აქციათა რეესტრებში და აქციონერთა საერთო კრების გამართვასთან დაკავშირებული პრობლემები.

**გრაფიკი 1.** საჩივრის შეტანის მიზეზები



### 3. დაცვა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ<sup>59</sup>

ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით, საქართველოს ეროვნულ ბანკს (სებ) მინიჭებული აქვს უფლებამოსილება:

- განახორციელოს კომპანიების, ბროკერების, საფონდო ბირჟებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის სხვა პროფესიონალი მონაწილეების საქმიანობის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი;<sup>60</sup>
- რომ მისი წარმომადგენელი დაესწროს აქციონერთა საერთო კრებას ან განიშვალდებულებული სანარმოს მიერ სერიოზული დარღვევების დაშვების

<sup>59</sup> ამ სახელმძღვანელოს მომზადების მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი ასრულებდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებლის ფუნქციას

<sup>60</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 48

შემთხვევაში.<sup>61</sup>

#### 4. აქციონერების აქტიურობა და კოლექტიური მოქმედება

აქციონერთა უფლებების დაცვა იწყება სანიმუშო კორპორაციული ქცევით, სათანადო სამართლებრივი და მარეგულირებელი სისტემით, აგრეთვე მათი განხორციელების შესაბამისი პროცედურებით.

აქციონერებმა თვითონ უნდა შეასრულონ გარკვეული როლი ამ პროცესში. აქციონერი ხშირად წარმოადგენს ერთადერთ მხარეს, რომელმაც იცის თავისი უფლებების დარღვევის ფაქტები და უკეთესად შეუძლია საჩივრის წარდგენა კომპანიისთვის ან, საბოლოოდ, მარეგულირებელი და სასამართლო ორგანოებისთვის.

### ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა ძირითად პრობლემად რჩება ბევრი იმ (საერთაშორისო) ინვესტიორისთვის, რომელიც განიხილავს საქართველოს კომპანიებში ინვესტირების შესაძლებლობას. ძალაუფლების მოყვარე მფლობელები/მენეჯერები ხშირად ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ან საერთოდ არ უთმობენ მცირე აქციონერებს. მეორე მხრივ, აქციონერები ხშირად თვითონ არიან პასიურები, რაც ქართველ ინვესტორებს შორის აქციონერთა კულტურის არარსებობის მაჩვენებელია. ეს გასაკვირი არც არის, რადგან მოქალაქეები (ხშირად ფაბრიკებისა და ქარხნების ყოფილი თანამშრომლები) პირდაპირ ერთ ღამეში გახდნენ აქციონერები პრივატიზაციის პროცესის შედეგად, პრაქტიკულად ფულადი სახსრების ინვესტირების (არსებითი) გარეშე, სანამ შეიძენდნენ ცოდნას თავიანთი უფლებების შესახებ. ამის გამო, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მარეგულირებელი და საზედამხებელო ორგანოების და ასევე აქციონერთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სათანადო ყურადღების მიქცევა აქციონერთა უფლებების დაცვისთვის.

აქციონერთა უფლებების დაცვის კიდევ ერთი ასპექტი არის კოლექტიური მოქმედება. კოლექტიური მოქმედება ხშირად ხდება მაშინ, როდესაც აქციონერთა ჯგუფი, რომელსაც არ შეუძლია უფლების გამოყენება ინდივიდუალურად, აერთიანებს საკუთარ ხმებს, რათა აღნიშნული უფლება კოლექტიურად მოიპოვოს. კანონმდებლობით გათვალისწინებულია ზოგიერთი ზემოაღნიშნული უფლების კოლექტიური გამოყენება (მაგალითად, აქციონერთა ჯგუფს, რომელიც ფლობს აქციების მინიმუმ 5%-ს, შეუძლია საქმის აღძვრა აღმასრულებელი საბჭოს წევრების წინააღმდეგ ფიდუციარული ვალდებულების დარღვევისათვის და რიგგარეშე აქციონერთა საერთო კრების მონვევის მოთხოვნა).<sup>62</sup>

#### 5. აქციონერთა ხელშეკრულებები

აქციონერთა ხელშეკრულებები შეიძლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყოს აქციონერთა შორის კოლექტიური მოქმედების განსახორციელებლად. ფაქტობრივად, ასეთი ხელშეკრულებები მცირე აქციონერებს აძლევს უმცირესობის უფლებების გამოყენების საშუალებას (მაგ., მათ შეუძლიათ 5%-ის მოპოვება, რომელიც საჭიროა კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის მოულოდნელი შემომნების განსახორციელებლად).

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

აქციონერთა ხელშეკრულებები ხშირად შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული აქციონერთა (მცირე აქციონერების) იძულებისთვის იმოქმედონ გარკვეული მიმართულებით, რომელიც ხელსაყრელია დირექტორთა საბჭოს, მენეჯერებისა და/ან მაკონტროლებელი აქციონერებისთვის. ამგვარად, ეს ხელშეკრულებები სიფრთხილით უნდა რეგულირდებოდეს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში ასეთი ხელშეკრულებები არ მოითხოვს აქციონერებისგან იმოქმედოს ერთ-ერთი ქვემოთ მითითებული ფორმით:

<sup>61</sup> ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 16.5

<sup>62</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 9.5

<sup>63</sup> იქვე, მუხ. 53.3<sup>3</sup>



## ★ საუკეთესო პრაქტიკა

- ყოველთვის დაიცვას კომპანიის ან რომელიმე მისი ორგანოს ინსტრუქციები;
- ყოველთვის დაამტკიცოს კომპანიის ან მისი რომელიმე ორგანოს შეთავაზებული წინადადებები; და
- ხმა მისცეს განსაზღვრული ფორმით ან თავი შეიკავოს სპეციალური უპირატესობების გათვალისწინებისას.

აქციონერთა ხელშეკრულებები არსებითად კერძო, სამოქალაქო სამართლის კონტრაქტის ფორმაა.

თუმცა, კორპორაციულ მართვაზე მათი გავლენის გამო აუცილებელია გარკვეული პირობების დადგენა. პირველი, აქციონერთა ხელშეკრულებებმა არ შეიძლება შეცვალოს (ან დაუპირისპირდეს) კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტები. სადამფუძნებლო დოკუმენტი (წესდება) არის სავალდებულო, საჯაროდ რეგულირებადი და ექვემდებარება გამჟღავნებას (სახელმწიფო რეგისტრაციის რეჟიმიდან და/ან ფასიანი ქაღალდების რეჟიმიდან გამომდინარე). მეორე, აუცილებელია მცირე აქციონერთა ხმების კონტროლის ბოროტად გამოყენების ზემოაღნიშნული შესაძლებლობის პრევენცია ასეთ ხელშეკრულებებში გარკვეული პირობების ჩართვის აკრძალვით. დაბოლოს, საჭიროა (განსაკუთრებით საჯარო ვაჭრობის მონაწილე კომპანიებისთვის) კენჭისყრის კონტროლის უფრო მაღალი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა აღნიშნული შეთანხმებების გამჟღავნების მოთხოვნის გზით.

### 3. აქციონერთა პასუხისმგებლობა

უფლებებთან ერთად აქციონერებს ასევე აქვთ პასუხისმგებლობა. აქციონერების ძირითადი სამართლებრივი პასუხისმგებლობა არის შექმნილი აქციების საფასურის გადახდა.

სხვა პასუხისმგებლობა შეიძლება არსებობდეს კანონის მოთხოვნით.<sup>64</sup> ეს შეიძლება მოიცავდეს ვალდებულებას, როდესაც ხდება მფლობელობის გარკვეული ზღურბლის გადალახვა (სატენდერო შეთავაზების ვალდებულება<sup>65</sup> ან ანგარიშვალდებულები კომპანიების შემთხვევაში შეტყობინების ვალდებულება მნიშვნელოვანი წილის შექმნასთან დაკავშირებით).<sup>66</sup> აღნიშნული დამატებითი პასუხისმგებლობა ზოგადად ეხებათ მსხვილ აქციონერებს და აღწერილია სახელმძღვანელოში.

გარკვეულ გარემოებებში შეიძლება დადგეს აქციონერთა პასუხისმგებლობის საკითხი მათი შეზღუდული პასუხისმგებლობის მიუხედავად. კერძოდ, აღნიშნული ეხება მაკონტროლებელ აქციონერებს, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ განსაზღვრონ კომპანიის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები ან მიაწოდონ მას სავალდებულო ინსტრუქციები.<sup>67</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ზოგიერთ იურისდიქციაში აქციონერებს, განსაკუთრებით კი ინსტიტუციონალურ ინვესტორებს, შეიძლება მოეთხოვებოდეთ კენჭისყრაში მონაწილეობა საკუთარი აქციებიდან გამომდინარე. სხვა ქვეყნებში არ არსებობს ასეთი სამართლებრივი მოთხოვნა, მაგრამ აღნიშნული შეიძლება მორალურ ვალდებულებად ითვლებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრასთან დაკავშირებით საქართველოში არ არის სამართლებრივი მოთხოვნები დაწესებული, სანიმუშო კორპორაციული პრაქტიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კომპანიის მართვაში აქციონერების აქტიურ მონაწილეობაზე.

<sup>64</sup> იქვე, მუხ. 53.1  
<sup>65</sup> იქვე, მუხ. 53<sup>2</sup>  
<sup>66</sup> საფონდო ბირჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 14.1  
<sup>67</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 53.4

- თავი I
- თავი II
- თავი III
- თავი IV
- თავი V
- თავი VI
- თავი VII
- თავი VIII
- თავი IX
- თავი X
- თავი XI
- თავი XII

# თანადი VIII

აქციონერთა  
საერთო კრება

## ❓ კითხვარი



### აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილება (ასკ):

არის თუ არა აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილება მკაფიოდ განსაზღვრული წესდებით?

არსებობს თუ არა აქციონერთა საერთო კრების რამე უფლებამოსილება, რომლის დელეგირებაც ხდება წესდებით სამეთვალყურეო საბჭოზე ან აღმასრულებელ საბჭოზე?



### აქციონერთა მორიგი საერთო კრების (ამსკ) მომზადება:

წესდებით განსაზღვრული კომპანიის მმართველობითი ორგანო<sup>1</sup> ითვალისწინებს თუ არა სამუშაოდ გამოსადეგ და დროულ მექანიზმებს დღის წესრიგში აქციონერთა ყველა კანონიერი წინადადების შესატანად?

აქვს თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს მკაფიოდ განსაზღვრული მოვალეობა უზრუნველყოს, რომ დღის წესრიგი არ შეიცვალოს ყველა აქციონერისთვის მისი დაგზავნის შემდეგ?

არის თუ არა ყველა აქციონერი სათანადოდ ინფორმირებული აქციონერთა მორიგი საერთო კრების შესახებ?

არის თუ არა საკმარისი ინფორმაცია ხელმისაწვდომი ყველა აქციონერისთვის დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით, იმისათვის, რომ მიიღონ კარგად ინფორმირებული გადაწყვეტილება?

გათვალისწინებულია თუ არა წესდებით კომპანიის მიერ აქციონერებისთვის (ან სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის) დამატებითი ინფორმაციის მიწოდება დღის წესრიგის სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით?

ანვდის თუ არა კომპანია ყველა აქციონერს ვებგვერდის საშუალებით სათანადო ინფორმაციას აქციონერთა მორიგი საერთო კრების შესახებ?



### აქციონერთა მორიგი საერთო კრების გამართვა:

არის თუ არა აქციონერთა მორიგი საერთო კრების გამართვის ადგილი მოსახერხებელი და ადვილად ხელმისაწვდომი კომპანიის ყველა აქციონერისთვის?

არიან თუ არა აქციონერთა მორიგ საერთო კრებაზე დამსწრე აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები) სათანადოდ რეგისტრირებული და აქვთ თუ არა მათ აქციონერთა მორიგი საერთო კრების მსვლელობაში მონაწილეობის შესაძლებლობა?

უზრუნველყოფს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო აქციონერთა მორიგი საერთო კრების კვორუმის შემომწმებას და სათანადო აღრიცხვას?

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, აღმასრულებელი საბჭო და გარე აუდიტორი<sup>2</sup> ესწრებიან თუ არა აქციონერთა მორიგ საერთო კრებას?

აქვთ თუ არა უფლება და შესაძლებლობა აქციონერებს შეკითხვები დაუსვან აღმასრულებელ პირებსა და სხვა გამომსვლელებს?

<sup>1</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი ბევრ შემთხვევაში კომპანიას უტოვებს გადასაწყვეტად სხვადასხვა ფუნქციის მინიჭების საკითხს ან სამეთვალყურეო საბჭოსთვის, ან დირექტორატისთვის

<sup>2</sup> იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას მოეთხოვება ყოველწლიური აუდიტის ჩატარება, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის (მუხ. 13.2) შესაბამისად

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ❓ კითხვარი

უზრუნველყოფს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო აქციონერთა მორიგი საერთო კრების განმავლობაში ხმების დათვლის ეფექტიანი და დამოუკიდებელი მექანიზმების არსებობას და კენჭისყრის შედეგების სათანადოდ აღრიცხვას? უზრუნველყოფს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო ყველა მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას და ყველა შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნის შესრულებას?

ნარმოებს თუ არა კენჭისყრის შედეგების და მიღებული გადაწყვეტილებების შეტყობინება აქციონერებისათვის?



**აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება (არსკ) (აქციონერთა მორიგი საერთო კრების შემთხვევაში დასმულ შეკითხვებთან ერთად):**

ინვესსს თუ არა წესდებით განსაზღვრული კომპანიის მმართველობის ორგანო გარემოებებით განპირობებული აუცილებლობის შემთხვევაში აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას?

ინვესსს თუ არა წესდებით განსაზღვრული კომპანიის მმართველობის ორგანო აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას, თუ ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელი აქციონერი (ან აქციონერთა ჯგუფი) ითხოვს აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევას?

## ა. ზოგადი დებულებები

### 1. აქციონერთა საერთო კრების ტიპები

არსებობს აქციონერთა საერთო კრების ორი ტიპი: აქციონერთა მორიგი საერთო კრება (ამსკ)<sup>3</sup> და აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება (არსკ).<sup>4</sup>

#### ა) აქციონერთა მორიგი საერთო კრება

სამენარმეო კანონმდებლობით კომპანიებს მოეთხოვებათ აქციონერთა საერთო კრების გამართვა წელიწადში ერთხელ. ამას აქციონერთა მორიგი საერთო კრება ეწოდება. აქციონერთა მორიგი საერთო კრება უნდა გაიმართოს წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კომპანიის წესდებით.<sup>5</sup>

#### ბ) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება

სამენარმეო კანონმდებლობით ასევე გათვალისწინებულია რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესაძლებლობა სამეთვალყურეო საბჭოს, აღმასრულებელი საბჭოს,<sup>6</sup> აქციების ნებისმიერი კლასის სულ ცოტა 5%-ის მფლობელი აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის მოთხოვნის შემთხვევაში.<sup>7</sup>

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა, როგორც წესი, ხდება კომპანიის (ან აქციონერის) ისეთი სპეციფიკური საჭიროების საპასუხოდ, როგორცაა დამატებითი აქციების ემისია, რეორგანიზაცია ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა.

## ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

როგორც IFC-ის კვლევამ აჩვენა, კომპანიების რაოდენობა, სადაც გაიმართა აქციონერთა საერთო კრება ბოლო ორი წლის განმავლობაში გაიზარდა 2004 წელს არსებული 26.8-პროცენტისა და მაჩვენებლიდან 2008 წლის 31.4-პროცენტის მაჩვენებლამდე. უმეტეს შემთხვევებში საერთო კრებას ინვესსს სამეთვალყურეო

<sup>3</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 54.1

<sup>4</sup> იქვე, მუხ. 53.3<sup>3</sup>

<sup>5</sup> იქვე, მუხ. 54.1

<sup>6</sup> იქვე, მუხ. 54.1


<sup>7</sup> იქვე, მუხ. 53.3<sup>3</sup>

## საქართველოში არსებული პრაქტიკა

რეო საბჭო (60.5 პროცენტი). აქციონერები ნაკლებად აქტიურობენ - მათ მოინვიეს რიგგარეშე კრება კომპანიების 27.9 პროცენტის შემთხვევაში, რაც ნაკლებია 2004 წლის 42.1-პროცენტთან მაჩვენებელთან შედარებით.

აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ყველაზე ხშირ მიზეზად დასახელდა ისეთი მოვლენები, როგორცაა სანარმოთა რეორგანიზაცია (34.9 პროცენტი), კომპანიის წესდების ცვლილება (27.9 პროცენტი), სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა (25.6 პროცენტი), დიდი საფინანსო გარიგებები (18.6 პროცენტი), აქციების გამოსყიდვის პროცედურა (11.6 პროცენტი).

გრაფიკი 1: აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა



სამენარშეო კანონმდებლობით განსაზღვრულია 3-თვიანი პერიოდი აქციონერთა მოთხოვნით აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოსაწვევად. ამასთან, არსებობს განსხვავებული პროცედურა აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოსაწვევად, როდესაც აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგის ერთადერთი საკითხია აღმასრულებელი საბჭოს წევრის გათავისუფლება (მათ შორის ისეთი წევრის, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან თავმჯდომარეა).

ასეთ შემთხვევაში აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა ხდება შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 20 დღის განმავლობაში. თუ ასე არ ხდება, მაშინ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ინიციატორებმა შეიძლება თვითონ მოინვიონ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება სხვა აქციონერებისადმი მიმართვის საშუალებით.<sup>8</sup>

კრების მოწვევა აუცილებელი არ არის, თუ სანესდებო კაპიტალის 75%-ზე მეტის მფლობელი იღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს კრების ოქმის ტოლფასი და ჩაითვალოს კრების გადაწყვეტილებად. ასეთ შემთხვევაში დარჩენილ აქციონერებს უნდა მიენდოთ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.<sup>9</sup>

## საქართველოში არსებული პრაქტიკა

როგორც IFC-ის კვლევამ აჩვენა, 2004-იდან 2008 წლამდე პერიოდში კომპანიების რაოდენობა, რომელიც არ აწყობდა აქციონერთა საერთო კრებას, 7 პროცენტიდან 16 პროცენტამდე გაიზარდა. ასეთი კომპანიების რაოდენობის გაზრდა შეიძლება განპირობებული იყო 2005 წლის ივნისში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით. ამ ცვლილებებით, აქციების 75-პროცენტზე მეტის მფლობელებს განსაკუთრებულ საკითხებთან დაკავშირებით აქციონერთა საერთო კრების გამართვის გარეშე გადაწყვეტილების მიღების საშუალება მიეცათ.

<sup>8</sup> იქვე, მუხ. 53.3<sup>4</sup>  
<sup>9</sup> იქვე, მუხ. 54.1<sup>1</sup>

## 2. აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილება

აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილება განსაზღვრულია სამენარმეო კანონმდებლობით. კომპანიის წესდებით შეიძლება კრების ზოგიერთი უფლებამოსილების დელეგირება სამეთვალყურეო საბჭოზე და/ან აღმასრულებელ საბჭოზე.<sup>10</sup>

აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილება შეჯამებულია 1-ელ სურათზე:

**სურათი 1:** აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილება



უფრო კონკრეტულად, კანონის თანახმად აქციონერთა საერთო კრებას აქვს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებული უფლებამოსილება:

### ა) კომპანიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია:

- კომპანიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;<sup>11</sup>
- კომპანიის ლიკვიდატორის დანიშვნა.<sup>12</sup>

### ბ) მმართველობის ორგანოების არჩევა:

- გადაწყვეტილების მიღება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა გათვალისწინებულია მენარმეთა შესახებ კანონით);<sup>13</sup>
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა და გათავისუფლება;<sup>14</sup>
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების დამტკიცება;<sup>15</sup>
- აღმასრულებელი საბჭოს წევრთა არჩევა და გათავისუფლება, აგრეთვე მათი ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება (თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არსებობს კომპანიაში და კომპანიის წესდება განსაზღვრავს ამას).<sup>16</sup>

### გ) კომპანიის კონტროლი:

- სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს წლიური ანგარიშების დამტკიცება;<sup>17</sup>
- დივიდენდების გაცხადება და გადახდა;<sup>18</sup> და
- გარე აუდიტორის დანიშვნა.<sup>19</sup>

### დ) პროცედურები მმართველობის ორგანოებისთვის და მათთან ურთიერთობა:

- წესდების შეცვლა ან წესდების ახალი ვერსიის დამტკიცება;<sup>20</sup> და
- გადაწყვეტილების მიღება სასამართლო პროცესში აღმასრულებელი საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა წინააღმდეგ; წარმომადგენლის დანიშვნა ზემოთ აღნიშნული ღონისძიებისთვის.<sup>21</sup>

<sup>10</sup> იქვე, მუხ. 54.6

<sup>11</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ბ)

<sup>12</sup> იქვე, მუხ. 14.1

<sup>13</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ე)

<sup>14</sup> იქვე, მუხ. 55.1<sup>2</sup>

<sup>15</sup> იქვე, მუხ. 54.6 (თ)

<sup>16</sup> იქვე, მუხ. 55.1<sup>1</sup>

<sup>17</sup> იქვე, მუხ. 54.6 (გ)

<sup>18</sup> იქვე, მუხ. 54.6 (დ)

<sup>19</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ი)

<sup>20</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ა)

<sup>21</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ლ)

**ე) სანესდებო კაპიტალი:**

- გაცხადებული აქციების რაოდენობის, ღირებულებისა და კლასის განსაზღვრა, რომლებიც შესაძლებელია გამოშვებულ და განთავსებულ იქნეს კომპანიის მიერ,<sup>22</sup> და
- სანესდებო კაპიტალის ზრდა დამატებითი აქციების ემისიის ხარჯზე.<sup>23</sup>

**ვ) ფასიანი ქაღალდები:**

- აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება კაპიტალის ზრდისას დამატებითი ფასიანი ქაღალდების ემისიის საშუალებით;<sup>24</sup>
- სხვა კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების ემისია;<sup>25</sup> და

**ზ) გარიგებები:**

- განსაკუთრებული გარიგებების დამტკიცება;<sup>26</sup> და
- დაკავშირებული მხარის გარიგებების დამტკიცება ანგარიშვალდებულებული კომპანიების შემთხვევაში.<sup>27</sup>

**ბ. აქციონერთა საერთო კრების მომზადება**

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

**კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:**

აქციონერთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს ბანკთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ (ნაწილი 3.1)

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

აქციონერთა საერთო კრების გამართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განიხილოს აქციონერთა ყველა წინადადება, ოფიციალური და არაოფიციალური, დღის წესრიგში კონკრეტული საკითხების შეტანასთან დაკავშირებით. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის ურთიერთგაგების არსებობა მეტად მნიშვნელოვანია კორპორაციული მართვის სისტემის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით სანიმუშო პრაქტიკა იქნებოდა აქციონერთა ინფორმირება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ მოხვდა სხდომის დღის წესრიგში. აღნიშნული არავითარ შემთხვევაში არ ზღუდავს აქციონერთა სამართლებრივ უფლებას დღის წესრიგში საკითხების შეტანასთან დაკავშირებით აქციონერთა საერთო კრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

აქციონერთა საერთო კრების მომზადება მოითხოვს გულდასმით დაგეგმვას და პროცედურული მოთხოვნების დაცვას. პროცედურები განსაზღვრულია სამენარმეო კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით.

აღნიშნული ეტაპები შეიძლება შეჯამდეს ასე:

**1. დღის წესრიგის შედგენა**

აქციონერთა საერთო კრების მომზადების პირველი ეტაპია დღის წესრიგის შედგენა. დღის წესრიგი აქციონერთა საერთო კრების გეგმა და მასში ჩამოთვლილია განსახილველი საკითხები.

**ა) ვინ შეიძლება წარადგინოს დღის წესრიგის საკითხები**

სამენარმეო კანონმდებლობით გათვალისწინებულია მოთხოვნა, რომლის თა-

<sup>22</sup> იქვე, მუხ. 59.3 და 59.5

<sup>23</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ბ)

<sup>24</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ბ)

<sup>25</sup> იქვე, მუხ. 53.2

<sup>26</sup> იქვე, მუხ. 54.6 (მ)

<sup>27</sup> საფონდო ბირჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 16.<sup>1</sup>6

თაპი I

თაპი II

თაპი III

თაპი IV

თაპი V

თაპი VI

თაპი VII

თაპი VIII

თაპი IX

თაპი X

თაპი XI

თაპი XII

ნახმადაც ნებისმიერ აქციონერს აქვს უფლება აღმასრულებელ საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს მოსთხოვოს განმარტებები აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგის ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით და გამოხატოს საკუთარი აზრი. თუ მოთხოვნა მომზადებულია წერილობითი ფორმით კრებამდე ათი დღით ადრე, აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს ან განხილულ იქნეს როგორც დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი.<sup>28</sup>

ნებისმიერი კლასის აქციების სულ ცოტა 5%-ის მფლობელი აქციონერის (ან აქციონერთა ჯგუფის) მოთხოვნის საფუძველზე მოწვეული აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების შემთხვევაში ნებისმიერი კლასის აქციების მინიმუმ 5%-ის მფლობელ სხვა აქციონერს (ან აქციონერთა ჯგუფს) უფლება აქვს წარადგინოს წინადადება დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ.<sup>29</sup>

## 2. ძირითადი გადაწყვეტილებების მიღება

სამეთვალყურეო საბჭო ან აღმასრულებელი საბჭო (რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით) უნდა იღებდეს ძირითადი გადაწყვეტილებების რიგს აქციონერთა საერთო კრების მომზადების პროცესში.

### ა) აქციონერთა საერთო კრების თარიღი

აუცილებელია განვასხვავოთ აქციონერთა მორიგი საერთო კრება და აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება. აქციონერთა მორიგი საერთო კრება უნდა გაიმართოს წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კომპანიის წესდებით.<sup>30</sup> სამენარმეო კანონმდებლობა ითვალისწინებს 3-თვიან პერიოდს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოსაწვევად აქციონერთა მოთხოვნის საფუძველზე.<sup>31</sup> სხვა შემთხვევებში აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების თარიღი განისაზღვრება აქციონერთა საერთო კრების გამართვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით.

სამენარმეო კანონმდებლობით გათვალისწინებულია სხვადასხვა თარიღი აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების გასამართად აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, რომლებიც ფლობენ ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ს მაინც, თუ დღის წესრიგის ერთადერთი საკითხია აღმასრულებელი საბჭოს წევრთა გათავისუფლება (მათ შორის, შეიძლება ისეთი წევრის, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოში მსახურობს როგორც საბჭოს წევრი ან თავმჯდომარე).

ასეთ შემთხვევაში აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება მოწვეულ უნდა იქნეს შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან 20 დღის ვადაში. თუ აღნიშნული არ განხორციელდება, აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ინიციატორებს ექნებათ ორი ცდის უფლება მოიწვიონ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება თვითონ აქციონერებისადმი მიმართვიდან 20 დღის განმავლობაში (ხმის უფლების მქონე აქციების მინიმუმ 75%-ია საჭირო კვორუმისთვის).<sup>32</sup>

### ბ) აქციონერთა მორიგი საერთო კრების ადგილი

კომპანიას მოეთხოვება აქციონერთა საერთო კრების გამართვა მისი რეგისტრაციის მისამართზე ან სხვა ადგილზე საქართველოში.<sup>33</sup>

★

## საუკეთესო პრაქტიკა

**კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:**

აქციონერები ინფორმირებული უნდა იყვნენ საერთო კრების ადგილის, დროის და თარიღის შესახებ, ისევე როგორც რეგისტრაციის და კენჭისყრის პროცედურების თაობაზე (ნაწილი 3.1)

➔

## საქართველოში არსებული პრაქტიკა

როგორც IFC-ის კვლევამ აჩვენა, თითქმის ყველა კომპანია აქციონერებს აწვდის

<sup>28</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 53.3<sup>1</sup>

<sup>29</sup> იქვე, მუხ. 53.3<sup>3</sup>

<sup>30</sup> იქვე, მუხ. 54.1

<sup>31</sup> იქვე, მუხ. 53.3<sup>3</sup>

<sup>32</sup> იქვე, მუხ. 53.3.4 - თუ აღნიშნული ინიციატივა წარუმატებლად დასრულდება, ინიციატორებმა შეიძლება მიმართონ სასამართლოს, რომელიც დაავალებს სამეთვალყურეო საბჭოს ან აღმასრულებელ საბჭოს (რომელიც განსაზღვრულია წესდებით) გამართოს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის განმავლობაში

<sup>33</sup> იქვე, მუხ. 54.2



## ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

ინფორმაციას კრების გამართვის დროისა და ადგილის შესახებ (95.6 პროცენტი). კვლევის მონაცემებით, კომპანიების 97.1 პროცენტი მართავს საერთო კრებას კომპანიის შენობაში, ხოლო 2.9 პროცენტი - რეგიონის ფარგლებს გარეთ სათავო ოფისში.

### გ) აღრიცხვის თარიღი

აღრიცხვის თარიღი, რომელსაც ზოგჯერ „ფიქსაციის თარიღს“ უწოდებენ არის თარიღი, რომელიც გამოიყენება იმის განსასაზღვრად, თუ ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა აქციონერთა საერთო კრების მსვლელობაში. აღრიცხვის თარიღი უნდა განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭომ და ის არ უნდა წარმოადგენდეს თარიღს კრების მოწვევამდე 45 დღით ადრე ან კრების მოწვევის თარიღის შემდეგ.<sup>34</sup>

### 3. აქციონერთა სიის მომზადება

მომდევნო საფეხური აქციონერთა საერთო კრების მომზადების პროცესში არის იმ აქციონერთა სიის შედგენა, რომლებიც უფლებამოსილი არიან მონაწილეობა მიიღონ აქციონერთა საერთო კრების მსვლელობაში. აქციონერთა სია უნდა ემყარებოდეს რეგისტრატორისგან მიღებულ ინფორმაციას სააღრიცხვო თარიღის შესახებ.

მას შემდეგ, რაც სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს აღრიცხვის თარიღს, შემდეგი ნაბიჯი იქნება აქციონერთა სიის მომზადება ცენტრალური რეესტრიდან მიღებული მონაცემების შესაბამისად. აქციონერთა სია მომზადებულია, რათა:

- განისაზღვროს, თუ რომელი აქციონერები არიან უფლებამოსილი მონაწილეობა მიიღონ აქციონერთა საერთო კრების მსვლელობაში;
- შეტყობინება გაეგზავნოს აქციონერებს აქციონერთა საერთო კრების შესახებ;
- განისაზღვროს, თუ რომელ აქციონერებს აქვთ დღის წესრიგის შეცვლის უფლება;
- განისაზღვროს, თუ რომელ აქციონერებს აქვთ დივიდენდების მიღების უფლება; და
- აქციონერებს მიეცეთ შესაძლებლობა გადაამოწმონ, თუ რამდენად ადეკვატურადაა მათი უფლებები რეგისტრირებული.

ხშირად შესაძლებელია წარმოიქმნას პრობლემა, როცა აქციების გაყიდვა ხდება სააღრიცხვო თარიღის შემდეგ, მაგრამ აქციონერთა საერთო კრების თარიღამდე, ე.ი. ახალი აქციონერი არ არის უფლებამოსილი, მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა საერთო კრების მსვლელობაში. სამწუხაროდ, სამენარმეო კანონმდებლობით არ არის რამენაირი მითითება ამ საკითხთან დაკავშირებით.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

აქციონერები კარგავენ ხმის მიცემის უფლებას აქციების გაყიდვის შემთხვევაში, რადგან ეს უფლება აქციებთან ერთად ახალ მფლობელს გადაეცემა. თუმცა, იმის გამო, რომ აქციონერთა სიის განახლება არ ხდება სააღრიცხვო თარიღის შემდეგ, გამყიდველ აქციონერს უფლება აქვს დაესწროს კრებას და მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში. ამ აქციონერმა უნდა უზრუნველყოს აქციონერთა საერთო კრებაზე ახალი აქციონერის მიერ ხმის მიცემის შესაძლებლობა. გამყიდველი აქციონერის მიერ ამ ვალდებულების შესასრულებლად არსებობს ორი გზა:

- თუ ახალი მფლობელების ინსტრუქციები ემთხვევა, მათი ხმები შეიძლება გაერთიანდეს;

<sup>34</sup> იქვე, მუხ. 54.1

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

- თუ ახალი მფლობელების ინსტრუქციები ერთმანეთს არ ემთხვევა, გამყიდველმა ხმა უნდა მისცეს ახალი მფლობელების ინსტრუქციების შესაბამისად;
- თუ ახალი მფლობელები იღებენ მინდობილობას გამყიდველისგან, საჭიროა ახალი აქციონერების რეგისტრირება, რათა მონაწილეობა მიიღონ აქციონერთა საერთო კრების მსვლელობაში და მათ უნდა გადაეცეთ კენჭისყრის ბიულეტენები;
- თუ ხმის უფლების მქონე აქციების მიმოქცევა წარმოებს უცხოურ ბაზრებზე სადეპოზიტო მონაწილეობის ფორმით, კენჭისყრა უნდა ეფუძნებოდეს სადეპოზიტო მონაწილეობის მფლობელთა ინსტრუქციებს.

### 4. შეტყობინების სათანადოდ გაგზავნა

#### ა) როგორ უნდა განხორციელდეს შეტყობინება

ზემოაღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ, ყველა აღრიცხულმა აქციონერმა უნდა მიიღოს შეტყობინება აქციონერთა საერთო კრების შესახებ აქციონერთა საერთო კრების თარიღამდე არა უგვიანეს 20 დღით ადრე საქართველოს ეროვნული ბანკის<sup>35</sup> მიერ განსაზღვრულ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებით ან აქციონერებისთვის<sup>36</sup> მოსაწვევების გაგზავნით.

მოსაწვევი აქციონერთა საერთო კრებაზე დასასწრებად უნდა გაეგზავნოს ხმის უფლების მქონე აქციების მინიმუმ 1%-ის მფლობელებს დაზღვეული საფოსტო გზავნილის სახით.<sup>37</sup> ანგარიშვალდებული კომპანიის შემთხვევაში აქციების 1%-ზე ნაკლების მფლობელი უნდა იქნეს ინფორმირებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით.<sup>38</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

სანიმუშო პრაქტიკა გულისხმობს, რომ აქციონერთა საერთო კრების შესახებ შეტყობინება უნდა:

- იძლეოდეს საკმარის დროს ყველა აქციონერისთვის აქციონერთა საერთო კრებისთვის მოსამზადებლად;
- მიენოდოს ყველა აქციონერს;
- ითვალისწინებდეს საკმარის დროს აქციონერებისთვის სხვა აქციონერებთან დასაკავშირებლად; და
- მომზადდეს კრებამდე სულ ცოტა 30 დღით ადრე.

უფრო უკეთ ამის მიღწევა შეიძლება:

- ელ-ფოსტისა და ინტერნეტის გამოყენების ნების დართვით;
- შეტყობინების გასავრცელებლად ფართო გავრცელების მქონე ბეჭდვითი ორგანოს გამოყენებით; და
- შეტყობინების გამოსაქვეყნებლად არანაკლებ ორი და, საუკეთესო შემთხვევაში, რამდენიმე პუბლიკაციის გამოყენებით.

#### კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის

შეტყობინება აქციონერთა საერთო კრების ჩატარების, მისი დღის წესრიგის და დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭოს და/ან აღმასრულებელი საბჭოს რეკომენდაციების შესახებ წინასწარ უნდა მიენოდოს აქციონერებს, რათა მათ შეძლონ ადეკვატურად მომზადება. საერთო კრებამ უნდა განიხილოს დღის წესრიგის მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც აქციონერებს გაეგზავნათ დღის წესრიგთან ერთად (წინაილი 3.2)

<sup>35</sup> საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2009 წლის 3 თებერვლის 16 ბრძანებით ამ მიზნისთვის განსაზღვრულია გაზეთი „საკანონმდებლო მაცნე“

<sup>36</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 54.2

<sup>37</sup> იქვე, მუხ. 54.2


<sup>38</sup> საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2009 წლის 3 თებერვლის 16 ბრძანებით ამ მიზნისთვის განსაზღვრულია გაზეთი „საკანონმდებლო მაცნე“

## ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

როგორც IFC-ის კვლევამ აჩვენა, გამოკითხული კომპანიების 55.5 პროცენტი იცავს შეტყობინების 20 დღით ადრე გაგზავნის მოთხოვნას, ხოლო 31.4 პროცენტი აქციონერებს აფრთხილებს ერთი თვით ადრე. თუმცა, კომპანიების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ დაარღვია სამართლებრივი მოთხოვნა.

კომპანიების უმრავლესობა (73 პროცენტი) შეტყობინების გასაგრძელებლად იყენებს პრესას. ასეთი კომპანიების რაოდენობა გაიზარდა 2004 წლის შემდეგ (69.7 პროცენტი იყო). სამწუხაროდ, კომპანიების გარკვეული რაოდენობა, რომელიც ფოსტით აწვდის აქციონერებს ინფორმაციას, შემცირდა (34.3 პროცენტი), ხოლო იმ კომპანიების რიცხვი, რომელიც შეტყობინებას საერთო კრების გამართვის შესახებ საკუთარ ოფისში აქვეყნებს - გაიზარდა. ეს არ შეიძლება იყოს სანიმუშო პრაქტიკის მაგალითი და ენიხაიმდგეგმა მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

გრაფიკი 2: შეტყობინების მეთოდები



## ★ საუკეთესო პრაქტიკა

შეტყობინება აქციონერთა კრების შესახებ და შესაბამისი მასალები შეიძლება განთავსდეს კომპანიის ვებგვერდზე. ელექტრონული გავრცელება მარტივი და ეფექტიანი მეთოდია, რომელიც უზრუნველყოფს ფართო საზოგადოების ნედომას ინფორმაციასთან.

### ბ) ინფორმაცია, რომელიც შედის შეტყობინებაში აქციონერთა საერთო კრების შესახებ

სამენარმეო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული დანვრილებითი მითითებები იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა შედიოდეს შეტყობინებაში აქციონერთა საერთო კრების გამართვის შესახებ. ის აღნიშნავს მხოლოდ პროცედურას, რომლის შესაბამისადაც აქციონერს შეუძლია კრებამდე ათი დღით ადრე გადაამომოს კრების მსვლელობაში მონაწილეობის საკუთარი უფლება.<sup>39</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

შეტყობინება აქციონერთა საერთო კრების გამართვის შესახებ უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა:

- კომპანიის სრული დასახელება და ადგილმდებარეობა;

<sup>39</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 54.2

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

- აქციონერთა საერთო კრების გამართვის თარიღი, ადგილი და დრო;
- აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო თარიღი;
- დღის წესრიგი;
- ინფორმაცია ადგილისა და დროის შესახებ, სადაც აქციონერებს შეუძლიათ საინტერესო ინფორმაციის და მასალების მიღება კრებისთვის მოსამზადებლად (როდესაც შეტყობინება აქციონერთა საერთო კრების შესახებ იყო საჯარო);
- პროცედურები ძირითადი ინფორმაციის მისაღებად;
- დრო, როდესაც მონაწილეთა რეგისტრაცია იწყება;
- ადგილი, სადაც მიმდინარეობს რეგისტრაცია;
- იმ პირის ვინაობა, რომლის წინაშეც აქციონერებმა უნდა წარადგინონ ანგარიში სარეგისტრაციო პროცედურების დარღვევის შესახებ;

საფოსტო მისამართი და იმ პირის ვინაობა, რომელსაც აქციონერები უგზავნიან წერილობით ინსტრუქციებს ხმის მიცემასთან დაკავშირებით.

### გ) ინფორმაცია და მასალები აქციონერთა საერთო კრებისთვის

სამენარმეო კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი მასალები, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს აქციონერებისთვის აქციონერთა საერთო კრების დაწყებამდე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქციონერთა მორიგი საერთო კრებისთვის, რომელიც იღებს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს და ბევრ სხვა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას კომპანიის სამომავლო მართვისთვის.

აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად კომპანიამ უნდა გამოაქვეყნოს დღის წესრიგი და აღმასრულებელი საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილებების მისაღებად.<sup>40</sup> სამენარმეო კანონმდებლობით ასევე აღნიშნულია ყოველი აქციონერის უფლება მიიღოს წლიური ანგარიშის ასლი და ყველა პუბლიკაცია კომპანიის შესახებ.<sup>41</sup> გარდა ამისა, აქციონერებს უნდა წარედგინოთ აღმასრულებელი საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები მოგების განაწილებასთან დაკავშირებით.<sup>42</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

აქციონერთა საერთო კრების ტიპიდან გამომდინარე, აქციონერებს შეიძლება გაეგზავნოს ისეთი მასალები, როგორცაა:

- წლიური ანგარიში და წლიური ფინანსური ანგარიშგებები;
- აუდიტის კომიტეტის ანგარიში;
- გარე აუდიტორის ანგარიში;
- აღმასრულებელი საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები მოგების განაწილებასთან დაკავშირებით, მათ შორის დივიდენდების მოცულობა და დივიდენდების გადახდის და ზარალის განაწილების პროცედურები;
- წესდების ცვლილებების პროექტის მომზადება, საჭიროების შემთხვევაში, წესდების ახალი ვერსიის შემუშავება;
- დებულებების შემუშავება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების შემუშავება;
- ინფორმაცია გენერალური დირექტორის პოზიციაზე, ხმის დამთვლელი კომიტეტის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატების შესახებ;
- **მასალები, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როდესაც დღის წესრიგი შეიცავს მუხლებს, რომლებმაც შეიძლება აამოქმედონ გამოსყიდვის უფლება:**
  - დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიში კომპანიის აქციების საბაზრო ფასის შესახებ;
  - კომპანიის წმინდა აქტივები ბოლო საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე; და

<sup>40</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 54. 2

<sup>41</sup> იქვე, მუხ. 3. 10

<sup>42</sup> იქვე, მუხ. 57. 1

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

- სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები, რომლებიც განსაზღვრულია აქციების გამოსყიდვის ფასი;
- მასალები, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როდესაც დღის წესრიგი მოიცავს კომპანიის რეორგანიზაციას;
- რეორგანიზაციის პირობების და პროცედურების დასაბუთება, რომელიც შედის გადაწყვეტილებაში გაყოფის, გაცალკეების ან ტრანსფორმაციის შესახებ ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ხელშეკრულებაში შერწყმის ან გაფართოების შესახებ;
- რეორგანიზაციის მონაწილე ყველა კომპანიის წლიური ანგარიშები და ფინანსური ანგარიშგებები ბოლო სამი საფინანსო წლის განმავლობაში ან ყველა დასრულებული საფინანსო წლისთვის, თუ კომპანია დაარსებულია სამ წელზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში; და
- კვარტალური სააღრიცხვო დოკუმენტები იმ კვარტალისთვის, რომელიც უსწრებს აქციონერთა საერთო კრების თარიღს;
- სამეთვალყურეო საბჭოს პოზიცია დღის წესრიგის ნებისმიერი საკითხის შესახებ და ნებისმიერი განსხვავებული მოსაზრება.

თაპი I

თაპი II

თაპი III

თაპი IV

## ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

როგორც IFC-ის კვლევამ აჩვენა, დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს აგზავნიდა რესპონდენტთა 34.3 პროცენტი. ამ თვალსაზრისით მდგომარეობა გაუმჯობესდა 2004 წელთან შედარებით, როდესაც ეს მოთხოვნა შეასრულა კომპანიების მხოლოდ 27.5 პროცენტმა. კომპანიების რაოდენობა, რომელიც კრების დაწყებამდე აქციონერებს აწვდის წლიურ ანგარიშს (48.9 პროცენტი) და ინსტრუქციებს რწმუნებულის მეშვეობით ხმის მიცემის შესახებ (14.6 პროცენტი) თითქმის გაორმაგდა (2004 წელს ეს მაჩვენებლები შეადგენდა შესაბამისად 25.4 პროცენტს და 7.7 პროცენტს).

თაპი V

თაპი VI

### დ) ნომინალური აქციონერები და აქციონერთა შეტყობინება

აქციონერთა მორიგი საერთო კრების შესახებ შეტყობინება უნდა გაეგზავნოს ნომინალურ აქციონერებს, თუ ბენეფიციარი მფლობელის საფოსტო მისამართი უცნობია. ნომინალური აქციონერისთვის შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში ნომინალური აქციონერი ვალდებულია ბენეფიციარი მფლობელს აცნობოს აქციონერთა მორიგი საერთო კრების გამართვის შესახებ.

თაპი VII

თაპი VIII

### ბ. აქციონერთა საერთო კრების გამართვა

კომპანიამ შესაძლოა გამართოს აქციონერთა საერთო კრება ყველა მოსამზადებელი საფეხურის გავლის შემდეგ. აქციონერთა საერთო კრება ძირითადი კორპორაციული ღონისძიებაა და მისი სათანადოდ გამართვა ამგვარად იქნეს დამატებით მნიშვნელოვან.

თაპი IX

აქციონერთა საერთო კრება გამოყენებული უნდა იყოს აქციონერთა ინფორმირებისთვის კომპანიის საქმიანობის, მიღწევებისა და გეგმების შესახებ, აგრეთვე აქციონერთა ჩასართავად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში. მცირე აქციონერებისთვის აქციონერთა საერთო კრება ხშირად ერთადერთი შესაძლებლობაა დეტალური ინფორმაციის მოსაპოვებლად კომპანიის ფუნქციონირების შესახებ და აღმასრულებელი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან შესახვედრად.

თაპი X

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

აქციონერთა საერთო კრება არ უნდა დაიწყოს დღის 9:00 საათამდე და უნდა დასრულდეს არა უგვიანეს საღამოს 22:00 საათისა. რა თქმა უნდა, აქციონერთა საერთო კრება უნდა წარიმართოს ისე, რომ არ ჰქონდეს მართონის სახე და არ გამოიწვიოს მონაწილეთა გადაღლა. ეს შეიძლება მნიშვნელოვან ორგანიზაციულ სირთულეებს ქმნიდეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადასაწყვეტი საკითხები კომპლექსური, შინაარსიანი და/ან მრავალრიცხოვანია. აქციონერთა

თაპი XI


თაპი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა


საერთო კრების ორგანიზებისას უპირატესი პრინციპი უნდა იყოს მისი იმგვარად წარმართვა, რომ აქციონერები ეფექტიანად მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აქციონერთა საერთო კრების მოწვევა და გამართვა კომპლექსური საკითხია და უნდა გადაიდგას რიგი ნაბიჯები, რათა აქციონერთა საერთო კრებამ უზრუნველყოს სამართლებრივი მოთხოვნებისა და სანიმუშო კორპორაციული მართვის რეკომენდაციების შესრულება. აქციონერთა საერთო კრების ორგანიზებისთვის საჭირო ნაბიჯების მიმოხილვა წარმოდგენილია მე-2 სურათზე.


**სურათი 2:** აქციონერთა საერთო კრების გასამართად საჭირო ეტაპები



**ვარიანტი 1:** შედეგების გამოცხადება აქციონერთა საერთო კრების მსვლელობის პროცესში



**ვარიანტი 2:** შედეგების გამოცხადება აქციონერთა საერთო კრების დასრულების შემდეგ



წყარო: IFC, მარტი, 2004

კონკრეტული პრობლემა აქციონერთა საერთო კრების ორგანიზებისთვის საჭირო ეტაპების მიმოხილვასთან დაკავშირებით ეხება სანყის ორ ეტაპს - აქციონერთა საერთო კრებაზე დამსწრე პირთა რეგისტრაციას, აგრეთვე კვორუმის გადამოწმებასა და გამოცხადებას.

**1. აქციონერთა მონაწილეობა**

აქციონერი შეიძლება დაესწროს აქციონერთა საერთო კრებას ან მინდობილობა მისცეს წარმომადგენელს (რწმუნებულს), რომელიც დაესწრება აქციონერთა საერთო კრებას აქციონერის სახელით.<sup>43</sup>

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

**კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის:**

აქციონერებს უნდა შეეძლოთ ხმის მიცემა პირდაპირ ან რწმუნებულის მეშვეობით. აქციონერს არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი ხმის მიცემაში საზღვარგარეთიდან ან მეორე პირისთვის გადაცემული მინდობილობის მეშვეობით, და აღნიშნულის განხორციელება არ უნდა იყოს არასათანადოდ ძვირი ან რთული. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს შიდა მითითებები აქციონერთა მიერ ხმის მიცემის ხელშეწყობის მიზნით (ნაწილი 3.6)

**2. აქციონერთა რეგისტრაცია**

კომპანია რეგისტრაციაში ატარებს აქციონერებს და აქციონერთა წარმომადგენლებს აქციონერთა საერთო კრების დაწყებამდე. მონაწილეთა რეგისტრაცია აუცილებელია კვორუმის გადამოწმების მიზნით.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

იმისათვის, რომ კომპანიის ოფიციალურმა პირებმა არ შეაფერხონ აქციონერების მონაწილეობა აქციონერთა საერთო კრების მსვლელობაში (მაგ., რეგისტრაციის ბლოკირებით), რეგისტრაციის პროცედურა დეტალურად უნდა იყოს აღწერილი კომპანიის შიდა დოკუმენტებსა და შეტყობინებაში აქციონერთა საერთო კრების გამართვის შესახებ.

**ა) ვინ აწარმოებს აქციონერთა რეგისტრაციას**

მონაწილეთა რეგისტრაცია შეიძლება განახორციელოს წესდებით, დებულებებით ან სხვა შიდა კორპორაციული დოკუმენტებით განსაზღვრულმა ორგანომ ან პირმა.

**ბ) რომელი დოკუმენტების გადამოწმება საჭირო რეგისტრაციისთვის**

აქციონერთა საერთო კრების მონაწილეთა რეგისტრაციის მიზნით სარეგისტრაციო ორგანომ უნდა გადამოწმოს:

- მონაწილეთა ვინაობა;
- არიან თუ არა მონაწილეები აქციონერთა სიაში; და
- რომ აქციონერთა წარმომადგენლებს ან რწმუნებულებს აქვთ მოქმედი მინდობილობები.

**გ) მონაწილეთა რეგისტრაცია და კენჭისყრის ბიულეტენები**

თუ დღის წესრიგის ერთ საკითხთან დაკავშირებით მაინც გადაწყვეტილებების მიღება უნდა მოხდეს ფარული კენჭისყრით, მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მონაწილეები კენჭისყრის ბიულეტენებით რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, თუ კენჭისყრის ბიულეტენები აქციონერებს არ გაეგზავნათ აქციონერთა საერთო კრებამდე.

**დ) მონაწილეთა რეგისტრაციის დრო**

აქციონერთა საერთო კრების მონაწილეთა რეგისტრაცია ოფიციალურად იწყება აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში მითითებულ დროს და მთავრდება დღის წესრიგის ბოლო საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ.

<sup>43</sup> იქვე, მუხ. 54.3

თაპი I

თაპი II

თაპი III

თაპი IV

თაპი V

თაპი VI

თაპი VII

თაპი VIII

თაპი IX

თაპი X

თაპი XI

თაპი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

მონაწილეთა რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს აქციონერთა საერთო კრების გამართვის დღეს და მის ჩატარებამდე. არასათანადოდ ორგანიზებული რეგისტრაციამ შეიძლება შექმნას აქციონერთა რიგი აქციონერთა საერთო კრების დაწყებამდე. შესაბამისად, კომპანიებმა ყველაფერი უნდა ქნან იმისათვის, რომ რეგისტრაციის პროცესი იყოს სწრაფი და ეფექტიანი, აგრეთვე უზრუნველყონ დამსწრეთა შეუფერხებელი მონაწილეობა აქციონერთა საერთო კრების მსვლელობაში, მიუხედავად ადმინისტრაციული დაგვიანებისა. ეს იმას ნიშნავს, რომ სარეგისტრაციო ჯგუფი ადეკვატურად იყოს დაკომპლექტებული და მუშაობა დაიწყოს აქციონერთა საერთო კრების დაწყებამდე საკმაოდ ადრე.

### ე) სად უნდა განხორციელდეს მონაწილეთა რეგისტრაცია

რეგისტრაცია უნდა მოხდეს იქ, სადაც იმართება აქციონერთა საერთო კრება.

### 3. კვორუმის შემოწმება და გამოცხადება

უფლებამოსილმა ორგანომ<sup>44</sup> რეგისტრაციის დასრულების შემდეგ და აქციონერთა მიერ ხმის მიცემამდე უნდა შეამოწმოს და გამოაცხადოს აქციონერთა მორიგ საერთო კრებაზე კვორუმის არსებობა. თუ წესდებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელთა ნახევრის დასწრების შემთხვევაში.

თუ კრება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილებები თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მოწვეულ უნდა იქნეს ახალი კრება იმავე დღის წესრიგით და იმავე პროცედურის შესაბამისად. აღნიშნული კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელთა 25% მაინც არის კრებაზე წარმოდგენილი. თუ კრება კვლავ არ იქნება უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილებები თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ახალი კრება უნდა იქნეს მოწვეული იმავე დღის წესრიგით და იმავე პროცედურის შესაბამისად.<sup>45</sup>

### 4. აქციონერთა საერთო კრების გახსნა

აქციონერთა საერთო კრება შეიძლება გაიხსნას კვორუმის არსებობის შემთხვევაში დღის წესრიგის ერთ საკითხთან დაკავშირებით მაინც. პირი, რომელიც გახსნის აქციონერთა საერთო კრებას, ჩვეულებრივ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, იწვევს აქციონერებს აქციონერთა საერთო კრების დასაწყებად. თუ კომპანიის წესდება, დებულებები ან სხვა ძირითადი შიდა დოკუმენტები განსაზღვრავს, აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე ნიშნავს აქციონერთა საერთო კრების მდივანს და ხმის დამთვლელი კომიტეტის წევრებს.

### 5. ხმის დამთვლელი კომიტეტის არჩევა

რეკომენდებულია, რომ კომპანიამ შექმნას ხმის დამთვლელი კომიტეტი, განსაზღვროს მისი წევრების არჩევის მეთოდი და პირობები, აგრეთვე დაადგინოს მისი უფლებამოსილება და პროცედურები წესდებით, დებულებებით ან კომპანიის სხვა ზოგადი შიდა აქტით.

იმისათვის, რომ ხმის დამთვლელმა კომიტეტმა უზრუნველყოს თავისი ფუნქციების დამოუკიდებლად შესრულება, მისი წევრები არ შეიძლება იყვნენ შემდეგი პირები:

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატები;
- აღმასრულებელი საბჭოს წევრები და წევრობის კანდიდატები; და
- ზემოთ აღნიშნულ წევრებთან ან წევრობის კანდიდატებთან დაკავშირებული პირები.

<sup>44</sup> ეს შეიძლება იყოს კენჭისყრის კომიტეტი, რეგისტრატორი ან კორპორაციული მდივანი

<sup>45</sup> მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუსხ. 54.5



## ★ საუკეთესო პრაქტიკა

რეკომენდებულია, კენჭისყრის კომიტეტის ერთი წევრი მაინც იყოს მცირე აქციონერთა წარმომადგენელი.

## ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

როგორც IFC-ის კვლევამ აჩვენა, ხმების დათვლის სიზუსტეს კრებაზე ხელმძღვანელობდა ნოტარიუსი (62.8 პროცენტი). ამასთან, კომპანიების რაოდენობა, რომელმაც შექმნა სპეციალური ხმის დამთვლელი კომისია გაიზარდა (25.5 პროცენტი). 2004 წელს ასეთი სპეციალური ორგანო არსებობდა მხოლოდ კომპანიათა 17.6 პროცენტის შემთხვევაში.

### 6. აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარის არჩევა

აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში - თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო ამ უკანასკნელის არყოფნის შემთხვევაში - აღმასრულებელი საბჭოს ერთ-ერთი წევრი. ჩამოთვლილ პირთა არყოფნის შემთხვევაში კრების თავმჯდომარეს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება ხმათა უბრალო უმრავლესობით.<sup>46</sup> სამენარმეო კანონმდებლობის შესაბამისად, აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე უნდა ასრულებდეს კრების მდივნის ფუნქციებსაც.<sup>47</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კვალიფიციური კორპორაციული მდივანი შესანიშნავი კანდიდატურაა აქციონერთა ყოველწლიური საერთო კრების მდივნის პოსტზე. კორპორაციული მდივანი უზრუნველყოფს, რომ დისკუსიები და გადაწყვეტილებები შესაბამისად იქნეს ასახული კრების ოქმებში.

### კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:

კორპორაციული მდივნის ძირითადი ფუნქციები მოიცავს მდივნის ფუნქციების შესრულებას აქციონერთა საერთო კრებაზე (ნაწილი 5.5(კ))

### 7. გარეშე სტუმრების და დამკვირვებლების მოწვევა

კომპანიამ აქციონერთა საერთო კრებაზე შეიძლება მოიწვიოს კრედიტორები, პოტენციური ინვესტორები, თანამშრომლები, სამთავრობო ოფიციალური პირები, ჟურნალისტები, ექსპერტები და სხვა ფიზიკური პირები და ორგანიზაციები, რომლებიც არ ფლობენ კომპანიის აქციებს. წესდებითა და დებულებებით შეიძლება განისაზღვროს აქციონერთა საერთო კრებაზე სტუმართა მოწვევის პროცედურები.

### 8. დღის წესრიგის და რეგლამენტის წარდგენა

აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე დღის წესრიგს წარუდგენს აქციონერთა საერთო კრების მონაწილეებს. ამასთან, აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე განმარტავს წესდებით და დებულებებით განსაზღვრულ წესებს ან აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებას. მოთხოვნის შემთხვევაში, აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე განმარტავს კენჭისყრის პროცედურებს.

### 9. დღის წესრიგის საკითხების განხილვა

აქციონერთა საერთო კრებაზე დასასწრებად აქციონერების გარდა შეიძლება ასევე მოწვეულ იქნენ:

<sup>46</sup> იქვე, მუხ. 54.4  
<sup>47</sup> იქვე, მუხ. 9.13

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

- გარე აუდიტორი
- დამოუკიდებელი რეგისტრატორი ან რეესტრის მწარმოებელი პირი
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრები
- აღმასრულებელი საბჭოს წევრები

აქციონერთა მიერ ხმის მიცემამდე მოწვეულმა ექსპერტებმა შენიშვნები უნდა გამოთქვან დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით. აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარემ შეიძლება ასევე სთხოვოს მოწვეულ ექსპერტებს აქციონერებისთვის დღის წესრიგის საკითხების განმარტება. ზემოაღნიშნული ექსპერტების დასწრება მეტად მნიშვნელოვანია აქციონერთა მორიგი საერთო კრებისთვის, მის მიერ მისაღები გადაწყვეტილებების ბუნების გამო.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

სანიმუშო პრაქტიკა გულისხმობს, რომ:

- აქციონერებს აქვთ შესაძლებლობა შეკითხვები დაუსვან შიდა კონტროლის ორგანოს წევრებს და გარე აუდიტორს
- აქციონერები იღებენ მკაფიო პასუხებს თავიანთ შეკითხვებზე
- აქციონერების შეკითხვებზე პასუხის გაცემა დაუყოვნებლივ ხდება. თუ შეუძლებელია შეკითხვაზე პასუხის გაცემა, წერილობითი პასუხი უნდა გაეცეს რაც შეიძლება დროულად აქციონერთა საერთო კრების დასრულების შემდეგ
- აქციონერთა საერთო კრება უნდა გაიმართოს ისე, რომ ყველა აქციონერს ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს დაბალანსებული და ინფორმირებული გადაწყვეტილება დღის წესრიგის ყველა საკითხთან დაკავშირებით
- გარე აუდიტორი, გენერალური დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს და მისი კომიტეტების წევრები ესწრებიან აქციონერთა საერთო კრებას. კრებაზე მათი დაუსწრებლობის შემთხვევაში, აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარემ უნდა ახსნას მათი არყოფნის მიზეზი
- კომპანიის ძირითადი თანამშრომლები, სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების თავმჯდომარეების ჩათვლით, სიტყვით გამოდიან აქციონერთა საერთო კრებაზე
- უნდა გამოიყოს დრო აქციონერთა პრეზენტაციებისთვის; და
- აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე მომხსენებელს სიტყვას აწყვეტინებს მხოლოდ წესრიგის დაცვის და პროცედურულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

## 10. კენჭისყრა

დღის წესრიგის ერთი ან რამდენიმე საკითხის გულდასმით განხილვის შემდეგ, აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე ინვესს აქციონერებს ხმის მისაცემად. კენჭისყრა ემყარება პრინციპს - „ერთი ხმის უფლების მქონე აქცია - ერთი ხმა“. აქციონერებს უფლება აქვთ ხმა მისცენ დღის წესრიგის ყველა საკითხს აქციონერთა საერთო კრების გახსნის მომენტიდან მის დახურვამდე, როდესაც კენჭისყრის შედეგები არ ცხადდება აქციონერთა საერთო კრების პროცესში. ხმის მიცემა აქციონერთა საერთო კრებაზე შეიძლება იყოს საჯარო ან ფარული. კენჭისყრაში იგულისხმება ღია კენჭისყრა, თუ ფარული კენჭისყრის მოწყობა არ არის დადგენილი რამე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.

## ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

კომპანიისთვის რეკომენდებულია ღია კენჭისყრის მეთოდის განსაზღვრა (მაგალითად, ხელის აწევა ან სხვა საჯარო პროცედურა), ისევე როგორც ხმების დათვლის მეთოდისა.

კენჭისყრის ბიულეტენები დოკუმენტურად ასახავს აქციონერების მიერ ხმის მიცემას დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით და შეიძლება მათი გამოყენება როგორც ფარული, ისე ღია კენჭისყრისთვის. ფარული კენჭისყრის საპირისპიროდ, ღია კენჭისყრა აქციონერისგან მოითხოვს ხელის მოწერას კენჭისყრის ბიულეტენზე, რათა ბიულეტენს ჰქონდეს ძალა. ბიულეტენის

ფორმატი დამოკიდებულია კენჭისყრის პროცედურებზე.

ბიულეტენი წარმოადგენს ტიპურ დოკუმენტს, რომელიც:

- შეიცავს დღის წესრიგის საკითხებს, რომლებსაც აქციონერებმა შეიძლება მისცენ ხმა. ამ შემთხვევაში ხმის დათვლის კომიტეტი კენჭისყრის შედეგებს წარუდგენს აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარეს მას შემდეგ, რაც აქციონერები ხმას მისცემენ დღის წესრიგის ყველა საკითხს; ან
- შედგება ცალკეული გვერდებისგან და თითოეული შეიცავს ერთ ან რამდენიმე საკითხს, რომელსაც აქციონერმა შეიძლება მისცენ ხმა. ამ შემთხვევაში ხმის დათვლის კომიტეტი კენჭისყრის შედეგებს წარუდგენს აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარეს ყოველთვის, როცა აქციონერები ხმას აძლევენ ერთ გვერდზე ჩამოთვლილ საკითხებს.

რეკომენდებულია, კენჭისყრის ბიულეტენი შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა:

- კომპანიის სრული დასახელება და ადგილმდებარეობა;
- აქციონერთა საერთო კრების ფორმა;
- აქციონერთა საერთო კრების თარიღი, ადგილი და დრო;
- საკითხები, რომელთან დაკავშირებითაც უნდა გაიმართოს კენჭისყრა დღის წესრიგში მოცემული თანამიმდევრობით;
- ხმის მიცემის ვარიანტები – „თანახმა“, „წინააღმდეგი“, „თავი შეიკავა“ – თითოეულ საკითხთან დაკავშირებით;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევნების შემთხვევაში, თითოეული კანდიდატის სახელი;
- საბოლოო თარიღი, რომლის დადგომის მომენტისთვის შევსებული ბიულეტენები უნდა გაეგზავნოს კომპანიას (თუ მათი გაგზავნა საჭიროა კომპანიისთვის);
- საფოსტო მისამართი, რომელზეც უნდა გაიგზავნოს შევსებული ბიულეტენები (თუ მათი გაგზავნა საჭიროა კომპანიისთვის);
- ინსტრუქცია, რომ ბიულეტენს ხელს აწერდეს აქციონერი, თუ კენჭისყრის ბიულეტენები არ გამოიყენება ფარული კენჭისყრისთვის;
- კუმულაციური კენჭისყრის განმარტება ტექსტით – „როცა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა წარმოებს კუმულაციური კენჭისყრის გზით, აქციონერმა შეიძლება გამოიყენოს მისი ყველა ხმა ერთი ან რამდენიმე კანდიდატისთვის ხმის მისაცემად“;
- ბიულეტენს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული გრაფა, სადაც აქციონერმა უნდა ჩაწეროს თითოეული კანდიდატისთვის მიცემული ხმების რაოდენობა;
- ბიულეტენი უნდა უჩვენებდეს ხმების რაოდენობას, რომელიც თითოეულმა აქციონერმა შეიძლება მისცეს თითოეულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აქციონერთა სიიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე;
- ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა იქნეს შევსებული ბიულეტენი;
- ინსტრუქცია, რომ პირი, რომელიც ავსებს ბიულეტენს აქციონერის სახელით, რომელიც იურიდიული პირია, უნდა მიუთითებდეს მის სახელს და პოზიციას და იურიდიული პირის სრულ დასახელებას, რომელსაც ის წარმოადგენს;
- ინსტრუქცია, რომ მინდობილობის ასლი დაერთოს კენჭისყრის ბიულეტენს და აქციონერის წარმომადგენელმა ხელი მოაწეროს მას (თუ ხმის მიცემა წარმოებს რწმუნებულის მეშვეობით).

ბიულეტენი ძალაშია, თუ აქციონერი მონიშნავს მხოლოდ ერთ შესაძლო ვარიანტს კონკრეტული საკითხისთვის. თუ აღნიშნული არ განხორციელდა, ბიულეტენი იქნება ბათილი დღის წესრიგის ამ საკითხთან დაკავშირებით. არასათანადოდ შევსებული კენჭისყრის ბიულეტენი დღის წესრიგის ერთ ან რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით არ იწვევს ბიულეტენის ბათილობას დღის წესრიგის სხვა საკითხებთან მიმართებით.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

ხმების დათვლის პროცედურა უნდა იყოს გამჭვირვალე. კენჭისყრის შედეგების

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

მანიპულირების შესახებ ნებისმიერი ეჭვის თავიდან ასაცილებლად კენჭისყრის კომიტეტის დამოუკიდებელი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ხმის დათვლის პროცესში. წესდებით და სხვა შიდა წესებით გათვალისწინებული უნდა იყოს ასეთი მონიტორინგი და ამასთან, განსაზღვრული უნდა იყოს ხმების დათვლის პროცესის მონიტორინგისთვის დანიშნული პირების უფლებამოსილება.

### კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის:

საერთო კრება უნდა ჩატარდეს იმგვარად, რომ ყველა აქციონერს ჰქონდეს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა. ხმების დათვლა უნდა იყოს გამჭვირვალე და თითოეული გადაწყვეტილება სათანადოდ უნდა აისახოს საერთო კრების ოქმში (ნაწილი 3.3)

### 11. ხმების დათვლა და დოკუმენტური ასახვა

ხმის დათვლის კომიტეტმა უნდა დაითვალოს აქციონერთა საერთო კრების მსვლელობისას მიცემული ხმები და კენჭისყრის შედეგები შეაჯამოს საკუთარ ოქმში. ხმის დათვლის კომიტეტი კენჭისყრის შედეგებს წარუდგენს აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარეს, რომელიც გამოაცხადებს შედეგებს (თუ კომპანია გადაწყვეტს შედეგების დაუყოვნებლივ გამოცხადებას).

### 12. კენჭისყრის შედეგებისა და გადაწყვეტილებების გამოცხადება

აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე აცხადებს კენჭისყრის შედეგებს ხმის დათვლის კომიტეტის ოქმის და აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების წაკითხვით.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კენჭისყრის შედეგები უნდა იქნეს დათვლილი და გამოცხადებული აქციონერთა საერთო კრების დახურვამდე.

### 13. აქციონერთა საერთო კრების დახურვა

აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე აქციონერთა საერთო კრებას დახურულად აცხადებს, როცა:

- დასრულდება დღის წესრიგის ყველა საკითხის განხილვა და შესაბამისი კენჭისყრა; და
- გამოცხადდება კენჭისყრის შედეგები (თუ კომპანია გადაწყვეტს შედეგების დაუყოვნებლივ გამოცხადებას).

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კომპანიამ უნდა დახუროს აქციონერთა საერთო კრება იმავე დღეს აქციონერებისთვის არასაჭირო (დამატებითი) ხარჯების თავიდან ასაცილებლად. თუ შეუძლებელია აქციონერთა საერთო კრების დასრულება ერთ დღეში, კომპანიამ კრების მსვლელობა უნდა გააგრძელოს მომდევნო დღეს.

### 14. კენჭისყრის ბიულეტენების დაარქივება

აქციონერთა საერთო კრების შემდეგ ხმის დათვლის კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს კენჭისყრის ბიულეტენებისა და კენჭისყრის შესახებ წერილობით ინსტრუქციების დალუქვა და არქივისთვის გადაცემა.

### 15. აქციონერთა საერთო კრების ოქმების მომზადება

აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე პასუხისმგებელია ოქმების სათანადოდ მომზადებისათვის.<sup>48</sup> კომპანიამ აქციონერთა საერთო კრების ოქმის ასლი მოთხოვნისთანავე უნდა მიანოდოს აქციონერებს. აქციონერებს შეიძლება მოუწოდონ კომპანიისთვის ასლის გადაღების ხარჯების ანაზღაურება გონივრულ ფარგლებში. აქციონერთა საერთო კრების ოქმი უნდა შეიცავდეს სპეციფიკურ ინფორმაციას. მაგალითად, აქციონერთა საერთო კრების ოქმს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

- ხმის დათვლის კომიტეტის ოქმი კენჭისყრის შედეგების შესახებ;
- აქციონერთა მორიგი საერთო კრების მიერ დამტკიცებული დოკუმენტები და მიღებული გადაწყვეტილებები;
- მონაწილეთა სია; და
- მტკიცებულება აქციონერთა საერთო კრების სათანადოდ მოწვევის შესახებ.

**16. კენჭისყრის შედეგების და გადაწყვეტილებების შეტყობინება აქციონერებისთვის (აქციონერთა საერთო კრების შემდეგ)**

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

თუ კენჭისყრის შედეგები არ გამოცხადდება აქციონერთა საერთო კრების განმავლობაში, აქციონერებმა უნდა მიიღონ დეტალური შედეგების ანგარიში კენჭისყრის შედეგების შესახებ ოქმის მომზადებიდან არა უგვიანეს 10 დღისა. ანგარიში კენჭისყრის შედეგების შესახებ უნდა შეიცავდეს ქვემოთ წარმოდგენილ პუნქტში განსაზღვრულ ინფორმაციას და ხელს უნდა აწერდეს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. კომპანიამ უნდა დაიცვას იგივე პროცედურები, რომლებიც საჭიროა აქციონერთა ინფორმირებისთვის აქციონერთა საერთო კრების გამართვის შესახებ.

**➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა**

როგორც IFC-ის კვლევით გამოვლინდა, კომპანიების 46.7 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი სიტყვიერად აწვდიან ინფორმაციას ადრესატებს კრების შედეგების შესახებ, ხოლო კომპანიების 13.9 პროცენტი ფოსტის საშუალებით აგზავნის ასეთ ინფორმაციას. ზოგიერთი კომპანია ინფორმაციას ავრცელებს ელექტრონული ფოსტით (9.5 პროცენტი) ან კორპორაციული ვებგვერდის მეშვეობით (4.4 პროცენტი). 2004 წელს კომპანიების მხოლოდ 2.1 პროცენტი და 0.7 იყენებდა ამ მეთოდებს.

**გრაფიკი 3: სხდომის შედეგების კომუნიკაცია**



<sup>48</sup> იქვე, მუხ. 9.13

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

## 17. აქციონერთა საერთო კრების დოკუმენტები

1-ელ ცხრილში წარმოდგენილია შემაჯამებელი ინფორმაცია, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს ხმის დამთვლელი კომიტეტის ოქმში კენჭისყრის შედეგების შესახებ ისევე, როგორც აქციონერთა საერთო კრების ოქმებში (იმის მიუხედავად, შედეგები გამოცხადდება აქციონერთა საერთო კრების მსვლელობისას, თუ კრების შემდეგ). ის ასევე მოიცავს ინფორმაციას, რომელიც საჭიროა შევიდეს ანგარიშგებაში კენჭისყრის შედეგების შესახებ, რომელიც უნდა წარედგინოს აქციონერებს იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებები არ გამოცხადდება აქციონერთა საერთო კრების განმავლობაში.

ცხრილი 1

ინფორმაცია	რეკომენდებულია შეტანილ იქნეს აქციონერთა საერთო კრების ოქმებში	რეკომენდებულია შეტანილ იქნეს ოქმში კენჭისყრის შედეგების შესახებ	რეკომენდებულია შეტანილ იქნეს ანგარიშში კენჭისყრის შედეგების შესახებ
1. კომპანიის სრული დასახელება და ადგილმდებარეობა	+	+	+
2. აქციონერთა საერთო კრების გამართვის ადგილი	+	+	+
3. აქციონერთა საერთო კრების გამართვის თარიღი	+	+	+
4. დღის წესრიგის ყველა საკითხთან დაკავშირებით მიცემული ხმების რაოდენობა	+	+	+
5. ხმების რაოდენობა დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით და საჭირო კვორუმი	+	+	+
6. დღის წესრიგი	+	+	+
7. კენჭისყრის შედეგები (ხმების რაოდენობა, კერძოდ, „მომხრე“, „მონინალმდეგე“, „თავი შეიკავა“ დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით კვორუმის მითითებით)	+	+	+
8. აქციონერთა საერთო კრების ტიპი (აქციონერთა მორიგი ან რიგგარეშე საერთო კრება)	+	+	+
9. დრო, როცა დაიწყო და დასრულდა მონაწილეთა რეგისტრაცია	+	+	+
10. დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებული ხმების რაოდენობა, რომელიც არ ჩაითვალა ძალადაკარგულობის გამო.		+	+
11. კენჭისყრის მეთოდი	+	+	+
12. ხმის დათვლის კომიტეტის წევრთა სახელები	+	+	+
13. აქციონერთა საერთო კრების კენჭისყრის შედეგების შესახებ ხმის დათვლის კომიტეტის ოქმების შედგენის თარიღი		+	+
14. აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარის და მდივნის სახელები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	+		
15. დამტკიცებული გადაწყვეტილებების ტექსტები	+		
16. მოხსენებებისა და განხილვების შეჯამება	+		
17. აქციონერთა საერთო კრების გახსნის და დახურვის დრო	+		
18. დრო, როდესაც დაიწყო ხმის მიცემა, თუ აქციონერთა საერთო კრების მიერ დამტკიც-	+	+	+

ინფორმაცია	რეკომენდებულია შეტანილ იქნეს აქციონერთა საერთო კრების ოქმებში	რეკომენდებულია შეტანილ იქნეს ოქმში კენჭისყრის შედეგების შესახებ	რეკომენდებულია შეტანილ იქნეს ანგარიშში კენჭისყრის შედეგების შესახებ
ცეპული გადაწყვეტილებები და კენჭისყრის შედეგები გამოცხადდა სხდომის დროს			
19. კომპანიის საფოსტო მისამართი, რომელზეც წარდგენილ იქნა აქციონერთა მიერ შევსებული კენჭისყრის ბიულეტენები, თუ კომპანიამ კენჭისყრის ბიულეტენები გავრცელა აქციონერთა საერთო კრების დანყებამდე	+		
20. აქციონერთა საერთო კრების ოქმების მომზადების თარიღი	+		

- თაპი I
- თაპი II
- თაპი III
- თაპი IV
- თაპი V
- თაპი VI
- თაპი VII
- თაპი VIII
- თაპი IX
- თაპი X
- თაპი XI
- თაპი XII

**დ. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება**

მნიშვნელოვანია აქციონერთა საერთო კრების მომზადებისა და გამართვის პროცედურების დაცვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ მმართველობის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მოქმედება და კანონიერება.

**1. გადაწყვეტილებები, რომელთა მიღებაც მოითხოვს ხმების უბრალო უმრავლესობას**

თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული კომპანიის წესდებით აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების უმრავლესობა შეიძლება დამტკიცდეს მონაწილე ხმის უფლების მქონე აქციონერების ხმათა უბრალო უმრავლესობით (50%-ზე მეტით).<sup>49</sup>

ესენია:

- გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს ან აღმასრულებელი საბჭოს წინადადების მიღების ან უარყოფის შესახებ მოგების გამოყენებასთან დაკავშირებით, ან თუ აღნიშნული ორგანოები ვერ ახერხებენ ამ წინადადებაზე შეთანხმებას, გადაწყვეტილება წმინდა მოგების განკარგვასთან დაკავშირებით;<sup>50</sup>
- გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა გათვალისწინებულია სამენარმეო კანონმდებლობით);<sup>51</sup>
- გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევისა და დათხოვნის, აგრეთვე არჩევის ვადის შესახებ;<sup>52</sup>
- გადაწყვეტილება აღმასრულებელი საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მომზადებული ანგარიშების დამტკიცების შესახებ;<sup>53</sup>
- გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების შესახებ;<sup>54</sup>
- გადაწყვეტილება აუდიტორის არჩევის შესახებ;<sup>55</sup>
- გადაწყვეტილება აღმასრულებელი საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ; ზემოაღნიშნული მოქმედების განსახორციელებლად წარმომადგენლის დანიშვნა;<sup>56</sup>
- გადაწყვეტილება კომპანიის აქტივების შექმნის, გასხვისების ან გადაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან სხვაგვარად დატვირთვის შესახებ, გარდა ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე გარიგებებისა, რომელთა ღირებულებაც აღემატება კომპანიის აქტივების ფასის ნახევარს, თუ წესდებით სხვა მაჩვენებელი არ არის განსაზღვრული.<sup>57</sup>

<sup>49</sup> იქვე, მუხ. 54.7  
<sup>50</sup> იქვე, მუხ. 54.6 (დ)  
<sup>51</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ე)  
<sup>52</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ვ)  
<sup>53</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ზ)  
<sup>54</sup> იქვე, მუხ. 54.6 (თ)  
<sup>55</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ი)  
<sup>56</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ლ)  
<sup>57</sup> იქვე, მუხ. 54.6 (მ)

**2. გადაწყვეტილებები, რომლებიც მოითხოვს ხმათა ზეუმრავლესობას (კვალიფიციურ უმრავლესობას)**

სამენარმო კანონმდებლობის შესაბამისად, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კომპანიის წესდებით, მონაწილე ხმის უფლების მქონე აქციონერების ხმათა 75%-ზე მეტით უნდა იქნეს მიღებული:

- გადანყვეტილება კომპანიის წესდების შეცვლის შესახებ;<sup>59</sup>
- გადანყვეტილება კომპანიის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;<sup>60</sup>
- გადანყვეტილება აქციონერის აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების შესახებ (როდესაც კაპიტალის ზრდა ხდება ფასიანი ქაღალდების ემისიით).<sup>61</sup>

<sup>58</sup> იქვე, მუხ. 54.7

<sup>59</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ა)

<sup>60</sup> იქვე, მუხ. 54.6 (ბ)

<sup>61</sup> იქვე, მუხ. 54.6 (გ)



**IX**

**თავი**

**კორპორაციული  
მართვის მნიშვნელობა  
სანესდებო კაპიტალთან  
მიმართებით**

## ❓ კითხვარი

- ✓ დაადგინა თუ არა დამფუძნებელმა აქციონერთა საერთო კრებამ აქციების გამონერის და გადახდის ადეკვატურობა და ნატურალური ფორმით განხორციელებული შენატანების კანონთან შესაბამისობა?
- ✓ დაადგინა თუ არა დამფუძნებელმა საერთო კრებამ, რომ კომპანიის აქციონერებმა განახორციელეს საწყისი შენატანები ფულადი ფორმით, ხოლო ნატურალური ფორმით განხორციელებული შენატანები სათანადოდ იქნა შეფასებული?
- ✓ ესმის თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს კომპანიის ფინანსური საჭიროება და კორპორაციული ფინანსების განსხვავებული ტექნიკა?
- ✓ არის თუ არა სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილი, რომ გაზარდოს სანესდებო კაპიტალი?
- ✓ არის თუ არა კაპიტალის გაზრდა გამართლებული?
- ✓ უზრუნველყოფს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო, რომ სანესდებო კაპიტალი და, შესაბამისად, კრედიტორები იყვნენ ადეკვატურად დაცული სანესდებო კაპიტალის შემცირების შემთხვევაში? იღებს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო კომპანიის აქციების უკან შესყიდვის გადანყვეტილებებს?
- ✓ უზრუნველყოფს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო ერთნაირ დამოკიდებულებას შენატანის განმახორციელებელი ყველა აქციონერის მიმართ?
- ✓ როგორ უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭო სარეზერვო ფონდის გამოყენებას კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე? სხვა რომელი ფონდი აქვს კომპანიას შექმნილი?

სანესდებო კაპიტალის კონცეფცია ფართოდ არის გამოყენებული კონტინენტური ევროპის კანონმდებლობაში. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოზეც. კერძოდ, სამენარმო კანონმდებლობა სანესდებო კაპიტალს ანიჭებს გარკვეული დაცვის ფუნქციებს, რომლებიც აქციონერებს იცავს სანესდებო კაპიტალის ზრდის შემთხვევაში წმინდა მოგებაში წილის შემცირებისგან და კომპანიის კრედიტორების წინაშე ვალდებულებათა შესრულების მინიმალურ გარანტიას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ სანესდებო კაპიტალი თავისთავად ვერ შეასრულებს ამ როლს, იგი კვლავაც ითვლება კრედიტორთა ინტერესების დაცვის გარანტიის ერთ-ერთ ელემენტად. აქციონერებთან მიმართებით, სანესდებო კაპიტალი ასრულებს მნიშვნელოვან როლს, რამდენადაც აქციონერთა ბევრი უფლება უშუალოდ უკავშირდება სანესდებო კაპიტალში მათი ინვესტიციის მოცულობას. სანესდებო კაპიტალს უფრო იურიდიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეკონომიკური. ის არსებობს მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის თვალსაზრისით, როგორც ეს დადგენილია ბალანსში. ამის გამო, მისი დაცვის ფუნქცია, როგორც ფორმალობა, ხშირად კრიტიკის ობიექტი ხდება. მიუხედავად ამისა, სანესდებო კაპიტალის არსებობა სამართლებრივი მოთხოვნაა და უნდა შესრულდეს კომპანიის დაარსების და ამოქმედების დროს. კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეულ წესებს, რომლებიც არეგულირებს კაპიტალის გაზრდას, თუმცა მასში არაფერია ნათქვამი სანესდებო კაპიტალის შემცირებაზე. წესების მიზანია, გააანალიზოს ისეთი საკითხები, რომლებიც შესაძლოა სათანადოდ არ იყოს განხილული კანონმდებლობაში.

### ა. სანესდებო კაპიტალთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

სანესდებო კაპიტალი სააქციო საზოგადოების სამართლებრივი განმარტების მნიშვნელოვანი ელემენტია. სააქციო საზოგადოება განისაზღვრება როგორც

კომერციული პირი, რომლის სანესდებო კაპიტალიც დაყოფილია განსაზღვრული რაოდენობის და კლასის აქციებად <sup>1</sup>.

სანესდებო კაპიტალს აქვს მნიშვნელოვანი სამართლებრივი გავლენა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა:

- აქციონერთა ვალდებულების მინიმალური თანხის განსაზღვრა;
- აქციონერთა უფლებების განსაზღვრა სანესდებო კაპიტალში მათ პროპორციულ წილთან კავშირში; და
- მხარდაჭერის შეთავაზება კრედიტორთა უფლებების დასაცავად; აღნიშნული ერთ-ერთი სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელსაც კრედიტორები შეიძლება დაეყრდნონ მაშინ, როდესაც ისინი ცდილობენ კომპანიის მიერ მისი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას.

### 1. სანესდებო კაპიტალის განმარტება

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ტერმინი „სანესდებო კაპიტალი“ მრავალგვარი გამოყენების საშუალებას იძლევა. ერთ-ერთი მათგანი სანესდებო კაპიტალს განსაზღვრავს როგორც კომპანიის დაარსების დროს განხორციელებული შენატანების ჯამს, მეორე - სანესდებო კაპიტალს განმარტავს როგორც აქციონერების რაოდენობის და აქციის ნომინალური ღირებულების ნამრავლს <sup>2</sup>.

### 2. მინიმალური სანესდებო კაპიტალი

მენარმეთა შესახებ კანონით არ არის დადგენილი სანესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა, ეს კომპანიის გადასაწყვეტია.

### 3. სანესდებო კაპიტალი და გაცხადებული აქციები

ემისირებული (გამოშვებული) აქციების გარდა, კომპანიას შეიძლება ასევე ჰქონდეს ნებადართული (განცხადებული) აქციები. სამენარმეო კანონმდებლობის თანახმად, წესდება შეიძლება განსაზღვრავდეს ნებადართული აქციების რაოდენობას და კლასს <sup>3</sup>. კომპანიას არ მოეთხოვება მის მიერ განცხადებული ყველა აქციის ემისია. თუ კომპანია აირჩევს არ გამოუშვას განცხადებული აქციები, ეს აქციები ჩაითვლება განცხადებულად, მაგრამ - არაემისირებულად.

განცხადებული აქციების რაოდენობის გასაზრდელად საჭიროა აქციონერთა კენჭისყრა. განცხადებულ აქციებთან დაკავშირებით წესდებით განსაზღვრული ორგანო უზრუნველყოფს აქციების განთავსებას <sup>4</sup>.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კორპორაციული მართვის სანიმუშო პრაქტიკის თანახმად, წესდება დირექტორთა საბჭოს ანიჭებს სანესდებო კაპიტალის გაზრდის უფლებას განცხადებული აქციების ემისიის საშუალებით. აღნიშნულის განხორციელებისას წესდება უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა:

- განცხადებული აქციების მაქსიმალურ რაოდენობა. ზოგადად, მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სანესდებო კაპიტალის 50%-ს დირექტორთა საბჭოს განცხადებული აქციების ემისიის უფლების მინიჭების მომენტისათვის.
- განცხადებული აქციების ტიპი და კლასი; და
- გადახდის ფორმა დამატებით ემისირებული აქციებისთვის.

### 4. შენატანები სანესდებო კაპიტალში

ზოგადად, კომპანიის დაარსებისას გამოშვებული აქციებისთვის გადახდა შეიძლება განხორციელდეს ფულადი ფორმით ან ნატურალური შენატანით, მათ

<sup>1</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 51.1  
<sup>2</sup> იქვე, მუხ. 69.6  
<sup>3</sup> იქვე, მუხ. 59.3  
<sup>4</sup> იქვე, მუხ. 59.5

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

შორის, სხვა კომპანიების აქციებითა და ფასიანი ქაღალდებით, მატერიალური და არამატერიალური აქტივებით, ქონებრივი უფლებებით და/ან ისეთი უფლებებით, რომლებსაც აქვს ფულადი ღირებულება. შენატანი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მატერიალური და არამატერიალური აქტივების, შრომის და მომსახურების სახით.<sup>5</sup> მენარმეთა შესახებ კანონში არაფერია ნათქვამი შეფასების შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, შეიძლება განისაზღვროს აქციონერთა ურთიერთშეთანხმებით. თუ ნატურალური შენატანის ღირებულება არ არის განსაზღვრული ურთიერთშეთანხმებით, მაშინ აქციონერებმა ასეთი შენატანის შეფასება უნდა მიანდონ დამოუკიდებელ შემფასებელს.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

დამოუკიდებელი შემფასებელი არ შეიძლება იყოს კომპანიის დამფუძნებელი, მფლობელი, აქციონერი, თანამშრომელი, კონტრაქტორი ან კომპანიასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა პირი. კომპანიამ უნდა გამოიყენოს ლიცენზირებული დამოუკიდებელი შემფასებელი ქონების საბაზრო ღირებულების განსასაზღვრად, ვალის, აქტივების და ვალდებულებათა შესაფასებლად. დამოუკიდებელმა შემფასებელმა ასევე შეიძლება შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი მენეჯმენტის და აქციონერების დახმარების თვალსაზრისით კომპანიის რეორგანიზაციის პროცესში. სანიმუშო შედარებითი კორპორაციული პრაქტიკა ითვალისწინებს დამოუკიდებელი შემფასებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას.

**ბ. სანესდებო კაპიტალის ზრდა**

ისეთი სხვადასხვა ფაქტორის ერთობლიობამ, როგორცაა საბაზრო პირობები, რეორგანიზაცია, განვითარებისა და ზრდის პროგრამები, შეიძლება განაპირობოს სანესდებო კაპიტალის გაზრდა. არსებობს სანესდებო კაპიტალის გაზრდის ორი მეთოდი:

- გარე რესურსების გამოყენება, როდესაც კომპანია მოიზიდავს ფინანსურ რესურსებს არსებული აქციონერებისა და მესამე მხარეებისგან; და
- სანესდებო კაპიტალის გაზრდა შიდა რესურსებით, როდესაც კომპანია იყენებს საკუთარ სახსრებს თავისი შიდა რეზერვების კაპიტალიზაციის მიზნით.

**1. სანესდებო კაპიტალის ზრდის მეთოდები**

არსებობს სანესდებო კაპიტალის ზრდის სამი მეთოდი:

- 1 კაპიტალის ზრდა შენატანის საშუალებით;
- 2 კაპიტალის პირობითი ზრდა; და
- 3 კაპიტალის ზრდა გაუნაწილებელი მოგებიდან.

ტექნიკურად სანესდებო კაპიტალის ზრდის ყოველი მეთოდი შეიძლება განხორციელდეს:

- 1 დამატებით აქციების ემისიით; ან
- 2 გაცილებით მაღალი ნომინალური ღირებულების მქონე აქციების ემისიით.

1-ელ ცხრილში წარმოდგენილია კაპიტალის ზრდის საყოველთაოდ აღიარებული მეთოდები.

**ცხრილი 1: სანესდებო კაპიტალის ზრდა**

	შენატანის გზით კაპიტალის ზრდა	კაპიტალის პირობითი ზრდა	კაპიტალის ზრდა გაუნაწილებელი მოგებიდან
წყარო	გარე	გარე	შიდა
ინვესტორები	აქციონერები და მესამე მხარეები	კონვერტირებადი ობლიგაციების და გარანტიების მფლობელები	კომპანია (დაფინანსების შიდა რესურსების გამოყენება კანონის თანახმად)

<sup>5</sup> იქვე, მუხ. 3.5

	შენატანის გზით კაპიტალის ზრდა	კაპიტალის პირობითი ზრდა	კაპიტალის ზრდა გაუ- ნაწილებელი მოგებიდან
მიზანი	დამატებითი დაფინანსე- ბის მოზიდვა. ეს მოახდენს არსებული აქციონერების ნილის დილუციას (ინგ. <i>dilute</i> ), თუ ისინი ვერ /არ გამოიყენებენ უპირა- ტესი შესყიდვის უფლებას	ნება დაერთოთ კონვერტი- რებადი ობლიგაციების და გარანტიების მფლო- ბელებს გამოიყენონ აქ- ციებში კონვერტაციის უფლება	კომპანიის კაპიტალის ზრდა და გასაწილე- ბელები რეზერვების შემცირება
მიმღები	არსებული აქციონერები და მესამე მხარეები	კონვერტირებადი ობლიგა- ციების და გარანტიების მფლობელები	მხოლოდ არსებული აქ- ციონერები
მფლობელობის სტრუქ- ტურის ცვლილება	შესაძლებელია	დიახ	არა
კაპიტალის გაზრდის მეთოდი	დამატებითი აქციების ან უფრო მაღალი ნომინალის აქციების ემისია	დამატებითი აქციების ან უფრო მაღალი ნომინალის აქციების ემისია	დამატებითი აქციების ან უფრო მაღალი ნომინალის აქციების ემისია
განთავსების მეთოდი	გამონერა (ლია ან დახურული)	კონვერტაცია	განაწილება
მმართველი ორგანოები	აქციონერთა საერთო კრება, თუ არ მოხდა სამეთვალყურეო საბჭოზე დელეგირება	აქციონერთა საერთო კრება	აქციონერთა საერთო კრება
უპირატესი შესყიდვის უფლება	დიახ	არა	არა

## 2. განთავსების მეთოდები

არსებობს აქციების განთავსების სამი მეთოდი. ესენია:

- 1 განაწილება აქციონერებს შორის;
- 2 კონვერტირებადი ობლიგაციებისა და გარანტიების კონვერსია; და
- 3 გამონერა აქციონერების და მესამე მხარეების მიერ.

## 3. სანესდებო კაპიტალის ზრდის შიდა რესურსები

სანესდებო კაპიტალის ზრდის გამოსაყენებლად არჩეული მეთოდის საფუძ-  
ველზე კომპანიამ შეიძლება გამოიყენოს აქციონერების და/ან სხვა მხარეების  
სახსრები; კომპანიამ შეიძლება ასევე აირჩიოს კაპიტალიზაციის განხორციე-  
ლება თავისი შიდა რესურსების გამოყენებით. კომპანიამ შეიძლება გამოი-  
ყენოს შიდა რესურსები კაპიტალიზაციის მიზნებისათვის, კერძოდ:

- კომპანიის სარეზერვო ფონდი სპეციალური დანიშნულების გარეშე;
- კომპანიის მიზნობრივი (სპეციალური დანიშნულების) ფონდები, თუ კა-  
პიტალიზაცია არ ეწინააღმდეგება განსაზღვრულ მიზანს (არ შეიძლება  
ამ მიზნით თანამშრომლების ფონდის გამოყენება); და
- გაუნაწილებელი მოგება.

## 4. მფლობელობის უფლებების დაცვა სანესდებო კაპიტალის ზრდის დროს

კომპანიის მფლობელობის სტრუქტურა სავარაუდოდ შეიცვლება, თუ სანეს-  
დებო კაპიტალის გაზრდა წარმოებს გარე წყაროებიდან. როგორც უკვე აღი-  
ნიშნა, დამატებითი აქციების ემისიას მოჰყვება არსებული აქციონერების  
მფლობელობის უფლებათა შესუსტება. ამგვარად, როგორც წესი, არსებულ  
აქციონერებს აქვთ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება მათი უფლებე-  
ბის დაცვის მიზნით.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

სანესდებო კაპიტალის ზრდისას, შიდა რესურსებიდან დამატებითი აქციები უნ-  
და იქნეს განაწილებული თითოეული ტიპის და კლასის აქციების მფლობელებ-  
ზე. ამასთან, თითოეული ტიპის და კლასის ახალი აქციების რაოდენობა, რომე-  
ლიც ნაწილდება თითოეულ აქციონერზე, უნდა იყოს აქციონერის მფლობელო-

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ბაში უკვე არსებული აქციების პროპორციული. შესაბამისად, თითოეულმა აქციონერმა, რომელიც ფლობს აქციების ათწილადით გამოხატულ რაოდენობას, უნდა მიიღოს მის მფლობელობაში არსებული მთლიანი აქციების იმავე ტიპის და კლასის პროპორციული წილი.

### 5. სანესდებო კაპიტალის ზრდის პროცედურული გარანტიები

მენარმეთა შესახებ კანონით დადგენილია პროცედურები, რომლებსაც უნდა იცავდნენ სააქციო საზოგადოებები იმისათვის, რომ გაზარდონ სანესდებო კაპიტალი. მენარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად, აქციონერთა საერთო კრება ასრულებს ნამყვან როლს სანესდებო კაპიტალის ზრდაში, რამდენადაც იგი იღებს სანესდებო კაპიტალის ზრდის გადაწყვეტილებას<sup>6</sup>; ხოლო აქციების განთავსება ხორციელდება დირექტორების ან სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ<sup>7</sup>.

### 6. სანესდებო კაპიტალის შემცირების განხილვა

სანესდებო კაპიტალის შემცირების საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის გამო, რომ დიდია მისი ბოროტად გამოყენების პოტენციალი, აგრეთვე იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აქციონერებისთვის უკუგების მისაღებ ინსტრუმენტად დივიდენდების გადახდის გარეშე. სანესდებო კაპიტალის შემცირებას შეიძლება მოჰყვეს ზოგიერთი აქციონერის პრივილეგირება სხვების ხარჯზე. საჭიროა ყველა აქციონერის მიმართ თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფა. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა კომპანიას ჰყავს განსხვავებული უფლებების მქონე რამდენიმე ტიპის აქციონერი და სხვა სახის ფასიანი ქაღალდების მფლობელი.

ამავე დროს, სანესდებო კაპიტალის შემცირება დაბლა სწევს აქციონერთა ვალდებულებების დონეს და აქტივების მინიმალურ რაოდენობას, რომელიც გამომწვევითაა კრედიტორების მიმართ კომპანიის ვალდებულებათა შესრულების გარანტიად. მიუხედავად იმისა, რომ მენარმეთა შესახებ კანონში არაფერია ნათქვამი სანესდებო კაპიტალის შემცირებაზე, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს აქციონერთა საერთო კრებამ.

### 7. სავალდებულო და ნებაყოფლობითი რეზერვები

სანესდებო კაპიტალის დაცვა კრედიტორთა უფლებების უზრუნველსაყოფად შემდეგ კიდევ უფრო ღრმავდება გარკვეული დამატებითი რეზერვების შექმნის შესაძლებლობით. სანესდებო კაპიტალის მსგავსად, ასეთი რეზერვები მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის თვალსაზრისით არსებობს.

#### 1. სავალდებულო რეზერვი

მენარმეთა შესახებ კანონი კომპანიებისაგან არ მოითხოვს სავალდებულო სარეზერვო ფონდის ქონას (სავალდებულო რეზერვი). როგორც წესი, ფინანსურ ორგანიზაციებს (მაგალითად, ბანკებს) უნდა ჰქონდეთ სავალდებულო ფონდები<sup>8</sup>. მათი ძირითადი მიზანი უნდა იყოს კრედიტორების დაცვა იმის უზრუნველყოფით, რომ კომპანიის აქტივების ეს ნაწილი სანესდებო კაპიტალთან ერთად არ გადაინაწილდება აქციონერებს შორის.

#### 2. სხვა ფონდები

კომპანიამ შეიძლება ასევე შექმნას სხვა ფონდები (ნებაყოფლობითი რეზერვები). ისინი შეიძლება შეიქმნას კომპანიის ზოგადი აქტივების (მაგ., დებულებების) საფუძველზე. სარეზერვო ფონდის შექმნისა და გამოყენების გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სამეთვალყურეო საბჭომ. ეს ფონდები (მათი ნაწილი) გამოიყენება კომპანიის ზარალის დასაფარავად, აგრეთვე აქციებისა და ობლიგაციების გამოსყიდვის ხარჯების დასაფარავად, თუ კომპანიის მოგება არ არის საკმარისი მსგავსი გადახდის განსახორციელებლად.

<sup>6</sup> იქვე, მუხ. 59

<sup>7</sup> იქვე, მუხ. 59.6

<sup>8</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2008 წლის 8 სექტემბრის 350 ბრძანება „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციის და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“



## თავი

კორპორაციული  
მართვის მნიშვნელობა  
კომპანიის ფასიან  
ქალაქდებათან  
მიმართებით

## ❓ კითხვარი

- ✓ უკანასკნელად როდის შეამოწმა კომპანიამ გულდასმით საკუთარი ფინანსური საჭიროებები?
- ✓ თუ კომპანიას სჭირდება გარე დაფინანსება, როგორია ალტერნატიული წყაროები? როგორია ნასესხები და საკუთარი სახსრებით დაფინანსების უპირატესობები და ნაკლოვანებები? როგორია ხარჯები? როგორია კომპანიის ნასესხები სახსრების კაპიტალთან ფარდობის ოპტიმალური კოეფიციენტი? როგორია თითოეული ალტერნატივის კორპორაციული მართვის არსი?
- ✓ რომელია კომპანიისთვის დაფინანსების ყველაზე ადეკვატური მეთოდი და რატომ?
- ✓ შეისწავლა თუ არა კომპანიამ საერთაშორისო დაფინანსების შესაძლებლობები?
- ✓ რა უპირატესობა და ნაკლი აქვს უცხოეთის ბაზრებზე კაპიტალთან წვდომას? როგორია უცხოეთის საფონდო ბირჟაზე ლისტინგთან დაკავშირებით კორპორაციული მართვის არსი?
- ✓ რა უპირატესობა და ნაკლი აქვს საფონდო ოფციონს?

კომპანიებს დაფინანსების სხვადასხვა არჩევანი აქვთ. ინვესტიციაზე საკუთარი მოთხოვნა მათ შეიძლება დააფინანსონ კომპანიის შიგნით გენერირებული კაპიტალით ან გარე დაფინანსებით. დაფინანსების გარე წყაროებიდან შეიძლება აირჩიონ ბანკებისგან სესხის აღება ან ფასიანი ქაღალდების ემისია.

დაფინანსებასთან დაკავშირებული გადანყვეტილებები, როგორც წესი, საკმაოდ კომპლექსურია. მეთოდ(ებ)ი, რომელსაც კომპანია ირჩევს თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად, დამოკიდებულია მრავალ შიდა და გარე ფაქტორზე. კომპანიასთან დაკავშირებული ფაქტორებიდან შეიძლება გამოიყოს ზოგიერთი, მაგალითად, ფულადი სახსრების მიზნობრივი გამოყენება (იქნება ეს საბრუნავ კაპიტალთან დაკავშირებული მოკლევადიანი დაფინანსება თუ გრძელვადიანი კაპიტალის ინვესტიცია), პროცენტის გადახდის მომსახურების და ძირითადი თანხის გადახდის შესაძლებლობა და ბიზნესის ბუნება (და რისკის ხარისხი).

მნიშვნელოვან გარე ფაქტორებს მიეკუთვნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, პოლიტიკური სტაბილურობა, მისი საბანკო სისტემა და საფინანსო ბაზრები. დაფინანსების თითოეულ არჩევანს (ბანკის დაფინანსება, აქციების ან ობლიგაციების გაყიდვა) სხვადასხვა ფინანსური და სამართლებრივი ნიშნები აქვს და განსხვავებული შედეგი მოჰყვება კორპორაციული მართვის თვალსაზრისით. ამასთან, კაპიტალის თითოეულ ფორმას თავისი ხარჯი ახლავს.

მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ არის დაფინანსების ყველაზე იაფი წყარო, აქციებით დაფინანსებას უპირატესობა აქვს, რადგან კომპანიებს აძლევს კაპიტალის დიდ მოცულობასთან წვდომის საშუალებას, რომლის დაბრუნებაც არ არის საჭირო იმავე ფორმით, როგორც ეს ვალით დაფინანსების შემთხვევაშია საჭირო. თუმცა, ფასიანი ქაღალდების უდიდეს პოტენციალთან წვდომა, თავისი მილიონობით პოტენციური ინვესტორით, გარკვეული ფასი ჯდება.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ტრადიციულად, მკაცრად რეგულირებადია, რათა მინიმუმამდე დავიდეს მისი ბოროტად გამოყენების პოტენციალი. ამგვარად, მარეგულირებლები კომპანიებს მნიშვნელოვან მოთხოვნებს უწესებენ. მათი მოთხოვნით, ინვესტორებს უნდა ჰქონდეთ სრული ინფორმაცია ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკების შესახებ; და ისინი ყველაფერს უნდა აკეთებდნენ იმისათვის, რომ დაიცვან ინვესტორთა უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ სშირად ბაზრის მარეგულირებლები კრიტიკის ქარცეცხლში



ექცევიან კომპანიებისთვის დანესებული მოთხოვნების გამო, საბოლოოდ, მაინც რეალური და პოტენციური გადაცდომები ხდება მარეგულირებელი ღონისძიებებისა და კორპორაციული მართვის სტანდარტების დაკისრების მიზეზი.

ამ თავში წარმოდგენილია ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა ტიპი, რომელთა ემისიასაც ახორციელებენ კომპანიები, აგრეთვე განხილულია მათი მნიშვნელობა კორპორაციული მართვის თვალსაზრისით.

## ა. კორპორაციული ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა

### 1. ფასიანი ქაღალდების ძირითადი ტიპები – აქციები და სავალო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები)

არსებობს ფასიანი ქაღალდების ორი ძირითადი ტიპი, რომლებსაც კომპანია იყენებს კაპიტალის მოსაზიდად. ესენია: 1) აქციები და 2) კორპორაციული ობლიგაციები. აქციები წარმოადგენს მფლობელობის პოზიციას კომპანიაში, რომელსაც თან ახლავს მფლობელობასთან დაკავშირებული გარკვეული უფლებები. სავალო ფასიანი ქაღალდები, მეორე მხრივ, წარმოადგენს კომპანიასთან კრედიტორულ ურთიერთობას.

ობლიგაციები არის სავალო ფასიანი ქაღალდების ყველაზე მნიშვნელოვანი ტიპი, რომელიც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული. აქციონერებისგან განსხვავებით, ობლიგაციების მფლობელებს არ გააჩნიათ კორპორაციული მფლობელობის უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება მიენიჭოთ კონტროლის განხორციელების მნიშვნელოვანი ხარისხი გარკვეულ კორპორაციულ საქმიანობაზე კრედიტორ/დებიტორის ურთიერთობის არსებობის პერიოდში.

ობლიგაციები ითვალისწინებს ძირითადი თანხის, ისევე როგორც საპროცენტო განაკვეთის, პერიოდულ დაფარვას მისი განაღდებას ვადის დადგომამდე და მსესხებლის (კომპანიის) ვალდებულების შეწყვეტამდე ძირითადი თანხის/პროცენტის გადახდას. კორპორაციული ობლიგაციები სხვადასხვა ფორმით არსებობს და შეიძლება სტრუქტურული ზეზეული იყოს მრავალნაირად. მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის გადახდა არ წარმოებს „ნულოვანი კუპონის“ მქონე ობლიგაციებზე.

ობლიგაციის მფლობელი ასეთ შემთხვევაში იღებს კომპენსაციას დისკონტირებული შესყიდვის ფასით და ობლიგაციის ფასის თანდათანობითი აფასებით, რომლის გადახდაც მოხდება ნომინალური ღირებულებით განაღდებას ვადის დადგომისას. მრავალი განსხვავების მიუხედავად, ობლიგაციებს აქვს ერთი საერთო მახასიათებელი, ელემენტი – ეს არის პროგნოზირებადი და ხელშეკრულებით განსაზღვრული დაფარვა.

აქციებთან დაკავშირებით საქმე სხვაგვარადაა. კომპანიებს შეუძლიათ განუსაზღვრელი ვადით გამოიყენონ სააქციო კაპიტალი, მათ არა აქვთ ინვესტორებისთვის დაუყოვნებლივ გადახდის ვალდებულება. ინვესტორების კომპენსაცია ხდება მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციებისთვის, აგრეთვე მათ შესაძლებლობა აქვთ გაზარდონ თავიანთი კაპიტალი (მათი აქციების ღირებულების ზრდის შედეგად) და/ან მიიღონ დივიდენდები მართვის უფლებასთან ერთად. ინვესტორის პოზიციიდან გამომდინარე, აქციები, როგორც ინვესტიცია, საერთოდ, უფრო რისკიანია, ვიდრე ობლიგაციები.

კაპიტალის გაზრდა არასოდეს არის გარანტირებული (ფასები იზრდება და მცირდება) და კომპანიები არ არიან ვალდებული, დივიდენდები გადაუხადონ ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს. სააქციო კაპიტალთან დაკავშირებული რისკის მართვის ერთ-ერთი მეთოდია აქციონერებისთვის მართვის უფლების მინიჭება (უფლებების სრული ნაკრები ჩვეულებრივი აქციების შემთხვევაში, ხოლო უფლებების შეზღუდული ნაკრები პრივილეგირებული აქციების შემთხვევაში). რისკის მართვის კიდევ ერთი ხერხი და კაპიტალის ხარჯის უფრო მეტად შემცირების მეთოდია ის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ამ უფლებათა ერთნაირი პატივისცემა და ადეკვატური დაცვა. ფინანსური თვალსაზრისით, სწორედ ეს გვეხმარება სანიშნო კორპორაციული მართვის განსაზღვრაში.

რისკთან დაკავშირებით არსებული განსხვავების მნიშვნელოვანი შედეგია ის,

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII


რომ სააქციო კაპიტალი კომპანიისთვის ხშირად გაცილებით ძვირია, ვიდრე ობლიგაციები ან საბანკო სესხი. ფინანსების ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური წესი ასეთია: რაც უფრო მაღალია რისკის ხარისხი, მით უფრო დიდია ასეთი გარისკვისგან მიღებული უკუგების მოლოდინი (მოთხოვნა). იმის გათვალისწინებით, რომ რამე ინვესტიციაზე უკუგების მიღების რისკი აქციებისთვის უფრო მაღალია, ვიდრე ობლიგაციებისთვის ან სხვა სასესხო ოპერაციებისთვის, ინვესტორები კომპანიებს უფრო მაღალ ფასს სთხოვენ მათი კაპიტალის გამოყენებისთვის და აწესებენ ე.წ. „რისკის პრემიას“.

ინვესტორებისა და კომპანიებისთვის აქციებთან და ობლიგაციებთან დაკავშირებული უპირატესობანი და ნაკლი ნარმოდგენილია 1-ელ ცხრილში.

**ცხრილი 1:** აქციების და ობლიგაციების შედარება

	აქციები	ობლიგაციები
ინვესტიციის ხანგრძლივობა	შეუზღუდავი. კომპანია არ ფარავს ინვესტიციას. კომპანია არ არის შეზღუდული იმით, თუ როგორ განახორციელოს ინვესტიცია	ობლიგაციებს განსაზღვრული განაღდებას თარიღი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ობლიგაციები სხვადასხვანაირია, ძირითადი თანხის დაბრუნება, როგორც წესი, ხდება პროცენტთან ერთად. დაფარვა პროგნოზირებადია და რეგულარული, რითაც შემცირებულია ობლიგაციის მფლობელის რისკი
ვალდებულებები, რომლებიც განხორციელებულია ინვესტიციის საპასუხოდ	ინვესტორები შეიძლება ელოდნენ დივიდენდების მიღებას, როდესაც კომპანია ახდენს დიდი მოცულობის ფულადი ნაკადების გენერაციას. თუმცა, დივიდენდების გადახდა ხდება კომპანიის გადაწყვეტილების შესაბამისად	კომპანიამ უნდა დაფაროს ძირითადი თანხა და, ზოგადად, გადაიხადოს კუპონი
მართვის უფლებები	ჩვეულებრივი აქციების ემისიისას, ინვესტორი იღებს მართვის უფლებებს. პრივილეგირებული აქციების ემისიისას, აქციონერს მართვის უფლებები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ენიჭება. მართვის უფლებები და მათი განხორციელება ამცირებს სააქციო ინვესტიციის რისკს	ობლიგაციების მფლობელებს მართვის უფლება არ ენიჭებათ
ინვესტიციის უზრუნველყოფის სიმარტივე	სააქციო ინვესტიციის უზრუნველყოფის სიმარტივე დამოკიდებულია რიგ გარე და შიდა ფაქტორებზე. საბოლოოდ, აქციების შეთავაზების მიმზიდველობა დამოკიდებულია კომპანიის სამომავლო პერსპექტივაზე და მის უნარზე, დაარწმუნოს ინვესტორები, რომ სანიმუშო კორპორაციული მართვა და, კერძოდ, ინვესტორთა უფლებები კომპანიის თავისუფალი ფულადი ნაკადების მიმართ დაცული იქნება. ამასთან ერთად, კომპანიის სიჯანსაღე, სანიმუშო კორპორაციული მართვასთან შესაბამისობის ჩათვლით, გავლენას ახდენს სააქციო კაპიტალისთვის გადახდილ ფასზე	ობლიგაციები მიმზიდველია იმ ინვესტორებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან პროგნოზირებადი და გარანტირებული უკუგებით. კომპანიის სიჯანსაღე, სანიმუშო კორპორაციული მართვასთან შესაბამისობის ჩათვლით, მნიშვნელოვანია კომპანიის საკრედიტო რეიტინგისთვის და გავლენას ახდენს ნასესხები სახსრების ფასზე

	აქციები	ობლიგაციები
ხარჯი	კომპანიის პოზიციიდან გამომდინარე, აქციები შეიძლება უფრო ძვირი იყოს, ვიდრე ობლიგაციები. ინვესტორები ანესებენ „რისკის პრემიას“ აქციებთან დაკავშირებული შედარებით მაღალი რისკის გამო	ობლიგაციები ნაკლებად რისკიანია და ინვესტორები ანესებენ შედარებით დაბალ „რისკის პრემიას“. ამიტომ, ობლიგაციები ნაკლებად ძვირია კომპანიისთვის, ვიდრე აქციები
უპირატესობანი	ინვესტორთა უმრავლესობა კომპენსაციას იღებს კაპიტალის გაზრდით (აქციების ფასის გაზრდა კაპიტალის ბაზრებზე). თუ კომპანია ახდენს ფულადი ნაკადების საკმარისი მოცულობის გენერაციას, აქციონერმა შეიძლება მიიღოს დივიდენდი. პოტენციური გრძელვადიანი უკუგება აქციებზე, როგორც ინვესტიციის კლასზე, უფრო მაღალია, ვიდრე ობლიგაციების შემთხვევაში	ობლიგაციის მფლობელი უკან იღებს ძირითად თანხას ინვესტიციის განხორციელებისთვის განკუთვნილი კომპენსაციის საშუალებით, როგორც წესი, პროცენტის სახით. ზოგადად, პროცენტის გადახდა წინასწარ ფიქსირებულია და პროგნოზირებადი. კომპანიის დეფოლტის შემთხვევაში, ობლიგაციები გარკვეულ გარემოებებში შეიძლება მაინც გაიყიდოს ბაზარზე ფასდათმობით, რაც იმას ნიშნავს, რომ ობლიგაციის მფლობელმა შეიძლება არ დაკარგოს თავისი ინვესტიციის სრული თანხა
რისკები	აქციებზე მაღალი უკუგება რისკის უფრო მაღალი დონის შედეგია. აქციების ფასები ზოგჯერ საკმაოდ დრამატულად მერყეობს. კაპიტალის გაზრდა აქციებზე გაურკვეველია და დივიდენდის გადახდაც არ არის გარანტირებული. კომპანიის გადახდისუუნარობის შემთხვევაში, აქციონერები, როგორც წესი, არიან უკანასკნელი რგოლი, რომლებიც მიიღებენ კომპენსაციას. გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, აქციონერებმა შეიძლება დაკარგონ თავიანთი ინვესტიციის სრული ღირებულება	კომპანიამ ფულის მიღების შემთხვევაში შეიძლება ის გამოიყენოს უფრო რისკიანი საქმიანობის დასაფინანსებლად, ვიდრე ეს ობლიგაციის მფლობელს ჰგონია. ამ შემთხვევაში, ობლიგაციის მფლობელი ნაკლებად იქნება დაცული. დეფოლტის შემთხვევაში, ობლიგაციის მფლობელი მიიღებს სამართლებრივი ინსტრუმენტების ნაკრებს თავისი სახელშეკრულებო უფლებების გამოსაყენებლად, კომპანიის გადახდისუუნაროდ გამოცხადების ჩათვლით. თუმცა, კომპანიის გადახდისუუნაროდ გამოცხადება, ზოგადად, არ შედის ობლიგაციის მფლობელის ინტერესებში. თუ ობლიგაცია უზრუნველყოფილია, ობლიგაციის მფლობელის რისკი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი



## 2. ფასიანი ქაღალდების ფორმა

ფასიანი ქაღალდების ემისია უნდა განხორციელდეს გარკვეული ფორმით და შეესაბამებოდეს სამართლებრივ მოთხოვნებს. ფასიანი ქაღალდები შეიძლება იყოს ორი ძირითადი ფორმის. ესენია: მატერიალური ფასიანი ქაღალდები, რომლის ემისიაც ხდება ქაღალდის სახით, და არამატერიალური ფასიანი ქაღალდები, რომელსაც ხშირად „უქაღალდო“ ან „დემატერიალიზებულ“ ფასიან ქაღალდებს უწოდებენ.

მატერიალური ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებები განერილია სერტიფიკატში. არამატერიალური ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებები ემყარება ჩანაწერს საობლიგაციო ან აქციონერთა რეესტრში (საბანკო ანგარიშის მსგავსად, რომელიც ასახავს მენაბრის უფლებებს ფულად სახსრებზე).

საქართველოში აქციები შეიძლება გამოშვებულ იქნეს მხოლოდ „უქალაღლო“ ფორმით (ელექტრონული ჩანაწერის ფორმა).<sup>1</sup>

### 3. ადგილობრივი ემიტენტები საერთაშორისო ბაზრებზე და უცხოელი ემიტენტების ფასიანი ქაღალდები ადგილობრივ ბაზარზე

კომპანიებს კაპიტალის მოზიდვა შეუძლიათ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე. ამისათვის მათ შეიძლება აწარმოონ აქციებისა და ობლიგაციების ემისია უშუალოდ უცხოურ საფონდო ბირჟებზე; მათ შეუძლიათ აგრეთვე აქციები გამოუშვან არაპირდაპირ - დეპოზიტარის მონაწილის მეშვეობით. დეპოზიტარის მონაწილეობა მოითხოვს სანციის ფასიანი ქაღალდის რეგისტრაციას უცხოური სატრასტო კომპანიის ან ბანკის სახელზე (როგორც წესი, ეს უკანასკნელი უფრო გავრცელებულია). ბანკი მონაწილეობს უსაფრთხოდ შენახვაში და აქციების ნაცვლად გასაცემს ქვითარს. აღნიშნულ ქვითარს უწოდებენ „დეპოზიტარის მონაწილას“.

ამ სისტემის შემუშავება განაპირობა იმან, რომ მსოფლიოს უდიდეს კაპიტალის ბაზრებზე ინვესტორები წაანყდნენ სირთულეს - მათ მიერ შექმნილი უცხოური აქციების თავიანთ სახელზე რეგისტრაციას შეიძლება რამდენიმე თვე დასჭირდეს. ეს სისტემა კომპანიებისთვისაც მიზიდველია, რადგან მათ საშუალება ეძლევათ თავი დაიმკვიდრონ უცხოურ ბაზრებზე სრული ემისიის პროცესის გავლის აუცილებლობის გარეშე. ამ სისტემის კორპორაციული მართვის არსი ისაა, რომ სადეპოზიტო მონაწილეობის ქართველმა ემიტენტებმა შეიძლება ხშირად ვერ დააკმაყოფილონ კორპორაციული მართვის როგორც უცხოურ, ისე საქართველოს ბაზარზე მოქმედი სტანდარტები.

## ბ. ფასიანი ქაღალდების ტიპები

### 1. აქციები

აქციები მის მფლობელს ანიჭებს ქონებრივი და მართვის უფლებების ნაკრებს და აქვს რამდენიმე ფუნდამენტური მახასიათებელი:

- მფლობელის სახელი - საქართველოში აქციები შეიძლება გამოშვებულ იქნეს როგორც რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდები.<sup>2</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ მფლობელის იდენტიფიკაცია სავალდებულოა აქციონერთა უფლებების განსახორციელებლად და რეესტრში აქციონერის ვინაობის შესატანად. რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდები ხელს უწყობს კომპანიის მფლობელობის სტრუქტურის გამჭვირვალობის ამაღლებას და აქციონერთა უფლებების დაცვას.
- მფლობელის უფლებები - აქციები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. კონკრეტულ აქციებთან დაკავშირებული უფლებები განსაზღვრულია კომპანიის წესდებით.<sup>3</sup>
- ნომინალური ღირებულება - თითოეულ აქციას აქვს ნომინალური ღირებულება. აქციების ნომინალური ღირებულება შეიძლება განისაზღვროს წესდებით და გამოყენებულ იქნეს სანესდებო კაპიტალის გასაანგარიშებლად.<sup>4</sup> აქციების ნომინალური ღირებულების ცვლილება კომპანიის კაპიტალის ზრდის, შემცირების ან რესტრუქტურის მიზნით უნდა შეესაბამებოდეს სპეციალურ პროცედურას.

აქციების ნომინალური ღირებულება იშვიათად ასახავს კომპანიის საბაზრო ღირებულებას. სხვაობა აქციების ნომინალურ ღირებულებასა და ბაზარზე ვაჭრობაში აქციების მონაწილეობის დროს დაფიქსირებულ ფასს შორის შეიძლება ძალზე დიდი იყოს. ამასთან, საბაზრო ფასები მუდმივად იცვლება და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მიწოდების და მოთხოვნის მასშტაბსა და ფასებზე.

აქციების ღირებულება შეიძლება განსაზღვროს ინვესტორებმა და სხვა პროფესიონალებმა სხვადასხვა ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით. ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფაქტორის გავლენის ნიშნაც, რომლებიც გავლენას ახდენს საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებაზე, მაგალითად ისეთის, როგორც კომპანიის მიმდინარე საქმიანობა და სამომავლო პერსპექტივები, მისი დივიდენდების პოლიტიკა, კომპანიის და მისი მენეჯმენტის რეპუტაცია, მაკროეკონომიკური მდგომარეობა და ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა (ან ხელის შეშლა) მთავრობის მიერ. ამ თვალსაზრის-

<sup>1</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 51.1 და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 10.1

<sup>2</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 51.1

<sup>3</sup> იქვე, მუხ. 52.1

<sup>4</sup> იქვე, მუხ. 69.6

სით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც დიდ გავლენას ახდენს პოტენციური ინვესტორის გადწყვეტილებაზე განახორციელოს ინვესტიცია კომპანიის აქციებში, არის კომპანიის მართვის ხარისხი, რადგან ის უშუალოდ უკავშირდება კომპანიაში ინვესტორის, როგორც მფლობელის, ინტერესების დაცვის შესაძლებლობას.

**2. ობლიგაციები**

ობლიგაციები არის ფასიანი ქაღალდები, რომელთა საშუალებითაც კომპანიები მოიზიდავენ სასესხო კაპიტალს. ობლიგაციას აქვს შემდეგი მახასიათებლები:

**ა) რეგისტრირებული და არასახელობითი (წარმოდგენზე გაცემული) ობლიგაციები**

აქციების მსგავსად, ობლიგაციების ემისია უნდა განხორციელდეს ისე, როგორც რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების ემისია.<sup>5</sup>

**შეღარებითი პრაქტიკა**

საქართველოსგან განსხვავებით, ობლიგაციების ემისია ბევრ ქვეყანაში შეიძლება განხორციელდეს როგორც არასახელობითი ფასიანი ქაღალდების ემისია. წარმოდგენზე გაცემული ობლიგაციების ემისია წარმოებს სერტიფიკატებით, რომლებიც შეიცავს განსაზღვრულ სამართლებრივ მოთხოვნებს. წარმოდგენზე გამოშვებულმა ობლიგაციებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ობლიგაციების გადაცემას და შეამციროს ობლიგაციების რეესტრის სანარმოებლად საჭირო კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები. აღნიშნული უპირატესობის მიუხედავად, არასახელობითი ობლიგაციების გამოყენებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ფასიანი ქაღალდების და საგადასახადო კანონების დარღვევა. ადვილად გადაცემის შესაძლებლობის გამო, წარმოდგენზე გაცემული ობლიგაციების მფლობელები შეიძლება არ მოითხოვდნენ კანონების მკაცრად დაცვას ამ ობლიგაციების სხვა პირზე გაყიდვის დროს, როგორც ეს ხდება რეგისტრირებული ობლიგაციების გაყიდვის შემთხვევაში. ამიტომ, წარმოდგენზე გაცემული ფინანსური ინსტრუმენტების დიდი ნაკლია ის, რომ ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ კრედიტორებისგან ან საგადასახადო ორგანოებისგან აქტივების დაფარვის საშუალებას.

**ბ) ნომინალური ღირებულება**

ობლიგაციების ემისია ხორციელდება დადგენილი სანყისი ღირებულებით. ობლიგაციების სანყისი ღირებულებას ყველაზე ხშირად უწოდებენ „ნომინალურ ღირებულებას“.<sup>6</sup>

**საუკეთესო პრაქტიკა**

ობლიგაციების მფლობელების ინტერესებშია (და, ალბათ, აქციონერთა ინტერესებშიც), რომ კომპანიის მიერ გამოშვებული ყველა ობლიგაციის ნომინალური ღირებულება არ აღემატებოდეს: 1) სანესდებო კაპიტალის ღირებულებას, ან 2) ობლიგაციების ემისიის მიზნით კომპანიისთვის მესამე მხარის მიერ წარდგენილი გარანტიის ღირებულებას. ნებისმიერ შემთხვევაში, ობლიგაციების ემისია არ შეიძლება განხორციელდეს სანესდებო კაპიტალის სრულად შევსებამდე.

**გ) ობლიგაციის მფლობელთა უფლებები**

ობლიგაციის მფლობელს აქვს კრედიტორის უფლებები და უფლებამოსილია:

- **გაანადღოს ობლიგაცია ნომინალური ღირებულებით განაღდების ვადის დადგომისას.** კომპანიას შეუძლია განახორციელოს ობლიგაცი-

<sup>5</sup> აღნიშნული გამომდინარეობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონიდან, მუხ. 2.32 და მუხ. 10.1. ასევე იხ. საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2008 წლის 1 ივლისის 3 ბრძანება „სანარმოთა ობლიგაციების ემისიის პროსპექტებისა და განთავსების ანგარიშების შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე“  
<sup>6</sup> საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2008 წლის 1 ივლისის 3 ბრძანება „სანარმოთა ობლიგაციების ემისიის პროსპექტებისა და განთავსების ანგარიშების შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე“, მუხ. 2 (კ)

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

ების ემისია განაღდების სხვადასხვა ალტერნატივით. მას შეუძლია ობლიგაციების გამოშვება დაფარვის იგივე პერიოდით ან ობლიგაციების სერიის ემისია გადახდის სხვადასხვა პერიოდით. კომპანიას ასევე შეუძლია გაითვალისწინოს ადრეული განაღდების შესაძლებლობა მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში;<sup>7</sup>

- **მიიღოს ობლიგაციის საპროცენტო სარგებელი.** ობლიგაციაზე გადასახდელ პროცენტს, როგორც წესი, კუპონს უწოდებენ (უწინ ობლიგაციების ემისია წარმოებდა მიმაგრებული კუპონებით და მისი წარდგენა ხდებოდა გადახდის ნაცვლად).<sup>8</sup>

რადგან ობლიგაციების გადაცემა თავისუფლად ხდება, ობლიგაციის მფლობელს შეუძლია კუთვნილი ობლიგაციის სხვა ინვესტორისთვის მიყიდვა. ისე როგორც აქციები, არც ობლიგაციები ექვემდებარება საბაზრო ფასწარმოქმნის მექანიზმს. ეს იმას ნიშნავს, რომ ობლიგაციის ფასი სულ იცვლება და ობლიგაციების მფლობელები მუდმივად იგებენ და აგებენ ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვის შედეგად.

#### დ) უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები

კომპანიებს შეუძლიათ როგორც არაუზრუნველყოფილი, ისე უზრუნველყოფილი ობლიგაციების ემისია.<sup>9</sup>

### შეღარებითი პრაქტიკა

ზოგიერთ ქვეყანაში ახალდაარსებულმა კომპანიებმა რამდენიმე წლის განმავლობაში შეიძლება არ გამოუშვან არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები. ამ წესით ობლიგაციის მფლობელები დაცული არიან ახალი საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებული რისკებისგან.

უზრუნველყოფილი ობლიგაციები მის მფლობელებს დამატებით იცავს კომპანიის დეფოლტის შემთხვევაში. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი გარანტიები, როგორიცაა:

- **ქონების დაგირავება.** შეიძლება ფასიანი ქაღალდების დაგირავება. ერთი და იმავე ემისიის უზრუნველყოფილი ობლიგაციების ყველა მფლობელს თანაბარი უფლება აქვს დაგირავებულ ქონებასთან დაკავშირებით.
- **მესამე მხარის გარანტია.** ეს შეიძლება წარედგინოს კომპანიას ობლიგაციების ემისიის მიზნებისათვის. იგი შეიძლება იყოს საბანკო გარანტია, კორპორაციული (მაგალითად, მშობელი კომპანიის მიერ წარდგენილი შეილობილი კომპანიის გამოშვებული ობლიგაციებისთვის) ან პირადი გარანტია. გარანტორები ერთად და ცალ-ცალკე პასუხისმგებელი არიან ობლიგაციის განაღდებისათვის.

უზრუნველყოფილი ობლიგაციის ემისია იმას ნიშნავს, რომ გარანტიის მოთხოვნები უნდა შესრულდეს (გირავნობა, იპოთეკა ან საბანკო გარანტია) ობლიგაციის ემისიასთან დაკავშირებულ ჩვეულებრივ მოთხოვნებთან ერთად.

ობლიგაციების განაღდება სპეციალური სარეზერვო ფონდის შექმნით შეიძლება იყოს დაცული, რომლის გამოყენებაც შეიძლება სხვადასხვა ღონისძიებისთვის, მათ შორის ობლიგაციის გასანაღდებლად.

#### ე) კონვერტირებადი ობლიგაციები

კომპანიებს ასევე შეუძლიათ ობლიგაციების ემისია, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას აქციებად.<sup>10</sup> საერთაშორისო პრაქტიკაში კონვერტირებადი ობლიგაციები შეიძლება: 1) პირდაპირ გარდაიქმნას აქციებად; ან 2) ანაზღაურდეს აქციებით.

#### ვ) ობლიგაციის მფლობელის ინტერესსა და აქციონერის ინტერესს შორის განსხვავება

როგორც აქციონერები, ისე ობლიგაციების მფლობელები დაინტერესებული

<sup>7</sup> იქვე, მუხ. 2 (ნ)

<sup>8</sup> იქვე, მუხ. 2 (მ)

<sup>9</sup> იქვე, მუხ. 4.2 (ბ) და (დ)

<sup>10</sup> იქვე, მუხ. 2 (ფ)

არიან კომპანიის მომგებიანობით და მისი სიჯანსაღით. აქციონერებისთვის ჯანსაღი კომპანია ახორციელებს თავისუფლი ფულადი ნაკადების გენერაციას, რომელიც ძირითადად განაპირობებს მაღალ საბაზრო შეფასებას. ჯანსაღი კომპანიები, სავარაუდოდ, უფრო იხდიან დივიდენდებს, ვიდრე არაჯანსაღი კომპანიები. ობლიგაციის მფლობელებისთვის ჯანსაღი კომპანია ამცირებს დეფოლტის ანუ ობლიგაციის ძირითადი თანხის და საპროცენტო სარგებლის განაღდების ვალდებულების შეუსრულებლობის რისკს. მოკლედ, წარმატებულ და მომგებიან კომპანიას ორივე მხარისთვის შეუძლია შესაბამისი ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების გაზრდა.

თუმცა, ამ ორი ტიპის ინვესტორთა ინტერესებს შორის არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება:

- **ინტერესების განსხვავება ყველაზე თვალსაჩინოა კომპანიის გადახდისუნარიანობის დროს.** გადახდისუნარიანობა გამოცხადების პროცედურების მიმდინარეობისას განსხვავებული პრიორიტეტები ენიჭება მოთხოვნის უფლების მქონე პირების სხვადასხვა ტიპს. ზოგადად, კრედიტორთა მოთხოვნები (მათ შორის, ობლიგაციის მფლობელთა მოთხოვნები) კმაყოფილდება ყოველთვის აქციონერთა მოთხოვნებამდე.
- **მეორე განსხვავება ობლიგაციების კონვერსიაშია.** აქციონერები ყოველთვის დაინტერესებული არიან, მინიმუმამდე დაიყვანონ თავიანთი მფლობელობის შემცირების შესაძლებლობა. გარკვეულწილად, ამის გამო, რომ აქციონერები სარგებლობენ მართვის ერთგვარი უფლებებით, ამიტომ ის გადანყვეტილებები, რომლებსაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მფლობელობაში არსებული ნილის შემცირება, ყოველთვის აქციონერთა საერთო კრებამ უნდა დაამტკიცოს. აღნიშნულის მსგავსად, კონვერტირებადი ობლიგაციების მფლობელები დაინტერესებული არიან კაპიტალის შემცირების პრევენციით ან აქციების გამოსყიდვით, როდესაც ეს ეწინააღმდეგება მათი კონვერსიის უფლებების გამოყენებას.
- **აქციონერთა და ობლიგაციების მფლობელთა ინტერესები ასევე განსხვავდება რისკთან მიმართებით.** აქციონერები, როგორც წესი, უფრო მეტად რისკავენ, ვიდრე ობლიგაციის მფლობელები პოტენციურად უფრო მაღალი უკუგების მიღების ნაცვლად. თუ კომპანია წარმატებით შეეჭიდება უფრო მაღალ რისკებს, მაშინ აქციონერთა მიერ მიღებული უკუგება გაცილებით მეტი იქნება, ხოლო, თუ კომპანიის რისკი წარუმატებელად დამთავრდება, გაცილებით დიდი იქნება მიღებული ზარალი. მეორე მხრივ, ობლიგაციის მფლობელები ყოველთვის იღებენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ იმავე უკუგებას კომპანიის მიერ განხორციელებულ პროექტთან დაკავშირებული რისკის ხარისხის მიუხედავად. ობლიგაციის მფლობელს მხოლოდ მაშინ მიადგება ზარალი, თუ კომპანიის წინაშე არსებულ რისკებს საბოლოოდ კომპანიის გადახდისუნარიანობა მოჰყვება. ეს განსაკუთრებით ეხებათ არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების მფლობელებს. ობლიგაციის მფლობელებს ყოველთვის აქვთ იმედი, რომ მოხდება პროგნოზირებადი და სტაბილური ფულადი ნაკადების შემოდინება და, შეძლებისდაგვარად, კომპანიის რისკის პროფილის შემცირება.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ზოგიერთი ქვეყნის სამენარმეო კანონმდებლობით აქციონერებისა და ობლიგაციების მფლობელების ინტერესთა კონფლიქტის დასაბალანსებლად განსაზღვრულია ისეთი სპეციალური ღონისძიებები, როგორიცაა:

- ობლიგაციის მფლობელებისთვის საკონსულტაციო უფლებათა მინიჭება. მაგალითად, საფრანგეთში ობლიგაციების მფლობელებთან უნდა გაიმართოს კონსულტაციები ისეთ საკითხებზე, როგორცაა ობლიგაციების რეორგანიზაცია ან ემისია, რომლებიც უზრუნველყოფილია კომპანიის მნიშვნელოვანი აქტივებით.
- ობლიგაციების მფლობელებისთვის აქციონერთა საერთო კრების (GMS) მსვლელობისას დოკუმენტების შემოწმების საშუალების მიცემა, მაგალითად, როგორც ეს გერმანიაშია.
- აქციების გამოსყიდვის ან კაპიტალის შემცირების აკრძალვა, როდესაც ობლიგაციები ღიაა კონვერსიის ან გამონერისთვის, მაგალითად, როგორც ეს საფრანგეთშია.

<sup>39</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 54.2

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

საქართველოს კანონმდებლობით ობლიგაციების მფლობელებს განსაკუთრებული უფლებები არა აქვთ მინიჭებული, მაგრამ ეს ქართულ კომპანიებს ხელს არ უშლის, მიიწვიონ ობლიგაციების მფლობელები აქციონერთა საერთო კრებაზე ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე. საფრანგეთის მსგავსად, ინფორმაცია შეიძლება ასევე გაეგზავნოს ობლიგაციების მფლობელებს მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საკითხების შესახებ. კომპანიებმა შეიძლება მოინდომონ სპეციფიკური პოლიტიკის შემუშავება ობლიგაციების მფლობელებთან დაკავშირებით და მოახდინონ მათი ინტეგრაცია კორპორაციული მართვის საერთო პროგრამებში.

### გ. ფასიანი ქაღალდების ემისია

ფასიანი ქაღალდების ემისია კომპლექსური პროცესია, რომელიც მოიცავს ფულადი სახსრების გადაცემას სპეციფიკური კონტროლის და ფულად ნაკადებზე უფლებების სანაცვლოდ (რწმუნების და გარანტიის სხვადასხვა დონის შესაბამისად). კაპიტალის ეფექტიანი ბაზრები კომპანიებს ეხმარება კაპიტალის მოზიდვაში მისი ნაყოფიერად გამოყენების მიზნით. ეს ბაზრები ასევე საშუალებას აძლევს ინვესტორებს მიიღონ საკუთარი კაპიტალის უკუგება (რომელიც სხვაგვარად შეიძლება უმოქმედო იყოს) და შეარჩიონ ინვესტიციები, რომლებიც შეესაბამება რისკისა და უკუგების მათთვის სასურველ დონეს.

კაპიტალის ბაზრებზე შეუძლებელია კაპიტალის მომხმარებლებისა და მიმწოდებლების ეფექტიანი დაკავშირება, თუ ბაზრები არასწორად/ბოროტად გამოიყენება. სამწუხაროდ, საფინანსო ბაზრების ისტორია საკვება ასეთი მაგალითებით. ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობა ძირითადად შემუშავდა ბაზრის ბოროტად გამოყენების და წარუმატებლობის საპასუხოდ. მისი მიზანია კომპანიებისა და ინვესტორების ინტერესების დაცვა და კაპიტალის ბაზრების ფუნქციისა და ეფექტიანობის გაძლიერება.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით განსაზღვრულია საჯარო შეთავაზების საშუალებით ფასიანი ქაღალდების ემისიის პირობები და მეთოდები. ამ სახელმძღვანელოს გამოქვეყნების მომენტისათვის ემისიის გამჭვირვალობისა და კანონიერების უზრუნველყოფის უფლება გადაცემული ექნება საქართველოს ეროვნული ბანკს (სებ).

ასევე აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ აღნიშნული ფასიანი ქაღალდების რეგულირება ფოკუსირებულია ღია სააქციო საზოგადოებების აქციების გამოშვების ვალდებულებაზე, რაც პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ კერძო შეთავაზების პირობები და მეთოდები განსხვავებულია დახურულ კომპანიებთან შედარებით.

აქციების ემისიასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნები განსხვავდება განთავსების მეთოდის გათვალისწინებით, აგრეთვე იმის მიხედვით - ემიტენტი ღია კომპანიაა, თუ დახურული.

ობლიგაციების ემისია უნდა განხორციელდეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი კანონისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.<sup>11</sup>

ფასიანი ქაღალდების ემისია მოიცავს რიგ ნაბიჯებს, რომლებიც დეტალურად იქნება განხილული ქვემოთ:

#### 1. გადაწყვეტილების მიღება ფასიანი ქაღალდების განთავსებასთან დაკავშირებით

თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კომპანიის წესდებით, გადაწყვეტილებას საფონდო ბრყაზე აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ იღებს დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით.<sup>12</sup>

<sup>11</sup> ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2008 წლის 1 ივლისის 3 ბრძანება „სანარმოთა ობლიგაციების ემისიის პროსპექტივისა და განთავსების ანგარიშების შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე“, მუხ. 4.2 (დ)

<sup>12</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 55.8 (ი) და მუხ. 59.6



## შეღარებითი პრაქტიკა

ობლიგაციების ემისიასთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღების პროცედურა შეღარებით ადვილია, ვიდრე სხვა დანარჩენი ფასიანი ქალაღდების შემთხვევაში, რაც შეიღლება დამატებითი სტიმული იყოს მათ გამოსაყენებლად. თუმცა, წესდებით შეიღლება გათვალისწინებული იყოს დამტკიცების შეღარებით უფრო მკაცრი მოთხოვნები, მაგალითად, ობლიგაციების სპეციფიკურ ტიპებთან დაკავშირებით.

ფასიანი ქალაღდების ემისიის შესახებ გადანყვეტილებას იღებს აქციონერთა საერთო კრება.<sup>13</sup> იგი ძირითადი დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს ფასიანი ქალაღდების და კომპანიის მფლობელთა უფლებებს.

მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების შინაარსი დამოკიდებულია თითოეული ემისიის გარემოებაზე, მასში ძირითადად ასახული უნდა იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ემიტენტი კომპანია, მისი სრული დასახელება, საქმიანობის ადგილი და საფოსტო მისამართი;
- გადანყვეტილება ფასიანი ქალაღდების ემისიის შესახებ, ანუ თარიღი და გადანყვეტილების მიმღები ორგანო;
- გამოსაშვები ფასიანი ქალაღდები, ანუ ტიპი და კლასი, მათი ნომინალური ღირებულება, ფასიანი ქალაღდების მფლობელთა უფლებები და საემისიო ფასიანი ქალაღდების რაოდენობა; და
- განთავსების პირობები.

ობლიგაციების შემთხვევაში გადანყვეტილებაში უნდა აისახოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ობლიგაციის განაღდების ფორმა (ფულადი ან ნატურალური);
- განაღდების თარიღი (და, საჭიროების შემთხვევაში, ვადამდელი განაღდების დეტალები);
- განაღდების სხვა ფორმები, ანუ გადახდის ფასი, თუ ვადამდელი განაღდება შესაძლებელია და სხვ.<sup>14</sup>

### 2. საჯარო შეთავაზების პროსპექტის დამტკიცება

კომპანიამ, რომელიც აპირებს საჯარო შეთავაზებას, პროსპექტი და სხვა დოკუმენტები უნდა წარუდგინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს (სებ)<sup>15</sup> ფასიანი ქალაღდების საჯარო შეთავაზება შეიღლება მოხდეს მხოლოდ სებ-ის მიერ პროსპექტის დამტკიცების შესახებ გადანყვეტილების მიღების შემდეგ.<sup>16</sup> პროსპექტი წარმოადგენს დოკუმენტს, რომლის მეშვეობითაც ინვესტორები იღებენ ინფორმაციას ფასიანი ქალაღდების ემიტენტის, ასეთი ფასიანი ქალაღდებიდან გამომდინარე უფლებების და მოვალეობების, მათ შორის რისკების, უკუგების და ინვესტიციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა შესაბამისი გარემოებების შესახებ.

## საუკეთესო პრაქტიკა

მაშინაც კი, თუ რეგისტრირებული პროსპექტი არ არის საჭირო ემისიისთვის, კომპანიებს შეუძლიათ პროსპექტის ნებაყოფლობით დარეგისტრირება ფასიანი ქალაღდების ემისიის შედეგების შესახებ ანგარიშის წარდგენის შემდეგ.

პროსპექტის მომზადება გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. კანონი ფასიანი ქალაღდების ბაზრის შესახებ უფლებამოსილებას ანიჭებს საქართველოს ეროვნულ ბანკს განსაზღვროს გამარტივებული მოთხოვნები პროსპექტისთვის კომპანიის ტიპის, გამოსაშვები ფასიანი ქალაღდების და კომპანიის ჩანაწერების საფუძველზე.<sup>17</sup>

<sup>13</sup> იქვე, მუხ. 52 და 59

<sup>14</sup> საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2008 წლის 1 ივლისის 3 ბრძანება „საწარმოთა ობლიგაციების ემისიის პროსპექტებისა და განთავსების ანგარიშების შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე“, მუხ. 4.2

<sup>15</sup> ფასიანი ქალაღდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 4.2

<sup>16</sup> იქვე, მუხ. 4.1

<sup>17</sup> იქვე, მუხ. 4.3, 4 და 6

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ა) პროსპექტის შინაარსი

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი შეიცავს დეტალურ დებულებებს, რომლებითაც განსაზღვრულია პროსპექტში შესატანი ინფორმაცია. კერძოდ:

- ზოგადი ცნობები ემიტენტი კომპანიის შესახებ;
- მონაცემები გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ემიტენტი კომპანიის შესახებ (მაგალითად, ინფორმაცია კომპანიის მმართველობითი ორგანოების ნევრების შესახებ, გარე აუდიტორის ანგარიში ბოლო ორი წლის განმავლობაში, საჭირო ინფორმაცია კომპანიის ფინანსური სიჯანსაღის შესახებ, რისკის ფაქტორების ჩათვლით, ინფორმაცია კომპანიის აქციონერების შესახებ და ყველა სხვა დანარჩენი ინფორმაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ინვესტორთა გადაწყვეტილებებზე);
- დეტალური ინფორმაცია გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების შესახებ.<sup>18</sup>

ობლიგაციების ემისიის შემთხვევაში პროსპექტში შესატანი ინფორმაცია მოთხოვნილია კანონქვემდებარე აქტებით.<sup>19</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

სანიშნო პრაქტიკა გულისხმობს პროსპექტში კომპანიის შესახებ ყველა არსებითი ინფორმაციის ასახვას. კომპანია უნდა ეცადოს აქციონერებსა და პოტენციურ ინვესტორებს მიაწოდოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს კომპანიის შეფასებისას.

## ბ) პროსპექტის დამტკიცება კომპანიის მიერ

პროსპექტს ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.<sup>20</sup> ემიტენტი პასუხისმგებელია პროსპექტში ასახული ინფორმაციის ნამდვილობისა და სისრულისათვის.<sup>21</sup> ემიტენტთან ერთად, ყველა ის პირი, რომელიც მონაწილეობს პროსპექტის მომზადებაში, პასუხს აგებს პროსპექტსა და შემაჯამებელ პროსპექტში არასრული და უზუსტო ინფორმაციის გამოქვეყნებით გამოწვეულ ზიანზე.

დამატებითი პირობა მათი პასუხისმგებლობის დასაყენებლად ისაა, რომ სამუშაოს ტიპიდან გამომდინარე, მათ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდნენ, რომ ინფორმაცია იყო არაზუსტი და არასრული (მაგალითად, ბროკერი, აუდიტორი ან ექსპერტი).<sup>22</sup> თუ ინვესტორი მიიჩნევს, რომ ზიანი მიადგა, შეუძლია საჩივარი შეიტანოს სასამართლოში.

## გ) პროსპექტის დამტკიცება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცება და რეგისტრაცია მნიშვნელოვანი მექანიზმია ინვესტორის დასაცავად. ეს არის ფასიანი ქაღალდების ემისიის პროცესისადმი სახელმწიფო კონტროლის ფორმა. პროსპექტის სათანადო დამტკიცებისა და რეგისტრაციის გარეშე არ შეიძლება ფასიანი ქაღალდების გამოშვება და ინვესტორებისათვის მიყიდვა.

საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს ფასიანი ქაღალდების პროსპექტის დამტკიცების გადაწყვეტილებას ემიტენტის მოთხოვნიდან 15 დღის შემდეგ, როდესაც ის დაადგენს, რომ პროსპექტი შეიცავს კანონით განსაზღვრულ სრულ ინფორმაციას და თან ერთვის დოკუმენტები ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.<sup>23</sup>

საქართველოს ეროვნული ბანკი არ არის პასუხისმგებელი პროსპექტსა და შემაჯამებელ პროსპექტში შესული ინფორმაციის ნამდვილობისა და სისრულისათვის.<sup>24</sup> პროსპექტის დამტკიცების შემდეგ გადაწყვეტილების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.<sup>25</sup>

<sup>18</sup> იქვე, მუხ. 4

<sup>19</sup> საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2008 წლის 1 ივლისის მე-3 ბრძანება „სანარმოთა ობლიგაციების ემისიის პროსპექტებისა და განთავსების ანგარიშების შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე“, მუხ. 4

<sup>20</sup> ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 4.2 (ბ)

<sup>21</sup> იქვე, მუხ. 4.12

<sup>22</sup> იქვე, მუხ. 4.12 (ა-გ)

<sup>23</sup> იქვე, მუხ. 4.7 (ბ)

<sup>24</sup> იქვე, მუხ. 4.11

<sup>25</sup> იქვე, მუხ. 4.15

### 3. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება

ემიტენტმა ფასიანი ქაღალდების განთავსება შეიძლება დაინცოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცების შემდეგ. განთავსება არის რეალური გარიგება უშუალოდ კომპანიასა და ინვესტორს შორის ან საბროკერო კომპანიის მეშვეობით.<sup>26</sup>

### 4. ფასიანი ქაღალდების ემისიის კონტროლი

ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობა:

- უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ხარისხს;
- ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების ემისიის დროულ რეგისტრაციას, რომელიც აუცილებელია ბიზნესის ფუნქციონირებისათვის;
- კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოასწორონ უმნიშვნელო ნაკლოვანებები და ამგვარად გადაავადონ უარი რეგისტრაციაზე; და
- უზრუნველყოფს კომპანიის მიერ გასაჩივრების უფლებას დისკრეციული უარის შემთხვევაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი აკონტროლებს ფასიანი ქაღალდების ემისიას საჯარო შეთავაზების მეშვეობით. საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს ემისიასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნების შესრულების შემონების უფლება.<sup>27</sup>

### დ. ფასიანი ქაღალდების კონვერსია

კომპანიები ფასიანი ქაღალდების ემისიას ახორციელებენ არა მარტო კაპიტალის მოზიდვის მიზნით, არამედ მაშინაც, როდესაც ხდება არსებული ფასიანი ქაღალდების ან მათთან დაკავშირებული უფლებების რესტრუქტურირება. ზოგადად, ფასიანი ქაღალდების კონვერსია ხდება შემდეგ გარემოებებში:

- სანესდებო კაპიტალის ზრდისას აქციების ნომინალური ღირებულების ზრდით;
- სანესდებო კაპიტალის შემცირებისას აქციების ნომინალური ღირებულების შემცირებით;
- აქციების კონსოლიდაციის ან გაყოფის დროს;
- ერთი ტიპის და კლასის აქციების მეორე ტიპის და კლასის აქციებად გარდაქმნისას;
- ობლიგაციებისა და გარანტიების აქციებად გარდაქმნისას; და
- კომპანიის რეორგანიზაციის დროს.


აღნიშნულ შემთხვევებში ახალი ინვესტორები არ მონაწილეობენ. აქციების განთავსება ხდება არსებულ აქციონერებთან ან სხვა ინვესტორებთან, რომლებსაც აქვთ კონვერსიის უფლების მიმნიჭებული ფასიანი ქაღალდები.

### ე. აქციების გაყოფა და კონსოლიდაცია

აქციების ემისია ხორციელდება კონკრეტული რაოდენობით და განსაზღვრული ნომინალური ღირებულებით. თუმცა, კომპანიის არსებობის პერიოდში ნომინალური ღირებულება შეიძლება შეიცვალოს სანესდებო კაპიტალის მოცულობის ცვლილების გარეშე. ეს შეიძლება მოხდეს აქციების გაყოფის ან კონსოლიდაციის შედეგად.

- აქციების გაყოფა ხდება, როცა კომპანია თავის ერთ აქციას ცვლის იმავე ტიპის და კლასის ორ ან მეტ აქციაზე. შედეგი იქნება დაბალი ნომინალური ღირებულების აქციების რაოდენობის ზრდა და თითოეული აქციის დაბალი საბაზრო ფასი. აქციების ყველაზე გავრცელებული გაყოფაა - 3 აქცია 2-ის ნაცვლად, ორი აქცია ერთის ნაცვლად და 3 აქცია 1-ის ნაცვლად.
- აქციების კონსოლიდაცია ხორციელდება, როდესაც კომპანია ორ ან მეტ აქციას ცვლის იმავე ტიპის და კლასის აქციების შედარებით უფრო ნაკლებ რაოდენობაზე. შედეგი იქნება აქციების ნაკლები რაოდენობა შედარებით უფრო მაღალი ნომინალური ღირებულებით და თითოეული აქციის შედარებით უფრო მაღალი საბაზრო ფასით.

<sup>26</sup> იქვე, მუხ. 3  
<sup>27</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 52



არსებობს აქციების გაყოფის სამი ძირითადი მიზეზი: ფასის ხელმისაწვდომობა, საინვესტიციო საზოგადოებისთვის გზავნილის მიწოდება და ფსიქოლოგიური მიზეზები. აქციების გაყოფა აქციებს გაცილებით ხელმისაწვდომს ხდის მცირე აქციონერებისთვის და აქციათა რაოდენობის ზრდამ შეიძლება ხელი შეუწყოს ლიკვიდურობის გაუმჯობესებას.

მეტიც, გაყოფა ხშირად გამოიყენება ბაზრისთვის „გზავნილის“ მისაწოდებლად, რომ მენეჯმენტი დარწმუნებულია კომპანიის მომავალში და ელის აქციის ფასის გაზრდას. შესაძლოა ასევე არსებობდეს ფსიქოლოგიური სარგებელი კერძოდ იმაში, რომ აქციონერები ფლობდნენ ორ (ან მეტ) აქციას ერთი აქციის ფასად.

კონვერსიის შემთხვევაში აქციების გაყოფასა და კონსოლიდაციასთან დაკავშირებული ცვლილებები უნდა აისახოს კომპანიის წესდებებსა და ფასიანი ქაღალდების რეესტრში.<sup>28</sup>

### 3. საფონდო ოფციონი შედარებით კორპორაციულ პრაქტიკაში

ოფციონი წარმოადგენს კომპლექსურ და ხშირად მეტად სარისკო საფინანსო დერივატივს.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

დერივატივების ემისია ჩამოყალიბებული კაპიტალის ბაზრების არსებობასთან არის ასოცირებული. დერივატივებს კომპანიები ძირითადად იყენებენ როგორც რისკის შემცირების ინსტრუმენტს. ამავე დროს, მათი არსებობა საჭიროებს განსაკუთრებულ რეგულირებას ბუღალტრული აღრიცხვისა და ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

კორპორაციული მართვის პერსპექტივიდან გამომდინარე, ფინანსურ დერივატივებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საფონდო ოფციონი. სააქციო ოფციონი შეიძლება ასრულებდეს დიდი როლს აღმასრულებელ პირთა ანაზღაურების პროგრამებში და, შესაბამისად, ჰქონდეს მნიშვნელოვანი შედეგი კორპორაციული მართვის თვალსაზრისით. ამგვარად, მეტად სასარგებლოა საფონდო ოფციონის, როგორც დირექტორთა ანაზღაურების, შედარებით პრაქტიკის მიმოხილვა.

ოფციონის ფუნქციონირების მარტივი განმარტებაა ის, რომ ოფციონი მფლობელს აძლევს აქტივის (ძირითადად აქციის) ყიდვის (ან გაყიდვის) უფლებას წინასწარ განსაზღვრულ ფასად. მაგალითად, ოფციონი შეიძლება მფლობელს აძლევდეს უფლებას იყიდოს კომპანიის აქციები დღევანდელ ფასად (მაგ., 1 ლარად) სამი თვის შემდეგ. ოფციონის მფლობელი მოელის შესაბამისი აქციის ფასის ცვლილებას, საიდანაც მას სარგებლის მიღების იმედი აქვს. ის შეიძლება ვარაუდობდეს ფასის მატებას 3 ლარით. ამ შემთხვევაში, ოფციონის მფლობელი მიიღებს სარგებელს ორი ლარის ოდენობით. მეორე მხრივ, თუ აქციის ფასი დაეცემა, ოფციონს ღირებულება აღარ ექნება.

სააქციო ოფციონი ქმედით აღმასრულებელ დირექტორებს შესაძლებლობას აძლევს, მიიღონ მოგება კომპანიის წარმატებული მართვიდან და მისი საბაზრო ღირებულებების ზრდიდან. კორპორაციული მართვის კონტექსტში ოფციონის შედარებით ჩვეულებრივი ფორმაა წამახალისებელი საფონდო ოფციონი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტისა და თანამშრომლების საქმიანობის სტიმულირებისათვის.

ზოგიერთ ქვეყანაში ოფციონი, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელი აღმასრულებელი პირების ანაზღაურების პაკეტის ნაწილია. ასეთი ტიპის ანაზღაურება მეტად პოპულარულია, რადგან აღმასრულებელი პირებისთვის განკუთვნილი უკუგება შეიძლება დიდი იყოს, იგი აერთიანებს აქციონერებისა და მენეჯმენტის ინტერესებს, გარდა ამისა, ოფციონის რეალური ღირებულება (სხვა აქციონერების წილის შემცირება) თვალსაჩინო არ არის ბუღალტრული აღრიცხვის არსებული სტანდარტებიდან გამომდინარე.

<sup>28</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 51-52, 59; საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2008 წლის 8 სექტემბრის 5 ბრძანება „ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“, მუხ. 4.4 (ვ)

**ზ. კაპიტალის მოზიდვა საერთაშორისო ბაზარზე და უცხოური საფინანსო ინსტრუმენტები ადგილობრივ ბაზარზე**

ქართული კომპანიები სულ უფრო მეტად ცდილობენ კაპიტალის მოზიდვას უცხოეთის ბაზრებზე. უცხოურ საფონდო ბირჟაზე ლისტინგს შეიძლება უპირატესობა ჰქონდეს კაპიტალის დაბალი ხარჯის, მაღალი ლიკვიდურობის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მაღალი პრესტიჟის გამო. მსოფლიოს უდიდესი უცხოური ბაზრები ცდილობენ დანერგონ კორპორაციული მართვის გაცილებით მაღალი სტანდარტები, ვიდრე ეს საქართველოს ბაზარზეა.

ყველაზე პოპულარული ბაზრებია აშშ-ში, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოსა და კონტინენტურ ევროპაში, რომლებიც, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე მკაცრი სტანდარტებით გამოირჩევიან. ამგვარად, ქართულმა კომპანიებმა უნდა დააკმაყოფილონ კორპორაციული მართვის გაცილებით მაღალი სტანდარტები, რათა შეძლონ აღნიშნულ ბაზრებზე შეღწევა და იქ დამკვიდრება.

არსებობს ორი ძირითადი საშუალება იმისათვის, რომ კომპანიებმა დაიმკვიდრონ თავი ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრებზე. კომპანიებს შეუძლიათ ან: 1) პირდაპირ განახორციელონ ფასიანი ქაღალდების ემისია; ანდა 2) გამოუშვან სადეპოზიტო მონმობები. სადეპოზიტო მონმობა წარმოადგენს კონტრაქტს უცხოურ საფინანსო დაწესებულებასთან, რომლის თანახმადაც წარმოებს სერტიფიკატებით ვაჭრობა აქციების ნაცვლად. სადეპოზიტო მონმობები უცხოურ კაპიტალთან წვდომის სულ უფრო პოპულარული ფორმა ხდება.

არსებობს სადეპოზიტო მონმობების სხვადასხვა ტიპი იმ ბაზრებიდან გამომდინარე, სადაც ხორციელდება აღნიშნული ინსტრუმენტებით ვაჭრობა. ამერიკული სადეპოზიტო მონმობები (ADRs) ბრუნვამია აშშ-ის საფონდო ბაზრებზე, ევროპული სადეპოზიტო მონმობები (EDRs) მიმოქცევაშია ევროპის ბაზრებზე და გლობალური სადეპოზიტო მონმობები (GDRs) წარმოდგენილია ორივე ბაზარზე.

სადეპოზიტო მონმობების ემისიასთან დაკავშირებით მოლაპარაკება წარმოებს ინდივიდუალურ ბანკებთან კონტრაქტის ფარგლებში, რასაც შედეგად მოჰყვება კომპანიის აქციების დეპონირება ბანკში. სადეპოზიტო მონმობები პოპულარულია უცხო ქვეყნების ინვესტორებს შორის მათთვის ემიტენტი ბანკების მიერ მინიჭებული დამაჯერებლობის გამო და იმიტომ, რომ ინვესტიცია დე-ფაქტო არის ქვეყნის შიდა ინვესტიცია.

სადეპოზიტო მონმობებს აქვს რიგი უპირატესობები პირდაპირ ემისიასთან შედარებით. კერძოდ:

- პირდაპირი ლისტინგის პირობებთან შედარებით კონტრაქტის პირობების შესრულება გაცილებით ადვილია;
- სადეპოზიტო მონმობები ნაკლებად ძვირია, ვიდრე პირდაპირი ლისტინგი; და
- სადეპოზიტო მონმობების განთავსება ხშირად უფრო ადვილია, ვიდრე აქციების ემისია უცხოურ საფონდო ბირჟებზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ კომპანია არ არის ცნობილი უცხოეთის ბაზარზე.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

კორპორაციული მართვის თვალსაზრისით, სადეპოზიტო მონმობებს მნიშვნელობა აქვს ინვესტორებისთვის. აქციების მეშვეობით ხმის მიცემას ახდენენ ბანკები, სადაც ეს აქციებია დეპონირებული და არა მონმობების მფლობელები, რაც, შესაძლოა, უპირატესობა იყოს. ბანკებს შეუძლიათ აქციონერთა ხმების გაერთიანება და ამგვარად კომპანიებზე გაცილებით ეფექტიანი გავლენის მოხდენა. მეორე მხრივ, ეს შეიძლება ნაკლიც იყოს, თუ ინვესტორს არ შეუძლია საკუთარი მოსაზრებების დაცვა. ამასთან ერთად, შუამავლები ხშირად ხმას აძლევენ მენეჯმენტთან ჩვეულებრივი პრაქტიკის სახით. დეპოზიტარი ბანკების მომსახურება დამატებითი დონეა კომპანიასა და საბოლოო ინვესტორს შორის არსებულ ურთიერთობაში და დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამგვარად, სადეპოზიტო მონმობები, ნებისმიერი სხვა საინვესტიციო ინსტრუმენტის მსგავსად, საჭიროებს ფრთხილ შეფასებას როგორც ემიტენტის, ისე ინვესტორის პოზიციიდან გამომდინარე.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

# თავი XI

ინფორმაციის  
გამჟღავნება

## ❓ კითხვარი

- ✓ აქვს თუ არა კომპანიას ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკა ნე-რილობითი ფორმით? სრულად გამოხატავს თუ არა პოლიტიკა კომპანიის ერთგულებას გამჭვირვალობის მიმართ? არის თუ არა ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკა ადვილად ხელმისაწვდომი ბაზრის მონაწილეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის?
- ✓ სრულად შეესაბამება თუ არა კომპანია ინფორმაციის გამჟღავნების სამართლებრივ ვალდებულებას? რა სისტემები არსებობს მატერიალური ინფორმაციის სრული და დროული გამჟღავნების უზრუნველსაყოფად?
- ✓ იციან თუ არა აღმასრულებელმა პირებმა და დირექტორებმა, რა პერსონალური და კორპორაციული შედეგები შეიძლება მოჰყვეს მცდარი ან არასრული ინფორმაციის გამჟღავნებას?
- ✓ გამჭვირვალეა თუ არა კომპანიის მფლობელობის სტრუქტურა?
- ✓ რა ნაბიჯები იდგმება საიმისოდ, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბაზრებისთვის ინფორმაციის მინოდება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ?
- ✓ არის თუ არა ინფორმაციის გამჟღავნების პროცესი სამართლიანი? მაგალითად, უზრუნველყოფს თუ არა კომპანია ყველა ინვესტორისათვის ინფორმაციის ერთდროულ მიღებას, ხომ არა აქვს ინფორმაციის განსაკუთრებული წვდომის პრივილეგია ზოგიერთ ინდივიდუალურ ან ინსტიტუციონალურ ინვესტორს?
- ✓ აქვს თუ არა კომპანიას ინსაიდერული ვაჭრობის პოლიტიკა და ატარებს თუ არა იგი ამ პოლიტიკას? რა სისტემები არსებობს ინსაიდერული და სხვა მგრძობიარე ინფორმაციის ნაკადის სამართავად? აცნობიერებს თუ არა კომპანია, რომ თავისთავად ინტერესებშია ბაზრისთვის ინფორმაციის ნებაყოფლობით გამჟღავნება? და თუ აცნობიერებს, როგორ უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის საიმედოობას და იმას, რომ ინფორმაციის გამჟღავნება არ ხდებოდეს მხოლოდ მარკეტინგული ან საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნებისათვის?
- ✓ რამდენად ესმის კომპანიას კომერციულად მგრძობიარე ინფორმაციის განსაზღვრება? ხომ არ უმაღლავს კომპანია ბაზარს მნიშვნელოვან (არსებით) ფაქტებს მგრძობიარე ინფორმაციის დაცვის მექანიზმების მეშვეობით?
- ✓ რამდენად შეესაბამება კომპანიის მიერ ინფორმაციის გამჟღავნება ინფორმაციის გამჟღავნების საერთაშორისო მოთხოვნებს, მაგალითად, ეთგო-ს კორპორაციული მართვის პრინციპებს?

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

არსებობს საბაზრო რეგულირების ორი ძირითადი ფორმა: 1) არსებითი, ნესებზე დამყარებული რეგულირება და 2) ინფორმაციის გამჟღავნებაზე დამყარებული რეგულირება. ეს ორივე მიდგომა ემსახურება აქციონერთა დაცვას და საფინანსო ბაზრების სამართლიანობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას. ნესებზე დამყარებული რეგულირება განსაზღვრავს, რა შეუძლიათ და რა არა კომპანიებს, ცდილობს დაადგინოს ნესების ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს პოტენციური გარემოებების მნიშვნელოვან რაოდენობას. ინფორმაციის გამჟღავნებაზე დაფუძნებული რეგულირება კი უფრო მეტად ეყრდნობა საბაზრო მექანიზმებს კორპორაციული ქცევის გარკვეული ტიპების დასჯის ან აღნიშვნის მიზნით, ხოლო ინვესტორების დაცვის პასუხისმგებლობის ნაწილი გადააქვს ბაზრის მონაწილეებზე, დევიზით: „მომხმარებელო, იყავი ფრთხილად!“. ინფორმაციის გამჟღავნებაზე დამყარებული რეგულირება ნაწილობრივ ემყარება იმ მოსაზრებას, რომ ბაზარი უკეთ რეაგირებს არასათანადო კორპორაციულ ქცევაზე, ვიდრე მარეგულირებელი ორგანიზაციები, და ინფორმაციის გამჟღავნება არსებითი რეგულირების ეფექ-

ტიანი და იაფი შემცველია. პრაქტიკაში ეს ორივე მიდგომა თითქმის ყოველთვის კომბინირებულად გამოიყენება, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა სხვებთან შედარებით უფრო მეტად იყენებს ინფორმაციის გამჟღავნებას. ინფორმაციის გამჟღავნებაზე დამყარებული რეგულირების ეფექტიანობას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, განსაკუთრებით - ჩვენი ქვეყნის კონტექსტში. მფლობელების ან მენეჯერების მაკონტროლებელი არსებითი მექანიზმების არარსებობის გამო მისი მნიშვნელობა შეიძლება ძალზე შეზღუდული იყოს.

ინფორმაციის გამჟღავნებაზე დამყარებული რეგულირების ეფექტიანობის მისაღწევად საჭიროა სხვადასხვა ელემენტისა და წამახალისებელი მექანიზმების ერთობლივი მოქმედება, რაც გულისხმობს სათანადო სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოს, აღსრულების ეფექტიან მექანიზმებთან ერთად. ესენია მარეგულირებლები, რომლებიც ამომწებენ ფინანსურ ინფორმაციას უზუსტობის გამოსავლენად და სასამართლოები, რომლებიც უზრუნველყოფენ სათანადო რეაგირებას. ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დამოუკიდებელი გარე აუდიტორები ბაზრებისთვის მარნმუხებელი მომსახურების განვითარება, აგრეთვე - აქტიური და დაინტერესებული მედია, რომელიც კითხვებს სვამს კომპანიის სტრატეგიებისა და კავშირების შესახებ. დაბოლოვდა, გადამწყვეტილი მნიშვნელობა აქვს კომპეტენტურ და ყურადღებიან სამეთვალყურეო საბჭოს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ინფორმაციის გამჟღავნების საუკეთესო სისტემასაც კი არ შეუძლია ხელი შეუშალოს იმ პირებს, რომლებსაც კომპანიის და მისი აქციონერების მოტყუება აქვთ განზრახული. ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის მიმართ ერთმნიშვნელოვნად შეურიგებელი სამეთვალყურეო საბჭოს გარეშე ინფორმაციის გამჟღავნება სრულყოფილი ვერ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის გამჟღავნებაზე დამყარებული რეგულირება შეიძლება არასათანადოდ ფუნქციონირებდეს ისეთ განვითარებად ფინანსურ ბაზრებზე როგორც საქართველოშია, ინფორმაციის გამჟღავნება მაინც აუცილებელია და სულ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს საქართველოს საფინანსო ბაზრების განვითარებასთან ერთად. ინფორმაციის გამჟღავნების სხვადასხვა სახეობებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საფინანსო და საოპერაციო შედეგების, დაკავშირებული მხარის გარიგებების და მფლობელობის სტრუქტურის გამჟღავნებას.

## ა. ინფორმაციის გამჟღავნების შესავალი

### 1. განსაზღვრება და დასაბუთება

ინფორმაციის გამჟღავნება, ინფორმაციის მოპოვების მიზნის მიუხედავად, უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის წვდომას ინფორმაციასთან გამჭვირვალე პროცედურის მეშვეობით, რომელიც იძლევა ინფორმაციის ადეკვატად მოძიებისა და მოპოვების გარანტიას. ინფორმაციის დროული და ზუსტი გამჟღავნება აუცილებელია აქციონერებისათვის, პოტენციური ინვესტორებისათვის, მარეგულირებელი ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. არსებით ინფორმაციასთან წვდომა აქციონერებს ეხმარება საკუთარი უფლებების დაცვაში და ამაღლებს ბაზრის მონაწილეთა მიერ ჯანსაღი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარს. ინფორმაციის გამჟღავნებით შესაძლებელია მენეჯმენტის შეფასება და კონტროლი, და უზრუნველყოფილია მენეჯმენტის ანგარიშვალდებულება კომპანიისა და აქციონერთა წინაშე. ინფორმაციის გამჟღავნება კომპანიებისთვისაც სასარგებლოა, რადგან მათ საშუალება ეძლევათ აქციონერების წინაშე მოახდინონ ანგარიშვალდებულების დემონსტრირება, ბაზრების მიმართ იმოქმედონ გამჭვირვალედ და შეინარჩუნონ საზოგადოების ნდობა. ინფორმაციის გამჟღავნების სანიმუშო პოლიტიკა ასევე უნდა ამცირებდეს კაპიტალის ლირებულებას. დაბოლოს, ინფორმაცია ასევე საჭიროა კრედიტორების, მიმწოდებლების, მომხმარებლებისა და თანამშრომლებისთვის მათი პოზიციის შეფასებისთვის, ცვლილებებზე რეაგირებისა და კომპანიებთან ურთიერთობის მონეს-რიგებისათვის.

### 2. ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპები

ყოველდღიურ პრაქტიკაში ინფორმაციის სანიმუშო გამჟღავნების ოთხი ძირითადი პრინციპი მოქმედებს:



## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ინფორმაციის სანიმუშო გამჟღავნება:

- 1) უნდა ხორციელდებოდეს რეგულარულად და დროულად;
- 2) უნდა იყოს ადვილად და ფართოდ ხელმისაწვდომი;
- 3) უნდა იყოს სრული და ზუსტი; და
- 4) უნდა იყოს თანამიმდევრული, შესაბამისი და დოკუმენტირებული.

### 3. კონფიდენციალური ინფორმაცია (ბიზნესსაიდუმლო)

ფასიანი ქალაქების კანონმდებლობით საჯარო კომპანიებს მოეთხოვებათ ფინანსური და არასაფინანსო ინფორმაციის ფართო სპექტრის გამჟღავნება. ზოგჯერ წესებით მოთხოვნილმა ინფორმაციის გამჟღავნებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნეს- და ფინანსურ მდგომარეობაზე იმ კონკურენტული ზიანის გამო, რაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ინფორმაციის გამჟღავნებას. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კომპანია ხშირად ყველაზე ჩვეულებრივ ინფორმაციასაც კი, კომერციულად მგრძობიარედ მიიჩნევს, რეალურად, კონკურენტული ზიანი წარმოიქმნება მხოლოდ გარემოებების შეზღუდული რაოდენობის შემთხვევაში. ნამდვილად მგრძობიარე ინფორმაციის ზოგიერთი მაგალითია: ფასნარმოქმნის პირობები, ტექნიკური სპეციფიკაციები და ეტაპობრივი გადახდები. ინფორმაციის გამჟღავნების პოტენციური სირთულის დასაძლევად, კანონმდებლები და მარეგულირებლები შეიმუშავებენ ისეთ სისტემებს, რომლებიც კომპანიებს აძლევს ინფორმაციისადმი კონფიდენციალური მოპყრობის მოთხოვნის საშუალებას.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

დღეისათვის არსებული კორპორაციული მართვის პრობლემები ნაკლებადაა გამოწვეული ზედმეტი გამჭვირვალობით და ინფორმაციის ზედმეტი გამჟღავნებით, ეს უფრო არასაკმარისი გამჟღავნებისა და გამჭვირვალობის არარსებობის ბრალია. კომპანიებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ, რა არის კონფიდენციალური ინფორმაცია და ზოგადი განმარტებები არ უნდა აღიქვან ისე ფართოდ, რომ საინტერესო ინფორმაცია დაუმალონ ინვესტორებს. კომერციულად მგრძობიარე ინფორმაციასთან დაკავშირებული პრაქტიკის განსახორციელებლად რეკომენდებულია, კომპანიებმა შეიმუშაონ წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები და განსაზღვრონ, თუ რომელი შიდა დოკუმენტი შეიძლება ჩაითვალოს კონფიდენციალურ ინფორმაციად. მაგალითად, მათ შეიძლება პერსონალური მონაცემები მიიჩნიონ კონფიდენციალურ ინფორმაციად და აკრძალონ კერძო ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, გამოყენება და გავრცელება პირის თანხმობის გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილებით.

საქართველოს კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის მიუთითებს, რომ „საინფორმაციო პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს ბანკის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას. ბანკმა ყველა ზომა უნდა მიიღოს, რათა უზრუნველყოს ბანკის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა, ასეთი ინფორმაციით სარგებლობის და მისი შენახვის პროცედურების დადგენის გზით. ბანკმა უნდა შეიმუშაოს კონფიდენციალური ინფორმაციის ჩამონათვალი, ბანკის გამჭვირვალობისა და მისი კომერციული ინტერესების დაბალანსების მიზნით. ბანკს უნდა ჰქონდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ეფექტიანი საინფორმაციო პოლიტიკა, რომელიც შეიცავს ინფორმაციის ღიაობის პრინციპებს, პროცედურებსა და ძირითად ელემენტებს.“

### 4. შიდა ინფორმაცია და ინსაიდერული გარიგებები

ინსაიდერული ვაჭრობა მოიცავს როგორც კანონიერ, ისე აკრძალულ საქმიანობას. ინსაიდერული ვაჭრობა კანონიერად ხორციელდება ყოველდღიურად, როდესაც კორპორაციული ინსაიდერები (ოფიცრები, დირექტორები ან თანამშრომლები) ყიდულობენ და ყიდიან თავიანთი კომპანიის აქციებს კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად და კანონისა და წესების დაცვით.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

ასევე არსებობს უკანონო ინსაიდერული გარიგებების მრავალი ფორმა. იგულისხმება ისეთი ოპერაციები, როდესაც ინსაიდერულ ინფორმაციასთან წვდომის მქონე პირები იყენებენ აღნიშნულ ინფორმაციას მოგების მისაღებად ან საფონდო ბირჟაზე დანაკარგების თავიდან ასაცილებლად. ინვესტორებს, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ ინსაიდერულ ინფორმაციაზე, ხშირად უწევთ ინსაიდერული გარიგებებით გამოწვეული ხარჯების გადახდა.

ინსაიდერული ოპერაციებით გამოწვეული კიდევ ერთი, და გაცილებით დიდი ზარალია ფასიანი ქაღალდების ბაზრისადმი ნდობისთვის მიყენებული ზიანი. ის, რომ კაპიტალი ადვილად ხელმისაწვდომია მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ საფონდო ბაზრებზე, განპირობებულია ინვესტორთა ნდობით მათი სამართლიანობის მიმართ. ზოგიერთ ქვეყანაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ პრივილეგირებულ აქციონერებს, ინსაიდერულ ინფორმაციასთან წვდომის გამო, უნდა ჰქონდეთ მოგების მიღების საშუალება. ასეთი დამოკიდებულებით ნაწილობრივ შეიძლება იმის ახსნა, თუ რატომ მონაწილეობს ამ საქმეში საზოგადოების შედარებით მცირე ნაწილი ასეთ ქვეყნებში. მთავრობებს არა აქვთ ინსაიდერული გარიგებების იგნორირების უფლება, თუ განზრახული აქვთ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება და საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვა. იგივე შეიძლება ითქვას სამეთვალყურეო საბჭოზეც, რომელსაც სურს აქციონერთა დაცვა და ინვესტიციების მოზიდვა.

## ★ საუპითესო პრაქტიკა

ინსაიდერული ინფორმაციის გამჟღავნება შეიძლება არსებით გავლენას ახდენდეს კომპანიის აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების ღირებულებაზე. ამგვარად, პირები, რომლებსაც აქვთ წვდომა ინსაიდერულ ინფორმაციასთან, არ უნდა იყენებდნენ მას გარიგებებისთვის და არ უნდა გადასცემდნენ მას მესამე მხარეს. ინსაიდერული ინფორმაციის უკანონო გამოყენებამ შეიძლება დააზარალოს აქციონერთა ინტერესები და უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და რეპუტაციაზე, აგრეთვე მთლიანად ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე. კომპანიას დოკუმენტურად უნდა ჰქონდეს გაფორმებული ინსაიდერული გარიგებების პოლიტიკა და მტკიცედ უნდა იცავდეს მას. კომპანიის შიდა საზედამხედველო ორგანომ უნდა განახორციელოს მონიტორინგი, თუ რამდენად ასრულებენ კომპანიის დირექტორები, მენეჯერები და სხვა ოფიცრები კანონს, დებულებებს და შიდა წესებს ინსაიდერული გარიგებების შესახებ.

### 5. ინფორმაციის გამჟღავნების შედარება ღია და დახურულ კომპანიებში

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები განსხვავებულია საჯარო ვაჭრობის მონაწილე და დახურული კომპანიებისთვის. დახურული სააქციო საზოგადოება, როგორც წესი, საჭიროებს მხოლოდ ინფორმაციის გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნების შესრულებას და არ ექვემდებარება ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი წესებით განსაზღვრულ ანგარიშგების ვალდებულებას. მეორე მხრივ, საჯარო კომპანია, რომელიც ახორციელებს აქციების საჯარო შეთავაზებას და რომელსაც აქვს საფონდო ბირჟაზე აქციების გაყიდვის სამართლებრივი ვალდებულება, პასუხისმგებელია ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას და კომპეტენტურ ორგანოებს მოქმედი კანონებისა და საფონდო ბირჟის წესების შესაბამისად.

ინფორმაციის გამჟღავნების მკაცრი რეგულირება საჭირო ღია კომპანიებში, რადგან კომპანიის აქციონერების დიდი რაოდენობის გამო, პოტენციური თაღლითობის გავლენა მასშტაბური შეიძლება იყოს. თანამედროვე ეკონომიკის პირობებში კაპიტალის ბაზრების მნიშვნელობის გათვალისწინებით მთავრობები ცდილობენ უზრუნველყონ საფინანსო სისტემების ერთიანობა. ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულების რაოდენობის გაზრდა საჯარო კომპანიებისთვის არის კაპიტალის ბაზრებზე დიდი მოცულობის ფულად სახსრებთან წვდომისთვის გადასახდელი ფასი.

### 6. ინფორმაციის გამჟღავნება და გამჭვირვალობა

ზოგჯერ ინფორმაციის გამჟღავნებას აიგივებენ გამჭვირვალობასთან. სამწუხაროდ, ეს ორი ტერმინი ხშირად შეცდომით ერთმანეთის ნაცვლად იხმარება. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის გამჟღავნება და გამჭვირვალობა

ერთი შეხედვით შეიძლება ერთი და იგივე მოგვეჩვენოს, ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებებია. კომპანიებმა შეიძლება გაამყლავნონ დიდი მოცულობის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება არ წარმოადგენდეს რამენაირ ღირებულებას ასეთი ინფორმაციის მომხმარებლებისთვის, ხოლო მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაფარონ. ინფორმაციის გამყლავნება შეიძლება იყოს არასათანადო ან, უარეს შემთხვევაში, იმგვარად მანიპულირებადი, რომ დაიფაროს სანარმოს მდგომარეობის რეალური სურათი.

### 7. პირადი პასუხისმგებლობა ინფორმაციის გაუმყლავნებლობისათვის

როგორც წესი, კომპანიები პასუხისმგებელი არიან აქციონერებისა და მესამე მხარეებისთვის მცდარი, არასრული ან დამახინჯებული ინფორმაციის მიწოდებით მიყენებული ზიანისათვის. კომპანიის გარდა ყველა სხვა პირი, რომელიც მონაწილეობდა გამყლავნებული ინფორმაციის მომზადებაში, ასევე პასუხისმგებელია არასრული და არაზუსტი ინფორმაციის გამოქვეყნებით გამომწვეული ზიანისათვის. მათი პასუხისმგებლობის დამატებითი პირობაა ის, რომ მათ (მაგალითად, გენერალურმა დირექტორმა, მთავარმა ბუღალტერმა ან ამ ფუნქციის შემსრულებელმა პირმა, გარე აუდიტორმა) იცოდნენ ან, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა სცოდნოდნენ ინფორმაციის არასრულობის ან უზუსტობის შესახებ. ისინი ერთობლივად და ცალ-ცალკე პასუხისმგებელი არიან ემიტენტის წინაშე ინვესტორისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანისათვის არასწორი, არასრული და/ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდების გამო. თუ ინვესტორები მიიჩნევენ, რომ მათ მიადგათ ზიანი, შეუძლიათ სასამართლოში შეიტანონ საჩივარი.

პირი, რომელმაც წარადგინა მცდარი, არასრული ან დამახინჯებული ინფორმაცია, ან არ გაამყლავნა კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია, ექვემდებარება სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

### 8. გასამყლავნებელი მუსულაჰი

**ეთგო-ს კორპორაციული მართვის პრინციპების** (შემდგომ - ეთგო-ს პრინციპები) რეკომენდაციაა, რომ „ინფორმაციის დროული და ზუსტი გამყლავნება განხორციელდეს კორპორაციასთან დაკავშირებულ ყველა არსებით საკითხთან მიმართებაში, მათ შორის ფინანსური მდგომარეობის, შრომის ნაყოფიერების, მფლობელობის და კომპანიის მართვის შესახებ.“<sup>1</sup>

ძირითადი კონცეფცია, რომელიც საფუძვლად უდევს ეთგო-ს რეკომენდაციას, არის არსებითობის კონცეფცია. არსებითია ინფორმაცია, რომლის გამოტოვებაც ან არასწორი წარდგენა გავლენას იქონიებს ინფორმაციის მომხმარებლების მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. არსებითობა შეიძლება ასევე განისაზღვროს როგორც ინფორმაციის მახასიათებელი ან მოვლენა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის აქციის ფასზე. არსებითობის კონცეფციის გამოყენება კომპანიებს საშუალებას მისცემს, თავიდან აიცილონ ინფორმაციის ზედმეტად დეტალური გამყლავნება, რომელიც აქციონერებისთვის არ არის საინტერესო. მაგალითად, 10 000 ლარის (დაახლოებით 4200 ევრო) ღირებულების ქალაქისთვის მიყენებული ზიანი დიდ საჯარო კომპანიაში, რა თქმა უნდა, ინვესტორისთვის ნაკლებად შესამჩნევია. მეორე მხრივ, ეს ზიანი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ოჯახის მფლობელობაში არსებული მცირე ზომის სტამბისთვის. არსებითობა, შესაბამისად, ფარდობითი კონცეფციაა, რომელიც კონტექსტზე დამოკიდებული. პრაქტიკაში მისი დიდი სიზუსტით განსაზღვრა ხშირად რთულია. კომპანიებმა და აუდიტორებმა შეიძლება ზოგჯერ გამოიყენონ გარკვეული რაოდენობრივი ზღურბლი (მაგალითად, ისეთი, როგორიცაა მოგების 5%) მისი გამოყენების გასამართლებლად. თუმცა, ასეთი ზღურბლი შეიძლება მხოლოდ საწყისი ნერტილის როლს ასრულებდეს არსებითობის პრინციპის გაცილებით უფრო მკაცრი გამოყენებისთვის.

არსებითობის კონცეფცია მოცულია საქართველოს კომერციული ბანკებისთვის შემუშავებულ კორპორაციული მართვის კოდექსში, რომელშიც ნათქვამ-

<sup>1</sup> ეთგო-ს პრინციპები, IV პრინციპი ინფორმაციის გამყლავნების და გამჭვირვალობის შესახებ

- თავი I
- თავი II
- თავი III
- თავი IV
- თავი V
- თავი VI
- თავი VII
- თავი VIII
- თავი IX
- თავი X
- თავი XI
- თავი XII

მია რომ „ბანკის მიერ გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა იყოს არსებითი, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი ინფორმაციის გამოტოვებამ ან არასწორმა წარდგენამ შეიძლება გავლენა იქონიოს ინფორმაციის მომხმარებლების და დაინტერესებული მხარეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.“

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ეთგო-ს პრინციპები მოითხოვს ყველა არსებითი ინფორმაციის გამჟღავნებას ისეთ სფეროებში, როგორცაა:

- კომპანიის საფინანსო და საოპერაციო შედეგები;
- აქციები და მფლობელობის სტრუქტურა;
- დირექტორები და ძირითადი აღმასრულებელი პირები, ისევე როგორც მათი ანაზღაურება;
- პროგნოზირებადი არსებითი რისკის ფაქტორები;
- თანამშრომლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირებული არსებითი საკითხები; და
- მართვის სტრუქტურა და პოლიტიკა.

ეს ჩამონათვალი ამომწურავია, მაგრამ - ზოგადი. ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ორგანიზაციის ტექნიკურმა კომიტეტმა (IOSCO) შეიმუშავა უფრო დეტალური, მაღალი დონის პრინციპები ლისტინგში შემავალი კომპანიების მიმდინარე ინფორმაციის გამჟღავნებისა და არსებითი ინფორმაციის განვითარების ანგარიშგებისთვის. ეს პრინციპებია:<sup>2</sup>

- ინფორმაციის არსებითობა ინვესტორთა საინვესტიციო გადაწყვეტილებებისთვის;
- ინფორმაციის დროული გამჟღავნება – დაუყოვნებელი ან პერიოდული;
- ინფორმაციის ერთდროული და იდენტური გამჟღავნება ყველა იურისდიქციაში, სადაც კომპანია შედის ლისტინგის შემადგენლობაში;
- ინფორმაციის გავრცელება ეფექტიანი, ეფექტური და დროული საშუალებებით;
- ინფორმაციის გამჟღავნების კრიტერიუმების სამართლიანობა, შეცდომაში შემყვანი ან მცდარი შინაარსის და არსებითი გამოტოვებების გარეშე;
- ინფორმაციის თანასწორი გამჟღავნება - ინფორმაციის შერჩევითი გამჟღავნების არარსებობა ინვესტორების და სხვა პირთა წინაშე, ინფორმაციის საჯარო გამჟღავნებამდე; და
- ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულებასთან შესაბამისობა.

### 1. საფინანსო და საოპერაციო შედეგები

#### ა) საფინანსო და საოპერაციო შედეგები

ინფორმაციას ფინანსური შედეგების, საქმიანობისა და მდგომარეობის, აგრეთვე კომპანიის ოპერაციების შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს აქციონერების, პოტენციური ინვესტორების, კრედიტორებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის. ქვემოთ წარმოდგენილია ჩამონათვალი, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ყველაზე ტიპური ფორმა და დამატებაა:

- **საბალანსო უწყისი** იძლევა კომპანიის აქტივების, კაპიტალისა და ვალდებულებების საერთო სურათს კონკრეტული თარიღისათვის. გამოცდილი ანალიტიკოსისთვის ეს არის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის, კომპანიაში ინვესტიციის განხორციელების რისკის ხარისხის ან კომპანიის მიერ კრედიტორების გასტუმრების უნარის შესახებ.
- **მოგება-ზარალის უწყისი** იძლევა ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. მოგება-ზარალის უწყისი შეიძლება შედგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით. საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკის თანახმად, მოგება-ზარალის უწყისი უნდა მოიცავდეს: 1) შემოსავლებს ან გაყიდვებს; 2) საოპერაციო საქმიანობის შედეგებს; 3) დაფინანსების ხარჯებს; 4) შემოსავლებს პარტნიორებიდან და ერთობლივი საწარმოებიდან; 5) გადასახადებს; 6) მოგებას ან ზარალს

<sup>2</sup> ლისტინგში შემავალი კომპანიების მიერ ინფორმაციის მუდმივი გამჟღავნების პრინციპები და ანგარიშგება არსებითი განვითარების შესახებ OICU-IOSCO, ოქტომბერი, 2002, ასევე იხ. [www.iosco.org](http://www.iosco.org)

ჩვეულებრივი საქმიანობიდან; და 7) წმინდა მოგებას ან ზარალს. მოგება-ზარალის უწყისი ახდენს ბიზნესის მდგრადობის დემონსტრირებას.

- **უწყისი მფლობელთა კაპიტალში ცვლილებების შესახებ** მოიცავს ყველა ცვლილებას საწესდებო, დამატებით განადგებულ და სარეზერვო კაპიტალსა და გაუნაწილებელ მოგებაში. ამასთან, ის იძლევა ინფორმაციას სავალდებულო და დამატებითი ფონდების შესახებ, აგრეთვე - მოკლე ინფორმაციას წმინდა აქტივების შესახებ.
- **ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი** წარმოგვიდგენს კომპანიის ფულადი სახსრების წყაროებს და გამოყენებას. მასში ჩამოთვლილია ყველა ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს ფულად სახსრებზე სამი მთავრულით, ესენია: 1) ოპერაციები; 2) ინვესტიციები; და 3) დაფინანსება. მაგალითად, წმინდა საოპერაციო მოგება ზრდის ფულად სახსრებს; საწარმოს შექმნა არის ინვესტიცია, რომელიც ფულად სახსრებს ამცირებს; და აქციების ან ობლიგაციების ემისია არის საფინანსო საქმიანობა, რომელიც ზრდის ფულად სახსრებს.
- **ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები** გვანვდის მნიშვნელოვან დეტალებსა და მოსაზრებებს და გვეხმარება ფინანსური ანგარიშგებების ახსნაში, თუ როგორ მოამზადა კომპანიამ თავისი ანგარიშები.
- **სტატისტიკური დანართი** შეიცავს გარკვეულ სტატისტიკურ მონაცემებს, აგრეთვე ინფორმაციას კომპანიის სტატუსის შესახებ.
- **ფინანსური ანგარიშგებების განმარტებანი** მოკლედ აღწერს კომპანიის საქმიანობის მახასიათებლებს, მისი ფუნქციონირების მაჩვენებლებს და იმ ფაქტორებს, რომლებმაც გავლენა იქონია კომპანიის ფინანსურ შედეგებზე, ისევე როგორც გადანყვეტილებებს ფინანსური ანგარიშგებების განხილვის და წმინდა მოგების განაწილების შესახებ. ეს ეხება ნებისმიერ იმ ინფორმაციას, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას მისცემს მიიღონ სრული და ობიექტური სურათი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსურ შედეგებსა და ფინანსური მდგომარეობის ნებისმიერ ცვლილებასთან დაკავშირებით.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

საერთაშორისო პრაქტიკა ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მიერ კომპანიის საქმიანობისა და სამომავლო პერსპექტივის განხილვასა და ანალიზს (MD&A) და ამ მიმართებით საკუთარი შეხედულების ქონას, რომელიც, როგორც წესი, აისახება წლიურ ანგარიშში და უნდა:

- 1) წარმოადგენდეს ფინანსური ანგარიშგებების დამატებასა და შევსებას;
- 2) იყოს ორიენტირებული მომავალზე;
- 3) იყოს ფოკუსირებული გრძელვადიანი ღირებულების შექმნაზე;
- 4) მოიცავდეს გრძელვადიან და უახლოეს პერსპექტივებს;
- 5) წარმოადგენდეს ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვანია მომხმარებლების მიერ გადანყვეტილების მისაღებად; და
- 6) აერთიანებდეს საიმედოობის, შედარებითობის, თანამიმდევრულობის, შესაბამისობის და აღქმადობის ნიშნებს.

მენეჯმენტის მიერ მომზადებული განხილვა და ანალიზი უფრო მეტად წარმოაჩენს ანალიტიკურ და აღწერილობითი ხასიათის შეხედულებას, ვიდრე დანარჩენი ფინანსური ანგარიშგებები.

დაბოლოს, გარე აუდიტორის ანგარიში დასკვნებთან ერთად საშუალებას აძლევს დამოუკიდებელ გარე აუდიტორს გამოხატოს საკუთარი მოსაზრება, თუ რამდენად არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებული განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების შესაბამისად და არის თუ არა იგი საიმედო. ამით აქციონერებს, მენეჯერებს, თანამშრომლებსა და ბაზრის მონაწილეებს მიწოდებათ დამოუკიდებელი შეხედულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის

შესახებ და, სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში, უნდა დადასტურდეს ფინანსური ანგარიშგებების სისწორე.

### ბ) ფინანსური ინფორმაციის მომზადება

კანონმდებლობით, აღრიცხვითა და სხვა სტანდარტებით განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშგებების სპეციფიკური შინაარსი და ფორმატი. ერთიანად და პერიოდების მიხედვით ფინანსური ანგარიშგებების შედარება უნდა იძლეოდეს კომპანიის ოპერაციების და ფინანსური მდგომარეობის ამსახველ სათანადო სურათს.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

თუ კომპანიები გეგმავენ საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე წვდომის მოპოვებას ან უბრალოდ ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებას, მათ უნდა მოამზადონ ფინანსური ანგარიშგებები საერთაშორისოდ აღიარებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად. ყველაზე მეტად აღიარებულ სტანდარტებს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) და აშშ-ში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები (U.S. GAAP).<sup>3</sup> კომპანიამ უნდა განიხილოს ანგარიშგების განხორციელება ფასს-ის შესაბამისად შემდეგი მიზეზების გამო:

- ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც მიღებულ იქნა 1999 წლის 5 თებერვალს. ფასს-ის წარმოადგენს საფუძველს, რომელსაც უნდა ემყარებოდეს ფინანსური აღრიცხვა;<sup>4</sup>
- ფასს-ს აქვს მკაფიო ეკონომიკური ლოგიკა და იძლევა მსგავს საერთაშორისო კომპანიებთან შედარების უკეთეს საშუალებას;
- ეროვნული სტანდარტები უახლოვდება ფასს-ს გლობალური მასშტაბით;
- ევროპაში კონსოლიდირებული ანგარიშგების მქონე ლისტინგში შემავალ ყველა კომპანიას მოეთხოვება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა ფასს-ის გამოყენებით;
- სტანდარტების უნიფიცირება ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს „ნაიკითხონ“ ფინანსური ანგარიშგებები ჩვეულებრივი წესის გამოყენებით; და
- ფასს-ის დანერგვა დაეხმარება ქართულ კომპანიებს შეამცირონ ინვესტიციის მოზიდვის ხარჯები.

## ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

2008 წლის კვლევის შედეგების თანახმად, კომპანიების 89.3 პროცენტმა აღნიშნა, რომ ისინი ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებდნენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2008 წელს გამოკითხულმა 15 ბანკმა დადებითი პასუხი გასცა შეკითხვას, ხორციელდებოდა თუ არა ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### გ) ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება

ფინანსური ინფორმაცია, როგორც წესი, წარდგენილი იქნება სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა დროს ფინანსური წლის განმავლობაში. ინფორმაციის გამჟღავნების ფორმატი და სიხშირე დამოკიდებული იქნება ეფექტიან რეგულირებასა და ბუღალტრული აღრიცხვის არჩეულ სისტემაზე.

ფინანსური ანგარიშგება, ფართო გაგებით, საზოგადოების ინფორმირების შემადგენელი ნაწილია, რომელიც აგრეთვე მოიცავს საჯარო კომპანიის ბიზნესსაქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას. ის განისაზღვრება როგორც პროსპექტის აუცილებელი ნაწილი, როგორც ინვესტორებისთვის განკუთვნილი საწყისი დოკუმენტი და, მეტიც, როგორც საჯარო კომპანიის ბიზნესანგარიშგების შემადგენელი ნაწილი.

<sup>3</sup> აშშ-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები) ხელმისაწვდომია ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს ვებ-გვერდზე: [www.fasb.org](http://www.fasb.org) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოკლე შინაარსი ხელმისაწვდომია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ვებ-გვერდზე [www.iasb.org](http://www.iasb.org)

<sup>4</sup> ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების შესახებ საქართველოს 1999 წლის 5 თებერვლის კანონი

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კომპანიის შედარებითი პრაქტიკა მოითხოვს, რომ ინფორმაცია ბოლო ხუთი სა-ოპერაციო წლის და ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შესახებ გამჟღავნდეს ისეთ დოკუმენტებში, როგორცაა:

- კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფეროები;
- ფინანსური და ბიზნესსაქმიანობის შედეგები, აგრეთვე მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს შემოსავლებზე;
- კომპანიის ფინანსური და ეკონომიკური კოეფიციენტები;
- ბაზრის კაპიტალიზაცია, ლიკვიდურობა და მისი ვალდებულებები;
- კაპიტალის სტრუქტურა, საბრუნავი კაპიტალის ჩათვლით;
- ძირითადი საშუალებების შემადგენლობა, სტრუქტურა და ღირებულება;
- ექსპორტის მთლიანი მოცულობა; და
- კომპანიის ქონების ინვენტარიზაცია.

კომპანიებმა ყველა არსებითი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნონ დროულად და ისეთი ფორმით, რომ შეძლებისდაგვარად მკაფიო და გასაგები იყოს მომხმარებლისათვის. კომპანიებმა უნდა დაიცვან კანონი, თუმცა არ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ ინფორმაციის გამჟღავნების მინიმალური ადგილობრივი სტანდარტებით.

### დ) ფინანსური ინფორმაცია კომპანიების ჯგუფში

ჯგუფის შიდა ურთიერთობის, გარიგებების, ფინანსური პირობებისა და კონსოლიდირებული ანგარიშების შესახებ ინფორმაციის სრული გამჟღავნება მნიშვნელოვანი წინაპირობაა ჯგუფის გამჭვირვალედ საქმიანობისთვის.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კონსოლიდირებული ანგარიშების მომზადებისას კომპანიებმა უნდა დაიცვან მათი მშობელი და შვილობილი კომპანიებისთვის დადგენილი აღრიცხვის პოლიტიკა ან, თუ ეს შეუძლებელია, კომპანიამ უნდა გაამჟღავნოს ეს და ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ის მუხლები, რომელთა მიმართაც გამოიყენება განსხვავებული პოლიტიკა. მშობელი კომპანიის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში შვილობილი კომპანიები შეიძლება ნაჩვენები იყოს თვითღირებულებით, გადაფასების თანხით ან კაპიტალის მეთოდის გამოყენებით. ფასს-ის შესაბამისად, კომპანიის კონსოლიდირებული ანგარიშები სხვა მუხლებთან ერთად უნდა შეიცავდეს:<sup>5</sup>

- თითოეული მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის დასახელებას, მფლობელობას და პროცენტულ მარჟენებელს ხმის მისაცემად;
- შვილობილი კომპანიის კონსოლიდაციის განუხორციელებლობის მიზეზს;
- ურთიერთობის ბუნებას, თუ მშობელი კომპანია არ ფლობს კონსოლიდირებული შვილობილი კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტს;
- ურთიერთობის ბუნებას, თუ მშობელი კომპანია ფლობს კონსოლიდირებული შვილობილი კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტს;
- გარკვეული პერიოდის განმავლობაში შვილობილი კომპანიების შეძენისა და გასხვისების შედეგს;
- შვილობილი კომპანიების აღრიცხვისთვის გამოყენებული მეთოდის აღწერას მშობელი კომპანიის ცალკე ფინანსურ ანგარიშგებებში.

### 2. კომპანიის ამოცანები

ბაზრებისთვის, აქციონერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის მნიშვნელოვანია იცოდნენ კომპანიის ამოცანები. კომპანიის ამოცანების გამჟღავნება შეიძლება იყოს სამართლებრივი მოთხოვნების შედეგი ან იყოს ნებაყოფლობითი.

<sup>5</sup> ამონარიდი ბუღალტრული აღრიცხვის 27-ე საერთაშორისო სტანდარტიდან; იხ. ასევე [www.iasb.org](http://www.iasb.org)

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

შედარებითი კანონმდებლობა მოითხოვს პროსპექტში კომპანიის ამოცანების (ისეთის, როგორცაა ფასიანი ქაღალდების ემისია, შესყიდვის გეგმები, აქტივების შეცვლა და გაყიდვა ან კვლევა და განვითარება) გამჟღავნებას. ამასთან, ყოველკვარტალური (ნახევარწლიური) ანგარიშები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შემოსავლების წყაროების, ახალი სანარმოო პროცედურების, წარმოების გაფართოების ან შემცირების, ახალი პროდუქტების შემუშავების, ძველი პროდუქტების ჩანაცვლების, ძირითადი საშუალებების მოდერნიზაციის ან შეკეთების და კომპანიის საქმიანობის ტიპების მოდიფიკაციის შესახებ. ამასთან ერთად, წლიური ანგარიში უნდა განსაზღვრავდეს კომპანიის პოზიციას დარგში, საქმიანობის პრიორიტეტულ სფეროებს და განვითარების ტენდენციებს.

ინფორმაციის ნებაყოფლობითი გამჟღავნება შეიძლება მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა კორპორაციულ მართვასთან, ბიზნესეთიკასთან, გარემოს დაცვის პრობლემებსა და სხვა ვალდებულებასთან დაკავშირებული კომპანიის პოლიტიკა. ამ ინფორმაციას შეუძლია დახმარების განევა კომპანიის სამომავლო ფუნქციონირების, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესა და საზოგადოებასთან მისი ურთიერთობის და თავისი ამოცანების განსახორციელებლად გადასადგმელი ნაბიჯების სათანადოდ შეფასებაში. ისევე როგორც ინფორმაციის გამჟღავნების სხვა შემთხვევებში, საყოველთაოდ მიღებული სტანდარტის დაცვით საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაციის ხარისხი მნიშვნელოვნად იზრდება.<sup>6</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კომპანიებმა შეიძლება აირჩიონ თავიანთი ამოცანების ნებაყოფლობითი გამჟღავნება წესდებაში, კომპანიის კორპორაციული მართვის კოდექსში და/ან ეთიკის კოდექსში და ასევე წლიურ ანგარიშში. ფორმის მიუხედავად, კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეს ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისთვის, მაგალითად, მათი ვებგვერდის მეშვეობით.

ბანკის ამოცანების რეგულარული გამჟღავნება ასევე რეკომენდებულია საქართველოს კომერციული ბანკებისთვის შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსით.<sup>7</sup>

### 3. აქციების ძირითადი მფლობელობა და ხმის მიცემის უფლება

#### ა) აქციების ძირითადი მფლობელობა

მნიშვნელოვანია, რომ აქციონერებს ჰქონდეთ ინფორმაცია კომპანიის მფლობელობის სტრუქტურის შესახებ, რათა გაერკვნენ კომპანიის მართვის პროცესში თავიანთ უფლებებში, როლსა და უფლებამოსილებაში, აგრეთვე შეეძლოთ კომპანიის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა. მფლობელობის სიდიდით განმარტებული, აქციონერებს აქვთ გავლენის სხვადასხვა ხარისხი კომპანიაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კანონმდებლობით დიდი წილის მფლობელ აქციონერებს ფართო უფლებები აქვთ მინიჭებული. ცხადია, მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, თუ ვის შეუძლია კომპანიის შიგნით გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენა. ამის გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სრულ ინფორმაციას განაღებულ საწესდებო კაპიტალის, მისი ზრდისა და კლების შესახებ, აგრეთვე სხვადასხვა ტიპისა და კლასის აქციებთან დაკავშირებული უფლებებისა და აქციონერთა რაოდენობის თაობაზე. დიდი წილის მქონე აქციონერებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ კონტროლი კომპანიაში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ეს შესაძლებლობები შეჯამებულია ქვემოთ მითითებულ 1-ელ ცხრილში.

<sup>6</sup> არასაფინანსო ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი განხილვისთვის იხ. ეთგო-ს მითითებები მულტიინაციონალური საწარმოებისთვის. იხ. ეთგო-ს ვებ-გვერდი: [www.oecd.org](http://www.oecd.org)

<sup>7</sup> კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის 7/8 ა, 8 17



**ცხრილი 1:** გავლენა მფლობელობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესზე

მფლობელობა	გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე
33,33% + 1 ხმა	აქციონერს შეუძლია ძირითადი გადაწყვეტილებების დაბლოკვა, რომლებიც მოითხოვს ხმათა უმრავლესობის 2/3-ს, მაგ., წესდების შესაცვლელად, კომპანიის რეორგანიზაციისთვის
50% + 1 ხმა	აქციონერს ერთპიროვნულად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც მოითხოვს უბრალო უმრავლესობას, მაგ., დივიდენდების გაცხადება და გარე აუდიტორის დამტკიცება
66,66% + 1 ხმა	აქციონერს შეუძლია ყველა საკითხის ერთპიროვნული გადაწყვეტა

პრაქტიკაში დაბალი ზღურბლი შეიძლება საკმარისი იყოს კომპანიის კონტროლის განსახორციელებლად. კერძოდ, კომპანიაში, სადაც დისპერსული მფლობელობაა, აუცილებელი არ არის აქციონერი ფლობდეს აქციების 1-ელ ცხრილში განსაზღვრულ პროცენტს, რადგან აქციონერთა საერთო კრებაზე კვორუმი გადაწყვეტილებების მისაღებად დაითვლება კენჭისყრაში მონაწილე ხმების საფუძველზე. იმის გამო, რომ კენჭისყრაში ყველა აქციონერი იშვიათად იღებს მონაწილეობას, აქციონერთა საერთო კრებაზე აქციების შედარებით ნაკლები პროცენტი, როგორც წესი, განაპირობებს გავლენის იმავე ხარისხს. ნებისმიერ შემთხვევაში, რაც უფრო დიდია მფლობელობის წილი, მით მეტია აქციონერების მიერ კომპანიის კონტროლის შესაძლებლობა.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა


კომპანიებს, რომლებიც ცდილობენ ინფორმაციის გამჭვირვალეობას მათი მფლობელობის სტრუქტურის შესახებ, შეიძლება უნდოდეთ აშშ-სა და ევროკავშირის რეგულაციებით განსაზღვრული პროცედურების დაცვა. აშშ-ის რეგულაციებით ბენეფიციარი მფლობელი განისაზღვრება როგორც ნებისმიერი პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნებისმიერი სახელშეკრულებით შეთანხმების, ურთიერთგაგების და ურთიერთობის საფუძველზე ან სხვაგვარად ფლობს ან ინაწილებს.<sup>8</sup>

- ხმის მიცემის უფლებას, რომელიც მოიცავს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას ან ასეთი ფასიანი ქაღალდის ხმის მიცემის მართვას; და/ან
- საინვესტიციო უფლებამოსილებას, რაც გულისხმობს ასეთი ფასიანი ქაღალდის გასხვისებას ან გასხვისების მართვას.

ფასიანი ქაღალდების შესახებ აშშ-ის კანონის თანახმად, ნებისმიერმა პირმა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ნებისმიერი კლასის ფასიანი ქაღალდების 5%-ზე მეტის მფლობელი, უნდა შეატყობინოს ემიტენტს და ნებისმიერ საფონდო ბირჟას, სადაც ეს ფასიანი ქაღალდები ვაჭრობაში მონაწილეობს, ასეთი შესყიდვის შესახებ 10 დღის ვადაში, ისევე როგორც 1%-ით ან მეტით ფასიანი ქაღალდების რაოდენობის მატების ან კლების შესახებ.<sup>9</sup> თუ ბენეფიციარი მფლობელი მოქმედებს სხვა ინსტიტუტებთან ან პირებთან შეთანხმებით, უნდა გამჟღავნდეს მათი სახელები და ურთიერთობა ბენეფიციარ მფლობელთან. გამჭვირვალობის შესახებ ევროკავშირის 2001 წლის დირექტივა იძლევა ინფორმაციის გამჭვირვალეობის სამართლებრივ ბაზას, კერძოდ:

- 1) მე-9 მუხლის თანახმად, ინვესტორებმა უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია ლისტინგში შემავალ კომპანიაში ძირითადი მფლობელობის შექმნის ან გასხვისების შესახებ, დანყებული 5%-იანი ზღურბლიდან, 5%-იანი ინტერვალებით სანესდებო კაპიტალის ხმის უფლების მქონე აქციების 30%-მდე;
- 2) მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით შემცირებული კომპანიისა და კომპეტენტური მარეგულირებელი ორგანოს წინაშე შესყიდველის ანგარიშგების

<sup>8</sup> 17 ფედერალური რეგულაციების კოდექსი (CFR), 240/13d-3(a)  
<sup>9</sup> აშშ-ის აქტი ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბირჟის შესახებ, 1934, თავი. 13დ - 1,2; 17 CFR 240,13 დ - 2



## ★ საუკეთესო პრაქტიკა

- ვალდებულება შვიდი კალენდარული დღიდან ხუთ სამუშაო დღემდე, ერთი მხრივ, და კომპანიის ვალდებულება საზოგადოების წინაშე ცხრა კალენდარული დღიდან სამ სამუშაო დღემდე, მეორე მხრივ;
- მე-2 მუხლით გაფართოებულია „ფასიანი ქალაქის მფლობელის“ განმარტება და მოიცავს მეურვეს და იმ პირებს, რომლებიც ფლობენ ფასიან ქალაქებს კლირინგის და ანგარიშსწორების მიზნებისათვის;
  - დაბოლოს, მე-11 მუხლის მე-5 პუნქტით განვრცობილია შეტყობინების მოთხოვნა ფასიანი ქალაქების ისეთ კლასებზე, როგორცაა გარანტიები და კონვერტირებადი ობლიგაციები, თუ მფლობელობა აღწევს მე-9 მუხლით განსაზღვრულ ზღურბლს ან ეცემა ამ ზღურბლს ქვემოთ;

ექვს ნევრ-ქვეყანას უკვე აქვს შემოღებული ეს დირექტივა კანონით ან წესით. ამასთან ერთად, მიერთების შესახებ ევროკავშირის დირექტივის მე-10 მუხლი არეგულირებს გამჭვირვალობის საკითხებს, მათ შორის, ინფორმაციის გამჟღავნებას ბენეფიციარი მფლობელობის სტრუქტურის შესახებ; შესაბამისად, ლისტიგში შემავალ ევროპის კომპანიებს მოეთხოვებათ ინფორმაციის გამჟღავნება თავიანთ წლიურ ანგარიშებში. მათ შორისაა, ინფორმაცია:

- კაპიტალის სტრუქტურის შესახებ;
- ნებისმიერ შეზღუდვასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ფასიანი ქალაქების თავისუფალ გადაცემას;
- აქციების პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობის შესახებ (პირამიდული სქემების და აქციების ჯვარედინი მფლობელობის ჩათვლით);
- კონტროლის განსაკუთრებული უფლებების მქონე ფასიანი ქალაქების მფლობელების შესახებ;
- თანამშრომელთა აქციების ნებისმიერი სქემის კონტროლის სისტემის შესახებ, სადაც კონტროლის უფლება არ გამოიყენება უშუალოდ თანამშრომლების მიერ;
- ხმის მიცემის უფლებასთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვების შესახებ;
- აქციონერთა ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რომელიც ცნობილია კომპანიისთვის;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნისა და შეცვლის მარეგულირებელი წესების შესახებ;
- მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების შესახებ, რომლებიც ძალაში შევა კონტროლის შეცვლის შემთხვევაში; და
- კომპენსაციასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების შესახებ კომპანიასა და მის დირექტორებს შორის მიერთების წარმატებული წინადადების შემთხვევაში.

საქართველოს კომერციული ბანკებისთვის შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციით, ბანკმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მფლობელობის სტრუქტურის, მათ შორის მაკონტროლებელი წილის მფლობელების შესახებ, ხმის მიცემის უფლების, ბენეფიციარი მფლობელების, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის წევრების მფლობელობაში არსებული აქციების შესახებ და ჰოლდინგის სტრუქტურის და ჰოლდინგის სტრუქტურაში აქციების ჯვარედინი მფლობელობის შესახებ.<sup>10</sup>

### ბ) არაპირდაპირი კონტროლი

აქციონერებს, რომლებიც ფლობენ აქციების უმრავლესობაზე ნაკლებს, შეუძლიათ კომპანიის არაპირდაპირი კონტროლი პირამიდული სტრუქტურის და/ან ჯვარედინი მფლობელობის საშუალებით. ურთიერთობა დაკავშირებული მხარეებთან შეიძლება ასევე ცვლიდეს კომპანიის კონტროლის სტრუქტურას.

<sup>10</sup> კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, თავი 7/8ბ

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ინფორმაცია არაპირდაპირი მფლობელობის და დაკავშირებული მხარის გარეგნობის შესახებ სრულად უნდა გამჟღავნდეს, განსაკუთრებით წლიურ ანგარიშში, კვარტალურ ანგარიშგებებში, ანგარიშში მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, აგრეთვე მარეგულირებლებისა და კრედიტორებისთვის გაგზავნილ სხვა შეტყობინებებში.

### გ) აქციონერთა ხელშეკრულებები და კენჭისყრაში მონაწილე ხმების მაქსიმალური რაოდენობა

აქციონერთა ხელშეკრულებები და კენჭისყრაში მონაწილე ხმების მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება ასევე ახდენდეს გავლენას კონტროლზე. აქციონერთა (ხმის მიცემის) ხელშეკრულებები, როგორც წესი, ავალდებულებს მხარეებს, ხმა მისცენ ერთიანად (ბლოკის სახით) და შეიძლება სხვა აქციონერს მისცენ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება. აქციონერთა ხელშეკრულებები შეიძლება მოიცავდეს ბევრ საკითხს, მათ შორის, თუ რომელი კანდიდატი უნდა წარედგინოს სამეთვალყურეო საბჭოს ან ვინ უნდა იქნეს არჩეული თავმჯდომარედ. აქციონერთა ხელშეკრულებები დაინტერესების არსებით საკითხს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ გამოსავლენად რთულია, კომპანიებმა უნდა სცადონ ინფორმაციის მოპოვება აქციონერთა ხელშეკრულებების არსებობის შესახებ და გაუმჟღავნონ ასეთი ინფორმაცია ყველა აქციონერს. თუმცა, აქციონერთა ხელშეკრულებების მხარეები უნდა ცდილობდნენ ინფორმაციის ნებაყოფლობით გამჟღავნებას.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კენჭისყრაში მონაწილე ხმების მაქსიმალური რაოდენობა ზღუდავს ხმების რაოდენობას, რომელიც აქციონერს შეუძლია გამოიყენოს მის მფლობელობაში რეალურად არსებული აქციების მიუხედავად. ასეთი ლიმიტი ეწინააღმდეგება პრინციპს: ერთი აქცია – ერთი ხმა და აკონტროლებს აღნიშნულს მფლობელობის პროპორციულად. კენჭისყრაში მონაწილე ხმების მაქსიმალური რაოდენობა ხშირად გამოიყენება ან არსებული მაკონტროლებელი აქციონერების, ან მენეჯმენტის პოზიციის დასაცავად და იშვიათად უჭერენ მას მხარს კეთილსინდისიერი აქციონერები.

### 4. ინფორმაცია დირექტორების და აღმასრულებელი პირების შესახებ

#### ა) პირადი მონაცემები

ინვესტორებსა და აქციონერებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და ძირითადი აღმასრულებელი პირების შესახებ, მათი გამოცდილების და კვალიფიკაციების შესაფასებლად. დირექტორების განათლება, მიმდინარე პროფესია და პროფესიული გამოცდილება ცნობილი და დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული მხარეებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აქციონერებს და ინვესტორებს ჰქონდეთ ინფორმაცია ნებისმიერი (არსებული ან პოტენციური) ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს დამოუკიდებლობასა და გადანყვევტილების მიღების უნარზე.

აქციონერებს ასევე უნდა შეეძლოთ იმის შეფასება, რამდენად უთმობენ სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი საბჭო საკმარის დროს თავიანთ მოვალეობებს და სათანადოდ ასრულებენ თუ არა ისინი ვალდებულებებს. შესაბამისად, კომპანიებმა უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან აღმასრულებელი დირექტორების მიერ სხვა კომპანიებში დაკავებული ყველა სხვა პოზიციის შესახებ და ინფორმაცია საბჭოს სხდომებზე დასწრების თაობაზე.

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ინფორმაციის გამჟღავნების სამართლებრივი მოთხოვნები ჩამორჩება საუკეთესო პრაქტიკას. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, კომპანიებმა თავიანთ წლიურ ანგარიშებში უნდა გაამჟღავნონ ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- კომპანიის სხვა ძირითადი ხელმძღვანელი პირები და მათი ავტობიოგრაფიული მონაცემები;
- ინფორმაცია გარიგებების შესახებ აღნიშნულ სხვა ხელმძღვანელ პირებსა და კომპანიას შორის;
- დირექტორთა საბჭოს თითოეული წევრის, აგრეთვე ყველა სხვა პოზიციაზე მომუშავე პირის ასაკი, პროფესია, დასაქმება და მოქალაქეობა, თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი და რა ვადითაა იგი დანიშნული; და
- ინფორმაცია ყველა საჩივრის შესახებ, რომელიც წარდგენილია ქართულ ან უცხოეთის სასამართლოებში (ან არბიტრაჟში) დირექტორთა საბჭოს წევრის და აღმასრულებელი დირექტორების და/ან გენერალური დირექტორის წინააღმდეგ.

საქართველოს კომერციული ბანკებისთვის შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციით, ბანკი რეგულარულად უნდა ამჟღავნებდეს ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის შესახებ, მათ შორის ინფორმაციას წევრების, მათი გამოცდილების და კვალიფიკაციის შესახებ, ბანკის მნიშვნელოვან გარიგებებში მათი არსებითი ინტერესის და მათი ანაზღაურების შესახებ.<sup>11</sup>

### ბ) ანაზღაურება

ანაზღაურების წამახალისებელი სქემები, ჩვეულებრივ, ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული სხვადასხვა ფორმით. კომპანიების მცირე რაოდენობას თუ აქვს ისეთი მექანიზმები, რომლებიც ერთმანეთის იდენტურია. აღმასრულებელ პირთა ანაზღაურების სქემები, როგორც წესი, შექმნილია ასეთი პირების მოტივაციის მიზნით და აქციონერთა ინტერესებთან მათი ინტერესების დასაბალანსებლად. ასეთი სქემები ძირითადად მოიცავს საქმიანობის ეფექტიანობაზე დამყარებულ პრემირებას. მასტიმულირებელი ანაზღაურების სქემა შეიძლება არ იყოს ყველაზე ეფექტიანი გზა არსებული ინტერესთა კონფლიქტის მოსაგვარებლად. ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა იგი გულდასმით შემოწმდეს სამართლებრივი და საფინანსო კუთხით და დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ და აქციონერთა საერთო კრებამ. არააღმასრულებელ დირექტორთა ანაზღაურებასთან დაკავშირებული გეგმები მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

აქციონერებს უნდა მიეწოდოთ კომპანიის ანაზღაურების პოლიტიკის მკაფიო და სრულყოფილი სურათი. ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება აქციონერებსა და ინვესტორებს საშუალებას აძლევს შეაფასონ ანაზღაურების პაკეტის სხვადასხვა კომპონენტის ძირითადი პარამეტრები და დასაბუთება, კავშირი ანაზღაურებასა და შრომის ეფექტიანობას შორის და სხვ. ინფორმაციის ასეთი გამჟღავნება მიზნად ისახავს კომპანიის აქციონერების წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერებას. ანაზღაურების პოლიტიკა უნდა იყოს ანაზღაურების შესახებ დამოუკიდებელი ანგარიშის ნაწილი და/ან უნდა შედიოდეს წლიურ ანგარიშებში და წლიურ ანგარიშგებაში, ან კომპანიის წლიური ანგარიშის შენიშვნებში. ანაზღაურების პოლიტიკა ასევე უნდა განთავსდეს კომპანიის ვებ-გვერდზე. საქართველოს კომერციული ბანკებისთვის შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციით, უნდა წარმოებდეს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის წევრების ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის რეგულარული გამჟღავნება.<sup>12</sup> კომპანიები უნდა იყვნენ გამჭვირვალე არა მარტო ანაზღაურების დონებთან დაკავშირებით, არამედ ასევე ანაზღაურების განსასაზღვრად გამოყენებულ მეთოდებთან მიმართებით. სამეთვალყურეო

<sup>11</sup> კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, თავი 7/8ე

<sup>12</sup> კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, თავი 8ბ,6,7

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

საბჭოს წევრების, გენერალური დირექტორის და/ან აღმასრულებელი საბჭოს წევრების ანაზღაურების განსასაზღვრად გამოყენებული კრიტერიუმები, ისევე როგორც საანგარიშგებო წლის შედეგებზე დამყარებული გადახდილი ან გადასახდელი ანაზღაურების მთლიანი თანხა, უნდა გამჟღავნდეს წლიურ ანგარიშში. ანაზღაურების განსასაზღვრად გამოყენებული მეთოდები, როგორც წესი, ანაზღაურების პოლიტიკის ნაწილია. ევროკავშირის წევრ-ქვეყნების დიდ უმრავლესობას შემოღებული აქვს ინფორმაციის გამჟღავნების მაღალი სტანდარტები სამეთვალყურეო საბჭოს ინდივიდუალური წევრების და ძირითადი აღმასრულებელი პირების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ამით აქციონერები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არიან ინდივიდუალური ანაზღაურების შესასრულებელ პასუხისმგებლობასა და/ან სამუშაოსთან კავშირის შეფასების კუთხით. ეს აგრეთვე აქციონერებს საშუალებას აძლევს განსაზღვროს აღმასრულებელი პირებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა სრული ანგარიშვალდებულება მათი მოვალეობების შესრულებასთან მიმართებით.

აქციონერებსა და ინვესტორებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ინფორმაცია აღმასრულებელი პირების ანაზღაურების გეგმის შესახებ, რათა შეაფასონ მათთან დაკავშირებული ხარჯები და სარგებელი, აგრეთვე კავშირი, ერთი მხრივ, კომპანიის ეფექტიანობასა და, მეორე მხრივ, აღმასრულებელი პირების ანაზღაურებას შორის.

გარკვეულ მომენტში არააღმასრულებელი დირექტორების დამოუკიდებლობას შეიძლება საფრთხე შეექმნას, თუ ისინი საბჭოში საქმიანობიდან იღებენ მთლიანი შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს. ზოგიერთ ქვეყანას დადგენილი აქვს გარკვეული ფულადი ზღვარი, რომელიც ერთგვარი გამაფრთხილებელი სიგნალი შეიძლება იყოს. მართალია რაოდენობრივი ზღვარი შეიძლება მიზანშეწონილი სანყისი წერტილი იყოს, თუმცა დამოუკიდებლობის შეფასება, რა თქმა უნდა, გაცილებით სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს. არააღმასრულებელი დირექტორების ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება კრიტიკულად რჩება იმ შეფასებასთან მიმართებით, თუ რამდენად შეიძლება მოხდეს დამოუკიდებლობის დათმობა.

ანაზღაურების შესახებ სრული ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიებმა შეიძლება საჭიროდ მიიჩნიონ ინფორმაციის გამჟღავნება სხვა კომპანიის იმ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც არ წარმოადგენენ აღმასრულებელი საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს ნაწილს.

### 5. არსებითი პროგნოზირებადი რისკის ფაქტორები

რისკი (უკუგებასთან ერთად) ინვესტორისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელი ფაქტორია. რისკები შეიძლება მოიცავდეს კონკრეტულ დარგობრივ რისკებს, ისევე როგორც პოლიტიკურ, სასაქონლო, დერივატივების, გარემოს დაცვის, საბაზრო, საპროცენტო და სავალუტო რისკებს. მოკლედ, რისკი, თავისი ბუნებით, წინდახედულობაა და მისი რაოდენობრივი განსაზღვრა მეტად რთულია.

### 6. თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული მხარეები

უნდა ითქვას, რომ თანამშრომლების და სხვა დაინტერესებული მხარეების შესახებ ინფორმაციის უმეტესი ნაწილი შეიძლება არ იყოს „არსებითი“, ამ ტერმინის ბუღალტრული ან ფინანსური განმარტებიდან გამომდინარე. მეორე მხრივ, ინფორმაცია კომპანიის თანამშრომლების, კრედიტორების და მომწოდებლების შესახებ, აგრეთვე ადგილობრივ საზოგადოებასთან კომპანიის ურთიერთობის შესახებ, შეიძლება „არსებითი“ იყოს სხვა ჯგუფებისთვის. თანამშრომლები ასევე არიან ინფორმაციის მომხმარებლები - ინფორმაციის გამჟღავნება მათ ეხმარება დასაქმებასთან დაკავშირებული სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, სამსახურში საკუთარი თავის დაცვასა და კომპანიის საქმიანობის სხვა ღონისძიებებში მონაწილეობაში. დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის გამჟღავნება სულ უფრო აქტუალური ხდება მთელს მსოფლიოში.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის გამჟღავნების ფორმები, როგორც წესი, კანონითაა მოთხოვნილი, სანიმუშო პრაქტიკა გულისხმობს დაინტერესებული მხარეებისთვის აგრეთვე სხვა საჭირო ინფორმაციის მინოდებას. მაგალითად, დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის გამჟღავნება შეიძლება მოიცავდეს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას, სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების პირობებს და გარემოზე ან საზოგადოებაზე კომპანიის გავლენას.

### 7. კორპორაციული მართვის სტრუქტურა და პოლიტიკა

კომპანიის მართვის სტრუქტურის შეფასებისას ბაზრის მონაწილეებს შეიძლება მოუხდეთ ინფორმაციის მოპოვება კომპანიის მმართველობითი ორგანოების შესახებ, მათ შორის აქციონერებს, დირექტორებსა და აღმასრულებელ პირებს შორის უფლებამოსილების განაწილების თაობაზე, აგრეთვე კომპანიის კორპორაციული მართვის პოლიტიკის, კორპორაციული მართვის მიმართ მისი ერთგულების და შესაბამისობის მექანიზმების შესახებ.

ნესდება არის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის მართვის სისტემის წესებსა და პროცედურებს. იგი კომპანიის ძირითადი დოკუმენტია, რომელიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას თავის კორპორაციული მართვის კოდექსში ასევე გაშუქებული აქვს კორპორაციული მართვის ზოგადი კონცეფცია და სტრუქტურა. დებულებებით განსაზღვრულია გაცილებით დეტალური მითითებები ღონისძიებების შესახებ.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

აუცილებელია ინფორმაციის გამჟღავნება კორპორაციული კონფლიქტების შესახებ. კონფლიქტები კორპორაციული მართვის იმ რეკომენდაციების არასათანადო განხორციელების შედეგია, რომლებიც კომპანიამ სავალდებულოდ გამოაცხადა რომელიმე ფორმით. ასევე, კომპანიებმა კორპორაციული მართვის წესებისა და რეკომენდაციების გამოყენებისას უნდა დაიცვან „შესაბამისობის ან განმარტების“ პრინციპი და ამ თვალსაზრისით ანგარიშებში უნდა ახსნან მათი განხორციელებისას არსებული გადახვევების მიზეზი.

#### ა) ერთგულება კორპორაციული მართვის მიმართ

ბაზრებს აინტერესებთ იმის გარკვევა, რამდენად ერთგულად ეკიდება კომპანია კორპორაციულ მართვას - განიხილავს თუ არა კომპანია მართვას როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობას, „ფორმის ფორმალურ შევსებას“ ან ზედაპირულ მოქმედებას, თუ რეალურად უნდა „სათანადო მოქმედება“, აგრეთვე აუცილებელი და საჭირო ცვლილებების განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის სათანადო გამჟღავნება თავისთავად საკმარისი არ არის სანიმუშო კორპორაციული მართვის თანამიმდევრული და ცალსახა უზრუნველყოფისთვის, ცხადია, ის ერთ-ერთი გზაა, რომლითაც კომპანია გამოხატავს ერთგულებას თავისი აქციონერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წინაშე.

#### ბ) კორპორაციული მართვის სტრუქტურები

კომპანიებმა პროსპექტსა და ანგარიშებში უნდა აღწერონ მართვის სტრუქტურები, მათ შორის თითოეული მმართველობითი ორგანოს უფლებამოსილება და შიდა კონტროლის მექანიზმები. ასევე, კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადონ აქციონერთა საერთო კრების მონაწილეთა და გამართვის პროცედურები შიდა დოკუმენტების მეშვეობით, აგრეთვე აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები აცნობონ საზოგადოებას არსებითი მოვლენების შესახებ ანგარიშის საშუალებით.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კომპანიებმა უნდა გაამყლავნონ ინფორმაცია კომპანიის გარე აუდიტორის (ან სახელმწიფო პირების) და სხვა გარეშე პირების ცვლილების შესახებ, რომლებიც კომპანიას მნიშვნელოვან მომსახურებას უწევენ კომპანიის ბიზნეს-ოპერაციებთან დაკავშირებით (მაგ., ადვოკატთა ოფისები, რომლებიც წარმოადგენენ კომპანიებს სასამართლო პროცესებში).

### გ) კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკა

კომპანიებმა უნდა გაამყლავნონ ინფორმაცია მათი კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის შესახებ და უზრუნველყონ დაინტერესებული მხარეების ადეკვატური და იაფი წვდომა ასეთ ინფორმაციასთან.

### ბ. ინფორმაციის სავალდებულო გამჟღავნება

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ინფორმაციის სავალდებულო გამჟღავნების სხვადასხვა ფორმა და პროცედურა. კომპანიებს სხვადასხვა დროს უხდებათ ანგარიშგება მარეგულირებელი ორგანოების წინაშე, აქციონერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა ან ინფორმაციის გამჟღავნება სხვა განსაკუთრებული ვითარების დადგომის შესახებ. ეს სეგმენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღია სააქციო საზოგადოებებისთვის და სხვა იურიდიული პირებისთვის, რომლებიც ახდენენ ფასიანი ქაღალდების ემისიას საჯარო შეთავაზებით (საჯარო კომპანიები). ამგვარად, ამ თავში განხილულია საზოგადოების სავალდებულო ინფორმირების ფორმები, რომლებიც აღნიშნული პირებისთვის განსაზღვრულია შემდეგი კანონებით:

- 1 საქართველოს კანონით მენარმეთა შესახებ,<sup>13</sup> - შეიცავს ზოგად დებულებებს, რომლებიც ყველა აქციონერს უფლებას აძლევს მიიღოს წლიური ანგარიში და სხვა ინფორმაცია, ასევე ყველა აქციონერის, რომელიც ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების 5%-ზე მეტს, აძლევს უფლებას მიიღოს ინფორმაცია კომპანიის მიერ გაფორმებული გარიგებების შესახებ და მოითხოვოს სპეციფიკური ინფორმაცია ბალანსთან დაკავშირებით;
- 2 საქართველოს კანონით ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ<sup>14</sup> - შეიცავს ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებულ დებულებებს. კერძოდ, ესენია:
  - ინფორმაციის გამჟღავნება ფასიანი ქაღალდების განთავსებისას;
  - წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშები არსებითი მოვლენების შესახებ;
  - ფინანსური და აუდიტორის დასკვნები;
  - ინფორმაციის გამჟღავნება ბენეფიციარი მფლობელების შესახებ;
  - კონფიდენციალური ინფორმაცია.

ზემოაღნიშნული ზოგადი გამოყენების კანონების გარდა, დარგის მარეგულირებლები განსაზღვრავენ განსაკუთრებულ მოთხოვნებს. მაგალითად, საქართველოს კანონი ნავთობის და გაზის<sup>15</sup> შესახებ მოითხოვს გარკვეული მხარეებისგან წლიური ანგარიშის და აუდიტის დასკვნის წარდგენას დარგის მარეგულირებლისთვის - ნავთობისა და გაზის რესურსების სახელმწიფო სააგენტოსთვის; საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ<sup>16</sup> განსაზღვრავს დარგის მარეგულირებლის - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს ფინანსური ანგარიშგების, აუდიტის და შემონმეების შესახებ.

### დ. ინფორმაციის ნებაყოფლობითი გამჟღავნება

კომპანიებისთვის სანიმუშო პრაქტიკაა არსებითი ინფორმაციის ნებაყოფლობითი გამჟღავნება სამართლებრივი მოთხოვნებით დადგენილ სავალდებულო გამჟღავნებასთან ერთად. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება იმ კომპანიებს, რომლებიც განვითარებად ბაზრებზე საქმიანობენ და ხშირად ზარალდებიან სუსტი სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემოს და, მე-

<sup>13</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონი  
<sup>14</sup> ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს 1998 წლის 24 დეკემბრის კანონი  
<sup>15</sup> ნავთობის და გაზის შესახებ საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი  
<sup>16</sup> კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს 1996 წლის 23 თებერვლის კანონი

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

ტიც, აღსრულების არასაკმარისი მექანიზმების გამო. მიუხედავად ამისა, კომპანიებმა შეძლებისდაგვარად უნდა გამოიყენონ ინფორმაციის გამჟღავნების არსებული ფორმები და დაიცვან ხარისხის ისეთივე სტანდარტები, როგორც მოთხოვნილია ანგარიშგების ამ ფორმებისთვის. მათ უნდა გამოიყენონ აგრეთვე კომუნიკაციის ისეთი საშუალებები, როგორცაა ინტერნეტი და ბეჭდვითი მედია.

## 1. კორპორაციული ვებ-გვერდები

კორპორაციული ვებ-გვერდები ადვილად და იაფად ხელმისაწვდომია და შეიძლება იყოს კომუნიკაციის გამორჩეულად მძლავრი საშუალება. ამჟამად ინტერნეტი ნელ-ნელა ხდება ინფორმაციის გამჟღავნების ოფიციალური არხი. ვებ-გვერდზე დამყარებული გამჟღავნება ფასიანი ქაღალდების კომისიების შესწავლის საგანია მთელს მსოფლიოში.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

კომპანიის ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს შემდეგი ინფორმაცია:

- კომპანიის წესდება და მისი ცვლილებები;
- ინფორმაცია კომპანიის განვითარების სტრატეგიის შესახებ;
- ბიზნესანგარიშები ფინანსურ ანგარიშებთან ერთად;
- პროსპექტები;
- გარე აუდიტორის დასკვნა;
- ინფორმაცია მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- ინფორმაცია აქციონერთა საერთო კრებასთან დაკავშირებით; და
- დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

ინტერნეტი ეფექტიანი ინსტრუმენტია სწრაფი და იაფი კომუნიკაციისთვის და მიუხედავად იმისა, რომ ქართული კომპანიები სულ უფრო მეტად იყენებენ მას ნებაყოფლობითი გამჟღავნების მიზნით, ინტერნეტის შესაძლებლობები ჯერაც არ არის სრულად ათვისებული.

### ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

სამწუხაროდ, საქართველოში ბევრ კომპანიას კვლავაც არ გააჩნია ვებ-გვერდი. გამოკითხული კომპანიების მხოლოდ მესამედს (32%) აქვს ვებ-გვერდი. ზოგადად, ვებ-გვერდის მეშვეობით ხდება შემდეგი ინფორმაციის გამჟღავნება: ინფორმაცია ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ (46.1%), მენეჯმენტი და სამეთვალყურეო საბჭო (31.6%) და პერსონალი (28.9%) და ასევე წლიური ანგარიში (26.3%).<sup>17</sup>

კომპანიების საპირისპიროდ, ბანკების უმრავლესობას (93.3%) აქვს კორპორაციული ვებ-გვერდი. როგორც კვლევამ გამოავლინა, ყველაზე გავრცელებული ინფორმაცია, რომელსაც ბანკები ამჟღავნებენ საკუთარ ვებ-გვერდზე, არის წლიური ანგარიში და ინფორმაცია ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ. ბევრი ბანკი პერიოდულად განათავსებს ფინანსურ ინფორმაციას.<sup>18</sup>

## 2. მასმედია

ბეჭდვითი მედია ინფორმაციის გამჟღავნების კიდევ ერთი არხია. მიუხედავად იმისა, რომ გამოქვეყნება დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, ის ინფორმაციის გამჟღავნების აღიარებული საშუალებაა (ინტერნეტისგან განსხვავებით, რომელიც პასიურია) და უზრუნველყოფს ინფორმაციის აქტიურ გავრცელებას საზოგადოებაში.

კომპანიების უმრავლესობა ბეჭდვით მედიაში ინფორმაციას ამჟღავნებს ახალი პროდუქტების, ძირითადი ხელშეკრულებების, შესყიდვების, ფინანსური შედეგების და გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შესახებ.

<sup>17</sup> კორპორაციული მართვის კვლევა კომპანიებში, საქართველო, 2008, თავი 4

<sup>18</sup> კორპორაციული მართვის კვლევა ბანკებში, საქართველო, 2008, თავი 4



## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ფინანსური ანგარიშგება ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია აქციონერებისა და პოტენციური ინვესტორებისთვის კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაში გასარკვევად. ამ კუთხით კომპანიები, რომლებშიც აქციონერების დიდი რაოდენობაა წარმოდგენილი (მაგალითად, 1000 ან მეტი), უნდა აქვეყნებდნენ თავიანთ ფინანსურ ანგარიშგებას, სულ ცოტა, ორ გაზეთში, რომლებიც ვრცელდება ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. ეს გაზეთები ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპანიის აქციონერთა უმრავლესობისათვის.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

თავი **XII**

შიდა კონტროლი

## ❓ კითხვარი

✓ როგორია ურთიერთობა შიდა საზედამხედველო ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტს და გარე აუდიტორს შორის? არის თუ არა მათი როლი და პასუხისმგებლობა სათანადოდ განსაზღვრული ფუნქციების გადასაფარავად და კონფლიქტის ასაცილებლად?

✓ **შიდა საზედამხედველო ორგანო (სამეთვალყურეო საბჭო, შიდა აუდიტორი ან აუდიტორთა საბჭო):**

აქვს თუ არა კომპანიას შექმნილი სამეთვალყურეო საბჭო, ჰყავს თუ არა შიდა აუდიტორი ან აუდიტორთა საბჭო?

ასრულებს თუ არა სამეთვალყურეო საბჭო თავის ფუნქციებსა და მოვალეობებს?

გამოუვლენია თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს როდესმე ინფორმაციის არასწორი მიწოდება და თუ წარუდგენია ამ ან სხვა დარღვევების შესახებ ანგარიშგება აქციონერთა საერთო კრების წინაშე?

არის თუ არა შიდა აუდიტორი (აუდიტორთა საბჭო) ანგარიშვალდებული მენეჯმენტის, სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერთა საერთო კრების წინაშე? ვის წინაშე უნდა იყოს ანგარიშვალდებული შიდა აუდიტორი? არსებობს თუ არა ბარიერები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს შიდა აუდიტორს კომპანიის პრობლემების შესახებ ანგარიშგების წარდგენაში?

ვინ არიან შიდა საზედამხედველო ორგანოს წევრები? არის თუ არა რომელიმე თანამშრომელი წევრი? არიან თუ არა წევრები მენეჯმენტისგან მთლიანად დამოუკიდებელი?

რეგულარულად მართავს თუ არა შიდა საზედამხედველო ორგანო სხდომებს და უპასუხებს თუ არა აქციონერთა მოთხოვნებსა და კითხვებს?

✓ **გარე აუდიტი:**

ჰყავს თუ არა კომპანიას დამოუკიდებელი გარე აუდიტორი? უწევს თუ არა გარე აუდიტორი კომპანიას ისეთ არააუდიტორულ მომსახურებას, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის დამოუკიდებლობაზე? ხდება თუ არა აუდიტის პარტნიორთა როტაცია?

როგორ ხდება გარე აუდიტორის შერჩევა? ეწყობა თუ არა ღია ტენდერი? თუ ეწყობა, ვინ უწევს ორგანიზებას ტენდერის პროცესს?

ვის წინაშეა ანგარიშვალდებული გარე აუდიტორი?

მონაწილეობს თუ არა გარე აუდიტორი აქციონერთა ყოველწლიურ საერთო კრებაში და უპასუხებს თუ არა აქციონერთა მიერ დასმულ ყველა კითხვას?

✓ **აუდიტის კომიტეტი:**

უნდა არსებობდეს თუ არა აუდიტის კომიტეტი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში? რა ხარჯებთან არის იგი დაკავშირებული და როგორია მისი საქმიანობიდან გამომდინარე სარგებელი?

თუ კომპანიას აქვს აუდიტის კომიტეტი, დაკომპლექტებულია თუ არა იგი დამოუკიდებელი, უნარიანი და სამუშაოს სათანადოდ და ეფექტიანად შემსრულებელი პირებით?

აქვს თუ არა აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს სათანადო პროფესიული ცოდნა და ადამიანებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები? არიან თუ არა აუდიტის კომიტეტის წევრები ფინან-

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ❓ კითხვარი

სების სფეროში საჯაროდ აღიარებული ექსპერტები?

მართავს თუ არა აუდიტის კომიტეტი სხდომებს საკმარისად ხშირად, რათა ეფექტიანად შეასრულოს თავისი მოვალეობები? შეაქვს თუ არა მას აუცილებელი და სათანადო საკითხები დღის წესრიგში?

აქვს თუ არა აუდიტის კომიტეტს მნიშვნელოვანი წვლილი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ აუდიტის, რისკის, შიდა კონტროლის და ფინანსური ანგარიშგების საკითხების განხილვაში?

აქვს თუ არა აუდიტის კომიტეტს საჭირო ინფორმაცია თავისი მოვალეობების ეფექტიანად შესრულებისათვის? აქვს თუ არა მას ბუღალტრული აღრიცხვის ან სამართლებრივი კონსულტაციის დასაქირავებელი რესურსი?

რეგულარულად აფასებს თუ არა აუდიტის კომიტეტი საკუთარ საქმიანობას?



### დამატებითი შიდა კონტროლი:

აქვს თუ არა კომპანიას შიდა კონტროლის სისტემა? არსებობს თუ არა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს შიდა კონტროლის სისტემასა და პროცედურებს? განიხილავს თუ არა ამ დოკუმენტს პერიოდულად?

აქვს თუ არა კომპანიას რისკის მართვის სისტემა? თუ აქვს, ითვალისწინებს თუ არა სისტემა აგრეთვე შვილობილი კომპანიის რისკებს? როგორ განისაზღვრება ბიზნესთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკები?

კომპანიის მართვისა და კონტროლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია შიდა და გარე აუდიტის სისტემა, რომელიც დიდად უწყობს ხელს გამჭვირვალე და ჯანსაღი ფინანსური ანგარიშგების განხორციელებას. კომპანიის ფინანსების და ოპერაციების მართვასა და კონტროლში მონაწილეობენ როგორც შიდა სტრუქტურები, ისე რიგი გარეშე ორგანიზაციები. ესენი არიან სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები, რომლებსაც განსხვავებული ფუნქციები და ანგარიშვალდებულება აქვთ. ზოგიერთი მათგანის მონაწილეობა შეიძლება სავალდებულო იყოს, ხოლო სხვებისა - არჩევითი.

შიდა საზედამხედველო ორგანო ყურადღებას უთმობს კომპანიის ფინანსურ და ბიზნესსაქმიანობის კონტროლს და კანონებსა და წესებთან შესაბამისობის მონიტორინგს. შიდა საზედამხედველო ორგანოს მისია, უფლებამოსილების ფარგლები და მოვალეობები უფრო ვიწროა, ვიდრე აუდიტის კომიტეტისა. შიდა საზედამხედველო ორგანოს შეუძლია განახორციელოს ისეთი ფუნქციები, როგორცაა: კომპანიის ბიზნესოპერაციების მარეგულირებელ წესებთან შესაბამისობის მონიტორინგი; მოსაზრების გამოთქმა, იძლევა თუ არა ანგარიშები და ფინანსური ანგარიშგებები ნამდვილ და ზუსტ სურათს; იმის დადგენა, წარმოებს თუ არა ბიზნეს- და ფინანსური ოპერაციების სათანადოდ აღრიცხვა. შიდა საზედამხედველო ორგანო ანგარიშვალდებულია აქციონერების წინაშე.

დამოუკიდებელი გარე აუდიტორი ამოწმებს კომპანიის ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერებს, აგრეთვე - ყველა სხვა დოკუმენტს, რომელიც არსებითია ამ კუთხით. აქციონერები ეყრდნობიან გარე აუდიტორის დასკვნას, რომელიც გამოხატავს მიუკერძოებელ მოსაზრებას, თუ რამდენად სანდოა კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები.


სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი კომპანიას იცავს აღმასრულებელი ორგანოებისთვის იმ შეკითხვების დასმისაგან, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების განსახორციელებლად გამოსაყენებელ მეთოდთან, იგი ასევე უზრუნველყოფს მაკორექტირებელი ღონისძიებების გა-

ტარებას. აუდიტის კომიტეტი აკონტროლებს აგრეთვე გარე აუდიტორთან შიდა საზედამხედველო ორგანოსა და კომპანიის ურთიერთობას. აუდიტის კომიტეტმა შეიძლება განიხილოს გარე აუდიტორის დანიშვნის საკითხი, შიდა აუდიტის გეგმა, შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა, შიდა აუდიტის მიერ ჩატარებული მოკვლევების ძირითადი შედეგები, მათზე მენეჯმენტის პასუხი, აგრეთვე ხელი შეუწყოს შიდა და გარე აუდიტორებს შორის კოორდინაციას. დაბოლოს, აუდიტის კომიტეტმა შეიძლება განიხილოს წლიური ანგარიშების პროექტი და გარე აუდიტორის დასკვნები წლიური ფინანსური ანგარიშგებების შესახებ. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს ნაწილია და, ამდენად, შეიმუშავებს საბჭოს მიერ გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს; აუდიტის კომიტეტს, შესაბამისად, არ გააჩნია დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უფლება.

დამატებითი შიდა აუდიტი (ან კონტროლის და სარევიზიო სამსახური) პასუხისმგებელია კომპანიის ოპერაციების ფინანსური სიჯანსაღის უწყვეტი ყოველდღიური შეფასებისათვის. ამ ფუნქციას ასრულებენ კომპანიის თანამშრომლები. შიდა აუდიტს შეუძლია შეაფასოს და მონიტორინგი გაუწიოს კომპანიის რისკის მართვას, ანგარიშგებას და კონტროლს, აგრეთვე წარადგინოს რეკომენდაციები ვითარების გასაუმჯობესებლად. შიდა აუდიტი არა მარტო ფინანსურ ფუნქციას მოიცავს, არამედ - კომპანიის ოპერაციებსა და სისტემებსაც. პასუხისმგებელი პირები ანგარიშვალდებული არიან სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე (საუკეთესო შემთხვევაში, საბჭოს აუდიტის კომიტეტის წინაშე) ფუნქციონალურ საფუძველზე, ხოლო გენერალური დირექტორის წინაშე - ადმინისტრაციულ საფუძველზე.

ამ თავში დეტალურადაა განხილული ზემოაღნიშნული სხვადასხვა ორგანოს როლი, უფლებამოსილება და მოვალეობები, კერძოდ ის, თუ როგორ შეუძლიათ მათ მონაწილეობა კომპანიის გამჭვირვალობასა და ინფორმაციის გამჟღავნებაში. აღნიშნულ ორგანოებსა და მათი ანგარიშგების მიმართულებებთან დაკავშირებით იხ. 1-ლი სურათი.

**სურათი 1:** მენეჯმენტის სტრუქტურები და გარე აგენტები საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად



წყარო: IFC, მარტი, 2004

**ა. შიდა საზედამხედველო ორგანო**  
(სამეთვალყურეო საბჭო, შიდა აუდიტორი ან აუდიტორთა საბჭო)

შიდა საზედამხედველო ორგანო აკონტროლებს კომპანიის საოპერაციო და საფინანსო საქმიანობას. მისი უპირველესი ფუნქციაა ზედამხედველობა დირექტორთა საბჭოსა და აღმასრულებელი საბჭოს ფუნქციონირებაზე, აგრეთვე - კანონებსა და წესებთან კომპანიის ბიზნესოპერაციების წარმოების შესა-

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

ბამისობაზე.

სააქციო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შიდა საზედამხებდველო ორგანო, თუ იგი ანგარიშვალდებული იურიდიული პირია ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მისი აქციები მონაწილეობს საფარო ვაჭრობაში ან თუ ის ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ან მისი აქციონერების რაოდენობა აღემატება 100-ს.<sup>1</sup>

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ უნდა ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო, რეკომენდებულია ეს კორპორაციული ორგანო შეიქმნას წესდებით. მეორე მხრივ, შიდა აუდიტორი და აუდიტორთა საბჭო შეიძლება განისაზღვროს ან წესდებით ან კომპანიის დებულებებით.

## 1. შემადგენლობა და წევრებისთვის დადგენილი მოთხოვნები

სამეთვალყურეო საბჭოს უნდა ჰყავდეს სამიდან 21-მდე წევრი.<sup>2</sup>

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

რეკომენდებულია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა არ აღემატებოდეს ცხრას.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი:<sup>3</sup>

- შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრის ჩათვლით;
- დირექტორთა საბჭოს წევრები არ შეიძლება შეადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უმრავლესობას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მართვის ფორმა წააგავს ბრიტანული კანონმდებლობით განსაზღვრულ ერთღონიანი მართვის სისტემას, ეს ორი მექანიზმი განსხვავდება ერთმანეთისგან და არ შეიძლება მათი გაიგივება, რადგან ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას უნდა ჰყავდეს როგორც სამეთვალყურეო საბჭო, ისე დირექტორთა საბჭო.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უნდა იყოს კომპანიის მენეჯმენტისგან დამოუკიდებელი და არ შეიძლება იყოს:

- დირექტორთა საბჭოს წევრი;
- გენერალური დირექტორი;
- აღმასრულებელი საბჭოს წევრი; ან
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა იყოს არც კომპანიის ოფიციალური პირი და არც კონკურენტი იურიდიული პირის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, გენერალური დირექტორი ან აღმასრულებელი საბჭოს წევრი.

## 2. უფლებამოსილება

შიდა სამეთვალყურეო ორგანო უფლებამოსილია:<sup>4</sup>

- აკონტროლოს დირექტორთა საქმიანობა;
- დირექტორებისგან ნებისმიერ დროს მოითხოვოს კომპანიის საქმიანობის ანგარიში;

<sup>1</sup> საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ, მუხ. 55/1

<sup>2</sup> იქვე, მუხ. 55/1

<sup>3</sup> იქვე, მუხ. 55/2

<sup>4</sup> იქვე, მუხ. 55/7

- განიხილოს და აკონტროლოს კომპანიის ფინანსური დოკუმენტები და აქტივები;
- მოითხოვოს აქციონერთა საერთო კრების მოწვევა;
- განიხილოს წლიური ანგარიში და წინადადება მოგების განაწილების შესახებ და შედეგები წარუდგინოს აქციონერთა საერთო კრებას;
- დანიშნოს და გაათავისუფლოს დირექტორები, აგრეთვე გააფორმოს და შეწყვიტოს დირექტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

შიდა საზედამხედველო ორგანოს დამატებითი უფლებამოსილება და მოვალეობები შეიძლება ასევე მოიცავდეს უფლებას:

- გამოიკვლიოს ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენების შემთხვევები;
- შეამოწმოს, რამდენად დროულად ხორციელდება კონტრაქტორებისთვის სავალდებულო საბიუჯეტო გადახდები;
- შეამოწმოს, დროულად ხდება თუ არა დივიდენდების დარიცხვა და გადახდა, ისევე როგორც კომპანიის მიერ სხვა ფინანსურ ვალდებულებათა შესრულება;
- შეამოწმოს, რამდენად მიზანშეწონილად იყენებს კომპანია რეზერვებსა და სხვა ფონდებს;
- შეამოწმოს, დროულად ხდება თუ არა კომპანიის გამოშვებული აქციების საფასურის გადახდა;
- განიხილოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, კერძოდ მისი გადახდისუნარიანობა, აქტივების ლიკვიდურობა და კრედიტუნარიანობა;
- აკონტროლოს, დროულად ხდება თუ არა კომპანიის წმინდა აქტივების შეფასება;
- მოითხოვოს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა;
- მოითხოვოს დირექტორთა საბჭოს სხდომის მოწვევა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში არსებული საკითხების განსახილველად;
- მოითხოვოს და მიიღოს აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმები; და
- მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია დაკავშირებული მხარის და მისი გარემოების შესახებ.

### 3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გათავისუფლება

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და წევრებს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება ერთი წლის ვადით. აქციონერთა საერთო კრებას შეუძლია ნებისმიერ დროს წამოიწიოს ვადამდელი ხელმეორე არჩევა<sup>5</sup>.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

თავმჯდომარეს წესდებით ან დებულებებით მინიჭებული უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობა:

- მოიწვიოს, ორგანიზება და თავმჯდომარეობა გაუწიოს შიდა საზედამხედველო კორპორაციული ორგანოს სხდომებს;
- მოამზადოს და ხელი მოაწეროს სხდომის ოქმებს და სხვა გადაწყვეტილებებს;
- წარადგინოს საზედამხედველო ორგანო შეხვედრებზე მესამე მხარეებთან; გამოიყენოს გადამწყვეტი ხმის უფლება სხდომებზე, სადაც ხმები თანაბრადაა გაყოფილი; და
- ითანამშრომლოს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარესთან.

კვორუმი და ხმის მიცემის სათანადო პროცედურები უნდა განისაზღვროს წესდებით ან დებულებებით. კვორუმი არ უნდა იყოს წევრთა რაოდენობის ნახევარზე ნაკლები და გადაწყვეტილებები უნდა დამტკიცდეს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

<sup>5</sup> იქვე, მუხ. 55/1<sup>2</sup>

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

კომპანიის წლიურ ანგარიშს თან უნდა დაერთოს შიდა საზედამხედველო ორგანოს დასკვნები. რადგან სამეთვალყურეო საბჭომ წინასწარ უნდა დაამტკიცოს წლიური ანგარიში. სანიმუშო პრაქტიკის რეკომენდაციით, შიდა საზედამხედველო ორგანომ სამეთვალყურეო საბჭოს უნდა მისცეს, სულ ცოტა, ათი დღე შემომწმების აქტის გასაცნობად და განსახილველად. ამგვარად, შიდა საზედამხედველო ორგანომ სამეთვალყურეო საბჭოს ათი დღით ადრე უნდა წარუდგინოს შემომწმების აქტი, სანამ სამეთვალყურეო საბჭო აქციონერებს გაუგზავნის აქციონერთა საერთო კრების მასალებს. ანგარიში წლიური შემომწმების შესახებ, როგორც ცალკე დოკუმენტი, უნდა გაეგზავნოთ აქციონერებს აქციონერთა საერთო კრების გამართვამდე.

## ბ. დამოუკიდებელი გარე აუდიტორი

გარე აუდიტორის მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი აუდიტი კომპანიის კონტროლის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია. აუდიტის ამოცანა ისაა, რომ გარე აუდიტორს მისცეს აზრის გამოთქმის საშუალება, თუ რამდენად არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებული და ფინანსური ანგარიშგების განსაზღვრული სისტემის შესაბამისი, აგრეთვე, - რამდენად საიმედოა ისინი. იგი აქციონერებს, მენეჯერებს, თანამშრომლებსა და ბაზრის მონაწილეებს აძლევს მიუკერძოებელ დასკვნას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, და სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში, უნდა დაადასტუროს ფინანსური ანგარიშგებების სიზუსტე. საჯაროდ აღიარებული ფირმის მიერ დამოუკიდებელი აუდიტის განხორციელება, როგორც წესი, ზრდის კომპანიისადმი ნდობას და, შესაბამისად, ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივებს.

დამოუკიდებელ აუდიტთან სამი ძირითადი საკითხია დაკავშირებული. კერძოდ:

- 1 მენეჯმენტი ინარჩუნებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის პასუხისმგებლობას;
- 2 გარე აუდიტორი პასუხისმგებელია მენეჯმენტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ მოსაზრების ფორმირებისა და გამომხატვისათვის; და
- 3 ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი არ ათავისუფლებს მენეჯმენტს მისი რომელიმე პასუხისმგებლობისგან.

### 1. როდის არის საჭირო წლიური აუდიტი

წლიური აუდიტი სავალდებულოა სააქციო საზოგადოებისთვის, თუ იგი ანგარიშვალდებული პირია ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მისი აქციები მონაწილეობს საჯარო ვაჭრობაში, ან პირი ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ან მისი აქციონერების რაოდენობა აღემატება 100-ს<sup>6</sup>.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

რეკომენდებულია, გარე აუდიტორი ესწრებოდეს აქციონერთა საერთო კრებას. ამით აქციონერებს საშუალება ეძლევათ დასვან შეკითხვები ფინანსური ანგარიშგებების შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით. გარე აუდიტორი ასევე უნდა ესწრებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს იმ სხდომებს, რომელზეც საბჭო იღებს ფინანსური ანგარიშგებების გადაწყვეტილებებს (თუ სამეთვალყურეო საბჭოს არ ჰყავს დანიშნული აუდიტის კომიტეტი).

გარე აუდიტორი უფლებამოსილია:

- განსაზღვროს აუდიტის განხორციელების მეთოდი;
- შეამოწმოს დოკუმენტები და ასევე გამოავლინოს და დაადასტუროს კომპანიის აქტივები;
- მიიღოს ზეპირი და წერილობითი განმარტებები ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც წამოიჭრება აუდიტის პროცესში;
- უარი თქვას აუდიტის განხორციელებაზე ან დასკვნის წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგებების საიმედოობის შესახებ, თუ კომპანია არ მიანვდის ყველა საჭირო დოკუმენტს ან, როცა წამოჭრილი გარემოებები გავლენას ახდენს აუდიტორის დასკვნაზე;

<sup>6</sup> იქვე, მუხ. 13/2



- ხელი მიუწვდებოდა წესდებასთან, დებულებებთან, მათ შორის ნებისმიერ ხელახლა ფორმულირებულ წესდებასა და დებულებასთან;
- გამოითხოვოს აქციონერთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმები;
- გასწიოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მომსახურება.

## შეღარებითი პრაქტიკა

ზოგიერთ ქვეყანაში გარე აუდიტორი უფლებამოსილია:

- მოითხოვოს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა; და
- მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს ან აღმასრულებელი საბჭოს სხდომების მოწვევა.


## საუკეთესო პრაქტიკა

გარე აუდიტორი ხშირად წარადგენს ე.წ. „მენეჯმენტის წერილს“, ხოლო იმ კომპანიებმა, რომლებიც ცდილობენ სანიმუშო კორპორაციული მართვის დანერგვას, აუდიტის დასკვნასთან ერთად უნდა მოითხოვონ იგი. მენეჯმენტის წერილში, როგორც წესი, შესულია კომპანიის შიდა კონტროლისას, აღრიცხვისას და საოპერაციო პროცედურებისას გამოვლენილი ყველა არსებითი ნაკლი. მენეჯმენტის წერილის მიზანია მენეჯმენტისთვის კონსტრუქციული რეკომენდაციების მიწოდება აღნიშნული პროცედურების გასაუმჯობესებლად.

მენეჯმენტის წერილში შესული მონაცემები განიხილება როგორც „არაანგარიშგებადი“ მესამე მხარეებისთვის, თუმცა მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მაკორექტირებელ მოქმედებებს. კომპანიებმა, რომელთაც სურთ გარე დაფინანსების მოზიდვა, უნდა იცოდნენ, რომ ინვესტორები, როგორც წესი, მოითხოვენ მენეჯმენტის წერილის ასლს.

## საქართველოში არსებული პრაქტიკა

კომპანიებში ჩატარებული კორპორაციული მართვის კვლევა აჩვენებს, რომ გარე აუდიტორი მონაწილეობს ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა:<sup>7</sup>



ბანკებში განხორციელებული კორპორაციული მართვის კვლევა აჩვენებს, რომ გარე აუდიტორი მონაწილეობს ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა:<sup>8</sup>

<sup>7</sup> კორპორაციული მართვის კვლევა კომპანიებში, საქართველო 2008, თავი 4, გრაფიკი 38  
<sup>8</sup> კორპორაციული მართვის კვლევა ბანკებში, საქართველო 2008, თავი 4, გრაფიკი 29

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII


თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა



### 2. კომპანიის უფლებები და მოვალეობები

კომპანიას უფლება აქვს:

- მიიღოს საჭირო ინფორმაცია გარე აუდიტორისგან აუდიტთან დაკავშირებულ სამართლებრივ მოთხოვნებთან დაკავშირებით, ასევე ნებისმიერი სამართლებრივი აქტის შესახებ, რომლებსაც ემყარება გარე აუდიტორის შენიშვნები და დასკვნები;
- მიიღოს აუდიტის ანგარიში გარე აუდიტორსა და კომპანიას შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში;
- გამოიყენოს სხვა უფლებები, რომლებიც გამომდინარეობს გარე აუდიტორსა და კომპანიას შორის ხელშეკრულებით განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობიდან, რამდენადაც ასეთი უფლებების არსებობა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონებს;
- ყოველ მხრივ დაეხმაროს გარე აუდიტორს აუდიტის წარმატებით განხორციელებაში, მათ შორის: მიანოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, სრული განმარტებები და დადასტურება და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს მესამე მხარისგან ინფორმაციის მიწოდება;
- ხელი არ შეუშალოს რამე ფორმით აუდიტის წარმატებით განხორციელებას;
- გადაუხადოს გასამრჯელო გარე აუდიტორს, მაშინაც კი, როდესაც აუდიტის დასკვნა ეწინააღმდეგება კომპანიის ოფიციალური პირების მოსაზრებას; და
- განახორციელოს სხვა მოვალეობები, რომლებიც გამომდინარეობს გარე აუდიტორსა და კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობიდან, თუ ეს მოვალეობები არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონებს.

### 3. აუდიტორული კომპანიის დანიშვნა (გარე აუდიტორი)

გარე აუდიტორს (აუდიტორულ კომპანიას) შეარჩევს აქციონერთა საერთო კრება.<sup>9</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

გარე აუდიტორის კანდიდატურებთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მოამზადოს წინადადებები და რეკომენდაციები წარუდგინოს აქციონერთა საერთო კრებას. თუმცა, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ღია ტენდერის მონაცემების საუკეთესო პრაქტიკაა რეგულარული აუდიტორული მომსახურების მინოდებასთან დაკავშირებით. სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი ზედამხედველობას უნდა უწევდეს გარე აუდიტორის შერჩევას, აფასებდეს მის კვალიფიკაციას, გამოცდილებას, რესურსებს, ეფექტიანობას და დამოუკიდებ-

<sup>9</sup> საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ, მუხ. 54.6 (ი)

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

ლობას. აუდიტის კომიტეტი იძლევა დასკვნას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წარდგენილი გარე აუდიტორის კანდიდატის შესახებ. თუ სამეთვალყურეო საბჭო მიუღებლად მიიჩნევს აუდიტის კომიტეტის დასკვნას, მან აქციონერთა საერთო კრებას უნდა მიანოდოს აღნიშნული დასკვნა და აგრეთვე მისი უარყოფის მიზეზები.

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციით, აუდიტის კომიტეტმა უნდა მოამზადოს წინადადებები გარე აუდიტის კანდიდატურასთან დაკავშირებით და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც განიხილავს შეთავაზებულ კანდიდატებს და თავის არჩევანს დასამტკიცებლად წარუდგენს აქციონერთა საერთო კრებას. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ დაეთანხმება შეთავაზებულ კანდიდატურას, მან საკუთარი გადაწყვეტილება უნდა დაუსაბუთოს აქციონერთა საერთო კრებას.<sup>10</sup>

აქციონერთა ყოველწლიური საერთო კრების დღის წესრიგში მუდამ უნდა იდგეს გარე აუდიტორის დანიშვნის საკითხი. ამგვარად, გარე აუდიტორი უნდა დამტკიცდეს ერთი წლით აქციონერთა მომდევნო ყოველწლიურ საერთო კრებამდე.

### ა) ვინ შეიძლება იყოს გარე აუდიტორი (აუდიტორული კომპანია)

ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული კომიტეტის მიერ გაცემული აუდიტორული მომსახურების განხორციელების ლიცენზია.<sup>11</sup>

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

აშშ-ს 2002 წლის სარბინზ-ოქსლის აქტი საჯარო ბუღალტრული აღრიცხვის ფირმებს უკრძალავს აუდიტორული მომსახურების კლიენტებისთვის არააუდიტორული მომსახურების განწევას, მათ შორის: (1) ბუღალტრულ აღრიცხვას ან სხვა მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია აუდიტორული მომსახურების კლიენტის ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერებთან ან ფინანსურ ანგარიშგებებთან; (2) ფინანსური ინფორმაციის სისტემების შექმნას და დანერგვას; (3) შეფასებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, ფასის სამართლიანობის შესახებ დასკვნის ან ნატურალური შენატანის შესახებ ანგარიშის მომზადებას; (4) აქტუარულ მომსახურებას; (5) შიდა აუდიტის მომსახურების დაკვეთას მესამე მხარისთვის; (6) მენეჯმენტის ფუნქციებს ან ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ფუნქციებს; (7) ბროკერის ან დილერის, საინვესტიციო კონსულტანტის ან საინვესტიციო საბანკო მომსახურების განწევას; (8) სამართლებრივი მომსახურების და ისეთი ექსპერტული მომსახურების განწევას, რომელიც არ არის დაკავშირებული აუდიტთან; და (9) ნებისმიერ სხვა მომსახურებას, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო მოქმედი წესის შესაბამისად მიიჩნევს დაუშვებლად.<sup>12</sup> ამ წესიდან გამონაკლისის დაშვება შეიძლება არააუდიტორული მომსახურებისთვის, რომელიც არ არის ჩამოთვლილი სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის მიერ წინასწარ დამტკიცებულ სიაში. აუდიტის კომიტეტმა ინვესტორთა წინაშე პერიოდულ ანგარიშებში უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია ასეთი მომსახურების შესახებ. კიდევ შეიძლება ერთი გამონაკლისის დაშვება, თუ არააუდიტორული მომსახურება შეადგენს აუდიტორისთვის გადახდილი მთელი შემოსავლის 5%-ზე ნაკლებს, ხოლო ეს მომსახურება არ იქნა აღიარებული არააუდიტორულ მომსახურებად ხელშეკრულების გაფორმებისას და აუდიტის კომიტეტი დროულად ამტკიცებს მას აუდიტის დასრულებამდე.

### ბ) ხელშეკრულება გარე აუდიტორთან

აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება აუდიტორსა და კლიენტს შორის ხელშეკრულების შესაბამისად. ანაზღაურება აუდიტორული მომსახურებისათვის არ შეიძლება იყოს დაკავშირებული აუდიტის შედეგად გადასახადების პოტენციურ შემცირებასთან.<sup>13</sup>

<sup>10</sup> კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის, თავი 6/24

<sup>11</sup> საქართველოს კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ, მუხ. 2

<sup>12</sup> სარბინზ-ოქსლის აქტი 2002, პუნქტი 201(ა). ასევე იხ.: [www.sarbanes-oxley.com](http://www.sarbanes-oxley.com)

<sup>13</sup> საქართველოს კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ, მუხ. 16

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

აუდიტორული კომპანიის მომსახურების ანაზღაურების თანხა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში არ უნდა იყოს ამ აუდიტორული კომპანიის მთლიანი შემოსავლის 15%-ზე მეტი.

### 4. ანგარიშგება

გარე აუდიტორი წარადგენს დასკვნებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების საიმედოობის და ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურებთან მისი შესაბამისობის შესახებ. აუდიტის ანგარიშის დასკვნის პუნქტში აღნიშნული უნდა იყოს, რამდენად იძლევა ფინანსური ანგარიშგებები ნამდვილ და სამართლიან სურათს (ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით) კომპანიის მიერ გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების ბაზის შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, მითითებული უნდა იყოს, შესაბამეობა თუ არა ფინანსური ანგარიშგებები სამართლებრივ მოთხოვნებს. გარე აუდიტორმა უნდა მოამზადოს ანგარიში წლიური აუდიტის შესახებ, რომელიც მოიცავს:

- დასკვნას კომპანიის ანგარიშგებებისა და სხვა ფინანსური დოკუმენტების შესახებ; და
- ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის ან ფინანსური ანგარიშგების პროცედურების, ინფორმაციის გამჟღავნების წესების, აგრეთვე შესაბამისი კანონებისა და წესების დარღვევის შესახებ.

არსებობს დასკვნის ოთხი ტიპი, რომელიც შეიძლება გასცეს აუდიტორმა. ესენია:

- 1 უპირობო დადებითი დასკვნა;
- 2 პირობითი დადებითი დასკვნა;
- 3 უარყოფითი დასკვნა; და
- 4 უარი დასკვნის გაცემაზე.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

გარე აუდიტორმა აუდიტის პროცესში უნდა გამოავლინოს (პოტენციური) შეცდომები, არასწორი მოქმედება და კანონმდებლობის დარღვევა, აგრეთვე კომპანიის შიდა წესების დარღვევა და დაუყოვნებლივ აცნობოს ეს სამეთვალყურეო საბჭოს ან აუდიტის კომიტეტს. გარე აუდიტორმა მაშინვე უნდა შეატყობინოს კომპანიას, როგორც კი მისთვის გახდება ცნობილი, ბუღალტრული აღრიცხვის და შიდა კონტროლის სისტემებსა და მათი ფუნქციონირების პროცესში არსებული ნებისმიერი არსებითი ნაკლოვანების შესახებ. სამეთვალყურეო საბჭომ ან აუდიტის კომიტეტმა უნდა გადადგან ნაბიჯები აღნიშნული პრობლემების გამოსასწორებლად. თუ კომპანია გეგმავს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე წვდომის მოპოვებას, გარე აუდიტორმა ანგარიში უნდა მოამზადოს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ გამოცემული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად.

### 5. გარე აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარე აუდიტორი, რომელიც სათანადოდ არ ასრულებს საკუთარ მოვალეობებს, მატერიალურად და სხვაგვარად პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობის და კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. აუდიტორის მიერ გადასახდელი მატერიალური კომპენსაცია არ შეიძლება აღემატებოდეს აუდიტორის მიერ რეალურად გამოწვეული ზიანის თანხას.<sup>14</sup>

### 3. აუდიტის კომიტეტი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ აწესებს სპეციფიკურ მოთხოვნებს აუდიტის კომიტეტთან დაკავშირებით (გარდა საქართვე-


<sup>14</sup> იქვე, მუხ. 24

ლოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისთვის გამოცემული წესებისა), კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსისა და ამ სახელმძღვანელოს მოთხოვნაა, რომ კომპანიებმა შექმნან აუდიტის კომიტეტი. სამეთვალყურეო საბჭომ ამ კომიტეტის მუშაობის, ფუნქციებისა და მეთოდების განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ მისი ამოცანების დიდი ნაწილი, გარკვეულწილად, გადაეცეთ საბჭოს მიერ არჩეულ სხვა კორპორაციულ ორგანოებს ან კომიტეტებს, რითაც შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული უფლებამოსილების ურთიერთგადაფარვა, მას აგრეთვე შეუძლია კორპორაციულ ორგანოებს და/ან კომიტეტებს შორის ორმხრივი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მექანიზმების შექმნა ერთსა და იმავე (მსგავს) საკითხებზე მუშაობისას. ასეთი ვითარება შეიძლება წარმოიშვას შიდა აუდიტორის ან აუდიტორთა საბჭოს (მაგ., აუდიტორის დანიშვნასთან და მისი კვალიფიკაციის შეფასებასა და უნართან დაკავშირებული საკითხები), ანდა ანაზღაურების კომიტეტის უფლებამოსილების გათვალისწინებით (მაგ., აუდიტორული მომსახურების ანაზღაურების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები).

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

აუდიტის კომიტეტი, როგორც წესი, ფოკუსირებულია სამ ძირითად სფეროზე – ფინანსურ ანგარიშგებაზე, რისკის მართვასა და შიდა და გარე აუდიტზე (იხ. სურათი 2).

**სურათი 2:** აუდიტის კომიტეტის ფოკუსირების სამი ძირითადი სფერო



საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის რეკომენდაციით, აუდიტის კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს და აწარმოოს შიდა დოკუმენტი, მაგალითად აუდიტის კომიტეტის დებულება, რომელიც ეხება მის მიზანს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას. ქვემოთ წარმოდგენილია ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის რეკომენდაციები (NYSE):<sup>15</sup>

- აუდიტის კომიტეტის მიზანია, ერთი მხრივ, სამეთვალყურეო საბჭოსთვის დახმარების გაწევა ისეთი საკითხების კონტროლის განსახორციელებლად, როგორიცაა: კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მთლიანობა, სამართლებრივ და მარეგულირებელ მოთხოვნებთან კომპანიის შესაბამისობა, დამოუკიდებელი გარე აუდიტორის კვალიფიკაცია და დამოუკიდებლობა, კომპანიის შიდა აუდიტის და დამოუკიდებელი გარე აუდიტორის ფუნქციის განხორციელება; და მეორე მხრივ, ანგარიშის მომზადება, რომელიც ფასიანი ქაღალდების კომისიის წესების მოთხოვნათა დაცვით შეტანილი უნდა იყოს კომპანიის ყოველწლიურ განცხადებაში აქციონერთა საერთო კრების შესახებ.
- აუდიტის კომიტეტის მოვალეობები და პასუხისმგებლობა სხვასთან ერთად გულისხმობს:
  - დამოუკიდებელი გარე აუდიტორის ანგარიშის მოპოვებას და განხილვას, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ;
  - აუდიტის მიერ შემოწმებული ყოველწლიური და კვარტალური ფინანსური ანგარიშგებების განხილვას მენეჯმენტსა და დამოუკიდებელ აუდიტორთან;
  - მოგების შესახებ პრესრელიზების განხილვას, აგრეთვე ანალიტიკოსებისა და სარეიტინგო სააგენტოებისთვის მიწოდებული ფინანსური და მოგების შესახებ ინფორმაციის გაცნობას;
  - საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციებისა და დახმარების მიღებას გარე სამართლებრივი, ბუღალტრული აღრიცხვის ან სხვა კონსულტანტებისგან;

<sup>15</sup> ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის კორპორაციული ანგარიშგება და ლისტინგის სტანდარტების კომიტეტი, 6 ივნისი, 2002 (ასევე იხ.: [www.nyse.com](http://www.nyse.com))

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

- რისკის შეფასებასა და მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა პოლიტიკის განხილვას;
- მენეჯმენტთან, შიდა აუდიტორებსა და დამოუკიდებელ გარე აუდიტორებთან ცალკე შეხვედრას, სულ ცოტა, კვარტალში ერთხელ; აუდიტთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის ან სირთულის განხილვას გარე აუდიტორთან და მენეჯმენტის პასუხს;
- დაქირავების მკაფიო პოლიტიკის განსაზღვრას დამოუკიდებელი გარე აუდიტორის არსებული ან ყოფილი თანამშრომლებისთვის; და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე რეგულარულ ანგარიშგებას;
- აუდიტის კომიტეტის საქმიანობის ყოველწლიურ შეფასებას.

### 1. ფუნქციები

აუდიტის კომიტეტი ვალდებულია:

- მოამზადოს წინადადება ან შეიმუშაოს წინადადების პროექტი სამეთვალყურეო საბჭოსთვის სამეთვალყურეო ორგანოების დანიშვნის, ხელახალი დანიშვნის ან გათავისუფლების გათვალისწინებით;
- გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტის კანდიდატურის შესახებ;
- გამოთქვას აზრი იმ ხელშეკრულების პროექტის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს გარე აუდიტორი;
- ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენების მონიტორინგი;
- აფილირებული კომპანიების კონსოლიდაციისათვის განახორციელოს კრიტერიუმების გამოყენების მონიტორინგი;
- შეაფასოს ფინანსური ინფორმაციის სიზუსტე და სისრულე მის გამოქვეყნებამდე;
- შეაფასოს გარე აუდიტორის დამოუკიდებლობა;
- ეფექტიანად განახორციელოს გარე აუდიტის ფუნქცია;
- შეამოწმოს ყველა ის პირობა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გარე აუდიტორის გადაყენება და წარადგინოს წინადადება ამ მიმართულებით;
- შეიმუშაოს შიდა კონტროლის და რისკის მართვის პროცედურები მენეჯმენტთან თანამშრომლობით; და
- შეასრულოს აუდიტის ფუნქციასთან დაკავშირებული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაკისრებული ნებისმიერი სხვა ამოცანა.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

კორპორაციული დირექტორების ეროვნული ასოციაციის (NACD) Blue Ribbon კომისიამ აუდიტის კომიტეტებს განუსაზღვრა რისკის მაჩვენებლები, რომლის მონიტორინგი და შემოწმებაც უნდა განახორციელოს აუდიტის კომიტეტმა. ესენია:<sup>16</sup>

- კომპლექსური ბიზნესშეთანხმებები, რომლებიც ნაკლებად ემსახურება პრაქტიკულ მიზანს;
- ბოლო მომენტში გაფორმებული დიდი მოცულობის გარიგებები, რომლებსაც შედეგად მოჰყვება მნიშვნელოვანი შემოსავლები კვარტალურ ან წლიურ ანგარიშებში;
- აუდიტორის შეცვლა ბუღალტრული ან აუდიტორული უთანხმოების გამო;
- ზედმეტად ოპტიმისტური სიახლეები, რომლითაც გენერალური დირექტორი ცდილობს დაარწმუნოს ინვესტორები კომპანიის სამომავლო ზრდაში;
- ბიზნესის სხვადასხვა ადგილმდებარეობა დეცენტრალიზებული მენეჯმენტით და სუსტი შიდა ანგარიშგების სისტემით;
- მენეჯმენტის მიერ მომზადებულ განხილვასა და ანალიზს შორის (MD&A) შეუსაბამობა, პრეზიდენტის წერილი და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებები;
- გენერალური დირექტორის ან ფინანსური დირექტორის დაჟინებითი მოთხოვნა, დაესწროს აუდიტის კომიტეტის და შიდა ან გარე აუდიტორების ყვე-

<sup>16</sup> NACD Blue Ribbon Commission ანგარიში აუდიტის კომიტეტების შესახებ. ასევე იხილეთ: [www.nacdonline.org](http://www.nacdonline.org). ხელახლა იბეჭდება NACD ნებართვით, 1133 21-st Street, NW, Suite 700, Washington, DC 20031, [www.nacdonline.org](http://www.nacdonline.org)

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

- ლა შეხვედრას;
- თანამიმდევრულად მიახლოებული ან ზუსტი თანხვედრა დაგეგმილ და ანგარიშგებაში მოცემულ შედეგებს შორის და მენეჯერები, რომლებიც ყოველთვის იყენებენ პრემიუმების შესაძლებლობების 100%-ს;
- ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით მენეჯმენტის ან აუდიტორების მერყევი პასუხები, პასუხისთვის თავის არიდება და/ან კონკრეტიკის არარსებობა;
- ხშირი განსხვავება მენეჯმენტისა და გარე აუდიტორების შეხედულებებს შორის;
- თვის და კვარტალის გაყიდვებთან დაკავშირებული გადაზიდვები ბოლო კვირას ან ბოლო დღეს;
- შიდა აუდიტის ფუნქციონირება ისეთი შეზღუდვის პირობებში, მაგალითად, როგორცაა გარე აუდიტორისთვის აუდიტის კომიტეტთან პირდაპირი კომუნიკაციის არქონა;
- ბალანსის უჩვეულო ცვლილება ან მნიშვნელოვან ფინანსურ ანგარიშგებებში ტენდენციების შეცვლა, მაგალითად, დებიტორული დავალიანება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე შემოსავლები, ან იზრდება კრედიტორული დავალიანება, რომლის გადავადებაც ხდება მუდმივად;
- ბუღალტრული აღრიცხვის უჩვეულო პოლიტიკა, კერძოდ, შემოსავლების აღიარებისთვის ხარჯების განვების გადავადება, მაგალითად, შემოსავლების აღიარება პროდუქციის გადაზიდვამდე ("bill and hold"), ანდა ხარჯების ისეთი მუხლების გადავადება, რომელთა გატარებაც ხარჯის განვებისთანავე წარმოებს;
- ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებს ფორმას შინაარსთან შედარებით;
- ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები/პრაქტიკა, რომლებიც არ შეესაბამება დარგობრივ ნორმებს; და
- სხვადასხვა და/ან განმეორებადი გაუტარებელი ან „უარყოფილი“ კორექტირება, რომლებიც წარმოიქმნება ნლიურ აუდიტთან დაკავშირებით.

კომერციული ბანკებისთვის შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, აუდიტის კომიტეტი ვალდებულია:<sup>17</sup>

- ა) გააკონტროლოს ბანკის ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა; განიხილოს ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკა და შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები;
- ბ) რეკომენდაციები წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს გარე აუდიტორის კანდიდატურის დანიშნასთან, შეცვლასა და მისი ანაზღაურების საკითხებთან დაკავშირებით; უზრუნველყოს გარე აუდიტორის დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და საქმიანობის ეფექტიანობა;
- გ) შეიმუშაოს გარე აუდიტის მიერ არააუდიტორული მომსახურების განევასთან დაკავშირებული პოლიტიკა და პროცედურები;
- დ) განიხილოს ბანკის შიდა კონტროლის სისტემა, შეაფასოს მისი ობიექტურობა და სისწორე;
- ე) განიხილოს და გააკონტროლოს ბანკის შიდა აუდიტის სამსახურის ეფექტიანობა და შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები;
- ვ) განიხილოს ბანკის რისკის მართვის პოლიტიკა და შეაფასოს რისკის მართვის სისტემების ადეკვატურობა (ბანკში რისკის მართვის კომიტეტის არარსებობის შემთხვევაში).

### 2. შემადგენლობა

დებულებებით, აუდიტის კომიტეტის დებულებით ან სამეთვალყურეო საბჭოს გადანყვეტილებით განსაზღვრული უნდა იყოს პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნები აუდიტის კომიტეტის წევრებისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წევრებს ჰქონდეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სათანადო და რეალური გამოცდილება. პირველ

<sup>17</sup> კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის, თავი 6/11

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

რიგში, აუდიტის კომიტეტის წევრების კვალიფიკაცია უნდა აღძრავდეს ნდობას, რომ მათ შეუძლიათ და სურთ ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება და კომპანიისა და მისი აქციონერების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედება. ამგვარად, რეკომენდებულია მხოლოდ უზადო რეპუტაციის მქონე ადამიანების არჩევა სამეთვალყურეო საბჭოში და ასეთივე ხალხის დანიშვნა აუდიტის კომიტეტში.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს გამოცდილი პირი. თავმჯდომარის დამოუკიდებლობას, შესაძლებლობებსა და ლიდერის უნარ-ჩვევებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომიტეტის წარმატებული საქმიანობისათვის.

**3. სხდომები**

თუ სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს აუდიტის კომიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, აუდიტის კომიტეტის სხდომა უნდა გაიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომამდე ბევრად ადრე, რათა საშუალება მიეცეს აუდიტის კომიტეტს თავისი დასკვნები გაუზიაროს სამეთვალყურეო საბჭოს საფუძვლიანი განხილვისათვის. აუდიტის კომიტეტი აგრეთვე ვალდებულია, სამეთვალყურეო საბჭოს:

- რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია კომპანიის ოფიცრების მიერ პროცედურებისა და კანონმდებლობის დარღვევის შესახებ;
- მიაწოდოს ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დარღვევებზე, აგრეთვე იმ გარემოებებზე, რა ვითარებაშიც მოხდა ეს დარღვევები და, თუ როგორ შეიძლება სამომავლოდ შეცდომების პრევენცია; და
- გააანალიზოს ინფორმაცია კომპანიის გარიგებებსა და ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების შესახებ და მიაწოდოს სათანადო რეკომენდაციები .

აუდიტის კომიტეტის სხდომები უნდა გაიმართოს, სულ ცოტა, წელიწადში სამჯერ.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

ზოგიერთ ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკით, აუდიტის კომიტეტი სხდომას უნდა მართავდეს თვეში ერთხელ. თუმცა, თვეში ერთხელ სხდომის გამართვა შეიძლება ჩაითვალოს არახელსაყრელ და საკმაოდ ხარჯიან ღონისძიებად. დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ახალი კომბინირებული კოდექსის რეკომენდაციით, აუდიტის კომიტეტის სხდომები უნდა დაემთხვეს ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის ციკლის მნიშვნელოვან თარიღებს და გაიმართოს წელიწადში, სულ ცოტა სამი ოფიციალური სხდომა.<sup>18</sup>

კომერციული ბანკებისთვის შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციით, კომიტეტის თავმჯდომარემ უნდა დაამტკიცოს სხდომების სიხშირე და დრო. სხდომის დღის წესრიგი წინასწარ უნდა იქნეს დამტკიცებული და გაეგზავნოს კომიტეტის წევრებს.<sup>19</sup>

**4. ინფორმაციასა და რესურსებთან წვდომა**

სამეთვალყურეო საბჭოს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია კომპანიის ფინანსური და საოპერაციო შედეგების შესახებ. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე სამეთვალყურეო საბჭოს ყოველკვარტალურად წარუდგენს ინფორმაციას კომიტეტის მუშაობისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით და დაუყოვნებლივ აწვდის საბჭოს მოთხოვნილ ინფორმაციას. ამასთან ერთად, აუდიტის კომიტეტის წევრებს უნდა ჰქონდეთ შეუზღუდავი წვდომა დოკუმენტებსა და კორპორაციულ ინფორმაციასთან, რათა მათ ჰქონდეთ თავიანთი ფუნქციების შესრულების საშუალება. კორპორაციულ მდივანს ხშირად გა-

<sup>18</sup> დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს კომბინირებული კოდექსი კორპორაციული მართვის შესახებ, პუნქტი 2.7. ასევე იხ.: [www.frc.org.uk/combined.cfm](http://www.frc.org.uk/combined.cfm)

<sup>19</sup> კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის, თავი 6/6



დამწყვეტი როლი აქვს ამ თვალსაზრისით, რამდგან იგი ინფორმაციის ნაკადის თავისუფალ მოძრაობას უწყობს ხელს.

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

რეკომენდებულია, აუდიტის კომიტეტი იყოს უფლებამოსილი და რესურსებით უზრუნველყოფილი, რათა დირექტორთა საბჭოს ან სხვა აღმასრულებელი პირების ნებართვის გარეშე დაიქირაოს გარე აუდიტორი, ფინანსური კონსულტანტი, იურისტი და სხვა პროფესიონალი მრჩეველები. კომპანიის შიდა სამეთვალყურეო ორგანო და გარე აუდიტორი თავიანთი საქმიანობის ანგარიშს უნდა უგზავნიდნენ აუდიტის კომიტეტს. სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად აწვდის ინფორმაციას აქციონერთა საერთო კრებას აუდიტის კომიტეტის მიერ განუხლებული ყველა საქმიანობის შესახებ.

კომერციული ბანკებისთვის შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, კომიტეტების წევრებს, თავიანთი მოვალეობების ეფექტიანად შესრულების მიზნით, მაგრამ ისე, რომ არ მოხდეს ბანკის ნორმალური ფუნქციონირების შეფერხება, უნდა ჰქონდეთ შეუზღუდავი წვდომა ბანკის ნებისმიერ შიდა ინფორმაციასა და დოკუმენტთან. ისინი მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ ბანკის აღმასრულებელ ორგანოებთან, ბანკის ფინანსური მდგომარეობის, რისკების დონის და დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების შესახებ ინფორმაციის ფლობის მიზნით.<sup>20</sup>

## დ. შიდა კონტროლის ფუნქცია

შიდა კონტროლი არის პროცესი, რომელსაც ერთობლივად ახორციელებენ სამეთვალყურეო საბჭო, მენეჯმენტი და კომპანიის თანამშრომლები. მისი მიზანია კომპანიის ისეთი ამოცანების განხორციელების უზრუნველყოფა, როგორცაა: საიმედო და ზუსტი ფინანსური ანგარიშგების მომზადება, ეფექტური და ეფექტიანი ოპერაციების წარმოება, და კომპანიის საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობასთან, საკუთარ შიდა წესებსა და მითითებებთან.

ფაქტობრივად ეფექტიან შიდა კონტროლის სტრუქტურას შეუძლია კომპანიას დაეხმაროს:<sup>21</sup>

- გაცილებით კარგი ხარისხის და უფრო დროული ინფორმაციით უკეთესი გადაწყვეტილებების მიღებაში;
- ინვესტიციების ნდობის მოპოვებაში;
- რესურსების დაკარგვის პრევენციაში;
- მისი აქტივების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;
- თაღლითობის პრევენციაში;
- შესაბამის კანონებსა და წესებთან შესაბამისობის მიღწევაში; და
- გამარტივებული ოპერაციების მეშვეობით კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში.

შიდა კონტროლის სისტემა შეიძლება განისაზღვროს როგორც კომპანიის განყოფილებებისა და ორგანოების მიერ ფინანსური და ბიზნესოპერაციების (მისი ფინანსური და ბიზნესგეგმის შესრულების ჩათვლით) განხორციელების კონტროლი.

### 1. შიდა კონტროლის პრინციპები

კომპანიის შიდა კონტროლის სისტემა უნდა ემყარებოდეს შემდეგ პრინციპებს:

- შიდა კონტროლის სისტემა უნდა ფუნქციონირებდეს მუდმივად, წყვეტის გარეშე. უწყვეტად ფუნქციონირებადი სისტემა კომპანიას საშუალებას აძლევს დროულად განსაზღვროს დარღვევები და ეხმარება მას სამომავლოდ დარღვევების პროგნოზირებაში;
- შიდა კონტროლის პროცესის მონაწილე თითოეული ადამიანი უნდა იყოს ანგარიშვალდებული. კონტროლთან დაკავშირებული ფუნქციების შემსრულებელი თითოეული პირის საქმიანობას შესაბამისად უნდა მართავდეს მეორე პირი შიდა კონტროლის სისტემაში;

<sup>20</sup> იქვე, თავი 6/8  
<sup>21</sup> წინსვლა - ეფექტიანი შიდა კონტროლის მეშვეობით კორპორაციული მართვის გამომჯობესების სახელმძღვანელო: პასუხი სარბენზ-ოქსლის აქტზე, Deloitte & Touche, იანვარი, 2003

თავი I  
 თავი II  
 თავი III  
 თავი IV  
 თავი V  
 თავი VI  
 თავი VII  
 თავი VIII  
 თავი IX  
 თავი X  
 თავი XI  
 თავი XII

- შიდა კონტროლის სისტემით დაყოფილი უნდა იყოს მოვალეობები. კომპანიებმა უნდა აკრძალონ კონტროლის ფუნქციების განმეორება და თანამშრომლებს შორის ფუნქციები იმგვარად უნდა გაანაწილონ, რომ ერთსა და იმავე პირს არ უნევდეს გარკვეულ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციების ავტორიზაცია, ასეთი ოპერაციების გატარება, აქტივების უსაფრთხოდ შენახვის უზრუნველყოფა და იმავე აქტივების ინვენტარიზაცია;
- უნდა მოხდეს ოპერაციების სათანადო ავტორიზაცია და დამტკიცება. კომპანიებმა უნდა დაადგინონ ავტორიზებული პირების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში დასამტკიცებელი პროცედურები; კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ შიდა კონტროლისათვის პასუხისმგებელი ქვედანაყოფის ორგანიზაციული გამოყოფა და მეტიც, უნდა უზრუნველყონ, რომ ეს ქვედანაყოფი ანგარიშვალდებული იყოს უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე (როგორც წესი, თავისი აუდიტის კომიტეტის მეშვეობით). ასეთი ორგანიზაციული გამოყოფა უზრუნველყოფს შიდა კონტროლის ვერიფიკაციას დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, ამ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც არ მონაწილეობს შიდა კონტროლის განხორციელებაში ან წარმოებაში;
- კომპანიის ყველა განყოფილება და დეპარტამენტი ინტეგრირებული უნდა იყოს და უნდა თანამშრომლობდეს, რათა შესაძლებელი გახდეს შიდა კონტროლის სისტემის სათანადოდ დანერგვა; უნდა დაინერგოს უწყვეტი განვითარებისა და გაუმჯობესების კულტურა. კომპანიის შიდა კონტროლის სისტემა ისე უნდა მოეწყოს, რომ შესაძლებელი იყოს ახალი საკითხების სწრაფად და იოლად განხილვა, აგრეთვე, ადვილად შეიძლება მისი გაფართოება და განახლება; და
- ასევე შემოღებული უნდა იყოს ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი დარღვევის შესახებ დროულ ანგარიშგებას.

დარღვევების შესახებ დროული ანგარიშგების უზრუნველყოფა უფლებამოსილ პირებს საშუალებას აძლევს უმტკივნეულოდ იმოქმედონ უმოკლეს ვადაში პრობლემების გამოსასწორებლად.

## 2. შიდა კონტროლის სისტემის ელემენტები

შიდა კონტროლის სისტემა მოიცავს შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს:<sup>22</sup>

**ა) კონტროლის გარემო:** კონტროლის გარემო ორგანიზაციის ტონის განმსაზღვრელია და დიდ გავლენას ახდენს თანამშრომელთა მიერ კონტროლის მნიშვნელობის გაცნობიერებაზე. იგი შიდა კონტროლის ყველა სხვა კომპონენტის საფუძველია და უზრუნველყოფს დისციპლინას და სტრუქტურას. კონტროლის გარემოს ფაქტორებია: მთლიანობა, ეთიკური ღირებულებები, აგრეთვე კომპანიის თანამშრომლებისა და ოფიცრების კომპეტენტურობა; მენეჯმენტის ფილოსოფია და საოპერაციო სტილი; ფორმა, რომლითაც მენეჯმენტი აკისრებს უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას და ახორციელებს კომპანიის პერსონალის ორგანიზებასა და განვითარებას; ასევე ყურადღება და მიმართულება სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან.

### ★ საუკეთესო პრაქტიკა

ძლიერი კონტროლის კულტურა ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის აუცილებელი ელემენტია. სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის ზედა რგოლს პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმისათვის, რომ საუბრიოთა და სხვა მოქმედებებით ხაზი გაუსვან შიდა კონტროლის მნიშვნელობას. ეს ის ეთიკური ღირებულებებია, რომლებსაც მენეჯმენტი გამოხატავს ბიზნესგარიგებებისას როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე მის გარეთ. აღმასრულებელი საბჭოსა და მენეჯმენტის ზედა რგოლის საუბარი, დამოკიდებულება და სხვა მოქმედებები გავლენას ახდენს კომპანიის კონტროლის კულტურის მთლიანობაზე, ეთიკასა და სხვა ასპექტებზე.

<sup>22</sup> შიდა კონტროლი – ინტეგრირებული სისტემა, COSO. ასევე იხ.: [www.coso.org/publications/executive\\_summary\\_integrated\\_framework.htm](http://www.coso.org/publications/executive_summary_integrated_framework.htm)

**ბ) რისკის შეფასება:** ყველა კომპანია დგას როგორც შიდა, ისე გარედან მომდინარე რისკის წინაშე. რისკის შეფასების წინაპირობაა კომპანიის ამოცანების განსაზღვრა. რისკის შეფასება არის კომპანიის მიზნების მისაღწევად შესაბამისი რისკების იდენტიფიკაცია და ანალიზი, აგრეთვე საფუძვლის მომზადება იმის განსასაზღვრად, თუ როგორ განხორციელდეს რისკის მართვა.

**გ) კონტროლი:** კონტროლის ღონისძიებები სხვადასხვა პოლიტიკისა და პროცედურის ერთობლიობაა, რომლებიც დამხმარე როლს ასრულებენ მენეჯმენტის დირექტივების განხორციელების უზრუნველსაყოფად. მათი ხელშეწყობით ხორციელდება საჭირო მოქმედებები რისკის შესამცირებლად და კომპანიის ამოცანების მისაღწევად. კონტროლის ღონისძიებები ხორციელდება ორგანიზაციის მასშტაბით ყველა დონეზე და ყველა ფუნქციასთან დაკავშირებით. ეს ღონისძიებები მოიცავს ისეთი განსხვავებული მოქმედებების ერთობლიობას, როგორცაა: დამტკიცება, ავტორიზაცია, ვერიფიკაცია, შედარება, საოპერაციო საქმიანობის შეფასება, აქტივების უსაფრთხოება და მოვალეობების გაყოფა.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

კონტროლის ღონისძიებები ისეთივე მკაცრი უნდა იყოს მმართველობის ზედა დონეზე, როგორც ქვედა დონეზე, რათა დამაჯერებელი იყოს კონტროლის გარემო და ტონი.

**დ) ინფორმაცია და კომუნიკაცია:** უნდა განისაზღვროს საჭირო ინფორმაცია და თანამშრომლებს გადაეცეთ ისეთი ფორმით და იმ ვადაში, რომელიც მათ საშუალებას მისცემს განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობები. ინფორმაციული სისტემები იძლევა ანგარიშგებებს საოპერაციო, ფინანსური და შესაბამისობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ, რომლითაც შესაძლებელი ხდება კომპანიის მართვა და კონტროლი. ეს უკავშირდება არა მარტო შიგნით გენერირებულ მონაცემებს, არამედ ინფორმაციას ისეთი გარე მოვლენების, ღონისძიებებისა და პირობების შესახებ, რომლებიც საჭიროა ინფორმირებული ბიზნესგადანყვეტილებების მიღებისა და გარე ანგარიშგებისათვის. ეფექტიანი კომუნიკაცია უნდა წარმოებდეს ფართო გაგებითაც - ქვემოდან ზემოთ, ზემოდან ქვემოთ და ორგანიზაციის მასშტაბით. მთელი პერსონალი უნდა იღებდეს მკაფიო გზავნილს მენეჯმენტის ზედა რგოლისგან, რათა კონტროლთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა სერიოზულად იქნეს განხილული. მეტიც, მათ უნდა იცოდნენ საკუთარი როლი შიდა კონტროლის სისტემაში და ასევე უნდა ესმოდეთ, თუ როგორ უკავშირდება ინდივიდუალური მოქმედებები სხვების მიერ შესრულებულ სამუშაოს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მენეჯმენტი არ შემოიფარგლება მხოლოდ კონტროლის ღონისძიების შესახებ კომუნიკაციით, პირიქით, იგი ხაზს უსვამს კონკრეტული კონტროლის ელემენტის მნიშვნელობასა და მიზანს. მათ უნდა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი ინფორმაციის კომუნიკაციის საშუალება აღმავალი მიმართულებით. ასევე უნდა არსებობდეს ეფექტიანი კომუნიკაცია გარეშე მხარეებთან, მაგალითად, მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, მარეგულირებლებსა და აქციონერებთან.

**ე) შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის მონიტორინგი:** შიდა კონტროლის სისტემები დროთა განმავლობაში საჭიროებს მონიტორინგს, რათა შეფასდეს სისტემის ფუნქციონირების ხარისხი. ეს კი მიიღწევა უწყვეტი მონიტორინგით, ცალკე შეფასებით ან ამ ორივეს კომბინაციით. უწყვეტი მონიტორინგი წარმოებს ოპერაციების მიმდინარეობის განმავლობაში. იგი მოიცავს ჩვეულებრივ მართვას და საზედამხედველო ღონისძიებებს და სხვა მოქმედებებს, რომლებსაც ახორციელებს პერსონალი საკუთარი მოვალეობების შესასრულებლად. ცალკეული შეფასებების მასშტაბი და სიხშირე დამოკიდებულია, პირველ რიგში, რისკების და უწყვეტად მიმდინარე მონიტორინგის პროცედურების შეფასებაზე. შიდა კონტროლში არსებულ ნაკლოვანებათა ანგარიშგება უნდა გავრცელდეს აღმავალი მიმართულებით, და ყველაზე სერიოზული საკითხები უშუალოდ უნდა ეცნობოს მენეჯმენტის ზედა რგოლს და სამეთვალყურეო საბჭოს. მენეჯმენტის ზედა რგოლმა და სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მოახდინონ დასაკისრებელი სანქციების მკაფიო ფორმულირება კონტროლის ღონისძიებების დარღვევის შედეგად ex ante საფუძველზე.

თავი I

თავი II

თავი III

თავი IV

თავი V

თავი VI

თავი VII

თავი VIII

თავი IX

თავი X

თავი XI

თავი XII

### 3. შიდა კონტროლისათვის პასუხისმგებელი ორგანოები და პირები

შიდა კონტროლი გარკვეულწილად მოიცავს ორგანიზაციაში ყველას პასუხისმგებლობას და უნდა იყოს თითოეული თანამშრომლის სამუშაოს აღწერილობის მკაფიო და განუყოფელი ნაწილი. რეალურად, ყველა თანამშრომელი ანარმობს ინფორმაციას, რომელიც გამოიყენება შიდა კონტროლის სისტემაში ან ახორციელებს სხვა მოქმედებებს, რომლებიც საჭიროა კონტროლის განსახორციელებლად. ასევე, მთელი პერსონალი უნდა იყოს პასუხისმგებელი ოპერაციებში არსებული პრობლემების, ქცევის შიდა კოდექსთან ან კომპანიის დონეზე არსებული კორპორაციული მართვის კოდექსთან შეუსაბამობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ანდა პოლიტიკის სხვა დარღვევების ან უკანონო მოქმედებების შესახებ ინფორმაციის კომუნიკაციისათვის.

#### ★ საუკეთესო პრაქტიკა

კომპანიის ყველა თანამშრომელმა და აღმასრულებელმა პირმა უნდა გაიაროს კონტროლის კულტურასა და სისტემასთან დაკავშირებული ტრენინგი, რომლის უზრუნველყოფაც უნდა ეკისრებოდეს კორპორაციული ტრენინგის პროგრამებისათვის პასუხისმგებელ კომპანიის დეპარტამენტს

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ კომპანიას აქვს თავისი სპეციფიკური შიდა კონტროლის სისტემა და ორგანოები, არსებობს რამდენიმე ზოგადი წესი, რომელიც ყველა კომპანიამ უნდა დაიცვას. შიდა კონტროლი ყოველთვის იწყება კომპანიის სათავედან - სამეთვალყურეო საბჭოდან და აღმასრულებელი ორგანოებიდან. კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი ორგანოები არიან პასუხისმგებელი შიდა კონტროლის სათანადო გარემოს შექმნისა და მაღალი ეთიკური სტანდარტების შენარჩუნებისათვის კომპანიის ფუნქციონირების ყველა დონეზე. შიდა კონტროლის პროცედურების დამტკიცება კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაა. როგორც წესი, სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტს ევალება შიდა კონტროლის სისტემის ერთიანი განხილვა-შეფასება და წინადადებების მომზადება მისი გაუმჯობესების მიზნით. დაბოლოს, შიდა კონტროლის პროცედურების განხორციელება აღმასრულებელი ორგანოების პასუხისმგებლობაა.

#### ★ საუკეთესო პრაქტიკა

საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება გენერალურ დირექტორს და მანვე უნდა იკისროს სისტემის მფლობელობა.<sup>23</sup> ნებისმიერ სხვა პირზე მეტად, იგი განსაზღვრავს კომპანიის სათავეში არსებულ სულისკვეთებას და გავლენას ახდენს დადებითი კონტროლის გარემოს ერთიანობასა და ეთიკაზე. დიდ კომპანიაში ამ მოვალეობას ასრულებს გენერალური დირექტორი. იგი ხელმძღვანელობს მენეჯერების ზედა რგოლს და ამონებს მათ მიერ ბიზნესის კონტროლის განხორციელებას. ზედა რგოლის მენეჯერები, თავის მხრივ, განყოფილების ფუნქციებისათვის პასუხისმგებელ პერსონალს აკისრებენ გაცილებით სპეციფიკური შიდა კონტროლის პოლიტიკისა და პროცედურების დადგენის ვალდებულებას. მაგალითად, კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის კონტროლი უნდა შედიოდეს ინფორმაციული მენეჯერის ან საინფორმაციო ტექნოლოგიებისათვის პასუხისმგებელი მენეჯერების ვალდებულებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ფინანსურ ოფიცრებს და მათ პერსონალს, რომელთა მიერ განხორციელებული კონტროლის ღონისძიებები კვეთს აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით კომპანიის საოპერაციო და სხვა განყოფილებებს.

აღმასრულებელი ორგანოები, კერძოდ, გენერალური დირექტორი და ფინანსური დირექტორი, ქმნიან სტრუქტურებს (სამსახურებს ან დეპარტამენტებს) ან გამოყოფენ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან კონტროლის სპეციფიკური ღონისძიებების ყოველდღიური განხორციელებისათვის.

### 4. შიდა აუდიტი

შიდა აუდიტი კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის შემადგენელი ნაწილია.

<sup>23</sup> შიდა კონტროლი – ინტეგრირებული სისტემა, COSO. ასევე იხ.: [www.coso.org/publications/executive\\_summary\\_integrated\\_framework.htm](http://www.coso.org/publications/executive_summary_integrated_framework.htm)

მიუხედავად იმისა, რომ შიდა კონტროლი თავისი მასშტაბით დიდია, შიდა აუდიტი შეიძლება განისაზღვროს როგორც დამოუკიდებელი, ობიექტური რწმუნება და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც მონოდებულია ფასეულობის შესაქმნელად და ორგანიზაციის ოპერაციების გასაუმჯობესებლად.<sup>24</sup> იგი ორგანიზაციას ეხმარება სხვადასხვა ამოცანის განხორციელებაში სისტემატური და დისციპლინური მიდგომის შემოღებით, რათა შეფასდეს და გაუმჯობესდეს რისკის მართვის ეფექტიანობა, კონტროლი და კორპორაციული მართვის პროცესები. უფრო კონკრეტულად კი, შიდა აუდიტი განიხილავს და უზრუნველყოფს ინფორმაციის საიმედოობასა და მთლიანობას, სხვადასხვა პოლიტიკასა და წესთან შესაბამისობას, აქტივების დაცვას, რესურსების ეკონომიკურ და ეფექტიან გამოყენებას, აგრეთვე დადგენილი საოპერაციო მიზნებისა და ამოცანების მიღწევას. შიდა აუდიტი მოიცავს ფინანსურ საქმიანობას და ოპერაციებს სისტემების, წარმოების, ინჟინერიის, მარკეტინგის და ადამიანური რესურსების ჩათვლით.

თავი I  
თავი II  
თავი III  
თავი IV  
თავი V  
თავი VI  
თავი VII  
თავი VIII  
თავი IX  
თავი X  
თავი XI  
თავი XII

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

შიდა აუდიტის ამოცანა, როგორც წესი, მოიცავს:

- ბიზნესსაქმიანობის შესაბამისობის შეფასებას შიდა პოლიტიკასა და წესებთან;
- კონსულტაციის განევას სხვადასხვა შიდა პოლიტიკისა და პროცედურის დადგენაში;
- აქტივების დაცვასთან მიმართებით კონტროლის შეფასებას;
- კანონებთან შესაბამისობას და შიდა კონტროლის შეფასებას ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით;
- შიდა კონტროლის შეფასებას ბიზნესპროცესებთან მიმართებით;
- ბიზნესრისკების იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მართვის პროცესის შეფასებას;
- საოპერაციო ეფექტიანობის შეფასებას;
- სახელშეკრულებო ვალდებულებებთან შესაბამისობის შეფასებას;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის განხორციელებას;
- თაღლითობის გამოძიებას; და
- შვილობილი კომპანიების აუდიტს.

სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, შიდა აუდიტორი უნდა სარგებლობდეს დამოუკიდებლობის გონივრული ხარისხით. ამის მიღწევა შეიძლება მისი ანგარიშვალდებულებით სამეთვალყურეო საბჭოს (აუდიტის კომიტეტის მეშვეობით) და არა კომპანიის აღმასრულებლის (გენერალური დირექტორი ან ფინანსური დირექტორი) წინაშე.

**★ საუკეთესო პრაქტიკა**

რეალურად, საკმაოდ ძნელია შიდა აუდიტი თავისი ფუნქციის გამო სრულიად დამოუკიდებელი იყოს მენეჯმენტისაგან. მართლაც, შიდა კონტროლის ფუნქცია მენეჯმენტის ძირითადი ინსტრუმენტია. მისი საქმიანობა ვერ იქნება სარგებლიანი, თუ არ იქნება ანგარიშვალდებულებული მენეჯმენტის წინაშე. მენეჯმენტთან ახლო თანამშრომლობასთან ერთად, დამოუკიდებლობის შენარჩუნების აუცილებლობის გათვალისწინებით, შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის რეკომენდაციით, შიდა აუდიტორი ადმინისტრაციულად ანგარიშვალდებულებული უნდა იყოს აღმასრულებელი ორგანოების, ხოლო ფუნქციონალურად - სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის წინაშე.


**▷ შედარებითი პრაქტიკა**

დასავლური კომპანიების უმრავლესობაში შიდა კონტროლის ფუნქციას, როგორც წესი, კონტროლის დეპარტამენტი ახორციელებს ყოველდღიურად, მაშინ, როცა შიდა აუდიტის ფუნქციას შიდა აუდიტორი ახორციელებს პერიოდულად. შიდა კონტროლი და აუდიტი სხვადასხვა ცნებებია როგორც უფლებამოსილების, ისე ორგანიზაციის თვალსაზრისით.

<sup>24</sup> შიდა აუდიტორთა ინსტიტუტი. ასევე იხ.: [www.theiia.org](http://www.theiia.org)

## ➔ საქართველოში არსებული პრაქტიკა

კომპანიებისთვის ჩატარებული კორპორაციული მართვის კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ შიდა აუდიტს ახორციელებს:<sup>25</sup>



შიდა აუდიტის არსებობა მარეგულირებელი ორგანოს სავალდებულო მოთხოვნაა საქართველოს კომერციული ბანკებისათვის. შიდა აუდიტის განყოფილება შექმნილია ყველა ბანკში.<sup>26</sup>

### 5. მენეჯმენტის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების შიდა კონტროლის შესახებ

## ★ საუკეთესო პრაქტიკა

2003 წლის მაისში აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟის კომისიამ დაამტკიცა წესი 2002 წლის სარბინზ-ოქსლის აქტის 404-ე პუნქტის მოთხოვნათა განსახორციელებლად.<sup>27</sup> აქტის 404-ე პუნქტით ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟის კომისიას ევალება წესების მიღება, რომელთა თანახმადაც, კომპანიის ყველა წლიური ანგარიში უნდა შეიცავდეს: (1) განცხადებას მენეჯმენტის პასუხისმგებლობის შესახებ, რათა შექმნას და აწარმოოს ადეკვატური შიდა კონტროლის სტრუქტურა და პროცედურები ფინანსური ანგარიშგებისთვის; და (2) მენეჯმენტის შეფასებას კომპანიის ყველაზე ბოლო ფისკალური წლის მდგომარეობით, კომპანიის შიდა კონტროლის სტრუქტურის ეფექტიანობისა და ფინანსური ანგარიშგების პროცედურების შესახებ. 404-ე პუნქტით ასევე განსაზღვრულია, რომ კომპანიის გარე აუდიტორმა დაადასტუროს და ანგარიში წარადგინოს მენეჯმენტის მიერ კომპანიის შიდა კონტროლის სისტემების და ფინანსური ანგარიშგების პროცედურების ეფექტიანობის შეფასების შესახებ, საჯარო კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. დასკვნითი წესების თანახმად, მენეჯმენტის წლიური შიდა კონტროლის ანგარიში უნდა შეიცავდეს:

- მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განაცხადს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ადეკვატური შიდა კონტროლის დანესების შესახებ;
- განაცხადს, რომელიც განსაზღვრავს მენეჯმენტის მიერ გამოყენებულ სისტემას აღნიშნული შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესაფასებლად;
- აღნიშნული შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ კომპანიისთვის ყველაზე ბოლო ფისკალური წლის მდგომარეობით; და
- განცხადებას, რომ აუდიტორმა გააცა მენეჯმენტის შეფასების დამადასტურებელი ანგარიში.

ქართულმა კომპანიებმა, რომელთაც უნდათ კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დაცვა, აღნიშნულის შესახებ ანგარიში უნდა წარადგინონ თავიანთ წლიურ ანგარიშგებში.

<sup>25</sup> კორპორაციული - მართვის კვლევა კომპანიებში, საქართველო, 2008, თავი 4, გრაფიკი 39

<sup>26</sup> კორპორაციული მართვის კვლევა ბანკებში, საქართველო, 2008, თავი 4

<sup>27</sup> სარბინზ-ოქსლის აქტი 2002, პუნქტი 404. ასევე იხ.:

[www.sarbanes-oxley.com](http://www.sarbanes-oxley.com)